კვირის პალიტრა

მზე

N19(152) 8/V.-14/V.2003. ფასი 60 თ.

რა უნდოდათ ჩინელებს თბილისში

1168
2003

საშიშროება – ატიპური პნევმონიის ვირუსი საქართველოს ემუქრება?

ქორწილში დაგვიანებულ ნეფეს საცოლე გაუთხოვეს



რა არ უნდა მოხდეს გადასალებ მოედანზე

9 წლის ბიჭუნა 12 ენაზე უკუღმა კითხულობს

ლილიკო ნემსაძე:

„ყველაფერს ვერ ვიტყვი, თორემ მანქანას საერთოდ ჩამომართმევენ... სხვათა შორის, მართვის მოწმობა არა მაქვს, ჩემი დის „პრავით“ დავდივარ. პოლიციელები ამას ვერ ხვდებიან...“

გვ. 10

კვირის პალიტრა
ალია
№19 (152)
8 - 14 მაისი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
რემიქსების ქვეყანა „Georgia-სიაფანდი-ჰოლი“ 3
ერთი კითხვა 4
საფრთხე
● ატიპური პნევმონია – რა ხდება მსოფლიოში 6
● როგორ ვებრძოლოთ ვირუსს? ანუ ცნობილი ქართველების შინაური რეცეპტები 7
ქალი საჭესთან
გულმავიწყი მუსიკოსი ხან უბენჭინოდ დადის, ხანაც მანქანას ტოვებს და შინ ტაქსით ბრუნდება... 10
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 11
კრიმინალი
● მამის მკვლელობისთვის მსჯავრდებულს ახლა, ნათესავის მკვლელობისთვის ასამართლებენ 12
● რა მოხდა „შინო-4“-ში? 14
● ადვოკატი ქალის მიერ მოტყუებული კლიენტები სასამართლოში ჩივიან 15
ვუნდერკინდები
● უნიკალური ნიჭის პატრონი ლუკა დროის მანქანის გამოგონებაზე ოცნებობს 16
● 9 წლის ბიჭუნა 12 ენაზე უკუღმა კითხულობს 18
გამოხმაურება
● „ეს ფოტო 15 წლის წინ, ნანასთვის უნდა გამეგზავნა...“ 20
● „მე რომ გზას ავცდი, ამაში დამნაშვე გარდატეხის ასაკია...“ 21
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 22
ნამდვილი ამბავი
დაგვიანებული სასიძო 22
ტრაგედია
ბედოვლათი მამის, უბედური დედისა და დაკარგული შვილების ამბავი 24
კლიპმეიკერი
ცნობილი კლიპების შემქმნელს ვენეციაში გადაღებებმა პრობლემები შეუქმნა 27
ტრადიციები
ნადირობის ქალღმერთი დღესაც სვანეთის მთებში ბინადრობს... 30

როგორ ვებრძოლოთ ვირუსს?

თბილისში ჩამოსულ ჩინელ სტუმრებსაც ხომ შეიძლებოდა, ჰქონოდათ კონტაქტი რომელიმე ავადმყოფ თანამემამულესთან (რომელთა საერთო რაოდენობა უკვე 6000-ს აღწევს) იმ ათდღიან პერიოდში, რომელიც ვირუსის საინკუბაციო პერიოდს მოიცავს?!

7

ცნობილი კლიპების შემქმნელს ვენეციაში გადაღებებმა პრობლემები შეუქმნა

საზღვარგარეთ მუშაობას, რა თქმა უნდა, ჰქონდა დადებითი და უარყოფითი მხარეებიც. როცა სხვა ქვეყანაში ხარ და მაინცდამაინც არა გაქვს ათვისებული გადასაღები მოედნის ტერიტორია, სამუშაო პროცესს ექსტრიმი ემატება...

27

ორი შვილის მამა სასამართლომ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნო

პროკურატურის ინფორმაციით, მკვლელობა არბოლიშვილმა განზრახ და თანაც, განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა: აწ გარდაცვლილს სამზარეულო დანით 30-ზე მეტი ჭრილობა მიაყენა, ხოლო შემდეგ, თანამზრახველთა დახმარებით, მოკლულის გვამი ანთებულ ღუმელზე დადო.

12

9 წლის ბიჭუნა 12 ენაზე უკუღმა კითხულობს

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ცენტრში წავიყვანე. ვერც იქ მოუძებნეს ახსნა გიორგის ფენომენს. სპეციალური კონსილიუმი მოაწყვეს; უცხო ენების სპეციალისტები სხვადასხვა ენაზე ეუბნებოდნენ რთულ წინადადებებს, გიორგი კი დაუფიქრებლად იმეორებდა უკუღმა.

18

სიყვარულის ფსიქოლოგია

- საალერსო სიტყვით ქალსაც აამებთ 32
- რამდენად კარგად იცნობთ საკუთარ თავს? 33

ტაძარი

რა არის ჯადო? 34

ქართველები

მარო მაყაშვილის ცხოვრება – პირველი ტანგოდან ორთვალასთან აფეთქებულ ჭურვამდე... 35

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 37

ვარსკვლავი

„ოსკაროსანმა“ ჰილარი სუონკმა ბავშვობის ოცნება აიხდინა 38

შფოთისთავები 40

რომანი

რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

საფეხბურთო მინდვრებზე 46

საფეხბურთო სიურპრიზები 47

გადასალებ მოედნებზე 48

სპორტული მოზაიკა 49

ავტო 50

სალონი

„ჩვენ პრეზიდენტის მიმართ პროტესტს არ გამოვხატავთ...“ 52

აქეთური-იქითური 54, 55

ჯანმრთელობა

- მშვიდი და ღრმა ძილისათვის 56
- დიაგნოსტიკა კბილების მიხედვით 57
- ნაღვლის კენჭები 58

კალეიდოსკოპი 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (12-18 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

როგორია თქვენი პიროვნული ღირსებები? 63

სახალისო სტატისტიკა 64

გარეკანზე: გიორგი ჭორჭოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი-ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ეს ფოტო 15 წლის წინ, ნანასთვის უნდა გამეგზავნა...“

მეუბნებოდა: ხომ გაიგე სიმართლე – ბავშვი ჩემია და მასზე მე ვიზრუნებო!.. რომ ეთქვა: ნანა ტყუილს მწერს, მისთვის თითიც არ ასდროს დამიკარებიაო, – დავუჯერებდი: ჯემალი იმდენად ძვირფასი იყო ჩემთვის, აღარ ჩავეძიებოდი.

20

„ჩვენ პრეზიდენტის მიმართ პროტესტს არ გამოვხატავთ...“

რეპი ქუთაისიდან წამოვიდა... ოთხმოცდაცამეტ წელს, თბილისში რაღაც კონცერტში ვმონაწილეობდით. სცენაზე სხვადასხვა მომღერალი გამოვიდა და ხალხმა დიდი ოვაციებით ტაში დაუკრა. გამოვედით ჩვენ და ყველა გაოცებული გვიყურებდა. ტაში არავინ დაგვიკრა.

52

„ოსკაროსანმა“ ჰილარი სუონკმა ბავშვობის ოცნება აიხდინა

რეჟისორმა მოითხოვა, რომ როლის მოსარგებად სუონკს ერთი თვე მამაკაცის ცხოვრებით ეცხოვრა. ჰილარიმ კიმბერლი პირსის მოთხოვნა პირნათლად შეასრულა.

38

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

– მესმის... გავიგე... ყველაფერი გასაგებია... – ისევ ალუღლუღდა გიგო. – ისე, მეც უბრალოდ, შეშინება მინდოდა, თორემ, აბა, მომავალ სარძლოს გულს მართლა ხომ არ გავუხეთქავდი?..

– აი, მაგაზე კი აღარც იოცნებო!

– რაზე?

42

რემიქსების ქვეყანა „Georgia-სიაფანდ-ჰოლი"



ქართველი, ბუნებით იყო შემოდგომის აზნაური — არაფრის მქონე და ტრაბახა. ამას ვის ხედავს ჩემი დასავსები თვალებიო?! — აღმოხდებოდა ხოლმე სტუმრის მოსვლით გულგახეთქილს და ხმამაღლა უბრძანებდა საჯიშე მამლის დაკვლას მსახურს, რომელიც წინასწარ იყო გაფრთხილებული: ჯოხი ისე გაექნია მამლისათვის, რომ სტუმრისათვის კოჭში გაერტყა. მერე იწყებოდა ჩოხის კალთის ჩამოხევა, რომ ნირწამხდარი სტუმარი ერთი-ორი დღით მაინც დარჩენილიყო...

მას შემდეგ, რევოლუციაც ბევრი გადავიტანეთ და ევოლუციაც, მაგრამ როგორი გაფხეკილებიც ვიყავით, ისეთებად დავრჩით. არც ძველებური კუდაბზიკობა დაგვიკარგავს და ცა ბენდენად მიგვაჩნია, დედამიწა — ბოტასად. ნუ გაგიკვირდებათ! ეს იმ ძველებური გამონათქვამის „რემიქსია" — ცა ქუდად და დედამიწა ქალამნადო — წინაპრები რომ ამბობდნენ. აბა რა მექნა? ახალი ვერაფერი მოვიფიქრე და ძველიც თუ ვერ „გავარემიქსე", რაღა თანამედროვე პროვოკატორი ვყოფილვარ?!

დღეს ყველანი ასე ვართ: ახალს და საინტერესოს, ღირებულს და ფასეულს რომ ველარაფერს ვქმნით, ვიცით. თუ რამე გვქონდა მამა-პაპის მიერ შექმნილი და სულში სათუთად შემონახული, ამოვქექეთ, გავათანამედროვეთ, „გავაჯაზეთ", დედა ვუტირეთ და თავიც მოვიწონეთ — ჩვენც მაგრები ვართ-თქო!.. მოკლედ, მთელი საქართველო „რემიქსად" ვაქციეთ. ბარემ სახელიც შევუცვალოთ და „Georgia-სიაფანდ-ჰოლი" დავარქვათ დევიზით — „თქვენი დამხობა ჩვენი საქმეა!"

სულ არ ვაპირებდი, დღეს პოლიტიკას შევხებოდი, მაგრამ რემიქსების თემაში გვერდს ვერც ამას ავუვლი: დღეს ხომ მთავრობაც „რემიქსული" გვყავს, მთელი თავისი თანამედროვე ტერმინოლოგიით ანუ: ჩვენი მთავრობა ისევ უბერავს „ფეშენ-სხდომებს", „პოლიტ-დეფილეებსა" და „მასა-ფართებს", ისევ „აჯაზებს" სუპერდაპირებებს. „იტოგში" კი, ყველაფერი ისეთივე უპონტოა, როგორიც აქამდე იყო..."

ქართულმა შოუბიზნესმა კი, ადრე რომ ხელოვნება და კულტურა ერქვა, ყოველგვარი რეკორდები მოხსნა რემიქს-რიმეიქულ ბიზნესში. თამამად შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ იმდენი სამაკორდიანი სიმღერა, რაც აქ ერთ კვირაში იქმნება, თვით ამერიკასაც კი შეშურდება. თუმცა, ამერიკას უნდა შეშურდეს, აბა რა? სად მაგათი 200-წლიანი ისტორია და სად საუკუნეების მანძილზე შექმნილი, ქართული ფოლკლორის მარაგი?!

ჰოდა, ჩვენმა მომღერლებმაც (უკაცრავად, მომღერალიც ძველი სიტყვაა, „რემიქსში" ჟღერს — „ვარსკვლავი". დიახ, რამდენი მომღერალიც გვყავს, იმდენი „ვარსკვლავია" — „პროსტა", ქიმების რაოდენობაშია სხვაობა) გაშალეს ხელები და „დაერივნენ" ძველ სიმღერებს. მე შენ გეტყვი, ავტორი უჩივლებს სიმღერის მითვისებისთვის... ჰოდა, იმან მეგრული გაარემიქსა, ამან — აჭარული. იმან კიდევ ხევსურული და ესეც თქვენი ნანატრი „ვარსკვლავობა"!.. ტინეიჯერი ფანები კი, ლოყებს იხოკავენ — ეს რა ტკბილი სიმღერა შექმნესო!.. მაგათ შექმნეს ბებიამაგათის და ბაბუამაგათის მიერ 100 წლის წინ დაწერილი — უბრალოდ, „უდარნიკის" რიტმი შეაგდეს, წიხლით „ბას-ბოჩკა" ჩახიეს, „ჩაშკა" თავზე დაიმხეს და ჰიტ-აღლუმების მწვერვალებიც დაიპყრეს. თუ ცოტა ხმა და სმენა არ უწყობთ ხელს, აქ არ არის კომპიუტერი?! — ისე ასუფთავებს „ჭუჭყს", რომ ტაშტის ხმა და გოჭის სმენაც რომ გქონდეს, კარუზოს უსმენ „ზაპისში", დაიჭირე მერე „შნურგადაჭრილი" „დისტანციური" მიკროფონი დაამოქნარე სცენაზე, რამდენიც გინდა — დაილოცოს „ჰლუსავოი" ფონოგრამის მომგონი!..

მეტყვით ალბათ: თუ ასეთი ადვილი გგონია, შენც გაარემიქსე რამე და გახდი ვარსკვლავიო... მაგრამ ყვარყვარესი არ იყოს — არა ვარ, ბატონო მე ის კაცი! რაცხა, ერთი უბრალო პროვოკატორობა „ავიღე ოჯარით" და იმასაც ვერ გავართმევდი თავს, რომ არა თქვენისთანა ხალხი, ვინც საწერ მასალას არ მაკლებს. თქვენ „ირემიქს-ირიმეიქეთ", რამდენიც გენებოთ, ჩემი საქმე არ არის ვარსკვლავობა — მე იდეებს მოგაწვდით. სხვათა შორის, იმ ევროპასა და ამერიკაში — ასე რომ ჰბაძავთ, სწორედ იდეა ფასობს ყველაზე მეტად. მე კი უფასოდ მოგცემთ და აბა, თქვენ იცით!..

რას იტყვით ქართულ ფილმზე „ქეთო და კოტე"?.. აიღეთ მისი სიუჟეტი და „ატაკეთ" კლიპ-რიმეიქი სახელწოდებით „კოტე და კოტე". როგორია?.. რავა, არ არიან ამის მოსურნე, ფერადი ვაჟკაცები ქართულ შოუბიზნესში თუ რა?!

უკეთესსაც გეტყვით: მაინცდამაინც ვერაფერი სიმღერაა, მაგრამ ეროვნული მოძრაობის დასაწყისში ჰიტი იყო, ყველას პირზე ეკერა — „ჩემო კარგო ქვეყანავ" ჰქვია. ტექსტს არა უშავს, რომელიღაც ძველი პოეტისაა, მუსიკაც „ნიჩევო" რა, მაგრამ ძალიან ნელია და „კაკრაზ", „უდარნიკი" მოუხდება. „ქამონ-ბეიბი"-თა და „ევრიბოდი"-თაც თუ გაალამაზებთ, მაგარი გამოვა. სახელი, „ჩემი დედა..." დაარქვით — დედა ხომ საშშობლოსთან იგივდება...

კიდევ მაქვს ერთი ვარიანტი: „წინწყარო" ჰქვია. ცოტა ძნელი სამღერი კია — სამი ხმა მაინც სჭირდება, — მაგრამ რეპის სტილში სულ ლექსივით ჩაარიხინებთ. მაგ „ტუსოვკებსა" და „ფართებზე" ძალიან თუ გადათვრებით, მაშინ იმღერეთ და „წინწყაროს" ნაცვლად, „ჩანჩქერო" დაარქვით.

არც „ჩემო ციცინათელა" დაგრჩეთ გადაუკეთებელი! მით უმეტეს, რომ „ანათებ და კარგი ხარ, მაგრამ მე რას მარგიხარ" მთლად ჩვენს ენერგოკრიზისზეა ნათქვამი, ამიტომ ციცინათელას, რემიქსად, დავარქვათ „მე-9 ბლოკი".

უცხო ენებიდან გადმოთარგმნაც ხომ შეგვიძლია, თანაც — ქართულ ენას ყველაფერი უხდება. მაგალითად: ცნობილი ინგლისური სიმღერის „ქრეიზის" ქართული რიმეიქი — „პარლამენტი"; ან ასევე ცნობილი, პუგაჩოვას სიმღერა „Седой паромщик" — „საქართველოს პრეზიდენტი" და ა.შ.

აბა, ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ და მერე, კიდევ მოგაწვდით რამეს. პრეზენტაციაზე მოსაწვევი თქვენზეა...

ისე, კარგი იქნება, თუ თვითონაც გადახედავთ ძველ ქართულ სიმღერებს. იქნებ, ისე მოგეწონოთ, რომ ველარც გაიმეტოთ გასარემიქსებლად...

P.S. „ახალი ქართველი" ავტოგასამართ სადგურს მიადგა და ოპერატორთან თავი მოიწონა:

— ბონჟურ, ამიგო, ქამონ პეტროლ!..
— რა ენაზე მელაპარაკება? — დაიბნა მორიგე.
— ჰმ. „ახალი ქართულია".
— ოხ, შენს დედასა მუნ... — შეუკურთხა ოპერატორმა.
— რა ენაზე მეუბნებით?
— ეს „ძველი ქართულია".

პროვოკატორი

„ხელისუფლება ხელების გადაგრეხის პრინციპით მოქმედებს“

— პოლიტიკური პარტიების შეხვედრები ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით უშედეგოდ სრულდება. ასევე დასრულდა ოპოზიციისა და სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელთა შეხვედრაც „მრეწველთა“ ოფისში. მაინც რატომ არ მიიღეთ ირინა სარიშვილის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ცესკოს 15 წევრიდან ხუთს პრეზიდენტი დანიშნავს, ორს — ავტონომიები, დანარჩენი რვიდან კი, სამი წარმომადგენელი საპარლამენტო სახელისუფლებო პარტიებს ეყოლება?

***კოტე კემულარია**, „ნაციონალური მოძრაობა“:*

— ხელისუფლება არ თმობს თავის უმთავრეს ბერკეტს — უმრავლესობას ცესკოში! გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მათი მხრიდან კომპრომისს მოველოდი, მაგრამ როგორც დავრწმუნდი, ხელისუფლება კვლავ ხელების გადაგრეხის პრინციპით მოქმედებს...

***აკაკი ასათიანი**, „ტრადიციონალისტთა კავშირი“:*

— სახელისუფლებო ბლოკში გაურკვევლობაა, რადგან ისიც კი არ იციან, რა უნდა პრეზიდენტს! მათი წინადადებებით, ხელისუფლებას უპირატესობა უნდა ჰქონდეს არჩევნებში. ეს ხომ ისედაც მოხდება?! მათ ისედაც აქვთ უპირატესობა — გუბერნატორების, სამინისტროებისა და გამგებლების სახით. მონაწილეობას არ მივიღებთ არაფერში, თუ განხილული არ იქნება პარიტეტული ვარიანტი. ნუ ავიწყდებათ, რომ არჩევნებში ხელისუფლება კი არ მონაწილეობს — არჩევნებში მონაწილეობენ პოლიტიკური პარტიები... ■

„პარლამენტში ბაკქანალიაა და ეს ყველაფერი შემთხვევით როდი ხდება...“

— თქვენ ხართ თვითმხილველი პარლამენტში ორშაბათს მომხდარი შეხლა-შემოხლისა, რომლის შედეგადაც სერიოზულად დაზიანდა ორივე მხარე — სოციალისტთა ლიდერიც და „გაერთიანებული დემოკრატების“ ერთ-ერთი წევრი — ზაზა შერაზადაშვილიც. როგორ დაიწყო ეს ინციდენტი და რა კომენტარს გაუკეთებთ მომხდარს?

***ვასილ მაღლაფერიძე**, „გაერთიანებული დემოკრატები“:*

— იმდენად მწარე და შეურაცხმყოფელი იყო რჩეულიშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები, რომ შეუძლებელი იყო, მათი უპასუხოდ დატოვება... ეს ღირსებისა და კაცობის საქმე იყო!.. ამას არანაირი კავშირი არა აქვს პარლამენტთან და საკანონმდებლო საქმიანობასთან. რჩეულიშვილის სიტყვების შემდეგ, კიდევ კარგად შევიკავეთ თავი... ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბიუროს სხდომაზე მიმავალ რჩეულიშვილს დავუძახეთ და ბოდიშის მოხდა ვთხოვეთ. ბოდიში არ მოგვიხადა და მოითხოვა: ოთახში შევიდეთო, რაზედაც დავთანხმდით. ოთახში ვიყავით: მე, რომან კუსიანი, გიორგი ბარამიძე, დავით ტყეშელაშვილი, ზურაბ ცქიტიშვილი, თვითონ სოციალისტების ლიდერი და ირაკლი მინდელი — ფრაქცია „სოციალისტების“ თავმჯდომარე... ვახტანგმა იქაც იმავე ტონით განაგრძო საუბარი, რაც ჩხუბის მიზეზი გახდა... საერთოდ ასეა, — როცა ადამიანს თვითონ არა აქვს ღირსება, უნდა, რომ სხვებიც უღირსებონი იყვნენ და ამიტომაც იგონებს ათასგვარ შეურაცხმყოფელ ჭორს...

***ირაკლი გოგავა**, „ახალი საქართველოსათვის“:*

— გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ის, რაც პარლამენტში მოხდა, ვანდალიზმის გამოვლინებაა! თუ ასე ვაპირებთ პრობლემების გარკვევას და მოგვარებას პოლიტიკაში, ვერაფერს მივაღწევთ! მიმაჩნია, რომ ყველა, ვინც ამ არეულობის მონაწილე და ორგანიზატორია, კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯოს, რათა მსგავსი რამ აღარ განმეორდეს!..

***სანდრო ბრეგაძე**, „აღორძინება“:*

— პარლამენტში ბაკქანალიაა და ეს ყველაფერი შემთხვევით როდი ხდება, შეგნებულად კეთდება, რომ ქვეყანა განუკითხაობამ მოიცვას. ეს ძალზე საშიში ტენდენციაა და ვშიშობ, ქართული სახელმწიფოებრიობის დასასრულის დასაწყისი არ აღმოჩნდეს... ■

სად გაქრა უკვალოდ 970 მილიონი ლარი...

— მიხეილ მაჭავარიანის ბრალდების საპასუხოდ, თქვენ გენერალურ პროკურატურაში ვრცელი განმარტება გააგზავნეთ და იქით დაადანაშაულეთ მილიონობით ლარის გაფლანგვაში. რატომ აქამდე არ იღებდით ხმას?

ლევან მამალაძე, პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში:

— მე განვაცხადე, რომ თუ მაჭავარიანი გააპროტესტებდა ჩემ მიერ წაყენებულ ბრალდებას, მხოლოდ მაშინ ავლაპარაკდებოდი და დეტალურად გავახსენებდი მას, როგორ ნაწილდებოდა ზურაბ ჟვანიას ოთახში ბიუჯეტის კუთვნილი მილიონები. საკმაოდ ვრცელი დოკუმენტური მასალით ვასაბუთებ, რომ მაშინ, როცა ქვეყნის შემოსავლებს ზურაბ ჟვანია და მიხეილ მაჭავარიანი განაგებდნენ, უკვალოდ გაქრა 970 მილიონი ლარი! ეს ის მილიონებია, რომელიც საბიუჯეტო დაწესებულებების თანამშრომლებს, პირველ რიგში კი, პედაგოგებს და პენსიონერებს მოაკლდათ... უახლოეს მომავალში, ამ დოკუმენტს პრესასაც დეტალურად გავაცნობ... ■

„სამამულო ომის ვეტერანთა რაოდენობა მცირდება...“

— როგორ აღნიშნავთ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 58-ე წლისთავს და თქვენი ინფორმაციით, დღეისათვის რამდენი ვეტერანია ცოცხალი?

კარლო მეგრელიშვილი, ვეტერანთა თბილისის საბჭოს თავმჯდომარე:

— ომის ვეტერანები ამ დღისთვის ყოველ წელს, განსაკუთრებულად ვემზადებით ხოლმე. სამამულო ომის ვეტერანთა რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება. დღეისათვის თბილისში მათი რაოდენობა 5900-ს აღწევს. ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა საერთო რაოდენობა, ვინც შეღავათებით სარგებლობს, 15930 ადამიანს შეადგენს. თბილისის ბიუჯეტში ვეტერანებისთვის ბევრი შეღავათია გათვალისწინებული. ეს არის უფასო საქალაქო ტრანსპორტი, შეღავათები კომუნალური მომსახურების სფეროში, უფასო მედიკამენტები და სხვა. 9 მაისს, მერიაში მოეწყობა საზეიმო შეხვედრა და მათ ერთჯერადი ფულადი დახმარების თანხა გადაეცემათ. დაგეგმილია აგრეთვე საძმო საფლავების მონახულება და ყვავილებით შემკობა. დღის ბოლოს კი, გამარჯვების პარკში კონცერტი გაიმართება. ამ ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრება. ■

გველებზე მონადირე სპეციალისტებს ხელფასს დაუნიშნავენ



— გავრცელებული ინფორმაციით, დათბობასთან ერთად, ქვეწარმავალთა რაოდენობამაც იმატა. რა საფრთხეს შეუქმნის ეს მოსახლეობას და თუ იგეგმება რაიმე ღონისძიებები?

ვახტანგ ფიცხელაური, ზოოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიან ცხოველთა ლაბორატორიის ხელმძღვანელი:

— მოქალაქეებმა უკვე 10-მდე გველი აღმოაჩინეს — ძირითადად, ძველ ნაგავსაყრელებზე და მიტოვებულ სამშენებლო ნაგებობებთან. ამ დღეებში, გლდანულას, კრწანისის, ელიას მთის დასახლებებსა და დიდუბის რაიონის ტერიტორიის 10-მდე მცხოვრებმა მოგვმართა მსგავსი განცხადებებით. აღმოჩნდა, რომ არც ერთი გველი, შხამიანი და ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში არ იყო. ძირითადად, წითელმუცელა მცურავის შარშანდელი წიწილა და გველხოკერაა აღმოჩენილი. პრობლემა ის არის, რომ სპეციალისტებს გველის აღმოჩენის ადგილებზე გასვლისა და მისი აყვანის საშუალება არა აქვთ, რადგან არ არის საამისო დაფინანსება. ალბათ ამ კვირაში, თბილისის მერიის შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო სამსახურთან გაფორმდება ხელშეკრულება, სადაც გველებზე მონადირე სპეციალისტთა ხელფასებიც იქნება გათვალისწინებული. ■

„გზის“ წინა ნომრებში უკვე ვწერდით ე.წ. ჰონკონგური გრიპის ეპიდემიის შესახებ, რომელიც მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში კვლავაც პროგრესირებს და მოსახლეობაში პანიკურ შიშს იწვევს. რა სიახლეებია ამ დაავადების გავრცელებისა და მის წინააღმდეგ მიღებული ზომების სფეროში? ამ კითხვაზე პასუხს მსოფლიოს მასმედიის წამყვან საშუალებათა ფურცლებზე გამოქვეყნებული და ინტერნეტის საიტებზე გავრცელებული ინფორმაცია გაგვცემს.

ატიპური პნევმონია – რა ხდება მსოფლიოში?

ახალი შემთხვევები და დამაიმედებელი ტენდენციები

ჰონკონგელი მეცნიერების შეშფოთება კიდევ უფრო გააღრმავა ყოფილი პაციენტების ფილტვების გამოკვლევის შედეგებმა. ატიპური პნევმონიაგადატანილი 12 ადამიანის ფილტვებში მათ ნაწიბურები აღმოაჩინეს. მედიკოსები ამბობენ, რომ ნაწიბურები აძნელებს ჟანგბადის მიწოდებას და ისინი მთელი ცხოვრება დარჩება ამ ორგანოში, რაც იმას ნიშნავს, რომ ატიპური პნევმონიით დაავადებულები შესაძლოა, სამუდამოდ დაინვალიდდნენ. მეცნიერებს ჯერაც არ შეუძლიათ იმის თქმა, ეს ცვლილებები პნევმონიის ვირუსმა გამოიწვია თუ მკურნალობის დროს გამოყენებულმა წამლებმა.

კიდევ ერთი შემაშფოთებელი სიახლე: ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის მეცნიერებმა მიიღეს უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ ვირუსი საგნების მეშვეობითაც შეიძლება გავრცელდეს. გაზეთი Washington Post წერს, რომ ატიპური პნევმონიის ვირუსი ადამიანის სხეულის გარეთაც განაგრძობს არსებობას. ერთ-ერთმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ იგი რამდენიმე დღის განმავლობაში განაგრძობს არსებობას ოთახის ტემპერატურაზე, პლასტმასის საგნებზე.



იაპონელი მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ ვირუსი უფრო აქტიური ხდება დაბალ ტემპერატურაზე, რაც შესაძლოა, ზამთარში, ახალი მძიმე ეპიდემიური აფეთქების მიზეზი გახდეს.

ამ დღეებში, ატიპური პნევმონიის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა ავსტრალიაში. დაავადების საეჭვო სიმპტომები აღმოაჩნდა ქალს, რომელიც ავსტრალიური ავიაკომპანიის თვითმფრინავზე მუშაობდა. მას ეს ნიშნები სინგაპურიდან დაბრუნების შემდეგ გამოუვლინდა. იმ თვითმფრინავის ბორტზე კი, 341 მგზავრი და ეკიპაჟის 19 წევრი იმყოფებოდა.

დაავადების მოულოდნელი ეპიდემია განვითარდა ჰონკონგისაკენ მიმავალ მალაიზიურ სატვირთო გემზე. ათეულობით ინდოელი მეზღვაური ატიპური პნევმონიის სიმპტომებით, სასწრაფოდ გადაიყვანეს ჰოსპიტალში. ეკიპაჟის დანარჩენი წევრები კი, ათი დღის განმავლობაში, კარანტინში იქნებიან.

იმ ქვეყნების სიას, სადაც გავრცელებულია ატიპური პნევმონია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, გამოაკლდა აშშ, დიდი ბრიტანეთი და ვიეტნამი, რადგან უკანასკნელი 20 დღის განმავლობაში, იქ არ დაფიქსირებულა დაავადების ახალი შემთხვევები, ეს ვადა კი, ორჯერ აღემატება ატიპური პნევმონიის საინკუბაციო პერიოდს.

ბოლო ინფორმაციით, არ გამართლდა ცნობა იმის შესახებ, თითქოს დაავადების შემთხვევები აზერბაიჯანშიც იქნა დაფიქსირებული. ამ ეჭვმა, ბუნებრივია, განსაკუთრებით შეაშფოთა ჩვენი მოსახლეობა, მაგრამ შეგვიძლია დაგამშვიდოთ: აზერბაიჯანელ პაციენტებს ჩვეულებრივი, მწვავე რესპირატორული დაავადება აღმოაჩნდათ.

ვირუსს მარტივი დეზინფექცია ანადგურებს

ჰონკონგელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ატიპური პნევმონიის ვირუსს ჩვეულებრივი დეზინფექცია ანადგურებს. სიცოცხლისათვის საშიში ვირუსი ფორმალინით, აცეტონით ან ეთილის სპირტით დამუშავებიდან 5 წუთის შემდეგ იღუპება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფით ტემპერატურაზე იგი არ ექვემდებარება სტერილიზაციას.

უკანასკნელი მონაცემებით, ვირუსი გადაეცემა არა მხოლოდ აირ-წვეთოვანი, არამედ კონტაქტური გზითაც.

მომაკვდინებელი პნევმონიისაგან მხოლოდ მსოფლიო კარანტინი გვიხსნის?

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ზოგიერთი სპეციალისტი გლობალური ეპიდემიის დამარცხების ახალ მეთოდს გვთავაზობს – უნდა გამოცხადდეს მსოფლიო კარანტინი. რასაკვირველია, ამის თქმის საფუძველი არსებობს:

ატიპური პნევმონიით ხომ უკვე 450 ადამიანი დაიღუპა, 6500-ზე მეტი კი ჰოსპიტალიზებულია.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

რიგორ ებრძოლეთ ვირუსს?

ანუ ცნობილი ქართველების შინაური რეცეპტები

მაია კახიძე

ისეთი ამბავია ატეხილი მსოფლიოში ე.წ ჰონკონგური ვირუსის გამო, რომ მაისის დამდეგს სპორტის სასახლეში გამართულ საქართველოს ექიმთა კონგრესზე, ერთ-ერთ პუნქტად, ატიპური პნევმონიის საკითხიც განიხილეს. როგორც ჩვენი ექიმები ირწმუნებიან, საქართველო ვირუსის შემოსვლის თვალსაზრისით, დაბალი რისკის ქვეყანა ყოფილა. მადლობა ღმერთს — მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ, თბილისის ძველ უბანში ჩინელებმა რესტორანი გახსნეს. რამდენი ჩინელი ცხოვრობს საქართველოში, ვერ გეტყვით, რესტორნის პრეზენტაციაზე კი, ამ ქვეყნის სულ ცოტა, 60-70 მოქალაქე საკუთარი თვალით ვიხილე... წინა წერილში მოტანილი მაგალითი მოწმობს, რომ ავსტრალიაში ვირუსმა შემთხვევით შეაღწია: ვისთან და რა სახის კონტაქტი ჰქონდა ავსტრალიის ავიაკომპანიის თანამშრომელ ქალს სინგაპურში, არავინ იცის. მასთან შეხებაში ნამყოფი, სამ ასეულზე მეტი მგზავრის მსგავსად, თბილისში ჩამოსულ ჩინელ სტუმრებსაც ხომ შეიძლებოდა, ჰქონოდათ კონტაქტი რომელიმე ავადმყოფ თანამემამულესთან (რომელთა საერთო რაოდენობა უკვე 6000-ს აღწევს) იმ ათდღიან პერიოდში, რომელიც ვირუსის საინკუბაციო პერიოდს მოიცავს?! ასეთი ვარაუდი მით უფრო შემაშფოთებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელი მონაცემებით, „ჰონკონგური გრიპის“ ვირუსი ადამიანს უბრალო კონტაქტის შედეგადაც კი შეიძლება შეეყაროს...

ბუნებრივია, იბადება კითხვა: ვიდრე ამ მძიმე რესპირატორულ დაავადებას მსოფლიოს ცნობილი სპეციალისტები საფუძვლიანად გამოიკვლევენ და საჭირო პრეპარატს შექმნიან, მანამდე რა ვქნათ? როგორ დავიცვათ თავი? საინტერესოა, რა ხერხებს მიმართავენ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები?

ნიკო ლეკიშვილი:

— ჯანმრთელობაზე გვინდა გკითხოთ: როგორ ებრძვით ვირუსს, თუ, რა თქმა უნდა, ოდესმე შეგყრიათ?

— წამალს საერთოდ არ ვსვამ. ყოველდღე, 1000 მეტრს ვცურავ, ყოველთვის ვცდილობ, ფორმაში ვიყო. ზამთარში, ერთ-ერთი კერძო სასტუმროს აუზში ვიკაჟებ ჯანმრთელობას, გამოზაფხულდება თუ არა — „ლაგუნა-ვერეს“ მივაშურებ ხოლმე. წყლის პროცედურა უებარი საშუალებაა ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით — გაცივება-ვირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ სხვას არაფერს იღებთ?

— მაქვს, ასე ვთქვათ, ჩემი რეცეპტი და მაშინვე ვიწყებ ჩემეულ მკურნალობას.

— ჰოდა, გაგვიზიარეთ ეგ თქვენი რეცეპტი.

— ოთახის ტემპერატურის 50 გ წყალში ცოტაოდენ მარილს ვაზავებ; შემდეგ, მონაცვლეობით, ჯერ ერთი ნესტოთი შევისრუტავ, შემდეგ მეორით. როგორც

კი დაავადების სიმპტომებს ვიგრძნობ, იმავე წუთიდან მივმართავ ამ ხერხს. მთავარია, დროულად დაიწყო და ავადმყოფობა ვერ მოგერევა.

— თქვენი ოჯახის წევრები რით მკურნალობენ?

— ჩემი ოჯახის წევრებიც ამასვე აკეთებენ და კმაყოფილები ვართ. სხვათა შორის, ჯიბით წამალი არასოდეს მიტარებია...

სოფიკო ჭიაურელი:

— საკუთარი მეთოდები თუ გაქვთ გრიპთან, ვირუსულ დაავადებებთან საბრძოლველად?

— რა თქმა უნდა! სწორედაც რომ ჩემი მეთოდები მაქვს: ძმრით დაზელვა, თხის ქონი და ჟოლოს მურაბა. წამლებ-

ის ნაკლებად მჯერა.

— მაგალითად, თხის ქონს როგორ იყენებთ?

— შეიძლება, გულმკერდის დაზელა და ჩაის ჭიქაში პატარა ნატეხის ჩაგდე-

ბა. მართალია, მედიცინა დღითი დღე წინ მიდის, მაგრამ მაინც არ ვენდობი. ხველის დროს, კაკაოს ცხიმიც კარგია – განსაკუთრებით ბრონქებს უხდება.

— ესე იგი, წამალს საერთოდ არ სვამთ?

– ხანდახან ვსვამ ნო-შპას და ციტრამონს. ძილის წინ კი, ერთ აბ დიბაზოლს – წნევას უხდება. მე ვფიქრობ, რომ ოჯახს თავისი ექიმი უნდა ჰყავდეს. თუ გინდა, ათ კარგ ექიმთან მიდი – შეიძლება, დიაგნოზიც ერთი და იგივე დაგისვან, მაგრამ წამალს აუცილებლად სხვადასხვას დაგინიშნავენ... ამიტომაც ვამბობ: ოჯახის ექიმი აუცილებელია.

მარინა კახიანი

ცუცა კაპანაძე

იმედა კახიანი:

— ხომ ვერ მეტყვით, რა სამკურნალო საშუალებას მიმართავთ ვირუსით დაავადების შემთხვევაში?

– კი, ბატონო, გეტყვით, აბა, არ გეტყვით?! მაგრამ ჯერ იმას შეგახსენებთ, რომ ყველაზე ძლიერი წამალი ადამიანისთვის ფიზიკური მოძრაობა და შრომაა, მარა – გაცივდი, გენაცვალე? – დანაყე წიწაკა, აიღე ჩაის „სტაქანი", ჩაასხი ჭაჭის არაყი, დაუმატე წიწაკა, დალიე და მორჩები!.. მუცელმა შეგაწუხა? – აიღე ჩაის „სტაქანი", ჩაასხი არაყი, დაუმატე წიწაკა, დალიე და მორჩები!..

— კარგი, ერთი, ეგ რანაირი რეცეპტია? თან რა მწარე დასალევი იქნება?

– დამიჯერეთ – ყველაფერს უხდება ეს რეცეპტი: ებრძვის, ბატონო, მამაძაღლ ვირუსებს, არ აჭაჭანებს – მარა, შენ უნდა იყო ფხიზლად: შეატყობ თუ არა თავს პატარა სრუტუნს და ამნაირ ამბებს, გააქანე და დალიე! წითელ ღვინოს ხომ არაფერი სჯობს!.. დღეში 200-300 გ წითელი ღვინო – მისწრებაა ჰემოგლობინისთვის; ქოლესტერინი ვისაც აქვს, სისხლძარღვებს უხდება და ენერგიას მატებს. არა, რა გინდა აფთიაქში?


იმედა კახიანი


ალეკო მახარობლიშვილი

— წელიწადში ერთხელაც არ შედიხართ აფთიაქში?

– არა. ისე, ყოველი შემთხვევისთვის, ვალიდოლი მიდევს ჯიბეში. ხანდახან ჩხვლეტას თუ ვიგრძნობ ან პულსის აჩქარებას და ახლომახლო არაყი და წიწაკა არ არის, ენის ქვეშ ჩავიდებ ხოლმე. ესაა მთელი ჩემი მედიცინა და ქე ვარ კაჟივით.

მარინა კახიანი:

— მშვენივრად გამოიყურებით, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ: მკურნალობის რა მეთოდს იყენებთ გაცივების ან ვირუსით დაავადების შემთხვევაში? ადამიანი არ მეგულება ასეთი რამ რომ არ დასჭირვებოდეს და თქვენს რეცეპტს ხომ არ გაგვიზიარებთ?

– წამლებს არ ვსვამ – ეს ძალიან იშვიათ შემთხვევაში ხდება. იცით, ჩემს დიდ ბებიას მკურნალობის საკუთარი მეთოდი ჰქონდა. ნიორს დიდ პატივს სცემდა და მთელი ცხოვრება ნიორს და ცოტაოდენ არაყს ღებულობდა. წარმოიდგინეთ, ულამაზესი, უჯანმრთელესი ქალი იყო და 106 წელი იცოცხლა. ახლა დედაჩემიც ბებიის რეცეპტს იყენებს: დილაობით, ერთი კბილი ნიორი და 30 გ არაყი, ზამთარში განსაკუთრებით კარგიაო, – მეც ჩამჩიჩინებს, მაგრამ ჯერჯერობით უარს ვაცხადებ. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ დადგება დრო, როცა ეს ჩემთვისაც მისაღები გახდება. ნიორი და არაყი ვირუსს მართლაც ეფექტურად ებრძვის.

ალეკო მახარობლიშვილი:

— ჰონკონგური ვირუსი რომ მძვინვარებს რამდენიმე ქვეყანაში, არ გეშინიათ?

– უჰ, ღმერთმა დაგვიფაროს მაგ ვირუსისგან! არა მგონია, ჩვენამდე ჩამოაღწიოს, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ. ეგღა გვაკლია...

— ტანში მტკივნეულობას როცა გრძნობთ, რა წამალს სვამთ ხოლმე?

– არანაირი წამლის მომხრე არა ვარ. უამრავი წელია – თუ რაღაც ტკივილი ან მტკივნეული ვიგრძენი, ორ აბ ანალგინს ვსვამ და სულ ეგ არის. ყოველ შემთხვევაში, მიხდება და პრაქტიკულია. ჯერჯერობით მშველის. ჯანზე ვარ, არაფერი მჭირს და სანამ მაგდანას ლურჯასავით არ წავიქცევი, ვფიქრობ, ექიმთან არც მივალ.

— ეი. ექიმები არ გიყვართ?!.

– ექიმს იმიტომ არ მივმართავ, რომ დარწმუნებული ვარ – მაინც აღმომჩენენ რაღაცას... ჰოდა, მირჩევნია, არ ვიცოდე.

ანალგინი კი 30 თეთრი ღირს და მსახიობისთვის ხელმისაწვდომია...

ცუცა კაპანაძე:

— მზად ხართ ახალი ვირუსისგან თავდასაცავად?

— მე სულ მზად ვარ! გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — არასოდეს ვხდები ავად. მართალია, ძალიან ციცქნა დავიბადე, რომ იტყვიან — ბამბებში გამზარდეს, — მაგრამ ვამაყობ ჩემი ჯანმრთელობით. ხომ პატარა ვარ, მაგრამ სალი კლდე ვარ, აბა!.. ისე, წამალსაც არასოდეს ვსვამ: ნებისმიერი წამალი, ქიმიაა, გენაცვალე, და რა თავში ვიხლი?! წამლებს ვერ მოვაშხამვინებ გუნება-განწყობას.

— ვერ დავიჯერებ, რომ არასოდეს არაფერი დაგილევიათ.

— ვინ გითხრათ, რომ არ დამილევია?! დამილევია და ახლაც სიამოვნებით ვსვამ, ოღონდ — ჭაჭას... ბებიაჩემი, მაგალითად, ასი წლისა გარდაიცვალა. კაჟივით ქალი იყო, მთელი ცხოვრება საკუთარი რეცეპტით იცხოვრა. ჰოდა, მეც ბებიის რეცეპტით ვხელმძღვანელობ: დილით უზმოზე ვსვამ 50 გ ჭაჭას, მერე 1 ს/კ ნატურალურ თაფლს ვაყოლებ და 20-30 წუთის შემდეგ, საუზმესაც გეახლებით. არც გრიპი მეყრება, არც ბაცილები და ძალიან კარგადაც ვგრძნობ თავს. დედას გეფიცებით, დამიჯერეთ! ეგრე მოიქეცით და პირობას გაძლევთ, ჩინურ-ჰონკონგური კი არა, საერთოდ ვერანაირი ავადმყოფობა ვერაფერს დაგაკლებთ!

ლიკა ქავშარაძე:

— ჯვარი გვწერია ყველას ავადმყოფობისაგან, მით უმეტეს — ამ ვირუსისაგან, მაგრამ თუ გავცივდით, ასპირინს, პარაცეტამოლს და ერითრომიცინს ვღებულობთ ოჯახის წევრები. ფორთოხლის და ლიმონის წვენი ძალიან სასარგებლოა. მე, მაგალითად, წელიწადის ყველა დროს სია-

ქეთევან კიკნაძე

ვახტანგ გოგუაძე

მოვნებით გეახლებით ფორთოხალს...

ვახტანგ გოგუაძე:

— ახალ ვირუსზე რას იტყვით?

— ღმერთმა გვაშოროს! საერთოდ, მე წამლის მაგივრად, ღვინოს ვსვამ, რადგან ქრისტემ თქვა — დალიეთ ღვინოო. წამალს არ ვენდობი, ერთ რამეზე თუ გარგებს — მეორეზე გწყვენს და ამიტომ, რა საჭიროა?! თუ შევატყვე, ვირუსი შემეყარა, ვარჯიშით მოვირჩენ თავს, ვარჯიში და ოფლის მოდენა მშველის. და კიდევ, წამლის მაგივრობას იუმორი და სატირა მიწევს; ეს რომ არა, რაც მე გადავიტანე, წამლები რომ მესვა, კაი ხნის მკვდარი უნდა ვიყო...

ქეთევან კიკნაძე:

— დიდი ოჯახის დიასახლისი ბრძანდებით და ალბათ, შინაური სამკურნალო რეცეპტებიც გეცოდინებათ...

— თუ რამეში გამოგადგებათ, დიდი სიამოვნებით გეტყვით: გაცივების დროს, დღეში 3-4-ჯერ, ლიმონიანი ცხელი წყალი, არაჩვეულებრივია. კარგია ინჰალაციაც, ოღონდ, ამ პროცედურის შემდეგ

ლიკა ქავქარაძე


გივი ბერიკაშვილი

სიფრთხილეა საჭირო — თბილად უნდა იყოთ. საერთოდ, თუ წამლებს არ მივიღებთ, უკეთესი იქნება. ჩემს ოჯახში ვცდილობთ, უწამლოდ გავიდეთ იოლას და შინაური საშუალებებით ვიმკურნალოთ: თაფლი, გვირილის, ცაცხვის ნაყენი, ასკილის ჩაი, ნატურალური ხილი და არა აფთიაქში ნაყიდი ვიტამინები...

გივი ბერიკაშვილი:

— მსახიობი ბრძანდებით და ალბათ ყელს, ხმას განსაკუთრებით უფრთხილდებით. გაცივების შემთხვევაში, რით მკურნალობთ?

— როცა კარგ კონცერტს ამზადებ, კარგ სპექტაკლს ან კარგ საკონცერტო ნომერს — ეს სამკურნალო რეცეპტია, დაბოღმილი ადამიანი უნდა დააწყნარო, დაამშვიდო... სიცილი უებარი წამალია. ამას მე გეუბნებით — გივი ბერიკა და სპეციალისტებიც ამასვე ამტკიცებენ. მერე?! ვიცინოთ, რა! გავიღიმოთ მაინც, რომ ამდენ დავიდარაბას გავუძლოთ... ახლა კი, ჩემს საკუთარ რეცეპტებსაც გაგიმხელთ, მე წამლების არ მჯერა, ჩემი მეთოდები მაქვს: 3-4 ცალი კარგად გარეცხილი, საშუალო ზომის კარტოფილი ჩაიდანში (და არა სხვა ჭურჭელში!) ჩადეთ კანიანად; დაიწყებს თუ არა დუღილს, თავზე პირსახოცი გადაიფარეთ და ღრმად შეისუნთქეთ ორთქლი. ინჰალაციის შემდეგ, მოხარშული კარტოფილის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებაც შეიძლება — მიირთვით, — მაგრამ პროცედურა აუცილებლად ძილის წინ უნდა გაიკეთოთ. ყელსაც უხდება ეს მეთოდი, ხმასაც, ცხვირსაც, ხველასაც, თავის ტკივილსაც და ბრონქებსაც — მააშ!..

P.S. ესეც შინაური რეცეპტები. ღვთის წყალობით, ღვინო, არაყი, ხახვი, ნიორი, თაფლი, ფორთოხალი და ა.შ. მართლაც სამყოფია საქართველოში. ■



ლილიკო ნემსაძე კარგი მძღოლია. მას სისწრაფე უყვარს და ხშირად აღიზიანებენ მამაკაცები, რომლებიც მანქანას ნორმალურად ვერ მართავენ. ავტოინსპექტორები წყალობენ, არ აჯარიმებენ. ყველაზე შორი მანძილი, რომელიც ლილიკომ პირველად დამოუკიდებლად დაფარა, თბილისი-მცხეთა იყო. საჭესთან შიშის გრძნობა არასდროს ჰქონია, თუმცა, სულ ეშინოდა, მისი მანქანა ვინმეს არ წაეყვანა. ახლა, ეს შიშიც დაძლია.

გულმავიწყი მუსიკოსი ხან უგენზინოდ დადის, ხანაც მანძანას ტოვებს და შინ ტაქსით გრუნდება...

ლელა ჭანკოტაძე

— მყავს „ფოლკსვაგენ-გოლფ-3“, ცისფერი. ეს ჩემი მეუღლის მანქანაა, მაგრამ უმეტესად, საჭესთან მე ვზივარ. გამოდის, რომ მაჩუქა...

— მანქანის მართვის სურვილი როდის გაგიჩნდა?

— თხუთმეტი წლის ასაკიდან, გადაწყვეტილი მქონდა, რომ მანქანის მართვა მესწავლა. თეორიულად ვიცოდი კიდეც. პირველად, მამაჩემის მანქანით ვცადე ჩემი სურვილის შესრულება — „ჟიგული-05“-ის საჭესთან ვიჯექი დაახლოებით თხუთმეტი წუთი... გავიდა წლები. ჩემი მეუღლე რომ გავიცანი, „მეპრანჭებოდა“ — მანქანით მასეირნებდა. მის ბიძას „06“ ჰყავდა. ტარება სწორედ იმ მანქანით ვისწავლე. შემდეგ, მე და კახამ ვიყიდეთ მანქანა, რომელიც ძირითადად, მე მჭირდება. არის შემთხვევები, როცა მანქანა კახასაც ძალიან სჭირდება და მეც. მაინც მიდის კომპრომისზე და მითმობს.

— ე.ი. მანქანის მართვაც მეუღლემ გასწავლა?

— ამ ორი წლის წინ, როცა მტკიცედ გადავწყვიტე, რომ მანქანის მართვა მესწავლა და მუდმივად მივჯდომოდი საჭეს, რა თქმა უნდა, მეუღლემ იკისრა მასწავლებლობა. მაგრამ ჩვენი მეცადინეობა მხოლოდ ათი წუთი გრძელდებოდა — მერე ჩხუბს ვიწყებდით და ან კახა გადმოვიდოდა მანქანიდან, ან მე. ცხადია, ასე, ჩხუბით ვერაფერს ვისწავლიდი, ამიტომ დავურეკე ჩემს მეგობარს, ლაშა ფარქოსაძეს. ის ავტომრბოლელია, საქართველოს ჩემპიონი გახლავთ. ვთხოვე: მოდი და მამეცადინე-მეთქი. მართლაც, მოვიდა. პირველი მეცადინეობის შემდეგ თქვა: ხუთ გაკვეთილში ისწავლისო. კახა გაოცდა, ვერ დაიჯერა, მე კი სწორედ ხუთი გაკვეთილი მეყო. თავიდან სულ „ტორმუზებით“ დავდიოდი... მახსოვს, ანსამბლ „უნივერსიტეტის“ ბიჭები მოვიდნენ ჩემთან. ჩაწერა გვქონდა. ვუთხარი: თქვენ თქვენი მანქანით წადით, მე ჩემი მანქანით გამოგყვებით-მეთქი. გაუკვირდათ და მეხუმრნენ: მიწაზე, ფეხით სიარული გიჭირს და მანქანას როგორ გაატარებო?!. ვთხოვე: ჯერ თქვენ წადით, რომ არ დაინახოთ, როგორ ვივლი-მეთქი. წავიდნენ, მაგრამ თურმე რომელიღაც მოსახვევში დამალულან, უკან რომ გამომყოლოდნენ და ენახათ, როგორი მძღოლი ვიყავი. მე, რა თქმა უნდა, უამრავი ავარიული სიუტაცია შევქმენი, სულ „ტორმუზებით“ ვიარე და თავი საჭეს უამრავჯერ მივარტყი. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე სტუდიამდე. ბიჭები სიცილისგან ფერდაკარგულები მოვიდნენ. სიმღერის თავი სადღა ჰქონდათ?!. მეკითხებოდნენ: შენ რა, მანქანა ცხენი გგონიაო?! ამის შემდეგ, გავმწარდი და მოვინდომე, კარგად დავუფლებოდი მართვას.

— ახლა საკმაოდ სწრაფად დადიხარ. არ გსაყვედურობენ?

— სისწრაფე მიყვარს. შინაგანად ვგიჟდები სისწრაფეზე. თუმცა, როცა მისაყვედურებენ, ვუარობ და ვამბობ: არა, სწრაფად არ დავდივარ-მეთქი... ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის: დაგინახეთ, მაგრამ ფიქრით ისე შორს იყავი, როგორ შეიძლება, შენ საჭესთან იჯდეო?! სხვათა შორის, მეოცნებე ადამიანი ვარ და გამოთიშვა მჩვევია. მაგრამ ამისი აღარ მეშინია, რადგან მანქანას ძალიან კარგად ვფლობ. თავიდან ლაშამ მითხრა: დაივიწყე მაგნიტოფონი, უყურე საჭეს და იყურე წინო... მახსოვს, სათვალე მიშლიდა ხოლმე ხელს: თუ სათვალე მეკეთა, მეგონა, გზას კარგად ვერ ვხედავდი... მე ასე ვფიქრობ: როცა საზურგეს ტანით ეყრდნობი, ე.ი. მანქანას უკვე კარგად მართავ. პირველად, მანქანაში მაგნიტოფონი რომ ჩავრთე და სავარძელს ზურგით მივეყრდენი, კახასთან მივედი და ვუთხარი: ნახე, რა კარგი მძღოლი ვარ-მეთქი...

— რამე ხიფათი ხომ არ შეგმთხვევია?

— არა. პირიქით, როცა საჭესთან ვზივარ, პრობლემებს სულ ღიმილით ვაგვარებ. ავტოინსპექტორები რომ გამაჩერებენ, ვეხვეწები ხოლმე: ოღონდ ახლა გამიშვით და ხვალ, რომელ საათზეც გინდათ, მოვალ და დამაჯარიმეთ-მეთქი. ისინიც გაიცინებენ და მიშვებენ. რამდენიმე დღის წინ, ჩემი პედაგოგი, ბატონი ნოდარ მამისაშვილი კონსერვატორიიდან მომყავდა. საშინლად დავარღვიე მოძრაობის წესები. ზემელზე ისეთი რამ ჩავიდინე, რასაც მამაკაცს არავინ აპატიებდა. ბატონმა ნოდარმა მითხრა: ასეთი ავანგარდული მუსიკაში რომ იყო, ვერავინ გაჯობებდაო... მანქანა არასდროს დამიმტვრევია. ორჯერ გამიფუჭდა და ორჯერვე — ჩემი მეუღლის მიზეზით. როცა სხვის მანქანაში ვზივარ, ხშირად მესმის ხოლმე განაწყენებული მძღოლის ბუზღუნი: წინ ქალი მიდის, ამიტომაა გზაზე ასეთი არეულობაო. არადა, პირადად მე, ტრასაზე უამრავი კაცი მიშლის ნერვებს.

— საცობებს როგორ აღწევ ხოლმე თავს?

— არანაირად. ამას წინათ, შუა საცობში ბენზინი გამითავდა. ატეხეს მძღოლებმა ერთი ამბავი: ქალის გარდა, ეს ვის დაემართებოდაო?!. ბედად, ჩემი მეზობლები გამოჩნდნენ და მიშველეს — მანქანა გზიდან გადააგორეს.

— კურიოზი ბევრჯერ გადაგხდენია?

— ძალიან ბევრჯერ. ახალი მძღოლი ვიყავი, „სანო-სტუდიიდან“ მოვდიოდი. გავაჩერე ტაქსი, ჩავჯექი და შინ წამოვედი. ბოლოს, მძღოლისთვის ფული რომ უნდა მიმეცა, აღმოვაჩინე, რომ ჯიბეში მანქანის გასაღები მქონდა. მაშინ გამახსენდა, რომ მანქანა სტუდიის წინ დამრჩა დაყენებული... ამის შემდეგ სანო *(მუსიკოსი დავით სანოძე — ავტ.)* სულ მეუბნება: გოგო, მანქანით წადი სახლში, მანქანა აქ არ დამიტოვოო...

— როცა საჭესთან ზიხარ, ვის სიმღერებს უსმენ?

— თუ გვერდით ვინმე მიზის, მაგნიტოფონს მხოლოდ მაშინ ვრთავ. სამაგიეროდ, მიყვარს მანქანაში სიმღერა. მე ხომ არ ვმღერი — ხმა არა მაქვს... როცა ცუდი ამინდია და ფანჯრები აწეული მაქვს, ისე ხმამაღლა ვმღერი, რომ ვერც კი წარმოიდგენთ. რამდენჯერმე, სხვა მანქანებიდან მომზირალი, გაოცებული სახეებიც დამიფიქსირებია. ისიც შემიმჩნევია, ზოგი სინანულით რომ შემომყურებს: ნეტავ, რა დაემართაო?! ბოლომდე რომ მოვრჩები სიმღერას, ემოციებისგან დაცლილი ვარ ხოლმე. არა აქვს მნიშვნელობა — საცობში მოვყვები თუ თავისუფალ გზაზე მივდივარ, მაინც ძალიან ხმამაღლა, „კაცური“ ხმით ვმღერი ხოლმე...

— თუ იცნობ სხვა მძღოლ ქალს, ვინც შენსავით სწრაფად ატარებს მანქანას?

— ერთადერთი, ვისაც ვიცნობ, ეს არის სოფო ერგემლიძე — დათო თამაზაშვილის მეუღლე. სოფო არაჩვეულებრივად დადის. სწორედ მის გამო გამიჩნდა სურვილი, მანქანის მართვა მესწავლა. პირველად, როცა ის მანქანაში ჩამიჯდა, ძალიან დავიძაბე — შემეშინდა, რაიმე არ შემშლოდა... ასევე კარგი მძღოლები არიან თიკა რუხაძე და მაიკო ჯორჯაძე.

— შეგიძლია მითხრა, რომელია ყველაზე დიდი სიჩქარე, რომლითაც გივლია?

— ვიტყვი — 120 კმ/სთ და არ ვიტყვი, სინამდვილეში რამდენით მივლია... როცა ბავშვი მიზის გვერდით, ნელა დამყავს, 80 კმ/სთ-ით თუ მივდივარ, აყვირდება ხოლმე. მე მშვიდად ვპასუხობ: სწრაფად ხომ უნდა მივიდეთ „მაკდონალდსში“-მეთქი. — რა მნიშვნელობა აქვს, მაინც ხომ მივალთო?! — მპასუხობს შეშინებული... სულ ახლახან, ჩემი „მასწავლებელი“, ლაშა ფარქოსაძე ჩამიჯდა მანქანაში. გაოცებული მეკითხებოდა: რას აკეთებო?! არადა, თვითონ საოცარი რეკორდები აქვს: ქობულეთში 2 სთ-სა და 20 წთ-ში ჩასულა...

— მანქანას ვინ უვლის — შენ თუ კახა?

— რკინებს და რკინის ნაწილებს ბავშვობიდან „ოციცებს“ ვეძახი: როცა პირველად რაღაც გაგვიფუჭდა და კახამ „კაპოტი“ ახადა, ვუთხარი: ვაიმე, რამდენი „ოციცია“-მეთქი?!. „ოციცებში“ ვერ ვერკვევი. ამიტომ ამ საქმეს ყოველთვის კახა აგვარებს. სამაგიეროდ, მანქანას ხშირად ვარეცხვინებ. რომ ვკითხავ: რამდენ ხანში გარეცხავთ-მეთქი? — მპასუხობენ: თხუთმეტ წუთშიო. თუ თხუთმეტ წუთს გადასცილდა, ისეთი უნებისყოფო ვარ, ნახევრად ტალახიანი მანქანა მიმყავს...

— თუ ყოფილა შემთხვევა, როცა საჭეს ნასვამი მისჯდომიხარ?

— ყველაფერს ვერ ვიტყვი, თორემ მანქანას საერთოდ ჩამომართმევენ... სხვათა შორის, მართვის მოწმობა არ მაქვს, ჩემი დის „პრავით“ დავდივარ. პოლიციელები ამას ვერ ხვდებიან...

■

ტესტი ერუდიციაზე

1. რომელ ქვეყანაში მოღვაწეობს ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე?



ა) გერმანიაში;
ბ) ავსტრიაში;
გ) დანიაში.

2. რა ეწოდება ქალის მაერდის ექიმს?

ა) უროლოგი;
ბ) ენდოკრინოლოგი;
გ) მამოლოგი.

3. როდის დაიბეჭდა პირველად „ვეფხისტყაოსანი“?

ა) 1849 წელს;
ბ) 1901 წელს;
გ) 1712 წელს.

4. რა ერქვა ნინო რამიშვილის მიერ დადგმულ ერთ-ერთ ცეკვას?

ა) „საკოლმეურნეო“;
ბ) „პარტიული“;
გ) „დიდება ბელადს“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ორი მცირეწლოვანი შვილის მამას, საკუთარი მამის მკვლელობისთვის მსჯავრდებულ, სასამართლოს მიერ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობილ, ხაშურელ 42 წლის ნოდარ არბოლიშვილს უკვე მეექვსედ ასამართლებენ. ამჟამად მას ნათესავის — დედის ბიძაშვილის შვილის — თენგიზ არევაძის მკვლელობაში ედება ბრალი. პროკურატურის ინფორმაციით, მკვლელობა არბოლიშვილმა განზრახ და თანაც, განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა: აწ გარდაცვლილს სამზარეულო დანით 30-ზე მეტი ჭრილობა მიაყენა, ხოლო შემდეგ, თანამზრახველთა დახმარებით, მოკლულის გვამი ხალიჩაში გაახვია და იგი ანთებულ ღუმელზე დადო. საბრალდებო დასკვნის თანახმად, დამნაშავეებს არევაძის სხეულის დაწვა და ამით დანაშაულის კვალის დაფარვა უნდოდათ.

მამის მკვლელობისთვის მსჯავრდებულს ახლა, ნათესავის მკვლელობისთვის ასამართლებენ

ორი შვილის მამა სასამართლომ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნო

განსასჯელი ნოდარ არბოლიშვილი

თავად ნოდარ არბოლიშვილი აღნიშნულ ბრალდებაში თავს მხოლოდ ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ. ის მკვლელობის წინასწარგანზრახვას და დანაშაულის ჩადენის დროს გამოჩენილ სისასტიკეს კატეგორიულად უარყოფს. თუმცა, საქმის მასალების თანახმად, მომხდარ მკვლელობაში არბოლიშვილი პროკურატურის თანამშრომლების წინაშე მისმა მეუღლემ ამხილა.

დღეს უკვე ცოლყოფილის ყოველ სიტყვას განსასჯელი უარყოფს და აცხადებს, რომ ქალი, გამომძიებლის მიერაა დარიგებული, თუ რა ილაპარაკოს. არადა, გამოძიების მასალების თანახმად, 11 წლის წინ მომხდარი მკვლელობის ამბავი, ციხიდან ქმრის მიერ ცოლისთვის მიწერილი წერილიდან გახდა ცნობილი. როგორც არბოლიშვილის მეუღლე — თამარ ირემაძე აღნიშნავს, ერთხელ, საუბრისას ქმარმა მას დეტალურად აღუწერა არევაძის მკვლელობა, რაც მის მიერ დაწერილი ერთ-ერთი წერილითაც დასტურდება.

დანაშაული 1992 წლის 1 მარტს, ხარაგაულის რაიონის სოფელ მარელისში მოხდა. თენგიზ არევაძე, რომელიც მარტო ცხოვრობდა და იმ პერიოდში, რკინიგზაზე, ვაგონის გამცილებლად მუშაობდა, საკუთარ ბინაში სადისტურად მოკლული იპოვეს. გამოძიების თანახმად, იმ დღეს, მას ბიძაშვილმა, ბადრი არევაძემ და ამ უკანასკნელის მეგობარმა, ნოდარ არბოლიშვილმა ფულის გამოსართმევად მიაკითხეს. როგორც აღმოჩნდა, აწ გარდაცვლილს, ბადრი არევაძის ვალი ჰქონდა. თენგიზ არევაძემ თანხის გადახდაზე უარი თქვა, რის გამოც მისულებმა მას ჩხუბი დაუწყეს. ნოდარ არბოლიშვილმა დანა აიღო და თენგიზ არევაძეს სხეულის სხვადასხვა ადგილას მრავალი მძიმე ჭრილობა მიაყენა. ხმაურისა და ყვირილის ჩასახშობად დამნაშავეებმა რადიო ჩართეს და მუსიკას აუწიეს...

მკვლელობის დროს, მეზობლებს არევაძის ბინიდან, მუსიკის გარდა, რაიმე სხვა ხმა მართლაც არ გაუგონიათ. როგორც ამბობენ, რადიო მთელი ღამე იყო ჩართული, თუმცა, არც ეს გაჰკვირვებიათ, რადგან, მათივე თქმით, არევაძის ბინიდან მუსიკისა და ქეიფის ხმა ხშირად ისმოდა.

მაყვალა დოიაშვილი, *მოკლულის მეზობელი:*

„იმ დროს, ჩემი 9 წლის ვაჟი შემოვარდა სახლში და მითხრა: დედიკო, თენგიზს კლავენო. — საიდან იცი-მეთქი? — როცა შევეკითხე, მიპასუხა: ბინიდან თენგიზის ხმა გავიგონე, იძახდა: ნუ მომკლავთ, ნუ მომკლავთო!.. მე მაშინვე აივანზე გავედი, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შევნიშნე და ვერც გავიგონე, მხოლოდ მუსიკის ხმა ისმოდა.

თენგიზი იმ დღესაც ვნახე, დილით. მაღაზიაში პური იყიდა და ისევ შინ წავიდა. ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, აღელვება ან დაბნეულობა არ ეტყობოდა. თავის ბინაში მეგობარი ქალები ხშირად მოჰყავდა და იქიდან დროს ტარებისა და მუსიკის ხმაც ბევრჯერ გამიგონია, მაგრამ მეზობლებთან მიმართებაში შეუვალი და კარჩაკეტილი იყო. კარის გაღება არ უყვარდა, რამდენიც არ უნდა გეკაკუნებინა, მაინც არ გამოგხედავდა. ურთიერთობაში უხეში იყო და ამიტომაც ყველანი ვერიდებოდით.

მისი მკვლელობის შესახებ მეორე დღეს გავიგე. შემთხვევის ადგილას პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, ხალხიც შეკრებილიყო. ამბობდნენ, მოუკლავთო, თუმცა, დამნაშავის სახელი კონკრეტულად არავის უხსენებია. როგორც მაშინ მითხრეს, მკვლელის ვინაობა უცნობი გახლდათ“.

წლების მანძილზე, საქმე გაუხსნელი იყო. 1998 წელს, ხარაგაულის რაიონის პროკურატურამ არბოლიშვილი, როგორც ეჭვმიტანილი, პირველად დაჰკითხა.

თამარ ირემაძე, *განსასჯელის ყოფილი მეუღლე:*

„მაშინ, ჩემი მშობლების ბინაში ვიყავით. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, სახლში პოლიციის თანამშრომლები მოვიდნენ. თქვეს: ხარაგაულის რაიონიდან ვართ და თქვენი მეუღლე დასაკითხად უნდა წავიყვანოთო. რისთვის მიჰყავდათ, ან რა ხდებოდა, არ ვიცოდი. მეორე დილით, ხარაგაულში მეც ჩავედი, ჩემს მამამთილსაც ვაცნობე, მან კი მხოლოდ ეს მითხრა: ნუღარ ელოდებით, ის აღარ დაბრუნდებაო.

პროკურატურის თანამშრომლებისგან შევიტყვე, რომ 1992 წელს მომხდარი ერთ-ერთი მკვლელობის საქმეში ჩემი ქმარიც იყო მოხსენიებული, რის გამოც მისი დაკითხვის აუცილებლობა დადგა. მაშინ მე ნოდარის თავდებით გათავისუფლება მოვითხოვე. ამაზე დამთანხმდნენ. მას ხელწერილი დააწერინეს, გააფრთხილეს, რომ ხაშურიდან არ უნდა გასულიყო და გამოუშვეს. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, ნოდარმა მამამისი მოკლა...“



ნოდარ არბოლიშვილმა ფეხსაცმელი გაიხადა და სხდომაზე, სასამართლო კოლეგიის თვალწინ, ყოფილ ცოლს ესროლა

პროკურატურის ინფორმაციით, მამაშვილს ერთმანეთთან შელაპარაკება მოუხდა, რა დროსაც ნოდარ არბოლიშვილმა მამას – ნიკოლოზ არბოლიშვილს თავში რკინის კეტი ჩაარტყა. ნიკოლოზ არბოლიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. მისი შვილი იმავე დღეს დააკავეს. დანაშაულისთვის, რომელიც მან აღიარა კიდეც, სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით.

თამარ ირემაძე:

„მე და ნოდარ არბოლიშვილი 1995 წლიდან გახლდით ცოლ-ქმარი, თუმცა ოფიციალურად ხელი მოწერილი არ გვქონია. ორი შვილი – ქალ-ვაჟი შეგვეძინა და 1998 წლამდე, ანუ მის დაპატიმრებამდე, ერთად ვცხოვრობდით. მამის მკვლელობის შემდეგაც ვაკითხავდი ციხეში, თითქმის ყოველდღე მასთან ვიყავი და ვპატრონობდი. თავადაც, წერილებს მიგზავნიდა. ერთ დღეს მკითხა: შენთან ხარაგაულის რაიონის პროკურატურიდან ხომ არავინ მოსულა და წერილების შესახებ ხომ არ უკითხავთო? მე დავინტერესდი, თუ რატომ აღელვებდა მას ასე ხარაგაულის პროკურატურა, რადგან ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ამ მკვლელობაში მას ბრალი არ მიუძღოდა. მაშინ ნოდარმა მითხრა: არევაძის მკვლელობა მართლაც, მე ჩავიდინე, მაგრამ ამის შესახებ არავინ უნდა შეიტყოსო. იგი დეტალებში მომიყვა, თუ როგორ ჩაიდინა დანაშაული...“

თამარ ირემაძის თქმით, ერთ დღეს, შემთხვევით, მის ხელში, ქმრის მიერ ბესიკ არევაძისათვის (ბაღრი არევაძის ძმა) გადასაცემად დაწერილი წერილი მოხვდა. *„წერილში ნოდარი ბესიკს არიგებდა – მკვლელობა აწ გარდაცვლილ მამაჩემს გადავაბრალოთო. როგორც მივხვდი, ამ წერილის შესახებ პროკურატურასაც ჰქონდა ინფორმაცია, ამიტომაც გადავწყვიტე, არ დამემალა და გამომძიებლისთვის მეთქვა, რომ ის მე მქონდა“*, – დასძენს თამარ ირემაძე, რომელიც, სხვათა შორის, პროფესიით იურისტი გახლავთ და, როგორც თავადვე აღნიშნავს, კარგად იცოდა, რომ ის, როგორც არბოლიშვილის მეუღლე და ოჯახის წევრი, დანაშაულის დაფარვისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა. ამდენად, ვალდებული არ იყო, პროკურატურისთვის ან სასამართლოსთვის ქმრის საწინააღმდეგო ჩვენება მიეცა ან რაიმე მამხილებელი საბუთი წარედგინა, – მაგრამ ეს მაინც გააკეთა. თავად ნოდარ არბოლიშვილი ცოლს ღალატში ადანაშაულებს და ამბობს, რომ იმ დროისთვის, მას საყვარელი ჰყავდა და ქმრის თავიდან მოცილება ამიტომაც უნდოდა. თამარ ირემაძე ამას უარყოფს და ირწმუნება, რომ ქმარი მას არ გაუმეტებია.

„როცა ნოდარმა ჩადენილი დანაშაული დეტალებში ამიღწერა და ისიც მითხრა, თუ როგორ აპირებდა გვამის დაწვას, შემეშინდა. ვუთხარი კიდეც: შენი მეშინია-მეთქი. მან კი მიპასუხა: არსად არაფერი თქვა, თორემ როგორც მამაჩემი ჩავაძაღლე, შენც ისე ჩავაძაღლებო... ამ საუბრის შემდეგ, მასთან ციხეში აღარ მივსულვარ.

ერთ დღეს კი, შინ უცნობმა პიროვნებამ დამირეკა. მითხრა: მე ნოდარის ახლობელი ვარ, ფული სჭირდება და უნდა მისცე, თორემ მთელ ოჯახს ამოგწყვეტთო. გადავწყვიტე, პროკურატურაში მივსულიყავი. მე ამ დანაშაულის დაფარვას არ ვაპირებდი“, – წერს წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში თამარ ირემაძე. მან აღნიშნული ჩვენება სასამართლო პროცესზეც დაადასტურა, პასუხად კი, ნოდარ არბოლიშვილმა ფეხსაცმელი გაიხადა და სხდომაზე, სასამართლო კოლეგიის თვალწინ, ყოფილ ცოლს ესროლა. ფეხსაცმელი თამარ ირემაძეს ზურგში მოხვდა. ამ საქციელის შემდეგ, მოსამართლემ ბრძანება გასცა, არბოლიშვილისთვის ბორკილები დაედოთ.



მომხდარი მკვლელობისთვის განსასჯელის პასუხისმგებლობის საკითხი მაინც ეჭვქვეშ დგას

ნოდარ არბოლიშვილი:

„თენგიზ არევაძის განზრახ მკვლელობაში თავს დამნაშავედ არ ვცნობ. თუმცა ვაღიარებ, რომ 1992 წლის 1 მარტს, მასთან შელაპარაკება მართლაც მომიხდა. მაშინ მე მას მხოლოდ ორი ჭრილობა მივაყენე.

იმ დღეს, ბაღრი არევაძესთან ერთად კი არ ვყოფილვარ, როგორც ეს საბრალდებო დასკვნაში წერია, არამედ ჩემი ბავშვობის მეგობრებთან – პაატა ზაზიკაშვილსა და არჩილ სუთიაშვილთან. რაც შეეხება თენგიზ არევაძეს, მას საერთოდ არ ვიცნობდი და იმ დღეს, პირველად ვნახე.

როგორც გაირკვა, ზაზიკაშვილსა და სუთიაშვილს თენგიზ არევაძესთან კარტი უთამაშიათ. თენგიზს წაუგია. თავანის ნახევარი ჩაუბარებია, თუმცა დანარჩენი – 30.000 მანეთი კიდევ მისაცემი ჰქონდა. სწორედ ამ თანხის წამოსაღებად მივაკითხეთ იმ დღეს არევაძეს შინ.

კარი თვითონ გაგვიღო. ლოჯიაში შეგვიპატიჟა. იქ მაგიდაზე პურმარილი იყო გაშლილი, არაყიც ჰქონდა. სუფრას შემოვუსხედით და ცოტა ხნის საუბრის შემდეგ, ზაზიკაშვილმა და სუთიაშვილმა მას ვალზე დაუწყეს ლაპარაკი. ამ დროს, თენგიზთან შელაპარაკება მეც მომიხდა. მან კი უხეშად მომმართა: შენ რაღა გინდა, შენი დედაო?!.

ჩხუბი რომ დავიწყეთ, იმ მომენტში, ლოჯიიდან შემოსასვლელში ვიყავით გასულები. თენგიზს ხელში დანა ეჭირა და ჩემკენ იქნევდა. მე, მოგერიების მიზნით, დანა წავართვი, შემდეგ კი სხეულში, მუცლის არეში, ორჯერ თუ სამჯერ ჩავარტყი. აღელვებული ვიყავი და ვეღარ მოვზომე. თვითონაც დაჭრილი გახლდით. მაშინ ლოჯიიდან სუთიაშვილი და ზაზიკაშვილიც გამოვიდნენ. დაჭრის მო-

მენტი მათ არ დაუნახავთ, რადგან ყველაფერი წამებში მოხდა. მითხრეს: შენ წადი, მანქანაში ჩაჯექი და ჩვენც მოვალთო.

ცოტა ხანში, მართლაც ჩამოვიდნენ. იქაურობა დავტოვეთ და „პერევალს“ რომ მივუახლოვდით, მხოლოდ მაშინ მითხრეს – თენგიზი მოკალითო. როგორც მითხრეს, მკვლელობა ე.წ. „შტიკნოჟით“ ჩაიდინეს...

თენგიზ არევაძის მოკვლის ან დაჭრის განზრახვა, პირადად მე, არ მქონია. არც შეიძლებოდა მქონოდა, რადგან მის მიმართ არანაირი ინტერესი არ გამაჩნდა. თანაც, იმ დღეს, ცეცხლსასროლი იარაღიც – „ტეტე“ მქონდა თან, თუ მოკვლა მინდოდა, რა, პისტოლეტით ვერ მოვკლავდი?!“

ნოდარ არბოლიშვილი თავს ასე იმართლებს. რაც შეეხება მის მიერ დასახელებულ პირებს – ზაზიკაშვილსა და სუთიაშვილს, როგორც გაირკვა, ამჟამად ორივე გარდაცვლილია: პაატა ზაზიკაშვილი, რომელიც თურმე „მხედრიონელი“ გახლდათ, აფეთქების შედეგად დაიღუპა, არჩილ სუთიაშვილი კი, ნარკოტიკული ნივთიერების ზედმეტი დოზის მიღებისგან გარდაიცვალა. გამომძიებლისა და პროკურორის აზრით, ნოდარ არბოლიშვილი ხსენებულ, აწ გარდაცვლილ პირებს, პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის მიზნით ასახელებს. სახელმწიფო ბრალმდებელი არბოლიშვილის ჩვენებას არ იზიარებს.

თუმცა, მომხდარი მკვლელობისთვის განსასჯელის პასუხისმგებლობის საკითხი მაინც ეჭვქვეშ დგას. ნოდარ არბოლიშვილი, რომელსაც წინა დანაშაულების გამო მისჯილი სასჯელიდან 7 წელი და 8 თვე დარჩა მოსახდელი, შესაძლოა, თენგიზ არევაძის მკვლელობისთვის სულაც არ დაისაჯოს. სასამართლო სხდომაზე, მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა განაცხადა, რომ 1992 წელს ჩადენილი დანაშაულის განხილვის კანონით გათვალისწინებული ვადა (10 წელი) უკვე ამოწურულია და არ შეიძლება, მასზე არბოლიშვილმა პასუხი აგოს. ამ მოტივით ადვოკატმა განსასჯელის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მოითხოვა. დაყენებული შუამდგომლობის შემდეგ, სასამართლომ საკითხის შესასწავლად დრო მოითხოვა. თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს კოლეგია, „გზის“ მომდევნო ნომერში გაცნობებთ. ■

რა მოხდა „შინო-4“-ში?

ამის გარკვევას უზენაესი სასამართლო ეცდება

მსახიობ გიორგი შავგულიძის შვილიშვილის — 25 წლის გიორგი შავგულიძის მკვლელობისთვის, 24 წლის თბილისელ გიორგი გუდაძეს ასამართლებენ. მასთან ერთად, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წინაშე მისი მეგობარი — 22 წლის დავით კიკნაძეც წარადგინეს. ამ უკანასკნელს მომხდარი მკვლელობის დროს ჩადენილ ხულიგნობაში სდებენ ბრალს.



ფოტოზე: განსასჯელები გიორგი გუდაძე და დავით კიკნაძე

მკვლელობა 1999 წლის 13 მარტს, დაბა გუდაურში მოხდა. შაბათ-კვირას დასასვენებლად და სათხილამურად ჩასულ გიორგი შავგულიძეს, სასტუმრო „შინო-4“-ის ბარში ყოფნისას, მისთვის სრულიად უცნობ ახალგაზრდებთან მოუხდა შელაპარაკება. ცნობილია, რომ გუდაურში გიორგის მეგობარი გოგონაც ახლდა თან.

პროკურატურის ინფორმაციით, 13 მარტს, საღამოს, ზემოთ აღნიშნულ ბარში თბილისიდან ასევე დასასვენებლად ჩასული ახალგაზრდები – გიორგი გუდაძე, ლევან ორახელაშვილი, ძმები – გიორგი და დავით კიკნაძეები, შოთა მოლაშხია, ძმები – მიხეილ და გიორგი შუბლაძეები და ალექსანდრე თაყაიშვილი შევიდნენ. იქ მათ არაყი დალიეს და ცოტა ხანში, დათვრნენ. ბარში, მათ გვერდით მაგიდასთან გიორგი შავგულიძე იჯდა.

დაახლოებით ღამის 12-ის ნახევრისთვის, იქ მეგობრებთან ერთად, თბილისელი გიორგი კბილაშვილიც შევიდა. მისმა გამოჩენამ მთვრალი გიორგი კიკნაძე გააღიზიანა, რადგან კბილაშვილთან მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. გიორგი კიკნაძემ კბილაშვილს ხმამაღლა დაუწყო ლანძღვა-გინება. ამ უკანასკნელის ერთ-ერთმა მეგობარმა – ალექსანდრე ბაგრატიონმა კიკნაძეს ურჩია, გაჩუმებულიყო, მაგრამ მან გინება განაგრძო. გიორგის, იქვე მყოფმა შავგულიძემაც მისცა შენიშვნა. კიკნაძემ ეს იუკადრისა და კიდევ უფრო გაღიზიანებულმა, ახლა ჩხუბი მას დაუწყო. ჩხუბში კიკნაძის მეგობრები – გუდაძე, ორახელაშვილი, თაყაიშვილი და სხვებიც ჩაერთვნენ. ბრალდების თანახმად, ისინი ჯერ დაემუქრნენ შავგულიძეს, შემდეგ კი, ბოთლები და ჭურჭელი დაუშინეს მას. თავდასხმის შედეგად, შავგულიძემ სხეულის სხვადასხვა ადგილას დაზიანებები მიიღო. მოგერიების მიზნით, მან უბიდან გაზის პისტოლეტი (ტარების უფლება კანონიერად ჰქონდა გაფორმებული) ამოიღო და ერთხელ გაისროლა კიდეც. იარაღი (რომლის შენახვა-ტარება კანონიერად არ ჰქონდა გაფორმებული) მოპირდაპირე მხარესაც აღმოაჩნდა. გიორგი გუდაძემ და ლევან ორახელაშვილმა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტები მოიმარჯვეს და შავგულიძის გასროლით განაწყენებულებმა, ამ უკანასკნელს დამიზნებით და რიგრიგობით, თითო ტყვია ესროლეს. გიორგი წაიქცა. გუდაძის ნასროლი ტყვია მას გულმკერდში, მარცხენა მხარეს მოხვდა, ორახელაშვილის გასროლით კი, ფილტვის არტერია დაუზიანდა. იგი სამედიცინო პუნქტში მიყვანამდე გარდაიცვალა, დამნაშავეები კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციამ გიორგი გუდაძე შარშან დააკავა, ლევან ორახელაშვილი კი, დღემდე იმალება. რაც შეეხება დანარჩენ პირებს – ისინიც დაპატიმრებულები არიან, თუმცა მათ მხოლოდ ხულიგნობაში ედებათ ბრალი. გიორგი კიკნაძის, მიხეილ შუბლაძის, შოთა მოლაშხიასა და ალექსანდრე თაყაიშვილის მიმართ ამავე მუხლით აღძრულ საქმეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლო განიხილავს.

გიორგი გუდაძისა და დავით კიკნაძის მიმართ კი, უზენაესი სასამართლო, საქმის სასამართლო გამოძიებას მომავალ კვირაში დაიწყებს. ■

ადვოკატი ქალის მიერ მოგყუებული კლიენტები სასამართლოში ჩივიან

„ავტომანქანა საკუთარი დანაზოგი ფულით შევიძინე“ — ირწმუნება მსჯავრდებულის ადვოკატი

ადვოკატი რუსუდან ცერცვაძე უზენაესმა სასამართლომ თაღლითობისთვის გაასამართლა. სამართალდამცავთა ცნობით, ქალაქ წყალტუბოს ადვოკატურის სტაჟიორ-ადვოკატი რუსუდან ცერცვაძე კლიენტებს ატყუებდა, მათ საკმაოდ სოლიდურ თანხებს სძალავდა — ვითომდა სახელმწიფო მოხელეთათვის ქრთამის მისაცემად, — სინამდვილეში კი, ფულს ითვისებდა. ბრალის დასადასტურებლად, პროკურატურამ კონკრეტულ ფაქტებზე მიუთითა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოკვლეული მასალების სისწორეს რუსუდან ცერცვაძე დღემდე, კატეგორიულად უარყოფს. პროკურატურის პოზიცია საბოლოოდ, სასამართლომაც გაიზიარა და საქმის განხილვის შემდეგ, რუსუდან ცერცვაძე დამნაშავედ ცნო.

განაჩენის მიხედვით, 2001 წლის თებერვალში (ზუსტი რიცხვი დაუდგენელია), ქალაქ ქუთაისის №2 საპყრობილესთან ცერცვაძე შემთხვევით თავის ნაცნობებს — ბიჭიკო და ავთანდილ მაჩალაძეებს შეხვდა. სწორედ მათგან შეიტყო, რომ მათი შვილების — ზაზა და მალხაზ მაჩალაძეების მიმართ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. მაჩალაძეებს ძარცვაში ადანაშაულებდნენ, რისთვისაც ისინი წინასწარპატიმრობაში იმყოფებოდნენ. გამოძიებას შს საგამოძიებო დეპარტამენტის ვანის განყოფილება აწარმოებდა.

რუსუდან ცერცვაძემ მაშინვე შესთავაზა ბიჭიკო და ავთანდილ მაჩალაძეებს მათი შვილების ინტერესების დაცვა. უთხრა მათ, რომ დაუყოვნებლივ ჩაებმებოდა წინასწარი გამოძიების პროცესში, მაგრამ ამისთვის გარკვეული თანხის გადახდა იყო საჭირო. დაცვის ორდერის გასაფორმებლად, თითოეულისგან 100-100 ლარი მოითხოვა და მიიღო კიდეც. ამ თანხიდან ადვოკატურაში მხოლოდ 100 ლარი შეიტანა, დანარჩენი 100 კი მითვისა. ცოტა ხანში, სტაჟიორმა-ადვოკატმა მაჩალაძეებისგან უფრო სოლიდური თანხის გამოძალვა განიზრახა. სწორედ ამ მიზნით დაარწმუნა ისინი იმაში, რომ ერთ-ერთი მოხელისათვის ქრთამის მიცემის შემთხვევაში, მათი შვილების წინააღმდეგ აღძრული საქმე შეწყდებოდა. ამჯერად, თითოეულს 800 დოლარი მოსთხოვა. პატიმარი შვილების მამები ამ წინადადებას მაშინვე დათანხმდნენ, თუმცა ადვოკატს თავიანთი პირობაც წაუყენეს: თანხას მხოლოდ მას შემდეგ გადაიხდიდნენ, როცა დანაპირები შესრულდებოდა. ურთიერთნდობის მოსაპოვებლად შეთანხმდნენ, რომ ფულს ორივე მხარისთვის სანდო პირს — ვინმე მიხეილ გაბედავას ჩააბარებდნენ. ამ უკანასკნელს მაჩალაძეებმა 800-800 დოლარი გადასცეს.

ცერცვაძე მიხვდა, რომ რეალური შედეგის გარეშე, თანხას ვერ მიიღებდა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი მალე დაუდგა: 2001 წლის 14 მაისს, ვანის რაიონის სასამართლომ, გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე, ზაზა და მალხაზ მაჩალაძეებს აღმკვეთი ღონისძიება — პატიმრობა — პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნით შეუცვალა.

პროკურატურისა და სასამართლოს პოზიციით, ცერცვაძემ ისარგებლა ამ გარემოებით და მაჩალაძეები მოატყუა: თქვენი შვილების მიმართ აღძრული საქმე შეწყდა და თანხის დაუყოვნებლივ გადაცემაა საჭიროო. როგორც მაჩალაძეები აცხადებენ, ადვოკატი მათ არწმუნებდა, რომ ფულს გამომძიებელი ითხოვდა.

მაჩალაძეებმა თანხა გადაიხადეს. პროკურატურის ინფორმაციით კი, ფული ცერცვაძემ მთლიანად მითვისა და ცოტა ხანში, მსუბუქი ავტომობილიც შეიძინა. ამ ბრალდებებს დღეს, სტაჟიორი-ადვოკატი უარყოფს და აცხადებს, რომ გამოძალვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მისი თქმით, მაჩალაძეებმა თავად სთხოვეს მას, როგორც ადვოკატს, დახმარება და გამოძიების პროცესში ჩართვა.

რუსუდან ცერცვაძე:

„ბიჭიკო მაჩალაძესა და მის ოჯახს დიდი ხანია, ვიცნობდი, ამიტომაც დავთანხმდი დახმარებაზე მათ, მაგრამ მათგან ამისთვის საფასური არ მომითხოვია. არც ორდერის გასაფორმებლად გამომირთმევია მათთვის 100-100 ლარი. თავად მივიდნენ ადვოკატურის გამგესთან და პირადად მასთან გადაიხადეს ორდერის საფასური. მე კი ამ თანხიდან ადვოკატურაში მხოლოდ ოფიციალური ხელფასი ავიღე.

ზაზა და მალხაზ მაჩალაძეების, საქმეში გამოძიების მიერ დაშვებული ბევრი ხარვეზი და უკანონობა დავაფიქსირე. სწორედ მე მივაღწიე იმას, რომ მაჩალაძეებს აღმკვეთი ღონისძიება შეუცვალეს. სამისოდ კი, არც თანხა ამიღია და არც ვინმეს დავპირებივარ ქრთამის მიცემას. რაც შეეხება ჩემს ავტომანქანას — „ვაზ 2106“-ს, ის 2001 წლის მაისში, 300 დოლარად შევიძინე ვინმე ნაირა ჩეჩელაშვილისაგან, ჩემი საკუთარი დანაზოგით“.

სასამართლომ ცერცვაძის განმარტება სარწმუნოდ არ მიიჩნია, თაღლითობაში დამნაშავედ ცნო და 3 წლით ჩამოართვა ადვოკატად მუშაობის უფლება. რუსუდან ცერცვაძემ დადგენილი განაჩენი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატაში გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პალატას გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

ᲚᲔᲚᲐ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔ

უნიკალური ნიჭის ქალბატონი რუკა, დროის მანქანის გამოგონებაზე ოცნებობს

ᲚᲣᲙᲐ ᲒᲝᲠᲓᲐᲫᲔ 1994 წლის 13 იანვარს დაიბადა. სწავლობს თბილისის ერთ-ერთი სკოლის „ბალავარის“ III კლასში. მწერალი მაკა ჯოხაძე ამბობს: „აზროვნებისა და პოეტური ხედვის თვალსაზრისით, ლუკა აშკარად ამოვარდნილია თავისი ასაკიდან და გაცილებით მეტი იცის და მეტს გრძნობს, ვიდრე მისი თაობის ადამიანები“. ნუგზარ შატაიძე წერს: „პირადად მე, ამ ასაკში ასე კარგად არ ვწერდი და ვერც ვაზროვნებდი, მაგრამ მე ხომ ვუნდერკინდი არ ვიყავი, ლუკა კი, როგორც ჩანს, მართლა ვუნდერკინდია!“

როგორ ყალიბდება აზრი

„საკუთარი დაკვირვებიდან ასე ვფიქრობ: ჯერ ყურადღებით უნდა მოუსმინო ყველას, ვინც თავის აზრს გამოთქვამს შენთვის საინტერესო საკითხზე და დაიმახსოვრო, რაც მოგეწონება. მერე აუცილებლად უნდა დაამატო რაღაც შენი, რაც სხვას არ უთქვამს, აზრადაც არ მოსვლია და შენი მოფიქრებულია. თანაც სხვისი ნათქვამი და შენი მოფიქრებული რაღაცით უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, თორემ ისე სისულელე და უაზრობა გამოგივა.“

ლუკა, 30/XI-2001 წ.

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ბავშვია. თამაშობს, ცელქობს, ზოგჯერ დედას აბრაზებს კიდეც, მაგრამ მასთან გასაუბრება საკმარისია იმისათვის, რომ იგრძნო: ახლა გესმის ამ ბიჭის ნაფიქრი, ორი წლის შემდეგ კი, შეიძლება, ვეღარც გაუგო... ცხრა წლის ბიჭი ისე აზროვნებს, როგორც მოწიფული მამაკაცი. ნეტავ, თუ მართლა მიაგდებინებს ჩვენს მწერლებს კალმებს გვერდზე?

— **ლუკა, ხშირად წერ სულის შესახებ. შენს სულს როგორ გრძნობ?**

— ვინმე რომ მაწყენინებს, რაღაც მტკივა. ეს რაღაც, ხორცი არ არის. ე.ი. სული მტკივა.

— **განმარტოება გიყვარს?**

— ფიქრთან ერთად — კი.

— **რა არის ფიქრი?**

— მე ყოველთვის ვფიქრობ და სხვანაირად ვერც წარმომიდგენია, მაგრამ ყველაზე მეტად ძილის წინ ფიქრი მიყვარს, რასაც ჩემს გულში ცხოვრების გაკვეთილებზე ფიქრს ვეძახი. რას ნიშნავს ეს: ვთქვათ, დღისით რაღაცა მოხდა. ღამით იმაზე ვფიქრობ, ისაა ჩემთვის გაკვეთილი და ჩემს ტვინში იმ გაკვეთილში იწერება ნიშნები. ნიშნებს განსაზღვრავს შედეგი: ვისმა საქციელმა რა შედეგი გამოიღო. მერე იწყება გამოცდისთვის მზადება, ანუ იმაზე ფიქრი, თუ ვისი საქციელი ჯობდა, მე რა შეცდომა დავუშვი და სხვებმა — რა. ვის რა ხასიათი ჰქონია და ვისგან რა არის მოსალოდნელი მომავალში. ხოლო გამოცდა არის, როცა მომავალში მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდებით, — რას ვიზამ, თუ გამოვიყენებ ცხოვრების გაკვეთილს.

— **როცა წერ, რომ სიტყვები შენში ფიზიკურ შეგრძნებებს იწვევს, რას გულისხმობ?**

— შეხებას და ხმას. ზოგჯერ ორივე ერთად არის. უმეტესად ვიზუალურად ვხედავ. ზოგჯერ თვითონ ის საგანი წარმომიდგება ხოლმე თვალწინ, ზოგჯერ — ასოციაციურად. ზოგ სიტყვაზე გემოს ვგრძნობ პირში.

— **რატომ თქვი უარი რომ შენთვის პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნათ?**

— ისე გამოვიდოდა, რომ გადამიხდიდა და მე მასზე დამოკიდებული ვიქნებოდი. ის მე მიყიდდა. არ მინდა, შევარდნაძის სტიპენდია, არ მინდა, ოდესმე ამის გამო მრცხვენოდეს და მისგან დავალებული ვიყო...

— **შენთვის თავისუფლება უკვე ასეთი ღირებულია?**

— აღმოსავლური სიბრძნე ამბობს: „თუ გინდა იყო ბედნიერი, იყავი“. იგივე მინდა ვთქვა თავისუფლებაზე. თუ გინდა იყო თავისუფალი, იყავი.

— **რაზე ოცნებობ?**

— დროის მანქანის გამოგონებაზე.

„ვფიქრობ, რომ წარსულიც ისევე არსებობს, როგორც აწმყო. იქაც მიდის ცხოვრება, როგორც რეალობა, წარსული. ცხოვრებაც აქვეა, ოღონდ იქ შეღწევის წერტილს უნდა მიგნება. ჩემი შეხედულება ასეთია: ეს წერტილია მოგონებები, როდესაც ჩვენ რაღაცას ვიხსენებთ, წარსულ ცხოვრებაში ისტორია იმ ადგილიდან გრძელდება. ეს ჩვენი მოგონებები აწმყოზეც ახდენს გავლენას: თუ რაიმე არასწორად გვახსოვს, წარსულის არასწორად განვითარებული ცხოვრება აწმყოსაც შეეხება და შეცვლის. ასევე უნდა არსებობდეს რეალური მომავლის ცხოვრებაც. ოღონდ იქ შესასვლელი წერტილი, სავარაუდოდ, უნდა იყოს ჩვენი სურვილები, ნატვრები“... *წერს ბიჭი.*

პატარა ლუკა ძალიან კარგად ხატავს. მისი ნახატები საქართველოს ნორჩ მხატვართა კატალოგშია შესული. სპეციალისტები ამბობენ, რომ მისი ნახატები გამოირჩევა ინდივიდუალურობით, საკუთარი ხედვით, განუსაზღვრელი ფანტაზიით. კომპოზიციურად მყარად გამართულია და ფერწერული თვალსაზრისით ასაკობრივ შესაძლებლობებს აშკარად აღემატება. ვისაც გამოფენებზე ლუკას ნახატები უნახავს, ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვი არ შეეპარება...

ᲥᲔᲗᲘᲜᲝ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲘᲫᲘᲚᲐᲫᲔ, *ფსიქოლოგი, ლუკას დედა:*

— ყოველთვის ჭკვიანი ბავშვი იყო, უამრავ შეკითხვას მისვამდა, მე კი ვცდილობდი, მისთვის ამომწურავი პასუხი გამეცა. თუ ჩემი პასუხი არ აკმაყოფილებდა, წიგნებს ვიშველიებდი და ვუკითხავდი. ლაპარაკი გვიან დაიწყო — დაახლოებით ორი წლისამ. წერა-კითხვა სკოლაში ისწავლა, თუმცა ლექსებს მაინც წერდა

— თვითონ იტყოდა ლექსს, მე კი ქაღალდზე გადამქონდა. მახსოვს, ბაღში ზეიმი ჰქონდათ. მოვიდა მისი ბაღელი პატარა ანა, რომელიც გაშტერებული დადგა, ლუკამ კი მიაყარა:

„ეს ჰაყარა ფერია,
ასამნისფერია,
ფერი უყვარს ვარდისფერი,
მიუსდება ყველაფერი:
მწვანე, ლურჯი, წითელი,
ცისფერი და ყვითელი.
ეს ჰაყარა ფერია
ასამნისფერია,
ასამნის რყოსავით
ნაზი, მშვენიერია".

1999 წ. 1/XI

— **როგორი ხასიათის ბავშვია?**

— ბევრ რამეზე გული სტკივა. გულის ამოვარდნამდე ტირის ხოლმე. სულ პატარაობიდან, ლუკას თვალში რატომღაც პატარა ვარ, სულ „პატარა დედიკოს" მეძახის. ვცდილობ, ხელი შევუწყო, ბავშვებთან ურთიერთობა გავუადვილო. ჩვენს სახლში ყოველკვირა იკრიბება 15 ბავშვი. ვსხდებით და ვსაუბრობთ. ჯგუფურ სოციალურ თერაპიას ვიყენებ, რათა ბავშვებს შორის სუფევდეს სიყვარული და არა ძალადობა. ზოგჯერ ბუნებაშიც გამყავს ეს ბავშვები. მერე ვთხოვ, დაწერონ ის, რაც განიცადეს. სულ ახლახან, მთაწმინდაზე ვიყავით. ლუკამ ვაჟა-ფშაველას საფლავზე ია იპოვა. მოხდა ის, რომ ია სხვების საფლავებზე რატომღაც არ ყვაოდა. შთაბეჭდილებებით აღსავსემ ვაჟას ლექსი მიუძღვნა:

„საფლავზე ყრძალვით ვიჩოქებ,
ყლდის ნაყეხს ვუმზერ სევდიანს,
ამოვთქვამ ბალღურ სყრიქინებს,
თქვენი უმცროსი სენია.
ყლდეს მსურზე შუბლი დავადე
და სამძიმარი ვუთხარი,
მერე სანთელი დავანთე,
მიწა დავუოცნე მდუმარი.
უეცრად მზერა ვიგრძენი,
მორიდებული, შემყურითალი.
დავხედე, ია მიცქერის,
ისე ეული, ფერმკრთალი,
რომ დავიბენი, სულელმა
ია დავყოვე მწუხარი,
ვერც მოვეფერე, ნუგეშად
ვერც ვერაფერი ვუთხარი".

17.04.2003

ლუკა ძალიან ბევრს კითხულობს. დედა იძულებულია, მას წიგნები დაუმალოს. სულ ახლახან ასეთი ბედი, ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილის წიგნს ეწია. უდავოდ ნიჭიერი ბავშვია, ყველასგან გამორჩეული. აი, რას წერს ნიჭის შესახებ:

„ნიჭი არის სულის ნაპერწკალი, რომელიც გამორჩევით არის ჩადებული ადამიანებში და ასეთ გამორჩეულ ადამიანს უფრო მეტიც ევალება. ამ ნაპერწკლიდან უნდა დაინთოს კოცონი. ოღონდ, მეტისმეტად არ უნდა გიზგიზებდეს და ხანძარი არ უნდა გაჩნდეს, თორემ ადამიანი გადაიწვება, ისეთი კოცონი უნდა დაინთოს, რომელიც სხვა ადამიანებს სულებს გაუთბობს. არც ნაცარი უნდა მიეყაროს ამ ნაპერწკალს და არ უნდა ჩაქრეს, თორემ ნიჭი ტყუილად დაიკარგება. ეს ცუდია, ზოგი ნიჭიერი ადამიანი თავის ნიჭს ცუდ საქმეებში იყენებს და იმაზე არ ფიქრობს, თუ როგორ უხდის მადლობას ნიჭის მომცემს". 10/V 2002.

აქვე მინდა შემოგთავაზოთ კიდევ ერთი მცირე ეპიზოდი ჩემი და ლუკა გორდაძის საუბრიდან:

— **ლუკა, ისტორია ხომ იმისთვის უნდა ვისწავლოთ, რომ კარგად გავაცნობიეროთ, თუ სად არის ჩვენი ფესვები, საიდან მოვდივართ?**

— ვერ დაგეთანხმებით. მე რაღაცები რომ დამიწერია, აღმოჩენილა, რომ მსგავსი რამ ლეონარდო და ვინჩის უთქვამს — ე.ი. შეიძლება იგრძნო და გრძნობით მიხვიდე ცოდნამდე. ეს უფრო ღრმა ცოდნა იქნება. ცოდნაც აუცილებელია და გრძნობაც. თუ ატყობ, რომ ერთ-ერთი უფრო ძლიერი გაქვს, მეგობრად ისეთი ვინმე უნდა ნახო, რომელსაც მეორე უფრო ძლიერი აქვს... მაინც ვფიქრობ, რომ ცოდნაც კი, ჯერ გულს უნდა მისცე და მერე ტვინს...

ნიუ-იორკელი აკადემიკოსი ***მიხეილ გვერდწითელი*** *ლუკას შესახებ წერს:*

„დიდ ნუგეშად და ქართული გენეტიკური მეხსიერების შეუმუსრაობის იმედად აღვიქვი ლუკა გორდაძის ლექსები. ვკითხულობდი და გონებაში ჟღერდა დიდი ილიას სიტყვები: „ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან სისხლის შეწყვეტილი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო."

ვნახოთ, რას წერს თავად ლუკა მუსიკისა და პოეზიის შესახებ:

„აზრები მუსიკისა და პოეზიის შესახებ

ყველა ადამიანს აქვს თავისი შინაგანი მუსიკა, ასე ვთქვათ, უსმენოსაც. ჩემი აზრით, ამ მუსიკას უნდა ქმნიდეს ჩვენი გულისცემის, სისხლის მოძრაობის, ტვინის იმპულსების ერთობლიობა. ამიტომ უნდება, უსმენოსაც კი, ღიღინი. ტვინში რაღაც კედელივით უნდა იყოს, რომელიც რაღაცებს კეტავს და რაღაცებს გარეთ უშვებს თავისით; ან როცა ნელ-ნელა ივსება თავისი მუსიკით ადამიანი შიგნიდან, კედელს აწვება, ხსნის და ისე გამოდის. ზოგი ნელა ივსება, ზოგი სწრაფად. სწრაფად ივსებოდა ალბათ, შოპენი, ბახი, ბეთჰოვენი; და რა მუსიკა გადმოდიოდა!

ნეტავ შეიძლებოდეს, კარდიოგრამების და ენცეფალოგრამების ჩანაწერების ერთმანეთზე გადაწერა და კომპიუტერით ნოტებად ჩაწერა! ფაქტიურად თავის შინაგან ხმას მოისმენს ნიჭიერიც და უნიჭოც, ჯანმრთელიც და ავადმყოფიც. ეს სასიამოვნოც იქნება და სასარგებლოც.

პოეზიაც შინაგანი მუსიკაა. მარტო გალაკტიონიც საკმარისზე მეტიცაა ამის დასამტკიცებლად. ბევრი მისი ლექსის შინაარსი მე არ მესმის და არც ვფიქრობ, რომ ყველაფერს გავიგებ, მაგალითად, „ლურჯა ცხენები". მაინც სულ მინდა ვიკითხო, ვიკითხო და გალაკტიონის მუსიკის გრიალში ვიქროლო". 11.02.03

„აზრები ისევ სამყაროზე

რაღაცნაირად გადაწებებული ქაღალდის ლენტის გადაჭრით, სრულიად მოულოდნელი რაღაცები გამოდის; ანუ გამოდის, რომ აშკარად ორზედაპირიანი და ბრტყელი ფურცელი აღმოჩნდება სივრცობრივად რთული. თვითონ სივრცე ხომ ბევრად უფრო რთულია, სივრცის წერტილი უამრავგანზომილებიანია და შეიძლება რეალურად არსებობდეს არა მარტო წარსული და მომავალი, არამედ რამდენიმე პარალელური აწმყო: ნამდვილი, სასურველი, არასასურველი და სხვები. სივრცეში ეს პარალელური აწმყოები შეიძლება იყოს გვერდიგვერდ და გამოყოფილი უხილავი კედლით. ჩემი ვარაუდით, როცა რამდენიმე აწმყოში ემოციური დაძაბვა ერთდროულად კულმინაციაშია, შეიძლება ერთიდან მეორეში გავარდნა". 22.02.2003

■

9 წლის ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲘᲥᲐᲣᲢᲐᲫᲔᲡ გინესის რეკორდების წიგნში შეტანას უწინასწარმეტყველებენ. გიორგის შეუძლია, მსოფლიოს ნებისმიერ ენაზე ნათქვამი წინადადება თუ მოზრდილი ტექსტი, მომენტალურად გაიმეოროს, ოღონდ — უკუღმა. ორი წელია, რაც გიორგის მშობლებმა ბავშვის უცნაური ნიჭი აღმოაჩინეს და ამ ფენომენისთვის სახელის დარქმევის სურვილით, ექიმებს, ფსიქოანალიტიკოსებს, ბოლოს კი, „საქართველოს არაჩვეულებრივ რეკორდსმენთა კლუბს“ მიმართეს. სწორედ იქ დაფიქსირდა გიორგის პირველი რეკორდი: ვუნდერკინდი ბიჭუნა ოთხი საათისა და ოცდათხუთმეტი წუთის განმავლობაში, ჟიურის წევრთა შეკითხვებს უკუღმა პასუხობდა. ამ გამოცდის შემდეგ, ჟიურიმ დაადგინა, რომ გიორგის შეუძლია, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდეს, რადგან ამგვარი უნარი მსოფლიოში არავის გამოუვლენია. რასთან გვაქვს საქმე? — ამის ახსნა, ბუნებრივია, ყველაზე მეტად გიორგის დედას ეკა მიქაუტაძეს აინტერესებს.

9 წლის ბიჭუნა 12 ენაზე უკუღმა კითხულობს

ნანა ქიბიშაური

— ქალბატონო ეკა, გიორგის ბიოგრაფიაში ხომ არ ყოფილა რაიმე უცნაური მოვლენა, რაც მის გონებრივ შესაძლებლობებზე მოახდენდა გავლენას?

— რომ არა ეს უცნაური ნიჭი, გიორგი არაფრით იქნებოდა სხვა ბავშვებისგან განსხვავებული. თუმცა, სხვა ბავშვებთან შედარებით, ძალიან პატარა დაიბადა. ექვსთვენახევრის დაიბადა, 1 კგ-სა და 200 გ-ს იწონიდა. 2 თვის განმავლობაში, ინკუბატორში იზრდებოდა და იქიდან გამოყვანის შემდეგაც, ხშირად ავადმყოფობდა. გამთენიისას დამეწყო მშობიარობა. ვიწექი და ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ ქრებოდნენ რიგრიგობით ცაზე ვარსკვლავები. ეს მაშინ ისე უცნაურად მეჩვენებოდა, მეგონა, რაღაც სასწაული ხდებოდა... გიორგის დაბადებისთანავე დასრულდა ვარსკვლავთქრობაც. შეიძლება, ეს არ იყო ტკივილებით გატანჯული მელოგინის მირაჟი? შეიძლება ამან მოახდინა მასზე რაიმე გავლენა?.. ბავშვობიდანვე ძალიან ცნობისმოყვარე იყო. ერთხელ, თერმომეტრი გატეხა კბილით, აინტერესებდა, შიგ რა იყო. ვერცხლისწყალი პირში ჩაეღვარა, ტუჩები და ენა მყისიერად შეუსივდა... ძლივს გამოვტაცეთ სიკვდილს ხელიდან.

გიორგი მიქაუტაძე დედასთან ერთად

— ამ ნიჭის აღმოჩენის შემდეგ თუ შეიცვალა?

— მას შემდეგ, რაც ეს უცნაური თვისება აღმოაჩნდა, თაფლს სთხოვს გამუდმებით ორგანიზმი. ყველს და ხორცსაც კი, თაფლს ატანს ხოლმე. როგორც ჩანს, თაფლი ენერგიას მატებს. ჩვენ კი ქირით ვცხოვრობთ, მეუღლეც დროებით უმუშევარია და ზოგჯერ, ბავშვისთვის აუცილებელი პროდუქტის შეძენაც გვიჭირს. გიორგის აქვს ენების ათვისების ნიჭი, ძალიან კარგად თამაშობს ჭადრაკს... რომ გვქონდეს მატერიალური შესაძლებლობა და ბავშვს ხელი შეეუწყოთ, ვფიქრობ, ჭადრაკში ის სერიოზულ წარმატებებს მიაღწევს. რამდენიმე ადგილას მივედი, ჩემს შვილს უცნაური შესაძლებლობები აქვს და დამეხმარეთ, რომ მის ნიჭს განვითარებისა და გამოვლენის საშუალება მივცე-მეთქი. ერთგან იცით, რა მიპასუხეს? — თქვენ საკუთარი შვილის ნიჭით სპეკულაციას ეწევით და ფულის გაკეთება გინდათო...

— როგორ აღმოაჩინა გიორგიმ, რომ შეეძლოო სიტყვების უკუღმა წაკითხვა და ასე ლაპარაკი?

— ორი წლის წინ, სოფელში მყავდა წაყვანილი, ჩემს მშობლებთან. „ქაჯანას“ ვუკითხავდი. პირველად მაშინ იგრძნო — ეს მისთვისაც მოულოდნელად მოხდა. როგორც მერე მითხრა, თავისით, უკუღმა აიდგა ენა. მოდი, რა, დედიკო, უკუღმა ვილაპარაკოთო, — მთხოვა. ჯერ ვიფიქრე, სწავლა ეზარებოდა და ეშმაკობდა, მაგრამ მერე, ჩემ მიერ წაკითხულ წინადადებას მყისიერად უკუღმა რომ ამბობდა, შევამოწმე და ჯერ გავოგნდი, მერე შევშინდი. მთელი მოთხრობა, ლექსები, სიმღერაც კი... მეცნიერებათა აკადემიაში მივიყვანე. შეამოწმეს და გაოცდნენ, მაგრამ ამ მოვლენას სახელი ვერ მოუძებნეს. მითხრეს: ვერაფერს გეტყვით, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებსაც დავუკავშირდით, მაგრამ ასეთი შემთხვევა მსოფლიოში ცნობილი არ არისო. მერე ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ცენტრში წავიყვანე. ვერც იქ მოუძებნეს ახსნა გიორგის ფენომენს. სპეციალური კონსილიუმი მოაწყვეს; უცხო ენების სპეციალისტები სხვადასხვა ენაზე ეუბნებოდნენ რთულ წინადადებებს, გიორგი კი დაუფიქრებლად იმეორებდა უკუღმა. გამოსცადეს ფრანგულ, ინლისურ, გერმანულ, უკრაინულ, სომხურ, ებრაულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, ბერძნულ, სპარსულ, ესპანურ და იტალიურ ენებში — და დაადგინეს, რომ მას ენობრივი ბარიერი ხელს არ უშლის იმაში, რომ უშეცდომოდ ილაპარაკოს... დროთა განმავლობაში, მას ეს ნიჭი უძლიერდება. ასევე უძლიერდება სურვილი, რაც შეიძლება მეტი ილაპარაკოს ასე. გიორგის მონაცემები შეტანილია ინტერნეტში; ბევრი ქვეყნიდან გვიწვევენ, მაგრამ ჩემი ოჯახი საკუთარი შესაძლებლობებით ვერაფერს გახდება.

— ხომ არ ამჩნევთ დაძაბულობას ან დაღლას, როდესაც ხშირად საუბრობს უკუღმა?

— არა, პირიქით, ეს მისთვის სავსებით ბუნებრივია. მხოლოდ ერთი რამ არის — 5-ზე მეტი სიტყვისგან შემდგარი წინადადების გამეორებისას, გიორგი, რაღაც წამებით, მომენტალურად კარგავს მხედველობას. როგორც ცნობილი მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა ამბობს, ბრაზილიაში ერთი ასაკოვანი კაცია, რომელიც ტექსტს უკუღმა კითხულობს, მაგრამ — მხოლოდ ერთ ენაზე და თანაც ამას ხანგრძლივი მუშაობით მიაღწია. გიორგის კი, ბუნებრივად მიეცა ეს ნიჭი. მართლმადიდებელი ეკლესია ამ ნიჭს ღმერთის წყალობად მიიჩნევს. გიორგი მორწმუნეა, ჰყავს მოძღვარი და ხშირად დადის ეკლესიაში. თავისებური იუმორიც აქვს. ამბობს: მე ყველა გაკვეთილი ორნაირად ვიცი — სწორად და უკუღმაო... მომავალს მაინც იმედის თვალით ვუყურებთ. რაც მთავარია, ფსიქოანალიტიკოსები ამბობენ, რომ გიორგის ეს უნარი არასოდეს გაუქრება. ■

რამდენიმე ნაბიჯი სრულყოფილებამდე

ცოდვაა, თუ ადამიანი იმდენად ლამაზად არ გამოიყურება, რამდენადაც შეუძლია
სერვანტესი

ზაფხული, რომელსაც მოუთმენლად ველით, უკვე არც ისე შორსაა, როცა ქურქებისა და „დუბლიონკების“ შეცვლა უფრო „გულახდილი“ სამოსით მოგვიწევს... მაგრამ საგაზაფხულო და საზაფხულო ტუალეტებს რომ ვიზომებთ, ვამჩნევთ, რომ ისინი უფრო ვიწროდ გვაქვს, ვიდრე შარშან, და რომ ზამთრის განმავლობაში მის პატრონებს ზომაში და წონაში საგრძნობლად მოუმატიათ, თანაც ყველაზე არასასურველ ადგილებში: ამ მხრივ, მამაკაცების პრობლემური ადგილი – მუცელია, ქალბატონებისა კი – მუცელი და თეძოები. რა ვქნათ, როგორ დავიჭიროთ თადარიგი ამ მასიური „სტრიპტიზის“ სეზონისთვის, რომ მასისაგან ზომიერებითა და სილამაზით გამოვირჩეოდეთ?

არსებობს ისეთი გაგებები, როგორებიცაა „ზამთრის“ და „ზაფხულის“ წონა. მათ შორის განსხვავება შესაძლოა 5კგ იყოს. ამ, აშკარად ზედმეტი კილოგრამების მოცილებას ზაფხულამდე აუცილებლად მოახერხებთ და ივნისისთვის გაბედულად შეძლებთ გარდერობიდან შორტებისა და საცურაო კოსტიუმების გადმოღებას.

წონის კონტროლის საკითხებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნივთიერებათა ცვლა, ფიზიკური აქტივობის დონე, მემკვიდრეობითი ფაქტორი, კვებითი ჩვევები და ცხოვრების სტილი, რომლებიც ყველა ადამიანში ინდივიდუალურია.

1კგ ცხიმის მოსაშორებლად საჭიროა 7000კკალ-ის დეფიციტის შექმნა. როგორ მოვახერხოთ ეს?

ნუ ღელავთ!

დავიწყოთ იმით, რომ აუცილებელია კალორიების დანახარჯსა და მიღებას შორის სხვაობის წარმოქმნა დანახარჯის სასარგებლოდ. ამის მიღწევა შესაძლებელია მონოტონური ფიზიკური ვარჯიშებით, განტვირთვის დღეებით, კარგად (საგულდაგულოდ) გათვლილი დიეტებით. . .

კი, მაგრამ როგორ მოიქცნენ ისინი, ვისი წონაც ზედმეტად ჭარბია, ვისაც მოძრაობა უჭირს, დრო არა აქვს ან უბრალოდ ეზარება, ხოლო ყველა ცნობილი დიეტის მოსინჯვას შესაძლოა წლები დასჭირდეს. მაგრამ ჭარბი წონის დაკლება ხომ განსაკუთრებული ძალისხმევების გარეშეც შეიძლება?! მთავარია – ერთბაშად გახდომის სურვილზე უარის თქმა.

თუ როგორ ჩაატაროთ ეს პროცესი იოლად და უმტკივნეულოდ, ამაში ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“ და მისი, ამერიკული კომპანია „**შიფ**“-ის ექსკლუზიური პრეპარატები დაგეხმარებათ.

უკვე 60 წელზე მეტია, რაც „**შიფ**“-ი ადამიანის ჯანმრთელობისთვის სულ უფრო ახალი და ეფექტური საშუალებების შექმნაზე მუშაობს. ერთ-ერთი ამგვარი შემუშავების შედეგს ნატურალური, მცენარეული პრეპარატი „**მწვანე ჩაის დიეტა**“ წარმოადგენს, რომელიც მწვანე ჩაის ექსტრაქტზეა დამზადებული. იგი თერმოჯენიკების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავის მხრივ ორგანიზმში უზრუნველყოფენ:

1. მეტაბოლიზმის (ნივთიერებათა ცვლის) ინტენსივობის მომატებას, რაც ხელს უწყობს ენერგიის ხარჯვის ზრდას;
2. ცხიმოვანი ცვლის გაძლიერებას ცხიმების წვის ხარჯზე;
3. ორგანიზმის გამძლეობის მნიშვნელოვან ზრდას დაღლილობის შეგრძნების სრული მოხსნით;
4. ძლიერი ანტიოქსიდანტური თვისებების გამომჟღავნებას, რითაც უჯრედების გაახალგაზრდავების პროცესს უწყობს ხელს.
5. პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი კოფეინის ოპტიმალური კონცენტრაცია, დიდი ხნის მანძილზე მაღალ ენერგეტიკულ დონეს უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ პრეპარატი **არ შეიცავს ეფედრინს** (ეფედრას ბალახის ექსტრაქტი) რაც მეტად ხშირია სხვა ნატურალურ გასახდომ საშუალებებში: მართალია ეფედრინი ცხიმების წვასა და მადის დათრგუნვას უწყობს ხელს, მაგრამ იმავდროულად, თავისი ზემოქმედებით ნარკოტიკებს უახლოვდება; გამოიწვევს რიგ ისეთ სერიოზულ პათოლოგიებს, როგორებიცაა: ინსულტი და ინფარქტი (უკანასკნელ წლებში, აშშ-ში ეფედრინის შემცველი პრეპარატების გამოკვლევებისას გამოვლენილ იქნა სერიოზული გვერდითი ეფექტების 140 შემთხვევა, მათ შორის 10 სიკვდილიანობით დასრულდა, რომელთა მიზეზიც ინსულტი ან ინფარქტი იყო).

კომპანია „**შიფ**“-ის მიერ შემუშავებული „**მწვანე ჩაის დიეტის**“ უპირატესობა არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიცავს ეფედრინს და სწორედ ამიტომ არ გააჩნია გვერდითი მოვლენები, არამედ იმიტომაც, რომ ამერიკის ენდოკრინოლოგთა საზოგადოება ამ პრეპარატს რეკომენდაციას უწევს ნივთიერებათა ცვლის დარღვევის (ჭარბი სიმსუქნე, დიაბეტი და სხვ.), გულის არითმიის, სისხლძარღვების კედლების ადვილად მსხვრევადობისა და მომატებული შეღწევადობის მკურნალობისას კომპლექსურ თერაპიაში.

თავად სიტყვა „დიეტა“ ბერძნულად „ცხოვრების სტილს“ ნიშნავს. ჭარბ წონასთან ბრძოლაში პრეპარატის გამოკვეთილი ეფექტისთვის საჭიროა მის მიღებას თან დავურთოთ ფიზიკური აქტივობა და სწორი კვება. პრეპარატ „**მწვანე ჩაის დიეტის**“ მიღებით თქვენს ორგანიზმს ენერგიითა და გამძლეობით უზრუნველყოფთ და ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა (აერობიკა, ცურვა, ჩოგბურთი და სხვ.), აგრეთვე საკვების სწორი მიღება თქვენთვის ჩვეულებრივ ცხოვრების სტილად იქცევა.

ნუ გადადებთ ჭარბი წონისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობას ხვალისათვის. დაგვირეკეთ დღესვე და ჩვენი ექიმები თქვენი პრობლემის გადაჭრაში აქტიურად დაგეხმარებიან.

ჩვენ მზად ვართ თქვენი ცხოვრების ხარისხი გავაუმჯობესოთ!

GV
მის: ილია ჭავჭავაძის 41
(ვაკის პარკის პირდაპირ),
ვიტამინ-ცენტრი,
კომპანია „ჯეოვიტი“,
ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20;
899 14-35-56.
(სამუშაო საათები 10-დან 18 საათამდე,
შაბათ-კვირის ჩათვლით)
R

„ეს ფოტო 15 წლის წინ, ნანასთვის უნდა გამეგზავნა...“

(„გზა“, №17, „მადლობა ჩემს ფსიქიატრს...“)

კახა

ეს ინტერვიუ ტელეფონით ჩავიწერე. დილით ადრე, ახალგაზრდა კაცმა დამირეკა და მთხოვა, მომისმინეთო. მისი ამბავი იმდენად შემაძრწუნებელი აღმოჩნდა, რომ ეჭვიც კი შემეპარა: ვაითუ, სიმართლეს არ მეუბნება და ფანტაზიორობს-მეთქი?.. საუბრის დასასრულს კი ვინატრე: ნეტავ, ტყუილს ამბობდეს და ეს ამბავი მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყოს-მეთქი..

ლელა ჭანკოტაძე

— კახა (ყველა მოქმედი პირის სახელი შეცვლილია), რატომ გადაწყვიტე ჩემთან დაკავშირება?

— მადონას ამბავი რომ წავიკითხე, გავოცდი. პატარა გოგომ შეძლო თავისი ტრაგედია ისე მოეთხრო, რომ თანაგრძნობა გამოეწვია. მე კი თანაგრძნობას უკვე თხუთმეტი წელია ვეძებ, მაგრამ არ ვიცი, რა გზით მოვიპოვო. ყველა დავკარგე, ნათესავებმა მომიკვეთეს. მათ ჩემი სიმართლე ვერ დავუმტკიცე. ამიტომ მინდა, ჩემი ამბავი ჟურნალში გამოაქვეყნოთ. დარწმუნებული ვარ, ისინი წაიკითხავენ... მთავარია, ჩემი სიმართლე გაიგონ — იმას არა აქვს მნიშვნელობა, ჩემთან შერიგებას მოისურვებენ თუ არა.

— რა მოხდა თხუთმეტი წლის წინ?

— მე და ჩემი დეიდაშვილი ჯემალი სავალდებულო სამხედრო სამსახურში, საბჭოთა არმიაში გაგვიწვიეს. ბიძაჩემმა საქმე „ჩააწყო“ და ორივენი ერთ ნაწილში მოვხვდით. კალინინგრადში ვმსახურობდით 1988-90 წლებში. ცხადია, ერთმანეთს ვეხმარებოდით. ვინც ჯარშია ნამყოფი, ის წარმოიდგენს, რას ნიშნავს ნათესავთან ერთად ნაწილში ყოფნა. გვიჭირდა, გვშიოდა თუ გვციოდა, ერთმანეთს მხარში ვედექით. მე საქართველოში საცოლე მყავდა დატოვებული — ნანა, რომელთანაც ინტიმური ურთიერთობაც მქონდა. ერთ დღეს მისგან წერილი მივიღე. მწერდა: ფეხმძიმედ ვარო. არ გამკვირვებია, მაგრამ არც გამხარებია, რადგან ვიცოდი — ჩემი მშობლები რძლად არ მიიღებდნენ იმ ქალს, რომელიც ქორწინებამდე დაუწვება თავის საქმროს. ჯემალს ვუთხარი ახალი ამბავი. რას აპირებო? — მკითხა. ვუპასუხე: ნანა მიყვარს, როცა დავბრუნდებით, ცოლად შევირთავ-მეთქი. მაგრამ ჩემი სურვილის ასრულება შეუძლებელი აღმოჩნდა.

— რატომ?

— ერთ დღეს დავინახე, რომ ჯემალმა რაღაც ფურცელი დამიმალა, უფრო სწორად — დახია, გამიკვირდა: ერთმანეთის წერილებს ვკითხულობდით, რა უნდა ჰქონოდა ჩემგან დაფარული? მერე გავიგე, რომ თურმე წერილებს ხშირად ღებულობდა და მაშინვე წვავდა. გადავწყვიტე, მისი საიდუმლოსთვის ფარდა ამეხადა. ვიფიქრე, ვინმესთან კონფლიქტი ხომ არ აქვს ან ვინმე ჩემიანი ხომ არ გარდაიცვალა და მიმალავს-მეთქი? ერთი სიტყვით, პოლკში წერილების დარიგება როგორც კი დაიწყო, მივიჭერი ფოსტაში და ჯემალის წერილებიც მე ავიღე. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ კონვერტზე ნანას სახელი წავიკითხე და მისი ხელწერა ვიცანი. ნანა ჯემალს სწერდა: ხომ მოგწერე, ბავშვს შენგან რომ ველოდები, პასუხს რატომ არ მიგზავნიო?.. თავში სისხლი მომაწვა. მივვარდი ჯემალს და ვახრჩობდი. ერთმანეთი კინაღამ დავხოცეთ. ძლივს გაგვაშველეს.

— ჯემალმა თავი არ იმართლა?

— არა, პირიქით, მეუბნებოდა: ხომ გაიგე სიმართლე — ბავშვი ჩემია და მასზე მე ვიზრუნებო!.. რომ ეთქვა: ნანა ტყუილს მწერს, მისთვის თითიც არასდროს დამიკარებიაო, — დავუჯერებდი: ჯემალი იმდენად ძვირფასი იყო ჩემთვის, აღარ ჩავეძიებოდი და მის სიტყვას ჩავეჭიდებოდი, როგორც წყალწაღებული — ხავსს, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. თუ გინდა მოგიყვები, ნანას საზარდულზე როგორი ნაიარევი აქვსო, — მითხრა. გადავწყვიტე მომეკლა. ძალიან მინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ ვაჟკაცობა არ მეყო. მთელი ღამე ვფიქრობდი, როგორ მოვიხსნიდი ავტომატს და დავახლიდი ტყვიას... კაცის მოკვლას დიდი გული უნდა თურმე. ბიძაჩემს წერილით ვაცნობე მომხდარი... ჩვენი ნათესავები ფეხზე დადგნენ, ცხადია, შეეშინდათ, ერთმანეთი არ დაგვეხოცა მე და ჯემალს. ბიძაჩემმა მოახერხა ჯემალის სხვა ნაწილში გადაყვანა. უფრო სწორად, სანამ გადაიყვანდნენ, ტრაგედია მანამდე დატრიალდა.

— დაწვრილებით მიამბე, რა მოხდა?

— ერთ დილით, ჯემალი მომიახლოვდა და მითხრა: ხვალ აქედან გადავდივარ. მოდი შევრიგდეთ, ამ ამბისგან ტრაგედიას ნუ შევქმნითო. მე შევაფურთხე და ვუთხარი: გულს იმით ვიმაგრებ, რომ ჩემი სისხლის და ჯიშის არ ხარ — დედაშენი უშვილოა, შენც და შენი დაც ლენინგრადიდან ჩამოგათრიეს; ჯობდა, იმ უპატრონოთა სახლში შიმშილისგან დახოცილიყავით-მეთქი... ვიცი, ნაშვილები რომ ვარო, — მიპასუხა... ისევ ერთმანეთზე გავიწიეთ. მაგრამ საქმე დარტყმამდე არ მისულა. გაგვაშველეს. საღამოს, კიდევ მოვკარი თვალი ჯემალს და მასთან ჩხუბის სურვილი ისევ გამიჩნდა. ღამით არ მეძინა, გასროლის ხმაც გავიგონე, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შევიტყვე, რომ ჯემალმა ტყვია შიგ პირში დაიხალა. ფაქ-

ტობრივად, თავი აღარც შერჩენია. ადგილზევე მოკვდა. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე საშინელი წუთი იყო... ორმაგ ცეცხლში ჩავვარდი: ჯემალი აღარ მყავდა და თან მის სიკვდილში ნათესავები ბრალს მე მდებდნენ. დღემდე დარწმუნებულები არიან, რომ მე ვესროლე, ჰგონიათ, რომ სამხედრო ნაწილს ხელს არ აძლევდა, რომ დასკვნაში მკვლელობა ჩაეწერა – ეს ხომ ჯარში უწესრიგობას ნიშნავდა, ამიტომ უმჯობესი იყო, სამედიცინო დასკვნაში თვითმკვლელობა ჩაეწერათ. წელიწად-ნახევრის შემდეგ ჯარიდან რომ დაბრუნდი, არავინ ისურვა ჩემთან შეხვედრა, სიკვდილი მანატრებინეს. დეიდაჩემი მიყვიროდა: მკვლელო, შენი ადგილი ციხეშიაო!.. იძულებული გავხდი, ისევ წავსულიყავი საქართველოდან. შვიდი წელი რიგაში ვიცხოვრე. ცოლიც იქ შევირთე. ახლა ორი წლის შვილი მყავს.

— ნანას აღარ შეხვედრიხარ?

– არა. არ მინდა, ოდესმე ვნახო. მისი არსებობის გახსენება ჩემთვის სასჯელია.

— არ იცი, ბავშვი გააჩინა თუ არა?

– გოგონა შეეძინა. ახლა უკვე დიდი იქნება. არ ვიცი, სად ცხოვრობენ, რას აკეთებენ. თუმცა, ბევრჯერ ვინატრე: ნეტავ, ის ბავშვი ჯემალის შვილი იყოსმეთქი, – მის სახელზე გაიზრდება, მისი სიცოცხლე იმ ბავშვში გაგრძელდება, მაგრამ ეჭვი მეპარება. სიმართლე ის არის, რომ არც ნანამ იცის დანამდვილებით, მისი შვილის მამა მე ვარ თუ ჯემალი.

— რადგან ამდენი რამ მითხარი, იქნებ შენი ვარაუდიც გამანდო: ნანა და ჯემალი ერთმანეთს სად უნდა შეხვედროდნენ, ან როდის უნდა დაახლოებოდნენ?

– ბიძაჩემი მდიდარი კაცი იყო. შვილსაც ანებივრებდა. მე რომ დახეული კედები მეცვა, ჯემალის ფეხსაცმელში 200 მანეთს აძლევდნენ. ფული თავში არასდროს ავარდნიათ, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ბევრ გოგოს, სწორედ სიმდიდრის გამო უნდოდა ჯემალის ხელში ჩაგდება. მგონია, რომ ნანამაც ეს დაისახა მიზნად. ალბათ ჯემალი მან აცდუნა, მერე კი, შანტაჟით მისი ხელში ჩაგდება სცადა. მინდა, ამ ვერსიის მჯეროდეს. სრული სიმართლე მხოლოდ ნანამ იცის. თხუთმეტი წელი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ მასთან მისვლა გამებედა... ფოტო, რომელსაც თქვენთან ვაგზავნი, თხუთმეტი წლის წინ, ნანასთვის უნდა გამეგზავნა... ■

„მე რომ გზას ავცდი, ამაში დამნაშავე გარდატეხის ასაკია...“

(„გზა“, №10, „გარდატეხის ასაკი“)

ქალბატონო ლელა!

მე 15 წლის ვარ. მყავს ავადმყოფი მამა. დედაჩემი ამ თორმეტი წლის წინ, მეზობლის ქალებთან ერთად თურქეთში წავიდა, გათხოვდა და არ დაბრუნდა. ბებია და მამიდა მზრდიდნენ. ბებია გარდაიცვალა, მამიდა კი გათხოვდა, სადაცაა შვილიც ეყოლება. ყოველდღე გვირეკავს, მაგრამ ხშირად ვეღარ გვნახულობს. ფულით ვერ გვეხმარება. მე სკოლიდან გამოვედი. მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დავდივარ. ჯერ დეზერტირების ბაზრის კიბეზე ვიჯექი. ლიმონს ვყიდდი, დღეში ორი ლარი მრჩებოდა. ერთ დღეს, ძალიან მომშივდა. როგორც ბებია ამბობდა, მოზარდის საყელოც ჭამს. წავედი სახინკლეში, ბისტროში, ათი ცალი ხინკალი შევჭამე, გავძეხი. გვერდზე ბიჭები ქეიფობდნენ. ისინი გამომელაპარაკნენ. ბოზი ვეგონე. მეც ველაპარაკე, ერთი ჭიქა არაყიც დამალევინეს. მერე ერთმა ბიჭმა მითხრა: წამოდი, მუშტაიდის ბაღშიო. წავედით. მერე მითხრეს: შიშველი დაგვენახვე და ლარს მოგცემთო, ოთხნი იყვნენ. სახლში ოთხ ლარს თუ მივიტანდი, მამაჩემი ვერ გაიგებდა, რომ ფული დავხარჯე და ხინკალი ვჭამე. სიღრმეში შევედით. ზაფხული იყო, კაბა გავიხადე და დავენახვე. ტრუსიკი გაიხადეო, – არ უთქვამთ. შებრუნდიო, – მეტი არაფერი უთქვამთ, ფული შეკრიბეს და მომცეს. ტელეფონის ნომერი მივეცი. მერე კიდევ სხვა ბიჭებიც მოიყვანეს. დღე

არ გაივლიდა, სამი ან ხუთი და ექვსი ლარი არ მეშოვა. მერე უფროსი ბიჭებიც მოვიდნენ და ერთი შემიყვარდა, მას უფულოდ ვაჩვენებდი ყველაფერს.

ახლა ბევრი კლიენტი მყავს, ღამე ჩუმად შემოვაპარებ ხოლმე ბიჭებს, მამაჩემი ვერაფერს გებულობს. წინა კვირას ერთმა ბიჭმა ჯინსის შარვალი მიყიდა. მეცხრეკლასელია, თვითონ დახეული შარვლით დადის, მე კი ახალი მიყიდა. ყოველთვის მჩუქნიან „კევებს“, შოკოლადებს, „კალგოტკებს“.

ძალიან მომეწონა შენი წერილი, მე რომ გზას ავცდი, ამაში დამნაშავე გარდატეხის ასაკი ყოფილა. ეს ასაკი გაივლის, მე გავთხოვდები და ჩემს ოცნებებს ფრთები შეესხმება...

გამოხმაურებისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჟურნალისტს ტელ.: 8 (93) 305897 ■

ჯეონეთი საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
GEONET
www.geonet.ge

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. ყველა მორიელი ცოცხლადმშობია.
2. ჯონ ლენონი მარკ დევიდ ჩეპმენმა მოკლა.
3. ბუნიობას სხვაგვარად დღეღამტოლობა ჰქვია.
4. მაჯის საათის წიკწიკი ძაღლებს ათ ნაბიჯზე ესმით.
5. ჯეიმს ბონდის როლი პირველმა შონ კონერიმ ითამაშა.
6. „ბალზაკისეულ ასაკშია“ – ამბობენ ქალზე, როცა იგი 30 წლისაა.
7. ზღაპარი „კონკია“ შარლ პეროსაც აქვს დაწერილი და ძმებ გრიმებსაც.
8. „ნუ დასცინი სხვასაო, გაგიტეხავს თავსაო“, – გვირჩევს კოტე ყუბანეიშვილი.
9. ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეს 1929 წლიდან 1961 წლამდე, სტალინაბადი ერქვა.
10. მუწდი სოფელია ლენტეხის რაიონში, ნანყვამზაგრალი – სოფელი მესტიის რაიონში.
11. სამამულო ომამდე, წითელი არმია ნაგანის სისტემის რევოლვერებით იყო შეიარაღებული.
12. „განკაცებული ღვთაება“ – ამ სიტყვებით მოიხსენიებს თამაზ კვაჭანტირაძე ილია ჭავჭავაძეს.
13. „კარგი სიმღერა ამოკლებს გზასა; ერთი სიცრუე კლავს მართალს ასსა“ – ღაღადებს ადიღეური აფორიზმი.
14. მუსლიმანთა ლოცვას თურქულად ნამაზი, ხოლო არაბულად – სალათი ჰქვია. ლოცვის წარმოთქმისას, მლოცველი პირით მექის ქაბის ტაძრისკენ უნდა იყოს მიმართული.
15. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში ინახება პუშკინის უბის წიგნაკის ყდა, ლერმონტოვის ცხვირსახოცი.
16. „რუსები სამ რამეს აკეთებენ ყველაზე კარგად: ეს არის კონიაკი, ბალეტი და ტანკები“ – ამბობდა უინსტონ ჩერჩილი. P.S. ინგლისის პრემიერ-მინისტრს ძალზედ უყვარდა სომხური კონიაკი.
17. ფრანგულ მონეტებზე გამოსახული ბურბონების შროშანები 1850 წელს, გალების მამალმა შეცვალა.
18. ლარისა კოზაკოვა-კვიტკო შესანიშნავი უკრაინელი პოეტის – ლესია უკრაინკას ნამდვილი სახელი და გვარია. მან მრავალი წელი გაატარა საქართველოში და აქვე გარდაიცვალა. პოეტის ძეგლი სურამშია აღმართული.
19. კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის გადასახლებას ოსმალეთის იმპერიაში XIX საუკუნეში მუჰაჯირობა ერქვა. „მუჰაჯირი“ არაბული სიტყვაა და გადასახლე-

დაგვიანებული სასიძო

ავთო მარგველაშვილი

კახელმა ბიჭმა და იმერელმა გოგომ ერთმანეთი თბილისში, პირველ კურსზე, პირველ სექტემბერს, პირველ მერხზე გაიცნეს და ისე მოეწონათ ერთურთი, რომ თანდათან იხევდნენ უკან, რომ ბოლო მერხზე კოცნაც მოეხერხებინათ... აუდიტორიაში კოცნას, კაფეში ჩახუტება მოჰყვა, მერე კიდევ „უარესი“ და სემესტრის ბოლოს, გოგომ რჩეულს განუცხადა, რომ მეორე სემესტრის ბოლოს, უკვე დედა გახდებოდა.

– წადი სოფელში და მამაშენს უთხარი, ქორწილისთვის მოემზადოს, – უთხრა მამობისთვის გამზადებულმა ბიჭმა.

– რომ არ დამთანხმდეს, რა ვქნა მერე?

– მაშინ არ მოემზადოს, ისე წაგიყვან, – დააიმედა ბიჭმა და გოგო მატარებლამდე მიაცილა.

მეორე დღეს სოფლამდე ძლივს მისულმა „საამაყო“ შვილმა დედ-მამას გათხოვებაზე ჩამოუგდო სიტყვა. ქალიშვილის მიერ ჩამოგდებული სიტყვა მამამ ქვასავით ააგდო და თავიც შეუშვირა, მაგრამ ფეხმძიმობის ამბავი რომ შეიტყო, რა უნდა ექნა?! მოკლედ, თვის ბოლოსთვის ქორწილზე შეუთანხმდა და იმავე საღამოს, იმავე მატარებლით შვილი თბილისში გააბრუნა.

გავიდა ორი კვირა, იმერული ოდა ყვავილებით მორთეს, ეზოში 400-კაციანი, არნახული სუფრა გაშალეს და სიძის მოსვლას დაელოდნენ. დღის ორ საათზე მოსასვლელი მაყარი არსად ჩანდა. საღამოს 7 საათისთვის, მშიერი სტუმარი აწრიალდა, ხორცს ბუზი დააჯდა, თეფშს ჭიანჭველა და ნამცხვარს ფუტკარი. ხალხშიც მითქმა-მოთქმა დაიწყო:

– იქნებ, ეს სიძე სულ არ მოდის, უნდა დავწყდეთ შიმშილით? – იკითხა ერთმა.

– მგონი, სიძე არ მოდის, – დაამატა მეორემ.

– თურმე სიძემ მოატყუა და არ ჩამოვა, – სიტუაცია გაამძაფრა მესამემ. ჭორს მიზეზიც გამოუჩნდა და მთელი სოფელი იმაზე ჩურჩულებდა, რომ იმ ბიჭს შეუცდენია საცოდავი გოგო და რომ გაუგია, ფეხმძიმედაო, ცოლად თხოვასაც შეჰპირებია, მაგრამ „გადააგდო“. ეს ხმა ოჯახის უფროსამდეც მივიდა.

– თავი მომეჭრება, დღეს რომ ქორწილი ჩამეშალოს! – დაფიქრდა კაცი და შვილის ყოფილ თანაკლასელ გოგონებს საიდუმლო თათბირზე უხმო.

– შვილებო, ჩემი გოგო რომელ ბიჭს უყვარდა სკოლაში? – იკითხა მამამ.

– მაგი ზუსტად არ ვიცი, მარა დათიკო ეპრანჭებოდა ჩუმ-ჩუმად, ჟორას ბიჭი, – წამოსცდა ერთ-ერთს.

– დამიძახეთ ჟორას ბიჭს! – ბრძანა მასპინძელმა და მერიქიფედ გამწესებული ბიჭი ოთახში მორცხვად „შემოიკლაკნა“.

...ათ წუთში მოგვარდა საქმე. დათიკოს დოქი ჩამოართვეს, „დააწინაურეს“ და გვერდით მიუსვეს პატარძალს. გაჩაღდა ქორწილი. მოშივებული სოფელი სუფრას შეესია და სულ არ ნაღვლობდა იმას, თუ ვინ იქნებოდა სიძე. მოტყუებული და მიტოვებული გოგოც შეეგუა ბედს. აბა, რა უნდა ექნა – ოჯახს ხომ არ შეარცხვენდა?! თანაც, დათიკო, რომელსაც სკოლაში მუდამ სველი ჰქონდა ცხვირი, ცხვირსახოცი კი სულ შინ რჩებოდა, მშვენიერი ბიჭი დამდგარიყო და პირველ ღამეს თავსაც თუ შეატყუებდა, მერე მამობასაც ვერსად გაექცეოდა...

ასე იყო თუ ისე, ქორწილმა მხიარულ ვითარებაში ჩაიარა. შემთვრალმა სიძემ ხელიც გადახვია ცოლს და დეკოლტეშიც თამამად ჩახედა. მერე დაღლა მოიმიზეზა და მუსიკამ „მენდელსონის მარშითა“ და ხალხის აპლოდისმენტებით გააცილა ორი მტრედი „ბუდეში კვერცხების დასადებად“. რა თქმა უნდა, თეფშიც გატეხეს.

სტუმრები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაშლილები, როცა პატარძალმა საბოლოოდ ამოიგდო გულიდან „გადამდგები“ კახელი და მასთან დაგროვილი მთელი გამოცდილება ახალ ქმარს დაახარჯა... სიძის სიხარულსაც საზღვარი არ ჰქონდა. ეს რა კაი რამე ყოფილაო, – ფიქრობდა და სიმამრის საწოლს გამძლეობას გულმოდგინედ უსინჯავდა.

ამ დროს, არემარე ავტომანქანების ხმამ გააყრუა. ღია ჭიშკარში თხუთმეტამდე მანქანა შემოვიდა, რომლებშიც „ოცდაოთხი“ ლიდერობდა. მანქანიდან თაიგულით ხელდამშვენებული სიძე გადმოვიდა და ხმამაღლა შესძახა:

– მამგვარეთ ქალი!..

– დედა, ჩემი სიკვდილი! რაღა ვქნათ ახლა?! – ლოყა ჩამოიკაწრა პატარძლის დედამ.

– დაწყნარდი, ქალო! მოვიფიქრებ რაღაცას, – არ შეშინდა ოჯახის მამა და სახლიდან ამაყად გავიდა. მაგიდებს შორის ღიმილით ჩაიარა და ყველას გასაგონად წარმოთქვა:

– მობრძანდით, სიძევ ბატონო! ბედნიერი იყოს თქვენი ფეხი ჩემს გულზე... უჰ, უკაცრავად, ჩემს ეზოში, – ამოიგმინა სიმამრმა და სუფრიდან უცებ აღებული თეფში ფეხებთან დაუდო კახელ სტუმარს.

– აუჰ! ამან ასე თუ გააგრძელა, დილამდე მთელი საინი არ შერჩება სახლში, – ჩაიხითხითა ერთ-ერთმა მეზობელმა და თავისი თეფში საცივით გაავსო, რომ არავის წაერთმია მორიგი სიძის მოსვლის შემთხვევაში.

სიმამრი სიძეს სახლში შეუძღვა, ოთახში მარტო შეიყვანა და გული გადაუშალა:

– მე რა გიყო, შვილო? ყველაფერი შენს თავს დააბრალე... ამოდენა სუფრა გავაკეთე, ხარჯი გავწიე, მთელი სოფელი დავპატიჟე, ქორწილს ხომ არ ჩავშლიდი? თავს ხომ არ მოვიჭრიდი სოფელ-ქვეყანაზე?!. ავდექი და ქალი სხვას მივათხოვე. თუ დარჩები საქეიფოდ, კაის იზამ, თუ არა და, როგორც მოსვლით გამახარე, გზა კი იცი და ყველაფერი!..

– მაგაში დამნაშავე ვარ, ვერ გაგამტყუნებთ. მაგრამ მეც მაყარი მახლავს, იქით კიდე ხალხი მელოდება. აქედან უქალოდ არ წავალ.

– დედა, ჩემი სიკვდილი! – ისევ სახე მოიხოკა სასიდედრომ თუ ნასიდედრალმა (არც კი ვიცი, რა დავარქვა).

– დაწყნარდი, ქალო, მოვიფიქრებ რაღაცას, – არც ახლა დაყარა ფარ-ხმალი მასპინძელმა და ცოლს უბრძანა: მომგვარე მეორე შვილი!

ცოლს სახეზე იმედის ნათელმა გადაურბნა და 16 თუ 17 წლის გოგო შემოიყვანა ოთახში.

– შენი მაყრებიდან ვინმე იცნობს ჩემს შვილს? – ჰკითხა ნასიძარ-სასიძოს.

– არავინ. გინდა, ეგ იყოს!.. მაი, უქალოდ ხომ არ წავალ.

– ჰოდა, აგაშენოს ღმერთმა! – სიძე-სიმამრი ერთმანეთს გადაეხვია.

– მოჰგვარეთ დედოფალს სადედოფლო კაბა! – გაისმა მამის მორიგი ბრძანება. დედამ უკვე დაწოლილი სიძე-პატარძლის საძინებელი ოთახის კარი შეაღო და თვალებზე ხელი აიფარა:

– არ შეწუხდეთ, შვილებო, ნუ გაცდებით... კაბას ავიღებ მარტო, აგერ დაგვჭირდა უცებ და...

მოკლედ, ნადედოფლარ-სადედოფლო კაბაში მეორე შვილიც გამოაწყვეს და ქორწილიც განაახლეს.

ასე გადაურჩა გონიერი კაცის ოჯახი სირცხვილს და ერთი კაბით, ერთი პურმარილით, ერთი ხარჯით – ორი შვილი გააბედნიერა.

P.S. ქირავდება „ბედნიერი“ სადედოფლო კაბა. ფასი შეთანხმებით...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ბულს, ემიგრანტს ნიშნავს. მუსლიმანური ტრადიციით, პირველი მუჰაჯირები წინასწარმეტყველ მუჰამედის მიმდევრები იყვნენ, რომლებიც 622 წელს, მასთან ერთად გადასახლდნენ მექადან იასრიბში (მედინაში). P.S. მუჰაჯირ აფხაზთა რიცხვი თურქეთში 100 ათასს აღწევს, არაბულ ქვეყნებში – დაახლოებით 15 ათასს.

20. სადამ ჰუსეინის უფროსი ვაჟი – კუსეი ერაყის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ერაყიდან გაქცეული ერთ-ერთი სპორტსმენი ჰყვებოდა, ყოველი წაგებული მატჩის შემდეგ თუ როგორ აწამებდა კუსეი მას.

21. კრემიანი ტორტი ბელგიელი ტერორისტის, მეტსახელად ლ'ანტერტეს უცვლელი იარაღია. მის მრავალრიცხოვან მსხვერპლთა შორის არიან: ფილოსოფოსი ბერნარ ანრი-ლევი, რეჟისორი ჟან ლუკ გოდარი და ბევრი სხვა გამოჩენილი ადამიანი. ბოლო დროს, ამ ტერორისტს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ახლო წარსულში, ერთმა ასეთმა მიმდევარმა ბილ გეიტსიც კი „იმსხვერპლა“.

22. მოვლენას, როდესაც სახლიდან შორს წაყვანილი ცხოველი (ძაღლი, კატა, ცხენი, მტრედი) თავისით იგნებს გზას და შინ ბრუნდება, ჰუმინგი ეწოდება.

23. 1944 წლის ივლისში, ჰიტლერზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ, შეთქმულების რვავე მოთავე დააპატიმრეს, სასტიკი ცემისა და წამების შემდეგ, საქონლის ხორცის საკიდარ კავებზე ჩამოკიდეს და ფორტეპიანოს სიმებით ნელ-ნელა მოახრჩვეს.

24. „ადამიანს ცხოვრებაში სამი რამ სჭირდება: კარგი ექიმი, ლმობიერი მოძღვარი და ჭკვიანი ბუღალტერი“ – ამბობდა სტივენ სპილბერგის გახმაურებული ფილმის მთავარი პერსონაჟი ოსკარ შინდლერი.

25. მანუჩარ ციციშვილი, XVII საუკუნის I ნახევრის ქართველი პოეტის, ნანუჩას ნამდვილი სახელი და გვარია. იგი „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორი გახლდათ. მას ჩაურთავს სტროფები პოემის ტექსტში: 11 სტროფი დაუმატებია „ავთანდილის ანდერძისათვის“. ნანუჩას მიერ ჩართულ სტროფებს პოემის ზოგიერთ ხელნაწერში მიწერილი აქვს „ნ“ ან „ნა“. P.S. ისე, რა გული უნდა გქონდეს, რომ რუსთაველის პოემას სტროფები დაუმატო?!

■

ბედოვლათი მამის, უბედური დედისა და დაკარგული შვილების ამბავი

ერთმანეთი სრულიად შემთხვევით გავიცანით. აღმოჩნდა, რომ ნატო ჩემი მოგვარე ყოფილა, საერთო ნაცნობებიც გამოვძებნეთ და გულითადი საუბარიც გავაბით. შემდეგ შინ დამპატიჟა. იქ ახალგაზრდა გოგონა და 8 წლის, ავადმყოფი ბიჭუნა დაგვხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნატო სულ 20 წლისაა, უკვე საკმაოდ მშფოთვარე და ტრაგედიებით აღსავსე გზა გამოუვლია. როდესაც მისი ნაამბობის გამოქვეყნების უფლება ვთხოვე, მითხრა: დაწერე, ჩემნაირ დღეში ბევრი ადამიანია და იქნებ, სხვის გასაჭირს რომ გაეცნობიან, ცოტა გულზე მოეშვათო...

მარი ხაფარიძე

— დავიბადე თბილისში, მთელი ბავშვობა დიდუბეში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე ვცხოვრობდი. მამა ცუდად მახსოვს, რადგან სულ ციხეში იჯდა. გამოვიდოდა, ერთ-ორ თვეში, უკანვე ბრუნდებოდა. დედა გაწამებული ჰყავდა. როცა შინ იყო, მაშინაც სულ მთვრალი გახლდათ, დედას სცემდა და მოსვენებას არ აძლევდა. კარგად მახსოვს, 6 წელი რომ შემისრულდა, ჩემს დაბადების დღეს დაემთხვა მისი გათავისუფლება და შინ გვიან, მთვრალი მოვიდა. არც გახსენებია, ჩემი დაბადების დღე რომ იყო. ძალიან დამწყდა გული. სწორედ მაშინ ვიფიქრე: ნეტავ, მოკვდეს და შინ აღარ მოვიდეს-მეთქი. იმავე ღამეს, დედას ეჩხუბა: ციხეში რომ ვიყავი, ალბათ საყვარელი გაიჩინეო, — და კარგადაც დაალილავა... ერთი წლის შემდეგ, ჩვენი ოჯახი ერთი წევრით გაიზარდა — ძმა შემეძინა. გახარებული ვიყავი. მამას კი ეს ბავშვი თავიდანვე არ უნდოდა — იქნებ, ჩემი არ არის და სხვისი შვილი რატომ უნდა გავზარდო?! — სულ ამას გაიძახოდა და დედას მუცელში გამეტებით ურტყამდა. უბედურ ქალს მე გადავეფარებოდი ხოლმე. დარწმუნებული ვარ, დედაჩემი ერთგული ცოლი იყო, მაგრამ ვინ უჯერებდა?!. ყოველთვის სუფთად ეცვა, მაგრამ დაკემსილი და ძველი ტანისამოსით გადიოდა იოლას. ვაჭრობდა და ფულს ისე შოულობდა, მაგრამ არასოდეს გვყოფნიდა — მამა ხომ უნდა შეენახა ციხეში?!. როცა პატიმრობიდან გათავისუფლდა, ისიც დედაჩემის შესანახი გახდა. არყის ფულიც უნდოდა, სიგარეტის ფულიც და რა ვიცი, ათასი რამ... ერთი სიტყვით, პატარა გიო მოევლინა ქვეყანას 1990 წლის 12 სექტემბერს. სამშობიაროდან გამოსვლის დღიდან, ჩვენს ოჯახში აყალმაყალი არ წყდებოდა. ბავშვი უნდა გავაშვილოო, — იძახდა მამა. შეშინებული შევყურებდი დედას თვალებში, მეშინოდა — არ დათანხმებულიყო, მაგრამ ეს ბავშვური შიში იყო: დედა ცოცხალი თავით არ დათმობდა შვილს. ერთ დღეს, მამამ კარზე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მოგვყენა; დედას დაუძახა: ბავშვი გამოიყვანე, კლიენტები მოვიყვანეო... დედა ისტერიკაში ჩავარდა, იმ ოთახის კარს გადაეფარა, სადაც გიოს ეძინა. მამამ უხეშად უბიძგა ხელი; ხელჩართული ბრძოლა გაიმართა მათ შორის. ამ არეულობაში ის ცოლ-ქმარი ისე გაიპარა, ვერავინ გაიგო. მე კი შემთხვევით ვისარგებლე, გიო საწოლიდან ამოვიყვანე და წინა კორპუსში, სრულიად უცხო ოჯახის კარზე მივაკაკუნე, რადგან ვიფიქრე — ნაცნობ ოჯახში მამა ადვილად მოგვაგნებდა. ტირილ-ტირილით, მოკლედ ვუამბე დიასახლისს ჩემი გასაჭირი და ვთხოვე — ცოტა ხნით დაიტოვეთ ბავშვი-მეთქი, — მე კი, დედის მისაშველებლად გავიქეცი. მეზობლები ჩარეულან ჩხუბში და ცოლ-ქმარი გაუშველებიათ.

— **რატომ არ გაეყარა დედაშენი ქმარს?**

— მამა მოკლავდა, თავს არ დაანებებდა — იმიტომ კი არა, რომ უყვარდა; იმიტომ, რომ საარსებო წყაროს დაკარგავდა...

— **რა მოხდა ამ ჩხუბის შემდეგ?**

— მე მხოლოდ დედის საუბრიდან ვიგებდი, რომ მამას, გიოს ორი ათას დოლარად გაყიდვა სურდა. იმ ჩხუბის შემდეგ, მამაჩემი 10 დღე არ გამოჩენილა. გიო შინ მოვიყვანეთ, დედამ უამრავი მადლობა გადაუხადა იმ ოჯახს. შემდეგ მამა ფხიზელი დაბრუნდა შინ, დედა დასვა სავარძელში და უთხრა: ბავშვი უკვე გავყიდე, ფული აღებული მაქვს, რადგან თავანი მქონდა ჩასაბარებელი და თუ ბავშვს არ გავატანთ, დიდი უბედურება დაგვატყდება თავს; ხვალ წასაყვანად მოვლენ და თუ წინააღმდეგობას გაუწევ, ნატოსაც მოგვიკლავენო... დედამ პასუხი არ გასცა, ადგა, მეც მეორე ოთახში გამიყვანა და დასაძინებლად დამაწვინა. შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ შუაღამისას დედის ჩურჩულმა გამაღვიძა: ნატო, შვილო, ადექი, მაგრამ არ იხმაურო — ჩუმად უნდა გავიპაროთო... ავდექი, ისე ფრთხილად ვიცვამდი და დავაბიჯებდი, რომ ფაჩუნიც კი არ ისმოდა. დედას ორი ჩანთა ჰქონდა გამზადებული. ბავშვი ერთ ხელში აიყვანა, მეორეში — მოზრდილი ჩანთა აიღო, თვალით მანიშნა — მეორე ამეღო და გამოვიპარეთ. ჩანთას ძლივს მივათრევდი — საკმაოდ დიდი და მძიმე იყო, მაგრამ ამას რას დაგიდევდით?!. ის ღამე ჩვენი სახლიდან მოშორებით, ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში გავათენეთ. გიო სულ ერთი თვის იყო, დედა ჯერ კიდევ არ იყო მოძლიერებული მშობიარობის შემდეგ, ამიტომ იქ, სადარბაზოში, ოქტომბერში გათენებული ღამე ძვირად დაგვიჯდა. დილით დედა შეუძლოდ გახდა, კიბის საფეხურზე იჯდა, გიო გულში ჰყავდა ჩაკრული და ფეხზე ვეღარ დგებოდა. კარგად რომ გათენდა, იმ სადარბაზოს მცხოვრებნი გაოცებულები გვიყურებდნენ, რადგან მათხოვრებს არ ვგავდით და იქ რას ვაკეთებდით, ვერ იგებდნენ. ერთი ღვთისნიერი ქალი გამოგველაპარაკა და ჩვენი გასაჭირი რომ შეიტყო, შინ შეგვიყვანა. დედა სულ ებოდიშებოდა: ბინას ვიშოვი და მალე გადავალთ, სამსახური მაქვს და შვილების შენახვა არ გამიჭირდებაო. დალი დეიდა (ასე ერქვა იმ ქალბატონს) ამშვიდებდა: რამდენი ხანიც გინდა, იცხოვრეო. მარტოხელა ქალი გახლდათ, თითქმის ჩემი ტოლი გოგონა ჰყავდა. დედაჩემი ძალიან ავად გახდა და საავადმყოფოში დააწვინეს. სამივეს, დალი გვივლიდა. ერთი თვის შემდეგ, დედა საავადმყოფოდან გამოეწერა და უკვე მუშაობაც შეძლო.

— საავადმყოფოს ხარჯი ვინ გაისტუმრა?

— არ ვიცი — მაშინ ხომ მხოლოდ 7 წლის ვიყავი. ალბათ დალი დაეხმარა დედას. დედა თითქოს დამშვიდდა, იქ, სადაც ვაჭრობდა, ქალებმა უთხრეს: ორი კვირის განმავლობაში, შენი ქმარი მოდიოდა და გკითხულობდაო. შემდეგ, ეტყობა, იფიქრა, რომ დედა იქ აღარ დაბრუნდებოდა და აღარ გამოჩენილა. მაგრამ ერთხელ, შემთხვევით დაუნახავს დედა, სახლამდე ჩუმად გამოჰყოლია და ერთ საღამოს დიდი სკანდალიც მოგვიწყო, კარზე აბრახუნებდა, იგინებოდა, იმუქრებოდა, მაგრამ ჩვენ კარი არ გავუღეთ... მეორე დღესვე, დედამ ერთი პატარა ოთახი იქირავა, დალის გამოვემშვიდობეთ და გადავბარგდით, თუმცა, ჩვენი მხსნელი სულ გვაკითხავდა და ყურადღებას არ გვაკლებდა. დედამ სავაჭრო ადგილიც შეიცვალა, მაგრამ მამამ მაინც მოგვაგნო... ერთი სიტყვით, ბინიდან ბინაში გადავდიოდით, დედა კი ქუჩა-ქუჩა დადიოდა, ათასგვარ წვრილმანს ყიდდა და ასე გვარჩენდა. ამასობაში გიო 6 თვის გახდა. ერთ დღესაც, ბავშვი მე მყავდა ჩაბარებული, დედა კი სამუშაოდ იყო წასული. გიო დავაძინე, მე კი იქვე, ეზოში ვთამაშობდი (კერძო სახლში გვქონდა ერთი ოთახი დაქირავებული). სწორედ ამ დროს, მამაჩემი და ვიღაც კაცი მოვიდნენ. გული გამისკდა, მაშინვე შინ შევვარდი, მაგრამ აბა, ამხელა კაცს რას გავუმკლავდებოდი. ბავშვი წაიყვანა და წავიდა, ჩემი ტირილისა და მუდარისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია... დედამ ბევრი ეძება, მაგრამ გიოს კვალს ვერსად მიაგნო. მამაჩემი კი, რუსეთში გაიქცა. შემდეგ გავიგეთ — იქ მილიციელის მკვლელობისთვის ეძებდნენ და საზღვარგარეთ გადახვეწილა. ინტერპოლი ეძებს დღემდე, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ჯერ ვერსად მიაგნეს...

— სირცხვილით ვიწვი, რომ ჩემი მოგვარე ასეთი უვარგისი და უღირსი ადამიანი აღმოჩნდა...

— არა, ჯაფარიძე დედაჩემის გვარია: რომ წამოვიზარდე, მამის გვარზე უარი ვთქვი.

— შემდეგ როგორ წარიმართა შენი და დედაშენის ცხოვრება?

— როდესაც დედა დარწმუნდა, რომ მამა ქვეყნიდან წავიდა, ისევ ჩვენს ძველ ბინას დავუბრუნდით, მაგრამ შემდეგ დედამ მაინც გაყიდა ის ბინა და გლდანში გადავედით საცხოვრებლად... გადიოდა წლები, დედა გიოს ძებნას განაგრძობდა, პოლიციაშიც შეიტანა განცხადება, მაგრამ მოგეხსნებათ, როგორი არეული პერიოდი იყო — ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა და არაფერი გამოუვიდა. შემდეგ გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი და დედა გათხოვდა. მალე ცოლ-ქმარს ბიჭი შეეძინა და მასაც გიო დაარქვეს...

— ეს შენი ძმაა? რატომ არის ავად?

— ბავშვი ჯანმრთელი დაიბადა. მშვენიერი ბიჭუნა იყო. უფროსი გიოს სიყვარული, მეც და დედამაც მასზე გადავიტანეთ. როცა 16 წლის ვიყავი, გიო კი, 4-ის, ჩემი მამინაცვალი სამუშაოდ საზღვარგარეთ იყო წასული. ყურადღებას არ გვაკლებდა, საკმაოდ შეძლებულად ვცხოვრობდით. ამერიკაში კარგი სამსახური ჰქონდა და თვეში, სულ მცირე, 2.000 დოლარს მაინც გვიგზავნიდა. როგორ ჩანს, ეს ამბავი გაიგეს ვიღაც-ვიღაცებმა და ერთ დღეს, როდესაც შინ მე და ჩემი ძმა ვიყავით, კარზე ვიღაცამ დაგვიკაკუნა. დღის 3 საათი იყო, ვიფიქრე — დედა დაბრუნდა-მეთქი და კარი გავაღე. ოთახში სამი შეიარაღებული, ნიღბიანი მამაკაცი შემოვარდა. კარი მიხურეს, საგულდაგულოდ ჩაკეტეს და მითხრეს: მიდი, რაც ძვირფასეულობა და ფული გაქვთ, გამოიტანეო. მართლა არ ვიცოდი, სად ინახავდა დედა ფულს, ამიტომ მხოლოდ ოქროულობა გამოვიტანე და მოპატიჟებული სტუმრებივით დივანზე ჩამომსხდარ ყაჩაღებს წინ დავულაგე. თან ატირებულ ბავშვს ვამშვიდებდი, თუმცაღა მე თვითონ შიშისგან გული მისკდებოდა... ფული, ფული მოიტანეო?! — გაჰყვიროდნენ. მე ვტიროდი, ვეხვეწებოდი, არაფერი დაეშავებინათ ჩვენთვის... შენ ისეთი ლამაზი ხარ, შენზე ძვირფასს აქ ალბათ ვერაფერს ვიპოვითო, — მითხრა ერთმა, მერე ადგა, მომიახლოვდა და საჯდომზე მომკიდა ხელი. ტირილს ვუმატე. გეშინიაო? — მკითხა. თავი დავუქნიე. — რამდენი წლისა ხარ? — თექვსმეტის-მეთქი. — ოჰო! ახლა არ მითხრა, ქალიშვილი ვარო... — მითხრა და ხალათის ღილების გახსნა დამიწყო — მიდი, შეამოწმე და გაიგებო, — შეაგულიანეს ძმაკაცებმა... ჩვენ შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, თავს ვიცავდი, როგორც შემეძლო. ვკიოდი, სახეს ვუკაწრავდი. მან ცემა დამიწყო, ცხვირპირიდან სისხლი მდიოდა, მაგრამ ჩემს დამორჩილებას მაინც ვერ ახერხებდა. ძმაკაცები წამოეშველნენ. ხელ-ფეხი დამიჭირეს და დამიმორჩილეს. მეორესაც უნდოდა, იგივე გაეკეთებინა, მაგრამ ჩემმა გამაუბედურებელმა შეაჩერა: მართლა ქალიშვილი ყოფილა, არ გაეკარო — მე ამ გოგოს ცოლად მოყვანას ვაპირებო... აიბარგნენ და წავიდნენ. არც ის ძვირფასეულობა წაუღიათ, რომელიც გამოვუტანე. გონს რომ მოვედი, მაშინვე გიო გამახსენდა. ბავშვი კუთხეში ჩაცუცქულიყო, ყბა გვერდზე ჰქონდა მოქცეული, ხელ-ფეხი უცახცახებდა, პირიდან დუჟი სდიოდა. შევძარი ცა და ქვეყანა, ჩემი საწუხარი აღარც მახსოვდა. მეზობლები შემოცვივდნენ. ასეთი გაუბედურებულები რომ გვნახეს, გადაირივნენ, გიო საავადმყოფოში წაიყვანეს. მაგრამ დამბლადაცემულ ბავშვს ვეღარაფერი უშველეს — იმის შემდეგ ასეა: ესმის, ხედავს, მაგრამ ვერ ლაპარაკობს და კიდურები ეკრუნჩხება... დედა შინ საღამოს დაბრუნდა, მეზობელს მოუყოლია ჩვენი უბედურების შესახებ და საავადმყოფოში გულგახეთქილი მოვარდა. ბევრი იტირა, ივიშვიშა, მაგრამ წამხდარ საქმეს რაღა ეშველებოდა?!. ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ კი, დედა დაიღუპა. უცებ, გული გაუხდა ცუდად და ვეღარც მოვაბრუნეთ. გასვენებაში ჩემი მამინაცვალიც ჩამოვიდა. გიო რომ ნახა, გადაირია, ინერვიულა, შემდეგ, როდესაც მისი უკან გაბრუნების დრო დადგა, შემომთავაზა: ამ ბავშვს შენ ვერ მიხედავ, წავიყვან და ინვალიდ ბავშვთა სახლში დავტოვებ, შენ კი შენს ცხოვრებას მიხედეო... არა-მეთქი, — ვუპასუხე. ის დრო გამახსენდა, ღვიძლ მამას ჩვენი გიოს წართმევა რომ უნდოდა და ძმა ვერ გავიმეტე... კარგი, როგორც გინდაო, — მითხრა მამინაცვალმა. შემდეგ, ისევ ამერიკაში გაემგზავრა, 4 თვის მანძილზე მიგზავნიდა ფულს, მერე დაიკარგა და აღარც გვკითხულობს...

— ახლა რითი ირჩენთ თავს?

— ახლა (ნატომ დაქალს გადახედა)? ახლა ფულს ისეთი გზით ვშოულობ, რომ გეტყვი, ისევ შეგრცხვება, შენი მოგვარე რომ ვარ...

— ?!

— არა, ტრასაზე არ ვდგავარ, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! — თითქმის ერთი და იგივეა... სოფომ გამაცნო ხალხი, რომელსაც ფული აქვს და ქალისთვის არ ენანება. ე.წ. ძვირად ღირებული ქალი ვარ, რომელსაც 10-15 მუდმივი კლიენტი ჰყავს. მატერიალურად არ მიჭირს, მანქანაც მყავს, არც გიოს ვაკლებ რამეს. სოფო კი, მის მოვლაში მეხმარება.

— გარეგნობით თუ ვიმსჯელებთ, ვერავინ იტყვის, რომ ასეთი ცხოვრებით ცხოვრობ...

— მართალი ხარ, სათნო, გულუბრყვილო ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებ, არ ვიგინები, არ ვსვამ, სიგარეტს არ ვეწევი, კარგი მანერებიც მაქვს. სწორედ ამით ვფასობ მდიდარ კლიენტებში. მათთან არასოდეს ვსაუბრობ ჩემს პირად ცხოვრებაზე, თუმცა, ხშირად მეკითხებიან ხოლმე. ერთადერთი, რაც მინდა, ჩემი ძმის პოვნაა, არასოდეს ვკარგავ იმედს, რომ როდესმე მის კვალს მივაგნებ...

■

www.shopge.com

რუსულად მოლაპარაკე მხიარული გოშა

წლის ყველაზე ჭკვიანი სათამაშო – მხიარული გოშა გახდება თქვენი შვილის მეგობარი და დაეხმარება მას ნოტების, ანბანის, ანგარიშის ათვისებაში, ციფრების, ფერებისა და გეომეტრიული ფიგურების გარჩევაში.

მხიარული გოშა ლაპარაკობს მხოლოდ რუსულ ენაზე, აქვს არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა და რაც მთავარია, შესანიშნავად მოამზადებს თქვენს შვილს სასკოლოდ.

გოშა ფლობს ისეთ თამაშებს, როგორიცაა:
– „შემეხე“
– „გაიმეორე ჩემთან ერთად“
– „ანგარიში“
– „ანბანი“
– „დამირეკე“
– „შეკითხვებით თამაში“.

თამაშის მსვლელობის დროს გოშა ურთიერთობს ბავშვთან. სწორი პასუხის შემთხვევაში, იგი მაშინვე აქებს ბავშვს და ზოგჯერ სიყვარულსაც უხსნის. თუ პასუხი არ არის სწორი, გოშა უსწორებს მას შეცდომას, ან სთხოვს, სცადოს კიდევ ერთხელ. თამაშის დროს ბავშვი ეცნობა ანბანს, ციფრებსა და ნოტებს; სწავლობს „მარჯვენა“ - „მარცხენის“ ერთმანეთისაგან გარჩევას. თუ ბავშვი დაიღალა, მხიარული გოშა სთავაზობს მას ერთად სიმღერას. გოშამ იცის 18 პოპულარული სიმღერის მელოდია.

გოშასთან ურთიერთობის დროს საჭიროა მოეფეროთ თათებზე, ან გამოიყენოთ დისტანციური მართვის პულტი. პულტის კლავიშებს გეომეტრიული ფიგურების, ციფრებისა და ასოების ფორმა აქვს. პულტს გააჩნია მუშაობის ორი რეჟიმი: პირველ რეჟიმში ბავშვებს შეუძლია უბრალოდ დააჭიროს ხელი ნებისმიერ კლავიშს და გოშა აუხსნის: „ეს არის ასო – ო“, „ეს არის ციფრი – 5“, „ეს არის წითელი კვადრატი“ და ა.შ. მეორე რეჟიმში გოშა იძლევა დავალებებს, მაგალითად: „მაჩვენე ასო – ბ“, „მაჩვენე ციფრები 1-5“. თუ ბავშვი შეცდომით უპასუხებს, გოშა აუცილებლად შეუსწორებს: „არა, ეს არის ასო – ვ. მაჩვენე ასო – ვ. მაჩვენე ასო – ბ“. სწორი პასუხის შემთხვევაში, იგი შეაქებს მას შემდეგი ფრაზებით: „ყოჩაღ, სწორია!“ „ვაშა, შენ მოიგე!“ „მე შენ მიყვარხარ“ და ა.შ. თუ ბავშვი ვერ გაიგებს შეკითხვას ან ფრაზას, შეიძლება გამოიყენოთ კლავიშა „ფრაზის ან შეკითხვის გამეორება“.

გოშას არ უყვარს მარტოობა. ამიტომ, როდესაც ყურადღება მოაკლდება, იწყებს სტვენას, ცემინებას, ხვრინვას, ოხვრას და ა.შ.

გოშასთან ურთიერთობის დროს, ბავშვს უვითარდება მეხსიერება, ლოგიკა, იუმორის გრძნობა, სმენა, მეტყველება, ყურადღება.

სათამაშოს ზომებია: 40X30სმ. რეკომენდებულია ბავშვებისთვის 2-დან 6 წლამდე.

ფასი: 169 ლარი
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: **www.shopge.com**
ელ-ფოსტა: **contact@shopge.com**
ტელ: (995 32) 53 74 60

R



რეჟისორი ზაზა ორაშვილი დათო გომართელისა და ჯგუფ „ფორტეს“ სიმღერაზე გადაღებულ კლიპზე მუშაობას სულ ცოტა ხანში დაამთავრებს. „სიმღერა აზერბაიჯანელ ავტორს ეკუთვნის. მომღერლები მას რუსულად შეასრულებენ. ქართველები მხოლოდ შემსრულებლები და რეჟისორი ვართ“ — ამბობს ზაზა, რომელიც ქართულ შოუბიზნესში რამდენიმე წლის წინ, ჯგუფი „სახის“ კლიპით — „როგორ მინდა მოგეფერო“ — გამოჩნდა. ამას მოჰყვა, ნინელი ჭანკვეტაძისა და გია როინიშვილის ორ დღეში გადაღებული მუსიკალური რგოლი — „ყვავილი თოვლზე“. ზაზას შეუძლია დაიტრაბახოს, რომ მან ბევრი სიახლე შემოიტანა ქართულ კლიპში — მაგალითად, წყალქვეშა გადაღებები სალომე გასვიანის კლიპში — „მიფრინავს დრო“. პროფესიით კინორეჟისორს, იმედი აქვს, რომ მალე ფილმსაც გადაიღებს.

ცნობილი კლიპების შემქმნელს ვენეციაში ბადალებებმა ჯილდოები შეუქმნა

ნათია თენიეშვილი

— ზაზა, კლიპის სცენარზე მუშაობისას, რა არის შენთვის ამოსავალი წერტილი — ის სიმღერა, რომელზეც კლიპი უნდა გადაიღო, თუ მომღერალი და მისი მოთხოვნები?

— ამოსავალი წერტილი, ნებისმიერ შემთხვევაში, სიმღერაა. რასაკვირველია, ყურადღება ექცევა იმასაც, თუ როგორი ინტერპრეტაციაა, როგორი არანჟირებაა და როგორ არის ნამღერი. ყველაფერი ეს, კომპლექსურად ახდენს გავლენას იმაზე, თუ როგორი იქნება ვიდეომასალა.

— რამდენად გემორჩილებიან ჩვენი ვარსკვლავები? არიან თუ არა ისინი ჭირვეულები?

— ზოგჯერ მომღერლები გამოთქვამენ სურვილს — ასეთი და ასეთი კლიპი გვინდაო. შეიძლება გავითვალისწინო მომღერლის სურვილი, იმ შემთხვევაში თუ ეს ჩემთვის მისაღებია, მაგრამ საბოლოო ჯამში, კეთდება მაინც ისე, როგორც მე ვხედავ. საერთოდ კი, ის მომღერლები, რომლებიც ჩემთან მოდიან, ალბათ ბოლომდე მენდობიან და სწორედ ამიტომ მოდიან ჩემთან.

— შენ გიმუშავია ზუკა ხუციშვილთან, ნინი ქარსელაძესთან, სალომე გასვიანთან და ა.შ. ბავშვებთან მუშაობა რთული არ არის?

— შეიძლება, მომღერალი წლოვანებით იყოს ბავშვი, მაგრამ შემოქმედებითად ისინი უკვე ბავშვები არ არიან: ძალიან პროფესიონალურად უდგებიან თავიანთ საქმიანობას და ამიტომ, მე მათთან მუშაობისას პრობლემა არ მქონია.

— რეჟისორები გადასაღებ მოედანზე, როგორც წესი, მკაცრები არიან. შენ თუ ჩხუბობ და ყვირი ხოლმე?

— ყვირილი და ჩხუბი მოედანზე, საქებარი საქციელი არ არის, მაგრამ ლოიალური რეჟისორი არ არსებობს.

გადასაღები მოედანი არის ჩვეულებრივი სამუშაო ადგილი, სადაც რეჟისორია მთავარი და უნდა კეთდებოდეს ყველაფერი ისე, როგორც მას უნდა. აქედან გამომდინარე, ლოიალურობა და ფეხის ფეხზე გადადებით მუშაობა არ გამოდის.

— თუ ყოფილა შემთხვევა, როცა რომელიმე მომღერლისთვის უარი გითქვამს კლიპის გადაღებაზე?

— რასაკვირველია. უარს ვამბობ მაშინ, როცა არ მომწონს სიმღერა და შესრულება. ჩემი, როგორც მუსიკალური კლიპის რეჟისორის დანიშნულება ის არის, რომ ჩემი გაკეთებული პროდუქცია ბევრად უკეთესი იყოს, ვიდრე აუდიორიგია. თუ მუსიკალური მხარე არცთუ ისე საქებრად არის შესრულებული, მაშინ ჩემი მოვალეობაა, ნამუშევარმა „ამოსწიოს“ მისი დონეც.

— როდესაც გადაღება იწყება, ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი სცენარით ვითარდება თუ დასაშვებია იმპროვიზაცია გადასაღებ მოედანზე?

— რასაკვირველია, იმპროვიზაცია და ვარიაციები დასაშვებია გადასაღებ მოედანზეც და მონტაჟის დროსაც, მაგრამ ძირითადი ქარგა, რისი გადაღებაც მინდა და რა ნახაზით უნდა განვითარდეს კლიპი, ეს თავიდანვე ვიცი.

— გადასაღებ მოედანზე ალბათ კურიოზიც ხშირად ხდება. ხომ ვერ გაიხსენებდი რომელიმეს?

— კურიოზები ხდება მაშინ, როცა გადაღება არ არის ორგანიზებული. მე ვცდილობ, რომ გადასაღებ მოედანზე შემოქმედებითი ჯგუფი იყოს ძალიან მობილიზებული. როცა ყველა მობილიზებულია, კურიოზი ხდება ძალიან იშვიათად ან საერთოდ არ ხდება.

— ამგვარად დაგეგმილი მუშაობა საინტერესოა?

კურიოზები ხდება მაშინ, როცა გადაღება არ არის ორგანიზებული

საზღვარგარეთ მუშაობას, რა თქმა უნდა, ჰქონდა დადებითი და უარყოფითი მხარეებიც

— დაგეგმილი რომ არ იყოს და რეჟისორმა არ იცოდეს, რა უნდა მოხდეს და რა არ უნდა მოხდეს, მაშინ კარგი კლიპი არავითარ შემთხვევაში არ გამოვა.

— მერაბ სეფაშვილისა და მაია ასკურავას კლიპი საზღვარგარეთ — კერძოდ, შვეიცარიასა და იტალიაში, ვენეციაშია გადაღებული. უბრალოდ, იყო საშუალება და იმიტომ გადაიღეთ იქ თუ სიმღერამ მოითხოვა მაინცდამაინც იმ ადგილებში გადაღება?

— იდეა იმისა, რომ კლიპი გადაღებულიყო საქართველოს ფარგლებს გარეთ, წამოვიდა იმ მხრიდან, ვინც ეს სიმღერა ჩაწერა. მე ამაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავ. საზღვარგარეთ მუშაობას, რა თქმა უნდა, ჰქონდა დადებითი და უარყოფითი მხარეებიც. როცა სხვა ქვეყანაში ხარ და მაინცდამაინც არა გაქვს ათვისებული გადასაღები მოედნის ტერიტორია, სამუშაო პროცესს ექსტრიმი ემატება... თუმცა, ახლა დიდი სიამოვნებით ვიხსენებ ამ კლიპზე მუშაობის პროცესს. მაია ასკურავას პირველი კლიპი ეგეოსის ზღვაზე გადავიღეთ. იქ მუშაობის პროცესიც ძალიან საინტერესო იყო.

— ჯგუფ „ფორტეს“ ორივე მუსიკალური რგოლი შენი გადაღებულია. რატომ გადაწყვიტე, ორივე მათგანში ძველი ქართული ფილმების სიუჟეტები გამოგეყენებინა?

— პირველი ნამუშევარი იყო „პოპური“. თვითონ ეს სიმღერები არის ძველი, კარგი ქართული ფილმებიდან. ამის გამო ვიხმარე ეს ხერხი და გავაკეთე ინტერპრეტაცია იმ ფილმებისა, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარს. მეორე კლიპში — „თბილისის მზე“ — ჩემთვის ზეამოცანა იყო, ვიზუალური გამოსახულებით მაყურებელში გამეღვიძებინა ის ნოსტალგიური გრძნობა, რაც ამ სიმღერაში ჟღერს.

— როგორ ირჩევ ხოლმე ადგილს, სადაც კლიპი უნდა გადაიღო?

— დავდივარ და ვეძებ. ბევრი კლიპი მაქვს გადაღებული, ვიზუალური მხარე კი, ყოველთვის განსხვავებული უნდა იყოს ანუ ადგილების გამეორება არ არის სასურველი და აქედან გამომდინარე, ეს უკვე პრობლემას წარმოადგენს. ამითაც იყო გამოწვეული ის, რომ მაია ასკურავას კლიპი საზღვარგარეთ გადავიღეთ. რაც უფრო მეტ კლიპს გადავიღებ საქართველოს ფარგლებს გარეთ, მით უკეთესი იქნება. მაია ჯაბუასა და მერაბ სეფაშვილის კლიპი ავეჯის მაღაზიაშია გადაღებული, მაგრამ არა მგონია, რომ ეს იგრძნობოდეს. ამ კლიპის პლუსი ის არის, რომ ავეჯი და აქსესუარი მეორე პლანზეა გადასული, ხოლო წინა პლანზე წამოწეულია ის გრძნობა, რომლითაც მაია და მერაბი მღერიან.

— როგორ ფიქრობ — არის თუ არა საქართველოში კონკურენცია კლიპმეიკერებს შორის?

— ვფიქრობ, რომ არა. ჩვენთან შეიძლება, ბევრი იღებს კლიპებს, მაგრამ ბევრი, კლიპის რეჟისორი არ არის. რაც უფრო მეტი იქნება კლიპის კარგი რეჟისორი, მით უფრო შეუწყობს ეს ხელს შოუბიზნესის, როგორც სფეროს განვითარებას. მე ვაკეთებ ჩემს საქმეს ისე, როგორც შემიძლია და სულ არ ვფიქრობ იმაზე, რომ ვინმეს კონკურენტი უნდა ვიყო.

— რა ღირს ზაზა ორაშვილთან კლიპის გადაღება?

— ზაზა ორაშვილთან კლიპის გადაღება ღირს იმდენი, რამდენიც სჭირდება კლიპს. ყოველ შემთხვევაში ეს არის რეალური და არა ასტრონომიული თანხები. მუსიკალური რგოლის გარეშე საქართველოში მომღერლის პრომოუშენი არარეალურია. სწორედ კლიპის მეშვეობით ხდება მომღერალი პოპულარული.

— შენს ბოლო ნამუშევარს როდის იხილავს მაყურებელი და რითი იქნება ეს კლიპი გამორჩეული?

— ორ კვირაში, უკვე მზად იქნება. ამ კლიპში საკმაოდ ბევრია ისეთი მარცვალი, რომლითაც ის შეიძლება იყოს საინტერესო... მე ვპირდები მაყურებელს, რომ ეს იქნება სიურპრიზი და ძალიან დასამახსოვრებელი მუსიკალური რგოლი. გადაღებები საკმაოდ მასშტაბური იყო და ბაქოსა და თბილისში მიმდინარეობდა. მეტს ვერაფერს ვიტყვი — მაყურებელი ნახავს და თავად შეაფასებს.

— შენი ნამუშევრებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონს?

— არც ერთი შემოქმედი ადამიანი საკუთარი ნამუშევრით ბოლომდე კმაყოფილი არ არის. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ ხშირ შემთხვევაში, როცა შედეგს ვუყურებ, ვხვდები, რომ რაც ჩაფიქრებული მქონდა, ის გავაკეთე. რა თქმა უნდა, არის რაღაც ხინჯებიც და ფიქრობ: ხომ არ ჯობდა, ასე გამეკეთებინა? — მაგრამ... მიუხედავად ამისა, ყველა ჩემი კლიპი მიყვარს... ■

ეს იქნება სიურპრიზი და ძალიან დასამახსოვრებელი მუსიკალური რგოლი

www.shopge.com

გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი – ABTRONIC PRO – „აბტრონიკ პრო"

გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **ABTRONIC PRO** ამაგრებს მუცლის, გულმკერდის, ფეხებისა და ბეჭების კუნთებს. გარდა ამისა, იძლევა მინიმალური ძალისხმევით მაქსიმალურად გახდომის საშუალებას. გასახდომი ქამარი დამზადებულია კოსმონავტებისაგან გადმოღებული ტექნოლოგიით, რომელსაც იყენებენ ხანგრძლივი ფრენის დროს ტონუსის შესანარჩუნებლად და კუნთების გასამაგრებლად. ასევე, ეს ტექნოლოგია იძლევა ცხიმების დაწვისა და ცელულიტის დაშლის საშუალებას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე!

ელექტრომიოსტიმულაციის უპირატესობანი.
მიოსტიმულაცია:
- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ცხოველქმედების პროდუქტების განდევნას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

შედეგი:
გაძლიერებული გულ-სისხლძარღვთა სისტემა, გაუმჯობესებული სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა, შლაკების ინტენსიური გამოდევნა ორგანიზმიდან, ძლიერი და ამტანი კუნთები, მკვრივი და ელასტიკური კანი.

მუშაობის პრინციპი:
სუსტი ელექტროიმპულსების ზემოქმედებით კუნთები იკუმშება. ამგვარად, ძლიერდება მუსკულატურა, იწვება ცხიმი და იშლება ცელულიტის უჯრედები. ელექტროდები დამზადებულია ახალი დაპატენტებული ქსოვილისაგან, რომელსაც გააჩნია მაღალი ელექტროგამტარობა და მუშაობის ხანგრძლივი ვადა. შესაძლებელია იმპულსების სიხშირისა და ინტენსივობის რეგულირება, რაც იძლევა მოწყობილობის ინდივიდუალურად გამოყენების საშუალებას. ცხიმების დაწვისა და ფიგურის კორექციისათვის რეკომენდებულია სუსტი იმპულსების მაღალი სიხშირით გამოყენება, ხოლო კუნთების გასაძლიერებლად უმჯობესია გამოიყენოთ ძლიერი იმპულსები ნაკლები სიხშირით. მაღალი სიხშირის იმპულსები იწვევენ კუნთების შეკუმშვას და ქმნიან მასაჟის ეფექტს, რაც ხელს უწყობს ორგანიზმში დაგროვილი ტოქსიკური ნივთიერებების, შლაკების, ზედმეტი სითხისა და ცხიმის სწრაფ გამოდევნას. გარდა ამისა, ქამარი შეიძლება გამოყენებულ იქნას სპორტული ტრავმების რეაბილიტაციის მიზნით.

ქამარი მიოსტიმულატორი ABTRONIC PRO – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!

ფასი: 154 ლარი
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: **www.shopge.com**
ელ-ფოსტა: **contact@shopge.com**
ტელ: (995 32) 53 74 60

R

სვანი ქალის სურათი XIX საუკუნის დამლევს გამოშვებულ საფოსტო ბარათზე

ალბათ გსმენიათ ასეთი ანეკდოტი: თამარ მეფე გაცოცხლდა და საქართველოს ყველა კუთხე მოინახულა; სინანულით აღნიშნა საქართველოს მეფემ, რომ ყველაფერი უარესობისკენ შეცვლილა, ხალხიც დაბეჩავებულაო, — და მხოლოდ სვანეთში ასვლის შემდეგ განუცხადებია: აი ხალხი! ესენი, როგორც დავტოვე, ისევ ისე დამხვდნენო... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. მაგრამ თუ სერიოზულად მივუდგებით ამ საკითხს, დავინახავთ, რომ სვანები მართლაც, კვლავ საკუთარი ხატების ერთგულნი რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ბარის მცხოვრებნი დავიქსაქსეთ და „მოდურ“ რელიგიურ სექტებსაც კი მივანიჭეთ უპირატესობა...

ნადირობის ჯალმურით დღესაც სვანეთის მთებში ბინადრობს...

ემა გელოვანი

იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, საქართველომ რამდენიმე ხელისუფლება გამოიცვალა და შესაბამისად, ჩვენმა კანონმდებლობამაც განიცადა ცვლილებები, სვანები ხალხური სამართლითაც სარგებლობენ და თავიანთ ტრადიციებსაც არ ღალატობენ. ჩვენ თუ თავისუფალი სიყვარულის ცნებაც ავიტაცეთ და სექსუალურ რევოლუციაშიც კი გვინდა გავრიოთ ხელი, სვანეთში ოჯახის შექმნა კვლავაც მოციქულთა მეშვეობით ხდება. მაგრამ სანამ ბარში მცხოვრები ზოგიერთი მამაკაცი გულისფანცქალით ელოდება მრავალცოლიანობის დაკანონებას, სვანეთში ეს იშვიათობას არ წარმოადგენს და ერთ სახლში ორი დიასახლისის ურთიერთობა ცივილიზებულ ფორმებს არ სცილდება...

რა შემთხვევაში ხდება სისხლის აღება? რა ძალა აქვს ხატზე დაფიცებას? რაში სჭირდება სვანს ორი ცოლი? — ამ და სხვა კითხვებზე სვანეთის მკვიდრნი — ომეხ გვარმიანი, ალექსანდრე ჩარკვიანი და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ხათუნა იოსელიანი გვიპასუხებენ.

ომეხ გვარმიანი:

— სისხლის აღება უმეტესად, იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ახლობელს გიკლავენ. მაგრამ ამის მიზეზი შესაძლოა, სხვა სახის შეურაცხყოფაც იყოს. მაგალითად, თუ ძმას მოგიკლავენ, ძმის სისხლი ძმამ უნდა აიღოს. მაგრამ სანამ აქამდე მივა საქმე, იკრიბება სათათბირო, რომელიც თორმეტი კაცისაგან შედგება. ამ სათათბიროს გამოაქვს განაჩენი. იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევა, როდესაც სათათბირო ცდილობს, ასეთი საკითხის უსისხლოდ მოგვარებას. ასეთ შემთხვევაში, მკვლელის მხრიდან გამოდის რამდენიმე პატივსაცემი ადამიანი; ისინი იფიცებიან, მათთვის რომ მოეკლათ ახლობელი, სისხლს აღარ აიღებდნენ. ხატზე დაფიცებას კი, ჩვენში საკმაოდ დიდი ძალა აქვს.

— „რეკორდული“ მაჩვენებელი თუ გაქვთ — ანუ ერთ კაცს რამდენი შეიძლება ჰყავდეს მოკლული?

— იყო ერთი ასეთი შემთხვევა, როდესაც ერთ დღეს, შელაპარაკების ნიადაგზე კაცმა ჯერ სიდედრი მოკლა, შემდეგ მისი ძმა, სიდედრის ბიძაშვილი და ასე ხუთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. გარკვეული დროის შემდეგ, ნათესავებმა მკვლელიც ისისხლეს. მაგრამ მკვლელს ჩვენში იშვიათად კლავენ — უმეტესად, ძმას ან ახლობელს უკლავენ.

ხათუნა იოსელიანი:

— იმის გამო, რომ სვანეთში სამეფო ხელისუფლება ვერ ახერხებდა სიტუაციის მართვას, ხალხმა გადაწყვიტა, თავად გამხდარიყო მარეგულირებელი. სისხლის აღების ტრადიციის გარდა, არსებობს აგრეთვე მორვების ანუ მედიატორების ინსტიტუტი. ისინი დადგენილი ნორმებისა და მიღებული წესების საფუძველზე არიგებენ მტრებს. ცხადია, პირველ რიგში, მოკლულის ძმა ცდილობს სისხლის აღებას, მაგრამ თუ ვერ ახერხებს, ამ მოვალეობას თავის თავზე „სამხური“ ანუ საძმო იღებს. ასეთი ფორმით ისინი თავიდან იშორებენ სირცხვილს. მოკლულის მამა ქუდს არ იხდის — თითქოს მგლოვიარე არა ვარო, — ხუმრობს, იცინის, ვინაიდან ჯერ სისხლი არა აქვს აღებული.

— ხათუნა, სვანები ხუმრობენ: „შავი სამყარო“, საკუთარი კანონების შედგენისას, სვანურ გარჩევებს დაესესხაო...

— თვითონ ეს ხალხური სამართალი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და იხვეწებოდა და ვინაიდან ეს ნორმები დღემდე შემორჩა, ესე იგი, აქტუალურია.

— მეცნიერები ხშირად პარალელებს ავლებენ სვანებსა და ესპანელ ბასკებს შორის...

— ბასკებისა და სვანების მსგავსებაზე დღესაც გრძელდება მუშაობა. მათ შორის მართლაც, საკმაოდ ბევრი მსგავსება არსებობს, რაც სერიოზულ საფუძველს იძლევა იმისას, რომ ვივარაუდოთ — ოდესღაც, მათ რაღაც აერთიანებდათ. მაგალი-

ხათუნა იოსელიანი

ეს იმისათვის კეთდება, რომ მიცვალებულმა თავი მარგო არ იგრძნოს

თად, როდესაც ბასკეთში ვიღაც გარდაიცვლება, სახლის სახურავს რაღაც ნაწილს აცლიან. ამას სულის გასათავისუფლებლად აკეთებენ. სვანეთში არსებობს ასეთი ჩვეულება: როდესაც ასაკოვანი ადამიანი სიკვდილის პირასაა და ღმერთი იმ ქვეყნად მის წაყვანას აჭიანურებს, ადიან სახურავზე და ისევე აცლიან სახურავს გარკვეულ ნაწილს...

— დაკრძალვის რიტუალში სვანებს ერთი უცნაური წესი აქვთ: მიცვალებულის საფლავში ჩასვენებამდე, შიგ ახლობელი ადამიანი ხტება. რა ახსნას აძლევენ ამას მეცნიერები?

— აღსანიშნავია, რომ გლოვასთან დაკავშირებული წესები და რიტუალები ყველაზე ნელა განიცდის ტრანსფორმაციას. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, გლოვისა და დაკრძალვის რიტუალებში, ქრისტიანულთან ერთად, შემორჩენილია წარმართული წესები. რაც შეეხება საფლავში ჩახტომას — როგორც სვანებისაგან მსმენია, ამით გამოიხატება უცხო ადგილის გაშინაურება: მიცვალებულს უცხო ადგილის რომ არ შეეშინდეს, ვიღაცამ უნდა დადგას იქ ფეხი და ამას ახლობელი ქალი აკეთებს. დაკრძალვიდან სამი ღამის განმავლობაში, გარდაცვლილის ახლობლები მიდიან საფლავზე, მიაქვთ სასმელი, ანთებენ ცეცხლს და გათენებამდე იქ რჩებიან. ეს იმისათვის კეთდება, რომ მიცვალებულმა თავი მარტო არ იგრძნოს, ცეცხლი კი, ეშმაკის განდევნის ერთ-ერთი საშუალებაა. სამგლოვიარო რიტუალი მთელი ორი წლის მანძილზე გრძელდება და იმდენად რთულია, რომ უცხოელი მოგზაურები საკუთარ წერილებში გაკვირვებას ვერ ფარავდნენ ხოლმე... როგორც ისტორიული მასალებიდან ჩანს, სვანეთში სამგლოვიარო ფერი წითელი ყოფილა. ერთ ძალზედ საინტერესო ჩვეულებას წავაწყდი, რომელიც XX საუკუნის პირველ ნახევარშიც არსებობდა სვანეთში: როდესაც მიცვალებულს უკანასკნელ გზაზე მიასვენებდნენ, წინ კაცი მიუძღოდათ, რომელიც გზადაგზა, ხორბლის მარცვლებს აბნევდა, ხელში სანთლები ეკავა, თავზე კი, წითელი ყაბალახი ჰქონდა შემოხვეული.

ალექსანდრე ჩარკვიანი:

— წინათ, ჩვენში წყვილი აკვნიდანვე ინიშნებოდა. სვანეთში თუ კაცი ხატზე დაიფიცებდა — ამ ქალს მოვიტაცებო, — აასრულებდა კიდეც. და თუ ვინმე დაასწრებდა მას ქალის წაყვანას, აუცილებლად ისისხლავდა. სასიძო თუ შუამავალს გაუგზავნის ქალის ოჯახს და უარყოფით პასუხს მიიღებს, შემდეგ მოთათბირება ხდება. მამაკაცი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს და ქალის მხრიდან გამოჰყავთ რამდენიმე მამაკაცი, რომლებიც ხატზე იფიცებენ, რომ თავად, უარის მიღების შემთხვევაში, საქმეს მშვიდობიანად მოაგვარებდნენ ერთი ქალის უარმა შესაძლოა, რამდენიმე თაობას დააჩნიოს კვალი და წლების შემდეგ, საპირისპირო მხრიდან რომ წამოვიდეს ასეთი წინადადება, შურისძიების მიზნით, უარს მიიღებენ. თუ ქალის მხარე ასეთ პირობებზე არ მიდის და ხატზე დაფიცებაზე უარს ამბობს, შესაძლოა, ეს ამბავი კაცისკვლითაც კი დასრულდეს.

ხათუნა იოსელიანი:

— როდესაც ვაჟის ოჯახი მიიღებს გადაწყვეტილებას დაოჯახების თაობაზე, ქალს მხოლოდ მაშინ უგზავნიან მოციქულს. ეს მოციქული აუცილებლად მამაკაცია. თუ ვაჟის გვარი ქალის გვარზე უფრო ძლიერია, უარის თქმა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

— ძალიან უცნაურია, მაგრამ სვანებში ორცოლიანობა ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა...

ომეხ გვარმიანი:

— მაგალითად, თუ სვანის პირველი ცოლი უშვილოა ან მხოლოდ გოგონები ჰყავს — ეს კი სვანისათვის ერთი და იგივეა, — მამაკაცი ცდილობს, მეორე ცოლი შეირთოს, რომელიც ვაჟს გაუჩენს. არის შემთხვევები, როდესაც მეორე ცოლს თავად პირველი ირჩევს და ცდილობს, რომ ის გვარიშვილობით ან ფიზიკურად მასზე ნაკლები იყოს... ორივე ცოლი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს და საოჯახო საქმეებსაც ინაწილებს. თუ ვაჟი ვერც მეორემ გაუჩინა, ის შეიძლება, მესამემ შეცვალოს... წინათ, ჩვენში მიღებული არ იყო ოჯახიდან ქალის გაშვება და ხშირად, ქვრივს გარდაცვლილი ქმრის ძმა ან ბიძაშვილი ირთავდა, რასაც მატერიალური საფუძველი ჰქონდა...

მთის ხალხის ცხოვრებაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია მისტიკას და სვანები დღემდე დარწმუნებულები არიან, რომ ნადირობის ქალღმერთის — დალის აჩრდილი დღესაც სვანეთის მთებში ბინადრობს.

ალექსანდრე ჩარკვიანი:

— ბევრ საუკეთესო მონადირეს უნახავს დალი მთებში და ბევრს მისი რისხვაც გამოუწვევია. მამისაგან მსმენია, რომ ჩვენს სოფელში ლამაზი ვაჟკაცი ცხოვრობდა, რომელიც ერთხელ, ტყეში დამხრჩვალი და ნაცემი უპოვიათ; ხელში ლამაზი ოქროსფერი დალალების ბღუჯა ეჭირა. სახლში რომ დაუსვენებიათ, ყოველღამე, ვიღაც კივილით ლამობდა შემოსვლას, მაგრამ ვერ ბედავდა. დაკრძალვის დღეს კი, მიმინო შემოფრენილა და ვაჟკაცს მკერდში ჩაჰფრენია ისე, რომ ვერ აუცლიათ და ასევე დაუსაფლავებიათ...

ხათუნა იოსელიანი:

— კარგი მონადირე ნადირობის ქალღმერთს პატივს სცემდა და ნადირობის წესებს იცავდა. იცოდა, რომ გამრავლების პერიოდში, არ უნდა ენადირა და სამზე მეტი ფრინველი თუ ცხოველი არ უნდა მოეკლა... ბაბუაჩემი, ბესარიონ იოსელიანი ცნობილი მონადირე იყო. ერთხელ, ნადირობიდან დაბრუნებულ ბაბუას სახეზე ფერი არ ედო. როდესაც მიზეზი უკითხავთ, უპასუხია, რომ ნიშნიანი ჯიხვი უნახავს. ნიშნიანი ჯიხვი დალის საკუთრებად ითვლება და მისი ხილვა იმას ნიშნავს, რომ მონადირემ ნადირობას თავი უნდა დაანებოს... დადიოდა ლეგენდები, რომ დალი ირჩევდა საუკეთესო ვაჟკაცს და ჰყვარობდა (ეს ამბავი მოთხრობილია ცნობილ „ბეთქილის ლეგენდაში“); უხვად აძლევდა ნადირს თავის საყვარელს, მაგრამ ღალატს არ აპატიებდა... როგორც მეცნიერს, მე მაინც, ცხადია, მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი მითოლოგიაა და არა მოჩვენება. ■

ცნობილი გამოთქმაა, რომ ქალებს ყურებით უყვართ — ეი. უყვართ სასიამოვნო, საალერსო სიტყვების მოსმენა. მაგრამ საკითხავია, ყოველთვის ახსოვთ თუ არა ეს მამაკაცებს? სამწუხაროდ, ხშირად საძინებლებში გაურკვეველი დუმილი სუფევს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იქ მხოლოდ მამაკაცი გრძნობს თავს კარგად! რა სიტყვას ვიყენებთ ინტიმური სიახლოვის აღსანიშნავად? სამწუხაროდ, დღევანდელ ლექსიკაში ამის გამოსათქმელად საკმაოდ უხერხულ სიტყვას — „გაიმვას“ იყენებენ. დამეთანხმებით, მისი თქმაცა და მოსმენაც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ გვიჭირს. საერთოდ, საჭიროა კი ლოგინში ლაპარაკი? სიყვარულში ხომ უფრო დიდი დატვირთვა ქმედებასა აქვს და არა სიტყვას... როგორც აღმოჩნდა, სიტყვასაც საკმაოდ დიდი დატვირთვა ჰქონია და თანაც მინიმუმ სამ სიტუაციაში.

საუბარი სიტყვის ქვეშ ალმები

სიტუაცია პირველი:
მთავარია – პროცესის დაწყება

როგორ გავუმხილოთ მას ამის შესახებ? ალბათ ნებისმიერ ქალს უგრძნია სიტუაციის უხერხულობა, როცა უნდა, თავის პარტნიორს მიანიშნოს, რომ მასთან სექსუალური სიახლოვე სურს. მსგავს სიტუაციაში მამაკაცი უფრო იოლად ამჟღავნებს თავის გრძნობებსა და სურვილებს, რადგან ძლიერი სქესის წარმომადგენლები ამ საკითხებში ინიციატივის ხელში აღებას ისტორიულად არიან მიჩვეულნი. ალბათ დამეთანხმებით იმაში, რომ ნებისმიერ ქალს, არ შეუძლია ასე პირდაპირ მიმართოს თავის რჩეულს: „წამოდი, სექსით შევიქციოთ თავი!“ მსგავს სიტუაციაში უფრო იოლია შესთავაზო: „მოდი, მასაჟს გაგიკეთებ!“ ან „ისე მომენატრა შენი ალერსიანი ხელების სითბო!“ თვით უმანკო ფრაზა – „გეთაყვა, ზურგი ღრუბლით გამიხეხე“, შესაძლოა, ინტიმური კავშირისკენ მოწოდებად იქნას აღქმული. მაგრამ არ უნდა დავავიწყდეს, რომ ქვეყნად არსებობენ ისეთი მამაკაცები (და საკმაოდ მრავლადაც), რომლებიც ამ ნართაულ ნათქვამს ვერ მიგიხვდებიან. მაგალითად, თქვენს თხოვნაზე, საპონი წაგისვან ზურგზე, ისინი სიამოვნებით გამოგეხმაურებიან, სათანადოდ გაგიხეხავენ ზურგს და სააბაზანოსაც დატოვებენ. თქვენ კი, სუფთა ზურგით სასწაულის მოლოდინში დარჩებით. ამიტომ საკუთარი მიზნის მისაღწევად ასეთი მამაკაცების პროვოცირება უნდა მოახდინოთ. ვიდეოში ეროტიკული ფილმის კასეტა მოათავსეთ, შეიმოსეთ ამ შემთხვევისათვის სათანადოდ და ნაზად წასჩურჩულეთ: „ძვირფასო, რატომღაც სულ მაკანკალებს!“

სიტუაცია მეორე:
ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვმეტყველებთ!

სექსოლოგები ლოგინში საალერსო სიტყვებით სიყვარულის გამოხატვის ოთხ ვარიანტს გამოყოფენ: 1. მამაკაცური ვარიანტი: უკავშირდება უცენზურო გამოთქმების გამოყენებას. ამ გამოთქმების გარეშე, ამ ტიპის მამაკაცებს არ ძალუძთ იყვნენ გულწრფელნი. როცა წესიერი ადამიანი ტანსაცმლის გახდისთანავე გინებაზე გადადის, მისმა ასეთმა საქციელმა შესაძლოა, პარტნიორი შოკშიც კი ჩაგდოს, მაგრამ ეს მოულოდნელი გარდასახვა ზოგიერთ ქალს აღაგზნებს, მით უმეტეს, თუ მასთან სხვაგვარი მეთოდები არ ჭრის.

2. ქალური ვარიანტი: ბავშვური ტიტინი. ლოგინში ლაპარაკის ამგვარი მანერა, ხშირ შემთხვევაში ახასიათებთ იმ ქალებს, რომლებსაც ბავშვობაში მამის სითბო და ალერსი აკლდათ. სწორედ ეს უდევს საფუძვლად მათ სურვილს, გამოიყურებოდნენ პატარა ბავშვივით ანუ „პაწაწინა ფისუნიად“.

3. საერთო ვარიანტი: სხვათა შორის, ყველაზე გავრცელებული – აქცენტი გადატანილია მიმიკაზე და გრძნობების გამოხატვა ჟესტებისა და აღტაცების შორისდებულებით ხდება.

4. ვარიანტი მოყვარულთათვის: არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებშიც სექსუალური აღგზნება სიტყვების ნიაღვარს იწვევს და ისინი ხმამაღლა, დეტალურად აღწერენ იმ პროცესს, რასაც აკეთებენ. ზოგ შემთხვევაში ეს ჩვეულებრივი სიტყვები – ძირითადად ბრძანებითი კილოთი გამოხატული ზმნები – ქალის სულში საოცარ ვნებას აღძრავს.

სიტუაცია მესამე:
თუ ყველაფერი ისე არ არის, როგორც თქვენ გსურთ...

ზოგჯერ ლოგინში სოლიდური სტაჟის მქონე წყვილსაც კი არ ესმის ერთმანეთის. ბევრი ქალია ისეთი, რომელიც სექსუალური სიახლოვისაგან სიამოვნებას, მხოლოდ გარკვეულ პოზაში იღებს, პარტნიორს კი, მრავალფეროვნება უყვარს. ასეთ შემთხვევაში ქალი დაუკმაყოფილებელი რჩება და სიამოვნებას ვერ განიცდის. თუ მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდით, სცადეთ, უკარნახოთ პარტნიორს, თუ როგორ მოიქცეს. ოღონდ, გაითვალისწინეთ, ეს ძალზედ ფრთხილად უნდა შეაპაროთ, რათა თავმოყვარეობა არ შეუ-

„..., მზის და ვარდების მხარეო, უშენოდ, სიცოცხლეც არ მინდა“	ვაზის სარი	წითელი, შავწინწკლებიანი პატარა ხოჭო	ჯუჯა ცხენი	სისხლის შემადგენლობის გამოკვლევა	ქრისტიანული რელიგ ის ერთ-ერთი წესი
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
არც ცივი და არც ცხელი	წიწვოვანი ხე	ღორის ნაშიერი	ძლიერნი ... სოფლისანი	ამომავალი მზის ქვეყანა	რკინის სამაგრი ცხენის ჩლიქზე

ახალი, ლამაზი (ბავშვის ენაზე)	გამის ნოტი	ამ დეკ

ლახოთ მამაკაცს. თავდაპირველად შეაქეთ: „რა ძლიერი და მოხერხებული ხარ! შენთან თავს საოცრად კარგად ვგრძნობ!“ დაელაპარაკეთ იმაზე კი არა, რასაც არასწორად აკეთებს, არამედ საერთო შეგრძნებებზე, რასაც ამ დროს განიცდით.

უხეში ჟარგონი თუ დახვეწილი ალერსი?

ბედნიერია ის წყვილი, რომელმაც საკუთარი სამეტყველო ენა გამონახა ლოგინში. ეს შესაძლოა, სრულიად ჩვეულებრივი სიტყვები იყოს, მაგრამ განსაზღვრულ სიტუაციაში და გარკვეული ინტონაციით წარმოთქმისას, ეს სიტყვები ინტიმური სიახლოვისაკენ მოწოდებად აღიქმება. თუ საკუთარი ფანტაზია ან მეტისმეტი მორცხვობა არ გაძლევთ იმის საშუალებას, რომ თქვენივე ინტიმური ენით გამოხატოთ სათქმელი, მაშინ შეგიძლიათ, თქვენი საყვარელი კინოგმირების ენა გამოიყენოთ. და კიდევ ერთი, საერთო რჩევა ნებისმიერი თქვენგანისათვის: აჰყევით საკუთარ გრძნობებს, ნუ დაიფარებთ პირზე ბალიშს! ყვირილი გინდათ — იყვირეთ, არ შეგიძლიათ უწმაწური გამოთქმების გარეშე, ილანძღეთ! ამ ასპარეზზე მთავარია, არ მოთოკოთ საკუთარი ენება. თუ თქვენი გამოთქმებით პარტნიორს შეაცბუნებთ, აუხსენით მას, რომ თქვენ სწორედ ემოციის ამგვარად გამოხატვა აღგაგზნებთ. ნუ ეცდებით, ყოველთვის პარტნიორის მოთხოვნებს გაუწიოთ ანგარიში, გააკეთეთ ისიც, რაც თქვენ მოგწონთ და გსურთ. სხვა შემთხვევაში ნორმალური სექსუალური ურთიერთობა პარტნიორთან ვერ გექნებათ. ■

რამდენად კარგად იცნობთ საკუთარ თავს?

უემოციო ქალი იგივეა, რაც ყვავილი, რომელსაც არა აქვს სუნი. გაქვთ თუ არა უნარი, რომ თავბრუ დაახვიოთ მამაკაცს და საპასუხო გრძნობა გააღვივოთ მასში?

1. დიეტისა და მატერიალური შეზღუდულობის მიუხედავად, ნებისმიერი საკვების მიღება რომ შეგეძლოთ, რას აირჩევდით:

ა) ჩიპსებს ან მოხალულ თხილს — 2;

ბ) ბუტერბროდს კარაქითა და ხიზილალით — 3;

გ) შოკოლადით მოსარკლულ ნაყინის ულუფას — 7.

2. ყველაზე მეტად გიყვართ, როცა ეხებით...

ა) საწოლის შალის გადასაფარებელს — 3;

ბ) აბრეშუმის პერანგს — 7;

გ) ნატურალურ ბეწვეულს — 5.

3. სამსახურიდან შინ დაბრუნებულს, დაღლილობის მოსახსნელად ყველაზე მეტად გსურთ...

ა) დამაწყნარებელი ბალახების აბაზანის მიღება — 7;

ბ) საყვარელ სავარძელში მოკალათებულს, მსუბუქი რომანის წაკითხვა — 5;

გ) ბრაზილიური სერიალის ყურება — 3.

4. ფილმი, რომლის გახსენებაზეც კი, თვალები ცრემლებით გევსებათ, არის:

ა) „ქარწაღებულნი“ — 5;

ბ) „ველური ორქიდეა“ — 7;

გ) „დათა თუთაშხია“ — 2.

5. მამაკაცის გაცნობისას, პირველ რიგში თქვენს ყურადღებას იპყრობს...

ა) მისი სიმაღლე — 2;

ბ) აღნაგობა — 7;

გ) თვალები — 5.

დაანჯამეთ ქულები

12-16 ქულა: თქვენ მეტისმეტად გაქვთ განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა და ზედმეტად სერიოზულიც ხართ. გირჩევთ, გარშემომყოფთ უფრო დიდი ყურადღებითა და სინაზით მოეპყროთ. სულ მალე აღმოაჩენთ, რომ ირგვლივ უამრავი მშვენიერი რამაა, სამყაროც არ ყოფილა ისეთი ცუდი და არც ადამიანები არიან ისეთი უხეშები, როგორებიც ერთი შეხედვით ჩანდნენ. მეტისმეტად ნუ შეზღუდავთ თავს, გამოხატეთ ემოციები და მიიღეთ ცხოვრებისგან სიამოვნება.

22-35 ქულა: ფრთები შეასხით თქვენს ფანტაზიას. სულ ცოტა მონდომება და თავს ახალი გრძნობა დაგგატყდებათ. უფრო თამამად შეხედეთ მომავალს — წინ საინტერესო ცხოვრება გელით. როცა ცხოვრებაში ყველაფერს საუკეთესოს ირჩევთ, იოლად მიიღებთ იმას, რაც გსურთ.

უნებრივად ვერულვაშო ადამიანი	„... არის ჩვენი გამსარეველი“ („ეთო და კოტე“)	ტიხარი	სანავსადგურო ქალაქი	მოკლე კომიკური პიესა	სამი ნაწილისგან შემდგარი ლიტერატურული ნაწარმოები
...ჯა-ალაქი	ქისა	ერთბაშად შერყევა, იგრძნობა მიწისძვრისას	ესპანეთის ლაკორუნიას საფეხბურთო კლუბი	ავსული გოლიათი ქართულ ზღაპრებში	1000 მლ	სიტყვის ნაწილი, ნიშნავს სწავლებას

მორენა მერკვილაძე

დეკანოზი ალექსი ადამაშვილი

რა არის ჯადო?

ბოლო დროს, ჯადოს მკეთებელთა, ჯადოს შემკვეთთა სიმრავლე აშკარად თვალში საცემი გახდა. ჯადოს საშუალებით, ზოგს პირადი ბედნიერების მოპოვება სურს, ზოგს — სხვისი ოჯახის განადგურება. ჯადოს მკეთებლები ათასგვარი სახეობის ჯადოს მიმართავენ: ბედის ჩაკეტვის თუ გახსნის, ბარაქის მომტანის, სიკვდილის გამომწვევის და სხვ. პარაფსიქოლოგთა მტკიცებით, ჯადოს მართლაც დიდი ძალა აქვს. მისი ზემოქმედებით ადამიანს შეიძლება სხვადასხვა სახის დაავადება დაემართოს ან სხვა განსაცდელის წინაშე აღმოჩნდეს... რა არის ჯადო ეკლესიური სწავლებით? აქვს თუ არა ძალა, გრძნეულის ჩარევის გარეშე, დამოუკიდებლად გაკეთებულ ჯადოს? და საერთოდ, რა უნდა იცოდეს მორწმუნე ადამიანმა ამ საკითხთან დაკავშირებით? გვესაუბრება ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ალექსი ადამაშვილი.

— ადამიანს უპირველესად, უნდა სწამდეს ღმერთის და დღენიადაგ ზრუნავდეს იმაზე, რომ იცხოვროს ღმერთთან სიახლოვეში. მაგრამ ამავდროულად, ადამიანს უნდა სჯეროდეს, რომ არსებობს ბოროტი ძალა. სწორედ ბოროტი ძალის — ეშმაკის ერთ-ერთი ხრიკია ჯადო ანუ ეშმაკისგან მიყენებული ვნება. ჯადო, ეს არის სულის მიყიდვა ეშმაკისათვის. როდესაც ადამიანი აკეთებს ჯადოს, ფაქტობრივად ეშმაკის მიმდევარი ხდება, ე.ი. ბოროტ ძალას ემსახურება და სწორედ ეშმაკის წყალობით სურს, რომ მიაღწიოს დასახულ მიზანს.

— ჯადო მხოლოდ ადამიანის სულზე ახდენს გავლენას თუ ხორცზეც?

— ჯადო ზემოქმედებას ახდენს, როგორც ადამიანის სულზე, ასევე მის ხორცზეც, რამეთუ ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანი არ არის არც მხოლოდ სულიერი და არც მხოლოდ ხორციელი არსება.

— ჯადოს მკეთებლები, მიზნის მისაღწევად, სხვადასხვა მასალას იყენებენ — დათვის და მგლის ქონს, ვირის ტვინს. აქვს თუ არა მეტ-ნაკლები ძალა სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ ჯადოს?

— არა აქვს მნიშვნელობა, რა მასალისგან არის დამზადებული ჯადო — მას ერთნაირი ზემოქმედება აქვს. როგორც აღვნიშნეთ, ჯადო ეს არის ეშმაკის ხრიკი და ზემოქმედება ამა თუ იმ მასალაზე, რომლის მიზანია, რომ დათრგუნოს ადამიანი და ააცდინოს ღვთიურ გზას.

— ზოგიერთი ადამიანი ჯადოს დამოუკიდებლად, გრძნეულის ჩარევის გარეშე აკეთებს; საამისოდ იყენებენ კვერცხს, თმის ბეწვს, იციან მიწაში სურათის ჩაფვლა და სხვა. აქვს თუ არა ძალა „არაპროფესიონალურ“ დონეზე გაკეთებულ ჯადოს?

— როგორც აღვნიშნეთ, როდესაც ადამიანს ჯადოს გაკეთების სურვილი უჩნდება, გამოდის, რომ ეშმაკს მიჰყიდა სული და მას სთხოვს შეწევნას, ამიტომ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გააკეთებს ჯადოს — პროფესიონალი იქნება თუ არაპროფესიონალი, თეთრი მაგიის წარმომადგენელი თუ შავის. ყველა ჯადოს მკეთებლის მიერ გაკეთებულ ჯადოს შეუძლია მოუტანოს ვნება ადამიანს.

— მართლმადიდებლური ეკლესია, ჯადოს მოხსნის მიზნით, ნათელმხილველთან, მკითხავთან თუ სხვა ჯურის მისანთან მისვლას კრძალავს. თუმცა, დღეს მაინც ბევრი ადამიანი მიმართავს ნათელმხილველებს თუ სხვა სახის გრძნეულებს ჯადოს მოხსნის მიზნით. მათი საშუალებით ცდილობენ ჯადოს მოქმედების შეჩერებას. იუარესებს თუ არა მდგომარეობას ადამიანი ასეთ შემთხვევაში?

— ადამიანმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ არ არსებობს კეთილი ჯადოქარი. ამიტომ როდესაც ადამიანი, ჯადოს მოხსნის მიზნით, მიმართავს გრძნეულს, ეს იმას ნიშნავს, რომ დახმარებას სთხოვს ეშმაკს. ბუნებრივია, ამით მდგომარეობასაც იუარესებს, რადგან ამ გზით ნამდვილი ბედნიერების მიღწევა შეუძლებელია.

— ეკლესიას ჯადოქრობა კაცისკვლის ცოდვასთან აქვს გატოლებული და გამოდის, რომ ჯადოს მკეთებლები სჩადიან მომაკვდინებელ ცოდვას. რა ელოდება მათ სულს ამა სოფლიდან გასვლის შემდეგ?

— ჯადოს მკეთებლებს ანუ ეშმაკის მსახურებს ამქვეყნიურ ცხოვრებაში ჰგონიათ, რომ ყოვლისშემძლეები არიან და ავიწყდებათ მთავარი — ღმერთის არსებობა. ხოლო როდესაც მისი ნების წინააღმდეგ მოქმედებენ, მოუნანიებლობის შემთხვევაში, მათ სულებს სიკვდილი ანუ საუკუნო სატანჯველი — ჯოჯოხეთი ელოდება. არსებობს საეკლესიო დადგენილება — „მცნება მღვდელთათვის“, რომელიც 1768 წელსაა შედგენილი და ხელს აწერს მეფე ერეკლე და მეფის ძე — ანტონ კათოლიკოსი. ამ განჩინების ბოლოს წერია: „ჩვენ კიდევ დავამატებთ ამას ზედა, თუ ვინმე ამისთანა საქმისა

მქმნელნი გამოჩნდეს. ან მომწამვლელნი, ან კაცის შემკვრელნი, ან სიყვარულის, ან სიმძულვარის წამლის მიმცემელნი, ან ჯადოობის და მკითხაობის მოქმედნი, ან ღმერთის დიდად განმარისხებელისა და მიუტევებელის, ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნო მწველისა, მამათმავლობის მქმენელი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიან და საანდაზოს ჯაჯაებით დაიხოცნენ.“ — რაც იმას გულისხმობს, რომ იმ დროს, ასეთი საქმის მქმნელნი, არა მარტო ღვთის სამსჯავროს წინაშე წარდგომის დროს, ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც საჯაროდ, წვალებით ისჯებოდნენ.

— ჯადოს მკეთებელთა უმრავლესობა, ხშირად იმით იზიდავს ადამიანებს, რომ სახლში აქვს ხატები, წარმოთქვამს ლოცვებს, ღებულობს მხოლოდ მონათლულთ და სხვა ქრისტიანულ რიტუალსაც აღასრულებს...

— ადამიანი ყოველთვის უნდა იყოს ფრთხილად და უპირველესად გაითვალისწინოს, რომ ბოროტი პირდაპირ არ გაგვიკეთებს ბოროტებას. იმ ნათელმხილველებს და მკითხავებს, რომლებსაც შინ გამოფენილი აქვთ ხატები, სანთელს ანთებენ და ლოცულობენ, ეს იმისთვის სჭირდებათ, რომ მათთან მისულთ, თავი ეკლესიურ ადამიანებად მოაჩვენონ. მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით, უფალიც კი გვაფრთხილებს: „მრავალნი მოვლენ ჩემი სახელით და მრავალს აცდუნებენ, ან კიდევ იქნებიან გარედან კრავისა ტყავითა მოსილნი და შინაგან მგელ მტაცებელნი“. უფალი, ქრისტიანობის სახელს ამოფარებულ, ბოროტის მოქმედთ, იმიტომ ადარებს მტაცებელ მგელს, რომ ამ ადამიანებს სურთ, ადამიანი ღმერთის გზიდან გადაიყვანონ და როგორც მგელმა, ისე მიიტაცონ მისი სული.

P.S. *როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე ადამიანი ჯადოს აღმოჩენის შემთხვევაში? რა საშუალებებით აგვარიდებს მართლმადიდებლური ეკლესია ჯადოს ზემოქმედებას? — ამ და სხვა საკითხებზე „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.*

■

ქალბატონ ნუგეშა მაყაშვილს თავისი უფროსი და — მარო არასოდეს უნახავს, ის გმირი ქალიშვილის დაღუპვის შემდეგ მოევლინა ქვეყანას. მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე, მარო მისთვის ჭეშმარიტ ხატად იყო ქცეული. დანარჩენს თავად ქალბატონი ნუგეშა მოგვითხრობს...

მარო მაყაშვილის ნაქარგი, რომელშიც, დაღუპვის შემდეგ დედამ მისი სურათი ჩასვა

[redacted] მარო [redacted] მაყაშვილის ცხოვრება — პირველი ტანჯული ოჯახისა და აფეთქებულ ჭირვაზე...

ნათია ფსუტური

— მოგეხსენებათ, მამაჩემი — კოტე (კონსტანტინე) მაყაშვილი იყო ცნობილი ქართველი პოეტი, ხოლო დღიდან მწერალთა კავშირის დაარსებისა (1917 წ.) სიცოცხლის ბოლომდე (1927 წ.), სათავეში ედგა ამ ორგანიზაციას. დედაჩემი — თამარ გაბაშვილი, მწერალ ეკატერინე გაბაშვილის ქალიშვილი, ლამაზი გარეგნობისა და ამასთანვე, განათლებული მანდილოსანი გახლდათ. ჩემი მშობლები თავიანთი ქვეყნის პატრიოტები იყვნენ. მათი დამსახურებაა, მაროც ასეთი რომ გაიზარდა...

— თქვენი ოფიციალური სახელი მარიამია, ახლობლები კი ნუგეშას გეძახიან. რით არის ეს გამოწვეული?

— ჩემს და-ძმებში ყველაზე უმცროსი ვიყავი. დავიბადე მაროს დაღუპვის შემდეგ. ჩემი მშობლები და ნათესავები ხშირად ამბობდნენ თურმე: ეს ბავშვი ჩვენს ნუგეშად დაიბადაო. ამიტომაც საბოლოოდ, სახელად ნუგეშა შემრჩა. ჩემი ნამდვილი სახელი — მაროს სიყვარულით დარქმეული მარიამი — მხოლოდ საბუთებშიღა შემორჩა. უფროსი და რომ დამეღუპა, დედა ჩემზე ორსულად ყოფილა. მოსწრებული შვილების პატრონს ბავშვის გაჩენა ეუხერხულებოდა, მაგრამ მარო შეხვეწნია დედას: შენ ოღონდ გააჩინე და ისე გავზრდი, არ შეგაწუხებო...

— როგორ შემოვიდა მაროს სახე თქვენს ცნობიერებაში?

— ჩემს ბავშვობაში მაროს შესახებ ოჯახში არ საუბრობდნენ. ის ჩემთვის ახლობელიც იყო და შორეულიც. მე მარო მისივე დღიურით, მამის მიერ დაწერილი, ქალიშვილის ბიოგრაფიითა და ახლობელთა მონათხრობით გავიცანი. ბავშვობიდან მახსოვს, რომ დედას საწოლთან, კედელზე მაროს სურათი ეკიდა. საწერ მაგიდაზე იდგა ძველებური ზარდახშა. მასში ინახებოდა მაროს დღიური და ქალიშვილის თმის კულული. ეს იყო ჩემი ოჯახის წმიდათაწმიდა რელიკვია. ზარდახშა პირველად, დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ გავხსენი. მშობლისგან ანდერძად მქონდა — მაროს თმა მისთვის საფლავში ჩამეყოლებინა. მაშინ წავიკითხე უფროსი დის დღიური და შევიგრძენი მისი გამორჩეული ბუნება... სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული გოგონა იყო, მგრძნობიარე სულის ადამიანი, რომელსაც სხვისი ტკივილის გათავისება სჩვეოდა, თურმე...

— მაროს შესახებ ყველაზე შთამბეჭდავი

მარო მაყაშვილის დღიურის თავფურცელი



მარო მაყაშვილის მშობლები – კოტე და თამარი

თქვენთვის ვისი მონათხრობი იყო?

– მაროს პიროვნება მის დღიურში სარკესავით არის ასახული. ამიტომ ის ჩემს წარმოსახვაში, ხან სიცოცხლით სავსე მხიარული გოგონაა, რომელიც დღიურში პირველი და, საუბედუროდ, უკანასკნელი დიდი წვეულების შესახებ წერს: ბევრი ვიცეკვე, ტანგოთი დაწყებული – ჩეჩნურით დამთავრებულიო, – ხან კი, სამშობლოს ბედზე ღრმად ჩაფიქრებულ მამულიშვილად მესახება: რა არის ულამაზესი და უმაღლესი სამშობლოს სიყვარულის გრძნობაზეო?!.

— არჩილ სულაკაურის მიერ 1997 წელს გამოცემული ბროშურა — „მარო მაყაშვილის დღიური“ 1918-1919 წლების ჩანაწერებს მოიცავს თუ არსებობს შემდგომი პერიოდის ამსახველი დღიური?

– არა – როგორც ჩანს, მარო დღიურს მხოლოდ ქალთა გიმნაზიაში სწავლის პერიოდში წერდა.

— დღიურში მარო განსაკუთრებული სითბოთი და ქალური სინაზით წერს პაოლო იაშვილის შესახებ. თქვენი აზრით, რა უნდა ყოფილიყო პაოლოს მიმართ ქალიშვილის ამგვარი ინტერესის მიზეზი — პირველი სიყვარული თუ პოეტის ნიჭისადმი პატივისცემა?

– პაოლო მამაჩემის უმცროსი მეგობარი იყო. ისინი მწერალთა კავშირში ერთად მოღვაწეობდნენ. მარომ ახალგაზრდა პოეტი თეატრში გაიცნო. მათ შორის სერიოზული ურთიერთობის შესახებ ოჯახმა არაფერი იცოდა. მაროს დღიურიდან ჩანს, რომ მას პაოლოს მიმართ რაღაც სიმპათია ჰქონდა, მაგრამ მე ამ გრძნობას პირველ სიყვარულს ვერ ვუწოდებდი.

ის თვითონაც იყო სამწერლო ნიჭით დაჯილდოებული. ძალზედ უყვარდა ქართული ლიტერატურა. უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, 1919 წელს ჩაირიცხა. სწავლობდა ევროპულ ენებს (ფრანგულსა და ინგლისურს) რათა შემდგომში, უცხოური ლიტერატურა პირდაპირ დედნიდან ეთარგმნა.

— საზოგადოებისთვის, მარო მაყაშვილის მიერ დაწერილი მხოლოდ ორი მოთხრობაა ცნობილი — „გაზაფხული“ და „ფიქრები წყაროსთან“. რა ბედი ეწია მის სხვა ნაწარმოებებს?

– მართალია, მამა მაროს ბიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ქალიშვილს გარდაცვალების შემდეგ დარჩა დღიური და პატარ-პატარა მოთხრობები, მაგრამ სადღეისოდ, ამ ორი მოთხრობის გარდა, მაროს სხვა ნაწარმოები აღარ არსებობს – ალბათ დაიკარგა.

— 1921 წლის თებერვალი ტრაგიკული აღმოჩნდა მთელი საქართველოსთვის, ბევრ ოჯახს კი, შვილებიც წაართვა... რა იცით მაროს დაღუპვის გარემოებების შესახებ?

– მარო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი იყო. საკმარისი იყო, თბილისის შემოგარენში ზარბაზნები აგრუხუნებულიყო, რომ მარომ მტკიცედ გადაწყვიტა: იქ უნდა ვიყო, სადაც თანამემამულეთა სისხლი იღვრებაო. 1921 წლის 17 თებერვალს ის ჩაეწერა „წითელ ჯვარში“, მოწყალების დად და იმავე დღეს, სანიტარულ რაზმთან ერთად კოჯორტაბახმელის მიდამოებში წავიდა. წინა დღეს, 16 თებერვალს უნივერსიტეტში დამფუძნებელი კრების დეპუტატები მივიდნენ. რექტორმა – ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტთა საერთო კრება მოიწვია და სიტყვით მიმართა შეკრებილთ. მან თქვა: შვილებო, ჩემი მოვალეობაა წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში დგება ისეთი მომენტები, როცა საჭიროა, ყველაფერი განზე გადადო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო; და აი, მეც იარაღისაკენ მოგიწოდებთო... მრავალი სტუდენტი ჩაეწერა თურმე მოხალისე მებრძოლთა რიგებში, მათ შორის იყო 19 წლის გოგონა – მარო მაყაშვილიც.

— ოჯახი როგორ შეხვდა მაროს ამ გადაწყვეტილებას?

– ძალიან მძიმედ, მით უმეტეს, რომ იმ დროისათვის, ჩემი ძმა – შალვა უკვე სოღანლუღის ფრონტზე იბრძოდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავდა მშობლებისათვის ტყვიების წვიმაში ორი შვილის ყოფნა...

— რამდენი ხანი დაყო მან ფრონტზე?

– მხოლოდ 2 დღე – შემდეგ კი, უბედურება მოხდა. 19 თებერვალი ჩვენი ოჯახისთვისაც საბედისწერო აღმოჩნდა. იმ საღამოს, მარო სანიტარული ორთვალით მებრძოლთა დასახმარებლად მიიჩქაროდა. უეცრად, ორთვალასთან ახლოს გამსკდარი ჭურვის ნამსხვრევი მაროს თავში მოხვედრია და თვალის დახამხამებაში გამოუსალმებია წუთისოფლისთვის...

— გამიგონია — შვილის დაღუპვით გაოგნებული ბატონი კოტე ერთ ღამეში გაჭაღარავებულაო...

– ეს ამბავი დედის გადმოცემით ვიცი. საერთოდ, მამას შავი თმა ჰქონდა. მაროს დაღუპვის შესახებ ცნობის მიღებიდან მეორე დილას, ღამენათევი ვაჟკაცი სრულიად გაჭაღარავებული უნახავთ. აკი წერს კიდეც მამა მაროსადმი მიძღვნილ ლექსში:

„არც სიცოცხლის,
არც სიკვდილის,
აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა
სამუდამოდ მაისი!
გულზე სევდა შემომაწვა
თავის მძიმე ლოდებით...
საქართველო გაიჟღინთა
მაყაშვილთა გოდებით...“

— მარო პირველი ქალიშვილი იყო, რომელიც ამ ომს შეეწირა და ის ზღვა ხალხს გაუცილებია უკანასკნელ გზაზე...

– ამ დღის შესახებ ჩემი უფროსი და-ძმის გადმოცემით ვიცი. იმ ავბედით დღეს, მაროსთან ერთად კოჯრიდან 21 ვაჟკაცი ჩამოუსვენებიათ. თავდაპირველად, გმირთა გვამები დიდი მთავრის

ქუჩაზე მდებარე საავადმყოფოს მორგში დაუსვენებიათ. შემდეგ, მაროს ნეშტი ქაშვეთის ეკლესიაში გადაუსვენებიათ, სადაც წირვა აღუვლენია მომავალ კათოლიკოს-პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს. იქიდან სამგლოვიარო პროცესიას სამხედრო ტაძრისაკენ გადაუნაცვლებია, რადგან ამ ტაძრის ეზოში გათხრილ სამარეში უნდა დაეკრძალათ მარო და მასთან ერთად ჩამოსვენებული 21 ვაჟკაცი. სამხედრო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქს, ლეონიდეს აღუვლენია წირვა. ტაძრის იატაკი მთლიანად მოფარდაგებული ყოფილა. მაროს ნეშტი ცენტრში, შემაღლებულ ადგილას დაუსვენებიათ, ვაჟების სასახლეები კი, მის გარშემო იატაკზე განულაგებიათ. ქალიშვილს, სუდარის ნაცვლად, ქართული შინდისფერი დროშა ჰქონია გადაფარებული, რომლის კალთებიც ვაჟთა კუბოებს ეფინებოდა...

მაროსთან ერთად ჩამოსვენებული ვაჟკაცები სამხედრო ტაძრისაკენ მიმავალი ბილიკის პირზე გაჭრილ საძმო საფლავში დაკრძალეს, მარო კი განცალკევებით, ტაძრის გალავანთან დაასაფლავეს.

— რატომ გალავანთან?

— ეს პატივი იყო — გამვლელ-გამომვლელთათვის მისი საფლავი თვალსაჩინო იქნება და ყვავილი არ მოაკლდებაო, — ასე უთქვამთ. გმირი ქალიშვილის დაკრძალვას დასწრებიან: საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და დამფუძნებელი კრების წევრები, ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი და უამრავი მოქალაქე. ნიკო ბერძენიშვილისგან მსმენია, რომ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს მუხლი მოუყრიათ მაროს საფლავთან და ასე დარჩენილან მანამდე, სანამ ქალიშვილის ნეშტი არ მიაბარეს მშობლიურ მიწას. მაროს საფლავთან გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვეს ვალერიან გაფრინდაშვილმა და ტიციან ტაბიძემ. გლოვა რომ საყოველთაო იყო, ამას მაშინდელი გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ განცხადებათა სიმრავლეც ადასტურებს.

— თუ გახსოვთ, სამხედრო ტაძარი და მის ეზოში დაკრძალულ ქართველ გმირთა საფლავები?

— ბავშვობაში დედას მივყავდი მაროს საფლავთან, მაგრამ იქ დიდხანს არ ვჩერდებოდით, რადგან არ შეიძლებოდა. შემდეგ ის საფლავიდან ისე ამოთხარეს, რომ ოჯახისთვის არც შეუტყობინებიათ. საფლავები სამხედრო ტაძრის ნგრევას შეეწირა. მას მერე, დედას იქით აღარც გაუვლია. იმ ადგილას ახლა, მთავრობის სასახლე დგას...

— თქვენ ბრძანეთ, რომ გარკვეულ დრომდე, მაროს პიროვნება თქვენთვის იდუმალებით იყო მოცული. რით იყო ეს განპირობებული?

— 1925 წლამდე, ჯერ კიდევ შეიძლებოდა მაროს შესახებ საუბარი, შემდეგ კი მისი სახელის ხსენებაც კი აკრძალული იყო და მასზე ოჯახშიც კი ნაკლებად ლაპარაკობდნენ. მარო ჩვენთვის გმირად, ბოლშევიკთა მიერ კი — მტრად იყო მიჩნეული. თქვენ ამ დროს არ მოსწრებიხართ — საშინელი პერიოდი გამოვიარეთ. მახსოვს, 1973 წელს, დედაჩემის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით, სტუმრები გვყავდა მოწვეული. ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა შეკრებილთ მაროს შესანდობარის შესმა შესთავაზა. ამდენი ხნის დუმილის შემდეგ, მაშინ ითქვა მაროს მიმართ კეთილი სიტყვები. შემდეგ ეს ბატონი ხშირად ამაყობდა, რომ პირველი იყო, ვინც 48 წლის დუმილი დაარღვია და მაროს სახელი ხმამაღლა წარმოთქვა... 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, რამდენიმე წერილი დაიბეჭდა მაროს შესახებ. 1997 წელს, პოეტმა არჩილ სულაკაურმა, უკვე ნახსენები ბროშურა — „მარო მაყაშვილის დღიური“ გამოსცა, მანამდე ერთი წლით ადრე კი, პოეტმა და ჟურნალისტმა ნანა ღვინეფაძემ ჩემი უფროსი დის ხსოვნას მიუძღვნა წიგნი „შარავანდედი“.

■

საფლავები სამხედრო ტაძრის ნგრევას შეეწირა

ადამიანს ანუ ადამიანურ

მითხარი, ვისთან ხარ, — გეტყვი ვინცა ხარ.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ზოგჯერ ნაკვესი ცოცხალი, ანცი,
უბრალოდ, მარჯვედ რომ იტყვის კაცი,
უფრო ბრძნულია, ვიდრე ის სიტყვა,
მძიმე და ფუჭი, რიხით რომ ითქვა.

ჯორჯ გორდონ ლორდ ბაირონი

გონებასთან არაფერი ისე ახლო არაა, როგორც უნდობლობა საკუთარი თავისადმი.

ბლეზ პასკალი

ჭეშმარიტებას უყვარს კრიტიკა, მისგან მხოლოდ მოგებული რჩება.

დენი დიდრო

ჩვენ დღევანდელ სიძნელეებთან ბრძოლაში ვიყენებთ ზოგიერთ წამიერ უპირატესობას და არ ვიყურებით წინ.

ჰენრი სენტ-ჯონ ბოლინგბროკი

მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია.

შოთა რუსთაველი

იყავი მტკიცე, არ დაკარგო ვაჟკაცობა, თუნდაც უმეცართა სამსჯავრო წამებით დაგემუქროს, განუკითხველად შეეცადოს, მოსპოს შენი კეთილშობილური შრომა.

ჯორდანო ბრუნო

ჩვენ არა გვაქვს უფლება ვისარგებლოთ ბედნიერებით, თუ თვითონვე მას არ ვთესავთ, ისევე როგორც არა გვაქვს ნება ვისარგებლოთ სიმდიდრით, რაც არ დაგვიმსახურებია.

ოსკარ უაილდი

ყველაფრის ცოდნა არავის ძალუძს. საზიანო და სამარცხვინოა დაიჩემო იმის ცოდნა, რაც არ იცი.

ლევ ტოლსტოი

ჰოლივუდის ვარსკვლავი ჰილარი სუონკი ვაშინგტონის შტატის ქალაქ ბელინგემში 1974 წლის 30 ივლისს დაიბადა. ჰილარი ჯერ კიდევ მოზარდი იყო, როცა მისი მშობლები გაიყარნენ. გოგონა პატარაობიდანდვე მისდევდა სპორტს და ამ სფეროში საგრძნობ წარმატებებსაც მიაღწია: იგი ტანვარჯიშში მოზარდებს შორის ჩემპიონიც გახდა; მოგვიანებით კი, ოლიმპიური თამაშების ახალგაზრდულ ნაკრებში მოცურავეებს შორის გამოდიოდა.

„ოსკარისანმა“ ბავშვობის ოცნება აიხდინა

ჰილარი სუონკმა

„ყელსაბამის ამბავი“

ოდესღაც, ჯერ კიდევ სულ პატარა ასაკში გოგონა სტივენ სპილბერგის „უცხოპლანეტელის“ მასობრივ სცენებში მონაწილეობდა. სპილბერგთან გადაღების შემდეგ, რეჟისორი მის კერპად იქცა, კინოვარსკვლავობაზე ოცნება კი, მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად.

16 წლის ჰილარიმ, დიდი ხვეწნის შემდეგ, დედა საცხოვრებლად ლოს-ანჯელესში გადასვლაზე დაიყოლია. დედა-შვილი ძველისძველი მანქანით „ოცნებების ფაბრიკისაკენ“ მიმავალ გზას დაადგნენ. ადგილზე ჩასულებს სულ 75 დოლარი ჰქონდათ; უფულობის გამო ვერც მოტელში გაჩერდნენ და პირველ ხანებში, მანქანაში ათევდნენ ღამეს. „ვიდრე აგენტის ძებნით ვიყავით დაკავებულნი, პრაქტიკულად კაფეში გვიწევდა ცხოვრება“, — იხსენებდა მოგვიანებით სუონკი.

თავდაპირველად, ჰილარი აქტიურად მონაწილეობდა ტელესერიალებისათვის მსახიობების შესარჩევ ტურებში. მისი დებიუტი კინოში 1991 წელს შედგა. იქიდან მოყოლებული, მას რეგულარულად იღებდნენ სერიალების ეპიზოდურ როლებში. სულ მალე პროდიუსერები დარწმუნდნენ, რომ განსაკუთრებული აქტიორული ნიჭით დაჯილდოებულ ახალბედა მსახიობთან ჰქონდათ საქმე და თანდათან სულ უფრო სერიოზულ როლებს აძლევდნენ გოგონას. „ჰარი და ჰენდერსონს“ (1992) მოჰყვა „ბაფი, ვამპირთა გამანადგურებელი“ (1992). ორ წელიწადში სუონკმა თავისი პირველი მთავარი როლიც მიიღო სათავგადასავლო ფილმში — „კიდევ ერთი ლეგენდა კარატეზე“. ჰილარი კარატისტი მარტოხელა გოგონას როლის შესრულებას საკმაოდ სერიოზულად მიუდგა, იგი საათობით ვარჯიშობდა კარატეში და ცდილობდა ილეთების დახვეწას. ფილმი მოზარდთა აუდიტორიისთვის იყო განკუთვნილი და მიუხედავად იმისა, რომ მსახიობმა საკმაოდ შთამბეჭდავი სახე შექმნა, ამ როლს მისთვის დიდი პოპულარობა არ მოუტანია. შემდგომ წლებში ჰილარი ნაკლებად ცნობილ კინო და ტელეფილმებში მონაწილეობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ბედმა გაუღიმა და ახალგაზრდულ სერიალში — „ბევერლი-ჰილზი 90210“ — მარტოხელა დედის როლი შესთავაზეს, რომლის შესრულებამაც მსახიობს დიდხანს ნანატრი პოპულარობა მოუტანა. ჰილარი აგრეთვე მონაწილეობდა ფილმებში: „ზოგჯერ ისინი ხელახლა ბრუნდებიან“ (1995), „საშინელება ოჯახში“ (1996), „ყალბი ფულისმჭრელები“ (1996).

მიუხედავად სერიალებში მოპოვებული პოპულარობისა, დიდ კინოში ჰილარი სუონკს არავინ იცნობდა. ასე რომ, მას ჰაერივით სჭირდებოდა როლი, რომელიც მისი ტალანტის გამობრწყინებას შეუწყობდა ხელს. სულ მალე ამის შესაძლებლობაც მიეცა...

რეჟისორი კიმბერლი პირსი რამდენიმე წლის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობს ფილმისათვის — „ბიჭები არ ტირიან“. სცენარის მიხედვით, მთავარი გმირი გახლდათ ტინა მერი ბრენდონი — გოგონა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე საკუთარ თავს ბიჭად აღიქვამდა. იგი მოკლედ იკრეჭდა თმას, საკუთარ თავს ბრენდონს უწოდებდა და ბიჭად გადაცმული მხიარულად ატარებდა დროს ბარებში, სადაც ხშირად, არც ხელჩართულ ჩხუბს არიდებდა თავს. მას ერთი გოგონაც კი შეუყვარდა და მტკიცედ გადაწყვიტა სქესის შეცვლა. ქირურგიული ოპერაციისთვის ფულსაც აგროვებდა, მაგრამ საკუთარი ოცნების განხორციელება არ დასცალდა — იგი მოკლეს.

როგორც ხედავთ, რეჟისორს ამ როლზე ფრიად არაორდინარული ტიპაჟი სჭირდებოდა და სწორედ ამიტომ გაუჭირდა მისი პოვნა. ამ როლზე ასობით მსახიობი გაისინჯა, მაგრამ კიმბერლი პირსი არც ერთმა მათგანმა არ დააკმაყოფილა, რადგან ისინი მეტისმეტად ქალურები იყვნენ. მან ტრანსსექსუალებსა და ლესბოსელებსაც გადაუღო სინჯები, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა, რადგან არც ერთმა მათგანმა კამერის წინ თავის დაჭერა არ იცოდა.

ამ როლის თამაში ჰილარის იმდენად სურდა, რომ საკუთარი ხარჯით აიღო ბილეთი და ნიუ-იორკში მიმდინარე სინჯებზე გადაფრინდა (ფილმის მცირე ბიუჯეტის გამო, რომელიც სულ 1,7 მლნ დოლარს შეადგენდა, გადამღები ჯგუფი ყველაფერზე ეკონომიას აკეთებდა). ვიდრე რეჟისორისა და პროდიუსერების წინ წარდგებოდა, სუონკი მეუღლის ტანსაცმელში გამოწყო (ის 1997 წლის ორ ოქტომბერს ცოლად გაჰყვა ტელე და კინოვარსკვლავს — ჩედ ლოუს, რომელიც „ჰოლივუდის მშვიდი დღეების“ გადაღებებისას გაიცნო), ჯინსის უბეში წინდები ჩაიტენა, თავზე კოვბოური შლაპა დაიხურა და ასეთი სამასკარადო კოსტიუმით გამოცხადდა სტუდიაში. „მთავარი გმირის შემსრულებლის პოვნა ჩვენი უმთავრესი ამოცანა გახლდათ, — ამბობს პროდიუსერი ჯეფრი შარპი. — მაგრამ ყოველგვარი ეჭვი გაგვეფანტა, როცა ჰილარი სუონკი ნიუ-

იორკში ჩამოფრინდა და სინჯებზე გამოცხადდა. ჩვენი ოფისის ვესტიბიულში მან თავისი გრძელი თმა კოვბოური შლაპის ქვეშ დამალა და რეგისტრატორის წინაშე წარდგა. რეგისტრატორმა ოთახის კარი შემოაღო და გაკვირვებულმა გვითხრა, რომ სინჯებზე ვიღაც ყმაწვილი იყო მოსული. სხვათა შორის, გადამწყვეტი როლი სწორედ ამ გაუგებრობამ ითამაშა და ჩვენ სუონკი მთავარი გმირის როლზე დავამტკიცეთ".

ამ როლის მისაღებად, ჰილარიმ არც ტყუილზე დაიხია უკან – მან იცრუა, რომ 21 წლის იყო (გადამღებ ჯგუფს ასეთი მოთხოვნა ჰქონდა), დაიბადა იმავე შტატში, იმავე ქალაქსა და იმავე საშობიაროშიც კი, რომელშიც მისი მომავალი პერსონაჟი, ტინა-ბრენდონი. „ბრენდონიც ხომ ჩემს ადგილზე, სწორედ ასე მოიქცეოდა!" – აცხადებდა მოგვიანებით მსახიობი. სინამდვილეში ჰილარი იმხანად 25 წლის იყო.

რეჟისორმა მოითხოვა, რომ როლის მოსარგებად სუონკს ერთი თვე მამაკაცის ცხოვრებით ეცხოვრა. ჰილარიმ კიმბერლი პირსის მოთხოვნა პირნათლად შეასრულა – მას მიეცა იშვიათი შანსი იმისა, რომ საწინააღმდეგო სქესის ცხოვრებით ეცხოვრა და მსახიობს ეს შანსი ხელიდან არ გაუშვია. სუონკმა აიოვას შტატიდან თავისი ბიძაშვილი დაიბარა, რათა იქაურ აქცენტს დაუფლებოდა; მსახიობი ექვსი კვირის განმავლობაში ხმის ტემბრს იყენებდა; პარალელურად მწვრთნელთან ვარჯიშობდა, რომელიც მას მუსკულატურის განვითარებაში ეხმარებოდა. ყოველივე ამის შემდეგ, ჰილარიმ თმა მოკლედ გაიკრიჭა (და მაშინვე მეთ დეიმონის ორეულად იქცა), მკერდი დოლბანდით გაიკრა... საზოგადოებაში მოხვედრისას, მამაკაცად გარდასახული ჰილარი, მეუღლეს – ჩედ ლოუს უფროს ძმად წარადგენდა, ზოგ შემთხვევაში – უერთგულეს მეგობრად. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩედი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მისტერ ჯეიმსის მოფერებისათვის დააპატიმრეს. ცოლ-ქმარს პოლიციის განყოფილებაში მოუხდა იმის მტკიცება, რომ მისტერ ჯეიმსი სინამდვილეში ჩედის კანონიერი მეუღლე გახლდათ, რომელიც მსახიობი იყო და არატრადიციული როლისათვის ემზადებოდა... „ადამიანები, რომლებთანაც იმხანად შეხვედრა მიხდებოდა, ბიჭად აღმიქვამდნენ და შესაბამისად განსხვავებულად მექცეოდნენ – ანუ როგორც ქალს კი არა, როგორც მამაკაცს. უნდა ვაღიარო, რომ ეს ყველაფერი ბრენდონის გმირის მსოფლმხედველობის წვდომაში დამეხმარა, თანაც ყოველივე მხოლოდ გადასაღებ მოედანზე კი არა, ჩემს პირად ცხოვრებაში ხდებოდა".

ტინა-ბრენდონის როლი ჰილარი სუონკის კარიერაში დიდი, წინ გადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა. მან ერთი პიროვნების შიგნით არსებული ორი სხვადასხვა ადამიანის სახის შექმნის რთულ ამოცანას, ბრწყინვალედ გაართვა თავი. ეკრანებზე ფილმის გამოსვლის შემდეგ, კრიტიკული სტატიების უჩვეულოდ აღტაცებულმა ტონმა ჰილარი დააფრთხო: „როცა ხედავ, რაოდენ ბუნებრივად და მსუბუქად ახერხებს სუონკის გმირი მამაკაცად გარდასახვას, ძალაუნებურად გებადება კითხვა მისი ქრომოსომების შემადგენლობის თაობაზე..." ყველაზე მეტად კი მსახიობი იმან გააოგნა, როცა გადაღებების დასრულების მეორე დღეს, ჩვეულებისამებრ ქალის სამოსში გამოეწყო, შეიღება და სხვაგან წასვლა დააპირა, სარკეში ჩახედვისას საკუთარი თავი ტრანსვესტიტს მიამსგავსა... თავზარდაცემულმა სასწრაფოდ იღლიები გაიპარსა, ეპილაცია გაიკეთა, წარბები ამოიქნა და ორი თვის განმავლობაში მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი არ გაუხდია, რათა ქალური სიარულის ჩვეული მანერა დაებრუნებინა.

ბრენდონ-ტინას როლი ჯერჯერობით მსახიობის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა – ამ ფილმში შექმნილი სახისათვის სუონკმა ათამდე სხვადასხვა პრემია მიიღო; მათ შორის „ოქროს გლობუსი" და კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო – „ოსკარი". ფილმის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, მსახიობს მიანიჭეს Sho West-ის პრემია, როგორც ყველაზე იმედის მომცემ ვარსკვლავს. იმავე წელს გამოვიდა რეჟისორ სემ რეიმის სურათი – „საჩუქარი", სადაც ჰილარის პარტნიორები იყვნენ ჰოლივუდის ვარსკვლავები – კეიტ ბლანშეტი და კიანუ რივზი. ფილმში სუონკმა მეორეხარისხოვანი როლი შეასრულა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკამ კი-



„ბიჭები არ ტირიან"

ნოსურათს დადებითი შეფასება მისცა და სხვათა შორის, ეს ფილმი „ოსკარზეც" იყო ნომინირებული.

ცოტა ხნის წინ, ჰილარის მონაწილეობით ეკრანებზე კიდევ ერთი საინტერესო ფილმი გამოვიდა – „ყელსაბამის ამბავი", სადაც მსახიობი სრულიად ახალ ამპლუაშია – იგი XVIII საუკუნის ღარიბი ფრანგი არისტოკრატ-ავანტიურისტის როლს ასრულებს.

მსახიობის ერთ-ერთი ბოლო ფილმია კრისტოფერ ნოლანის „უძინარნი" (2002), სადაც ის იდეალისტი დეტექტივის როლს ასრულებს. ამ სურათში მსახიობს პარტნიორობას უწევდნენ ალ პაჩინო და რობინ უილიამსი.

ახლა კი, ჩამოგითვლით იმ ხუთ ძირითად ნიშან-თვისებას, რომლითაც აგრერიგად გამოირჩევა ჰილარი სუონკი:

- მის ძარღვებში ესპანელის, ინდოელისა და ინგლისელის სისხლი ჩქეფს;
- შინ ჰყავს თუთიყუში, კატა და რამდენიმე ძაღლი. 2001 წლის 11 სექტემბრის ავბედითი მოვლენების შედეგად უპატრონოდ დარჩენილი ცხოველებისათვის ჰილარიმ და დრიუ ბერიმორმა ჩამოაყალიბეს დახმარების ფონდი;
- მსახიობის აზრით, მისი სხეულის ყველაზე ქალური ნაწილი – უკანალია;
- „ბიჭები არ ტირიან"-ში შესრულებული როლისათვის მსახიობის ჰონორარი 3.000 დოლარს შეადგენდა; ყელსაბამის ფასი, რომელიც ჰილარის „ოსკარების" გადაცემის ცერემონიაზე ცნობილი საიუველირო ფირმის სარეკლამოდ ეკეთა, 280 ათასი დოლარი იყო;
- როცა ჰილარის, „ოსკარს" გადასცემდნენ, მისი მეუღლე ტიროდა; თავად სუონკი – არა.

■

ეფენბერგი სკანდალურ წიგნს უშვებს



უახლოეს მომავალში, „ბავარიისა“ და გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველის, შტეფან ეფენბერგის ავტობიოგრაფიული წიგნი გამოვა, სადაც იგი მკითხველს დაწვრილებით მოუთხრობს თავის სკანდალურ კარიერაზე. გერმანული გამოცემის, Bild-ისათვის მიცემულ ინტერვიუში 35 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, რომ წიგნში უაღრესად გულწრფელად დაწერა ყველაფრის შესახებ, რაც კი მის ცხოვრებაში მომხდარა. „ანგელოზი არასოდეს ვყოფილვარ, – ამბობს შტეფანი. – ალკოჰოლი, ნარკოტიკები და სექსი – ამ წიგნში უყურადღებოდ არაფერი დამიტოვებია. ალბათ ბევრ მკითხველს ჩემი წიგნი არ მოეწონება და შეიძლება, ზოგიერთი შოკირებულიც კი დარჩეს. თუმცა ყველას ვარწმუნებ, რომ ეს ყველაფერი სრული სიმართლეა“. გარდა ამისა, ეფენბერგი მკითხველს ჰპირდება, რომ გამოცემა სახელწოდებით Ich hab's allen gereigt („მე ყველაფერი მოვყევი“) ილუსტრირებული იქნება „ბავარიის“ ყოფილი მოთამაშის, ტომას შტრუნცის ცოლის, კლაუდიას ეროტიკული ფოტოსურათებით. ტომასმა ცოლის ღალატის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც შემთხვევით წაიკითხა კლაუდიას მობილურ ტელეფონში შტეფანის შეტყობინება. შეგახსენებთ, რომ ეფენბერგმა ბოლო დროს, ბუნდეს-ლიგის ყველაზე სკანდალური ფეხბურთელის სახელი დაიმკიდრა. ორი წლის წინ, მან ერთ-ერთ ღამის კლუბში ინგლისელი გოგონა სცემა, შარშან კი, ხმაურიანად გაეყარა მეუღლეს. ამის შემდეგ, ეფენბერგმა მოულოდნელად, გუნდის მწვრთნელთან, იურგენ რიობერთან უთანხმოების გამო გაწყვიტა კონტრაქტი „ვოლფსბურგთან“. შტეფანმა განაცხადა, რომ ამიერიდან, ბუნდეს-ლიგის არც ერთ კლუბში აღარ ითამაშებს, რადგან საფეხბურთო კარიერის კატარში გაგრძელებას აპირებს.

ვიეტნამში «ურჩი» მეკარე დასაჯეს

აზია ყოველთვის გამოირჩეოდა თავისებურებებით, რამაც სპორტშიც პოვა ასახვა. მაგალითად, სპორტული სამყაროს „მოუთვინიერებელ“ წარმომადგენლებს არცთუ ისე იშვიათად, საშინელი მეთოდებით უსწორდებიან, მით უმეტეს, თუ საქმე ფულს ეხება, რისთვისაც პლანეტის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული კონტინენტის მკვიდრნი ნამდვილად არაფერზე დაიხევენ უკან. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვიეტნამი, სადაც საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ჩრდილოვანი ბიზნესი და ფულის არაკანონიერი გზით, ხშირად კი – უსამართლო და დაუნდობელი მეთოდებით შოვნა. ამას წინათ, კლუბ „დანანგის“ გოლკიპერი, ვინმე დო ნგოჰ ტჰე გახარებული იღებდა გულშემატკივართა მილოცვებს „სონგ ლამ ნგჰეზე“ ანგარიშით 1:0 გამარჯვების გამო, რის შემდეგაც, იგი მეგობრებთან ერთად ადგილობრივ რესტორანში გაეშურა, სადაც მუდამ მრავლადაა ფეხბურთის ქომაგი. იქ კი, მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. როგორც ადგილობრივი პოლიცია იუწყება, ტჰესა და მის მეგობრებს შეკამათება მოუხდათ რესტორანში მყოფ ერთ-ერთ ჯგუფთან, რომელშიც ამ დაწესებულების ორი მფლობელიც იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ რესტორანში თურმე არალეგალური საფეხბურთო ტოტალიზატორი მოქმედებდა, რის შესახებაც „დანანგის“ მეკარესა და მის მეგობრებს არ შეიძლებოდა, რომ არ სცოდნოდათ. შეკამათებაც სწორედ ხსენებული მატჩის გამო მოხდა. ტოტალიზატორის მფლობელებს სურდათ, რომ ის ანგარიშით 1:1 დასრულებულიყო და განრისხებულები იყვნენ დო ნგოჰ ტჰეზე, რომელმაც გოლი არ გაუშვა... რესტორანში მომხდარი შეხლა-შემოხლის შემდეგ, დანანგის პოლიციამ ტჰეზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი 18 კაცი დაიკავა. ჩხუბის დროს, მეკარე ავტომატ AK47-ის ხიშტით დაჭრეს: ის კომაში ჩავარდა. როგორც ჩანს, ბუკმეკერებმა გადაწყვიტეს, „დანანგის“ მეკარისათვის ჭკუა ესწავლებინათ, რათა მან მომავალში მაინც აღარ შეუშალოს ხელი ჩრდილოვანი ბიზნესის წარმომადგენლებს.

ბოსნიჩს კოკაინზე წაასწრეს

კოკაინის ხმარებისათვის ავსტრალიელ მეკარეს, მარკ ბოსნიჩს ცხრათვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მას შემდეგ, რაც ბოსნიჩს 2002 წლის დეკემბერში, დოპინგ-ტესტის დროს, სისხლში კოკაინი აღმოუჩინეს, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ფეხბურთელი ნარკოტიკების მოხმარებაში დაადანაშაულა. თავად ავსტრალიელი მეკარე ამტკიცებს, რომ ალკოჰოლური სასმელი, რომელსაც იგი მიირთმევდა, არავითარი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი არ ყოფილა და თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას ეცდება. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება ორდღიანი სხდომის შემდეგ მიიღო. მარკ ბოსნიჩს ბრალი დასდეს უმართებულო საქციელსა და დოპინგ-კონტროლის ინსტრუქციის დარღვევაში, თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ „ჩელსიში“, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ასტონ ვილაში“ სხვადასხვა დროს მოთამაშე გოლკიპერის ცხრათვიანი დისკვალიფიკაციით დასჯა, უმკაცრესი განაჩენი ნამდვილად არ ყოფილა – სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ბოსნიჩი მთელი ორი წლით მოეწყვიტათ ფეხბურთისათვის. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენლის განცხადებით, დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა 23 დეკემბრიდან დაიწყო, როდესაც ავსტრალიელ მეკარეს სისხლში ნარკოტიკული ნივთიერების კვალი აღმოუჩინეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მარკს 2003 წლის 23 სექტემბერს კვლავ შეეძლება საფეხბურთო მინდორზე გამოსვლა. ამასთანავე, ფეხბურთელს ფულადი ჯარიმის გადახდა არ დაეკისრა, თუმცა იგი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის კომისიას იმ 10 ათას გირვანქა სტერლინგს აუნაზღაურებს, რომელიც მისი საქმის გამოძიებისას დაიხარჯა. გარდა ამისა, მარკ ბოსნიჩი ინგლისის საფეხბურთო პრემიერლიგაში თავისი უკვე ყოფილი კლუბის „ჩელსის“ გადაწყვეტილების გასაჩივრებასაც აპირებს: საქმე ის გახლავთ, რომ ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობამ ინციდენტის შემდეგ, ავსტრალიელ მეკარესთან კონტრაქტი გაწყვიტა. ■

თავისუფალი მოძრაობა გლუკოზამინთან ერთად

რა არის გლუკოზამინი? თუ თქვენ გაწუხებთ სახსრები, აუცილებლად გაგონილი გექნებათ მის შესახებ, ზოგიერთი საკუთარ თავზეც გამოცდიდა მის ეფექტს. გლუკოზამინი ნატურალური საკვები დანამატია, რომელიც ხელს უწყობს სახსარშიდა სითხისა და მყესების რეგენერაციის პროცესს, ამცირებს შეშუპებას, რომელიც გარდაუვალია ანთებითი პროცესის დროს, ამცირებს ტკივილებს. მისი მაღალეფექტურობა კლინიკურად აპრობირებულია.

რა პრივილეგია აქვს გლუკოზამინის ახალ ფორმულას?

გლუკოზამინის ახალი ფორმულა კომბინირებულია მეთილ სულფონილ მეთილთან, რითაც მისი ეფექტურობა ორმაგდება. გლუკოზამინი არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს! ეს პრობლემა ნაცნობია მათთვის, ვინც დაავადებულია სახსრების ანთებით. ამ დაავადების დროს პირველი რიგის პრეპარატია არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტები, უმრავლეს შემთხვევაში აუცილებელი ხდება სტეროიდების დანიშვნაც, ისინი კი იწვევენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანის ძლიერ გაღიზიანებას. სახსრის ტკივილებს ემატება გულძმარვა, სიმძიმის შეგრძნება კუჭის არეში, დიარეა.

რატომ არ აღიზიანებს გლუკოზამინი კუჭ-ნაწლავის ტრაქტს?

პასუხი შემდეგში მდგომარეობს: გლუკოზამინის ახალი ფორმულის შემადგენლობაშია ისეთი მცენარეული ბოჭკოები, რომლებიც საჭმლის მომნელებელ ტრაქტში მოხვედრისთანავე ტაბლეტის გარშემო ქმნიან ჟელესებრ პროტექტორს, რაც აფერხებს ტაბლეტის უშუალო კონტაქტს ლორწოვანთან. გამომდინარე აქედან, ამ პრეპარატის მიღება შეიძლება დღის ნებისმიერ დროს, კვებისგან დამოუკიდებლად. მისი ხანგრძლივი მიღებაც კი სრულებით უსაფრთხოა.

როგორია გლუკოზამინის შემადგენლობა?

მის პირველად ინგრედიენტებს წარმოადგენს:

გლუკოზამინის სულფატი — 750 მგ

მეთილ სულფონილ მეთანი — 750 მგ

სხვა ინგრედიენტები:

ცელულოზა

გლიცერინი

მალტროდექსტრინი

მოდიფიცირებული მცენარეული წებოვანა

სტეარინის მჟავა

ვინ და როგორ უნდა მიიღოს გლუკოზამინი?

პრეპარატი შვებას მოუტანს მათ, ვინც დაავადებულია ართრიტით, ართროზით, ოსტეოქონდროზით, სახსრებში შეზღუდული მოძრაობით და ტკივილებით. ეფექტურია სპორტსმენებისთვისაც, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მიღებული აქვთ ტრავმები. დაბოლოს, სასარგებლოა ყველა ჩვენგანისათვის, ის ხომ ორგანიზმზე ზოგადგამაჯანსაღებელ ზემოქმედებას ახდენს.



მიიღეთ დღეში ორჯერ 2-2 ტაბლეტი წყალთან ერთად.

გააჩნია თუ არა გლუკოზამინს გვერდითი არასასურველი მოქმედებები?

არა, მას არანაირი გვერდითი ეფექტები არ გააჩნია. მისი მიღება შესაძლებელია დღის ნებისმიერ დროს, კვებისაგან დამოუკიდებლად.

რამდენი ხანი მივიღოთ გლუკოზამინი?

აღასანიშნავია, რომ მისი ეფექტი იზრდება დროთა განმავლობაში. ამიტომ სასურველია მისი მიღება მინიმუმ 2 თვის მანძილზე, შემდეგ მისი მიღების ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის.

შეიძლება თუ არა ამ პრეპარატის მიღება ჰიპერტონიკებისათვის?

პასუხი დადებითია. მისი მიღება სრულიად უსაფრთხოა მათთვის, ვისაც აწუხებს მაღალი წნევები, რადგან პრეპარატი არ შეიცავს ნატრიუმს. ნატრიუმის იონი ხელს უწყობს ორგანიზმში წყლის შეკავებას. გლუკოზამინის შემადგენლობაშია კალიუმის ქლორიდი (და არა ნატრიუმის) , ამიტომ ორგანიზმი დაცულია ჭარბი სითხის შეკავებისაგან, რაც ესოდენ უარყოფით გავლენას ახდენს მაღალწნევიან პაციენტებზე.

სად შევიძინოთ გლუკოზამინის ახალი ფორმულა?

პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში დაგეხმარებიან ექიმი-კონსულტანტები.

აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ ინოლტრა უკვე საჩუქართან ერთად.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

„ნუტრიმენტ ჰაუსი“,
მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები:
ყოველდღე 10.30 - 18.00,
კვირას 10.30 - 14.00
www.shopge.com

®

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-18

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

მომავალი ჟურნალისტი დეა ავალიანი პატიმარი ძმის — თემოს სანახავად ციხეში მიდის. და-ძმას ლოგინად ჩავარდნილი დედა ჰყავს. დეა და თემო გადაწყვეტენ, რომ თავიანთი კერძო სახლის ზედა სართული დააგირავონ, რათა დედის სამკურნალოდ საჭირო სახსრები ჰქონდეთ. თემოსთან პაემნის დროს დეა, შემთხვევით, კანონიერ ქურდ გიგოლას გაიცნობს, რომელიც ქალიშვილს მაშინვე თვალს დაადგამს. იმავე საღამოს, თავისი თავქარიანი მდგმურის — ლონდას წყალობით, დეა რესტორანში ამოყოფს თავს, სადაც ლონდას ბავშვობის მეგობარს, ახალგაზრდა კაცს — გურამს გაიცნობს. დეა გურამს გულში ჩაუვარდება. წვეულების დროს, დეა, თავისდა გასაოცრად, იმასაც აღმოაჩენს, რომ მოქეიფეებს შორის გიგოლაცაა... დეათი მოხიბლული გურამი ძალიან ნანობს, რომ მეორე დღეს საქართველოდან კარგა ხნით მიდის. წასვლამდე ის დეას წერილს გამოუგზავნის. კონვერტში, წერილთან ერთად, დეა ოქროს მედალიონსა და ფულსაც აღმოაჩენს... დეასთვის ფულით დახმარების გაწევას გიგოლაც ეცდება, რომელიც მას დედისთვის კარგი ექიმის მოყვანასაც შეეჰირდება...

დეა გაზულუქებული თანაკურსელის — კახა ჯღარკავასა და ვილაც ბიჭის კონფლიქტის უნებლიე მომსწრე გახდება. ის ბიჭი დეას ძმის თანაკლასელი გიორგი აბრამიძე აღმოჩნდება.

მეორე დღეს რედაქციაში, სადაც დეა სწავლის პარალელურად მუშაობს, თანაკურსელი ანა მხეიძე მას საშინელ ამბავს მიუტანს: კახა ჯღარკავამ უნივერსიტეტის წინ ბიჭი მოკლაო. კახაზე თავდავიწყებით შეყვარებული ანა დეას ეავედრება, მისი საწინააღმდეგო ჩვენება არ მისცეო, მაგრამ დეა გამომძიებელს, რომელიც, მანამდე თურმე თემოს საქმესაც იძიებდა, მაინც ეტყვის: კონფლიქტი მთლიანად ჯღარკავასგან წარმოიშვაო. იმავე საღამოს ავალიანებს შინ კახას მამა — სკანდალურად ცნობილი პარლამენტარი გიზო ჯღარკავა, ცოტა ხანში კი, მისი კოხტაპრუწა ცოლი, თინიკოც ესტუმრებიან. გიზო ელენესთან პირისპირ სალაპარაკოდ განმარტოვდება, თინიკო კი, ამასობაში, დეას ახვევს თავბრუს: ჩემს კახუჩელას ძალიან უყვარხარ და მალე ალბათ ცოლადაც მოგიყვანსო... ელენე გიზო ჯღარკავას შავბნელ წარსულს კარგად იცნობს, ამიტომ შეეჰირდება: დეას შენი შვილის საწინააღმდეგო ჩვენებას უკან გამოვატანინებო. კმაყოფილი ჯღარკავები ავალიანების ოჯახს ტოვებენ. დედის საქციელით გაოგნებულ დეას, მოულოდნელად, მეზობლის პატარა ბიჭი ვარდების უზარმაზარ თაიგულს შემოუტანს: ვილაც ბიძიამ გამომატანა, თავად კი ჭიშკართან გელოდებაო. ეზოში გავარდნილ დეას, ჭიშკართან დოინჯშემოყრილი გიგოლა დახვდება...

დეას დანახვისთანავე, გიგოლა მანქანას მოსცილდა და ორ ნაბიჯში ქალიშვილის წინ გაჩნდა:

— გამარჯობა, დეა, როგორა ხართ?

— გმადლობთ, არა მიშავს... — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად უპასუხა დეამ, თუმცა, ხმაც და მთელი სხეულიც მაინც ციებიანივით აუკანკალდა. — თქვენ როგორ ბრძანდებით?

— ბრძანებამდე ბევრი მიკლია... აი, როგორც შეგეპირდით, დედათქვენს ექიმი მოვუყვანე, პროფესორი ინწკირველი... შეიძლება, გსმენიათ კიდეც მის შესახებ...

— დიახ, რა თქმა უნდა... — მაშინვე გამოცოცხლდა დეა. — ინწკირველს ვინ არ იცნობს?.. ამ ცოტა ხნის წინათ, მისგან ინტერვიუს აღებაც მინდოდა, მაგრამ ბატონმა ირაკლიმ ვერაფრით მოიცალა...

— შემიძლია, დაგამშვიდოთ: ახლა დედათქვენისთვისაც საფუძვლიანად მოიცლის და თქვენთვისაც...

ამ სიტყვების შემდეგ გიგოლამ დეას თავი მოწიწებით დაუკრა, შემდეგ პირი ისევ ჭიშკრისკენ იბრუნა და მანქანაში ვიღაცას ხელი დაუქნია. მანქანის კარი მაშინვე გაიღო და იქიდან ჭოკივით მაღალი და წვრილი, ხანში შესული სათვალიანი მამაკაცი გადმოვიდა...

— აი, ესეც ჩვენი ირაკლი, — პროფესორს მხარზე ხელი შინაურულად მოუთათუნა გიგოლამ და შემდეგ ოდნავ დეასკენ უბიძგა: — ეს კი ქალბატონი დეა გახლავთ, ჩვენი თემოს დაიკო.

პროფესორმა დეას ჯერ ბეცი თვალები შეანათა, შემდეგ კი ბავშვივით ალალად გაუღიმა:

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ქალიშვილო, ძალიან...

— ჩემთვისაც... — პროფესორს ხელი მეგობრულად გაუწოდა დეამ.

— ვიცოდი, რომ თემოს მშვენიერი დაიკო ეყოლებოდა, მაგრამ ნანახმა, მაინც, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, — ისევ ხოტბად დაიღვარა ინწკირველი.

— ბატონო ირაკლი, თემოს საიდან იცნობთ? — დაინტერესდა დეა.

— საიდან?.. — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა დაბნეულმა პროფესორმა. — საიდან და ბატონმა გიგოლამ გამაცნო... — შემდეგ კანონიერ ქურდს აშკარად შიშით გადახედა.

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა დეამ და დადუმდა...

— შენი არ მიკვირს, ირაკლი? ამისთანა მშვენიერ ჟურნალისტს ინტერვიუზე უარი როგორ უთხარი? — საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა გიგოლამ.

— რომელ ინტერვიუზე? — გაოცება ვერ დამალა ირაკლიმ. — მე ნამდვილად არაფერი ვიცი...

— თავს ნუ ისაწყლებ... — ბავშვივით დატუქსა ირაკლი გიგოლამ. — დიდმა კაცებმა სულ ეგრე იცით. ჩვენისთანა უბრალო მოკვდავებისთვის თქვენს მაღალ ყურადღებას ვერაფრით იმეტებთ... სამაგიეროდ, ახლა ორმაგად დაგსჯით: ჯერ დეას დედიკოს გასინჯავ საგულდაგულოდ, შემდეგ კი ერთი კაი ინტერვიუც შენზე იქნება...

— იყოს, ბატონო... უარს ვამბობ თუ რა? — მაშინვე დაეთანხმა ირაკლი.

— იტყვი და შენი აჯობებს! — თავის მუქარაზე თავადვე გაეღიმა გიგოლას და მისმა შემხედვარე დეამ, თავისდა გასაოცრად, ისიც დააფიქსირა, რომ ამ კაცს, რომელთ-

ანაც ყოველი შეხვედრა პანიკურ შიშს ჰგვრიდა, საოცრად მიმზიდველი ღიმილი ჰქონდა.

გიგოლას ხუმრობას უხერხული პაუზა მოჰყვა, რომელიც შემდეგ დეამ დაარღვია და მამაკაცები შინ შეიპატიჟა. გიგოლამ კარის ზღურბლს მაშინვე დარდიმანდულად გადაბიჯა, ირაკლიმ კი, ჯერ ტილოზე ფეხი გულმოდგინედ გაიწმინდა, მერე სათვალე გაისწორა და ნაბიჯი წინ მხოლოდ ამის შემდეგღა წადგა. დეა ორივეს სასტუმრო ოთახში შეუძღვა და მაგიდასთან მდგარი სკამები გამოსწია:

— დაბრძანდით. მე ერთი წუთით დაგტოვებთ, — ჩაილაპარაკა მან და, თან, ოთახს თვალი გულმოდგინედ მოავლო, მაგრამ ეტყობა, რასაც ეძებდა, ვერსად დაინახა, ამიტომ, გულზე მზრუნველად მიხუტებული თაიგული პირდაპირ მაგიდაზე დადო და თავად დედასთან, საძინებელში გავიდა.

— საინტერესოა, ახლა ვინღა დაგვაფასა? ვის ეპატიჟებოდი? — ჰკითხა ელენემ ოთახში შესულ ქალიშვილს.

— ვის და ფრიად საპატიო სტუმრებს, უფრო სწორად — სტუმარს...

— რომელ სტუმარს?.. დღეს, რა, ყველამ ჩვენთვის მოიცალა? ბოლოს და ბოლოს, სახლია ეს თუ „პრახადნოი დვორი“? — ხმა გაიმკაცრა ელენემ.

— ცოტა ხმადაბლა, არ გაიგონონ... — უთხრა დეამ ჩურჩულით, შემდეგ საწოლიდან ჩამოცურებული საბანი ასწია და გულმოდგინედ დაუწყო ამოკეცვა.

— მოეშვი მაგ საოხრე საბანს და წესიერად გამაგებინე, ვინ არიან? — თავად ჩურჩულზე გადავიდა ელენე.

— ვინ და პროფესორი ინწკირველი, — მოჩვენებითი სიმშვიდით უპასუხა დეამ.

— ინწკირველი?

— ჰო, ინ-წკირ-ვე-ლი, — დაუმარცვლა პროფესორის გვარი დეამ.

— კიდევ?

— კიდევ... გიგოლა...

— ასეც ვიცოდი... — თავში ხელი გამეტებით შემოიკრა ელენემ. — ასეც ვიცოდი...

— რა იცოდი, რა?.. თემოს გამოუგზავნია შენთან... უთხოვია, რომ...

— ტყუილს თავი დაანებე! — გააწყვეტინა ელენემ.

— თუ არ გჯერა, შენ თვითონ ჰკითხე. წელან მითხრა, შენს ძმას კარგად ვიცნობ, არაჩვეულებრივი ბიჭიაო.

— რას მეუბნები?.. მერედა, რატომ არ ჰკითხე, პროფესორი კაცი პატიმარს, თანაც, ლაწირაკს, საიდან იცნობო?

— არ მიკითხავს და არც მაინტერესებს, — იცრუა დეამ.

— სამაგიეროდ, მე მაინტერესებს!

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! შემოგიყვან და შენ თვითონ ჰკითხე ყველაფერი.

— მაგის ფეხი არ ვნახო აქ! — საბანი ცალი ხელით თავისკენ აქაჩა და გულზე გულმოდგინედ გადაიფარა ელენემ.

— დედა, გეხვეწები, ნუ ბავშვობ... ინწკირველი შენ უბრალო ექიმი ხომ არ გგონია? იცი, რამხელა რიგი უდგას?.. ხომ გიყვებოდი, ერთხელ, ინტერვიუს ასაღებად, მის კაბინეტთან სულ ტყუილად რომ დავაღამე?.. შენ კი, ამხელა კაცი აქეთ გეახლა, — მიმსახურეო და უარს ეუბნები?

— მე მაგას კი არა, მაგის მომყვანს ვეუბნები უარს. სად გამოვყო თავი? ვის ვუთხრა, რომ ყაჩაღმა კარზე პროფესორი მომაყენა-მეთქი?

— ვისაც გინდა და რაც გინდა, ის უთხარი. ახლა კი გავალ და ინწკირველს შემოგიყვან... სირცხვილია, მართლა აქ ხომ არ დავაღამებინებთ?

— რა გაეწყობა, შემოიყვანე... — ხელი უმწეოდ ჩაიქნია ელენემ. — დანარჩენი მერე ვნახოთ...

— ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება... — დააშვიდა დეამ ელენე და პროფესორის შემოსაყვანად გავიდა.

— მოგესალმებით, ქალბატონო, — თავი დაუკრა ელენეს, ოთახში შემოსულმა პროფესორმა და სკამზე საქმიანად ჩამოჯდა. — აბა ვნახოთ, რა გაგჭირვებიათ?.. რაშია საქმე?

— ბატონო ირაკლი, ამ რამდენიმე თვის წინ, დედას ძალიან სერიოზული სანერვიულო შეხვდა და... — დაიწყო მოყოლა დეამ, მაგრამ ირაკლიმ გააწყვეტინა:

— დეა, ჩემო გოგონი, იქნებ, ცოტა ხანს მარტო დაგვტოვოთ?

— მარტო? — დაიბნა დეა. — დიახ... რა თქმა უნდა... მაგრამ...

— ნუ გეშინიათ, — ცხვირის წვერთან ჩამოჩოჩებული სათვალე საჩვენებელი თითით გაისწორა პროფესორმა, — თქვენს დედიკოს ნამდვილად არაფერს დავუშავებ...

— გადი, შვილო, — ამოიოხრა ელენემ, — თუ დამჭირდები, დაგიძახებ.

დეა ოთახიდან მაშინვე გამოვიდა და გაღიზიანება რომ დაეფარა, მაგიდასთან თავდახრილი ჩამოჯდა.

— რაო, რა თქვა ირაკლიმ? როგორაა საქმე? — ჰკითხა გიგოლამ.

— ჯერ არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის სასიკეთო ჯერ ნამდვილად არაფერი უთქვამს... — ბრაზიანად ჩაილაპარაკა დეამ.

— ნუ ნერვიულობთ, აი, ნახავთ, თუ ყველაფერი რიგზე არ იქნება... ირაკლი ძლიერი სპეციალისტია... თუ არა და, ექიმებს სულაც მოსკოვიდან ჩამოვიყვან...

— მოსკოვიდან? — სასწრაფოდ ასწია დეამ თავი. — ბატონო გიგოლა, რას ამბობთ?.. აბა, ასე როგორ შეგაწუხებთ?.. თანაც, ჩვენ მოსკოველი ექიმების გასასტუმრებელი ფული ვინ მოგვცა?..

— ფულზე არც იფიქროთ... ეგ მხოლოდ ჩემი პრობლემაა... თქვენ კი, მოდი, ახლა ცოტა დამშვიდდით და ისე მიპასუხეთ, ჩემი მორთმეული ვარდები თუ მოგეწონათ?

— ვარდები?.. — დაიბნა დეა. — ვარდები ძალიან მომეწონა, მაგრამ... მართლა, სულ დამავიწყდა, წავალ, ლარნაკს მოვიტან... ერთი ლარნაკი სადღაც აქაც გვედგა, მაგრამ ეტყობა, დედამ რომელიმე მეზობელს ათხოვა...

დეა ოთახიდან გავიდა და, ცოტა ხანში, უკან საკმაოდ მოზრდილი ლარნაკითა და მაკრატლით ხელში დაბრუნდა. გიგოლამ მაკრატელს თვალი გაკვირვებით შეავლო. დეამ, ამასობაში, წყლიანი ლარნაკი მაგიდაზე ფრთხილად დადგა, შემდეგ თაიგულს ჭრაჭუნა ქაღალდი შემოხსნა, ვარდები გაშალა, ზედმეტი ფოთლები ფაქიზად მოაცილა, ბოლოს ღეროები მაკრატლით ოდნავ დაუმოკლა და ლარნაკში სათითაოდ ჩააწყო. მთელი ამ ხნის მანძილზე, გიგოლას დეასთვის თვალი წამითაც არ მოუშორებია.

— ეს ხომ ნამდვილად ღვთაებრივი რიტუალი იყო... — გაეღიმა მას ბოლოს. — თუ ყველა საქმეს ასე გულმოდგინედ აკეთებთ, მაშინ...

— ყველას არა, — გააწყვეტინა დეამ, — მხოლოდ იმას, რაც ძალიან მიყვარს და მსიამოვნებს...

— გასაგებია.. მაშინ პირობას გაძლევთ, რომ რა-რა და, ვარდები ნამდვილად აღარ მოგაკლდებათ...

— დიდი მადლობა, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, რომ ვარდები საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, ბატონო გიგოლა... — დაიწყო დეამ.

— აბა, როგორ გითხრათ... — გააწყვეტინა გიგოლამ და თან თვალი თვალშიც გაუყარა. — ამქვეყნად ვარდებზე ძვირი და დიდი სიამოვნებაც ბევრი არსებობს...

დეამ გიგოლას გამჭოლ მზერას ველარ გაუძლო და თვალები დახარა, შემდეგ კი რაღაც უცნაურად, ქვეშ-ქვეშ გაეღიმა.

— რამ გაგამხიარულათ? — დაინტერესდა გიგოლა.

— ისეთმა არაფერმა... — ახლა ღიმილი მთელ სახეზე დაეფინა დეას.

— მაინც? — არ მოეშვა გიგოლა.

— ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“ გამახსენდა.

— „კუკარაჩა“?

— ჰო... „კუკარაჩა“... უფრო ზუსტად, ინგას და მურტალოს, — ამ სახელის ხსენებაზე დეამ გიგოლას შიშნარევი თვალები შეანათა, — ერთ-ერთი დიალოგი..

— აბა ერთი, მეც გამახსენეთ, მაინც, რომელი?

— ვარდები დამიბრუნეო, ინგას რომ ეუბნება მურტალო...

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა გიგოლამ და წამით სახეზე ყველა ნაკვთი ნერვიულად აუთამაშდა, მაგრამ შემდეგ, თავი გადააქნია და მშვიდად დასძინა:

— შემიძლია, აქედანვე დაგამშვიდოთ: პირადად მე მურტალოსგან სულ განსხ-

ვავებული დევიზით ვცხოვრობ...

— მაინც, რომლით? — დაინტერესდა დეა.

— ხომ გახსოვთ, რუსთაველმა რომ თქვა: „რასაცა გასცემ, შენია“-ო...

დეას სახეზე ალმურმა გადაურბინა:

— ბატონო გიგოლა, პირდაპირ მითხარით, რა გინდათ ჩემგან?

— თავად ვერ ხვდებით?

— ვერა... უფრო სწორად...

— უფრო სწორად, არ გინდათ, რომ მიხვდეთ, ხომ?

— თუნდაც, ეგრე იყოს... მე მაინც თქვენგან მინდა გავიგო...

— გაიგებთ, ოღონდ, ჯერ არა... ჯერ ამის დრო არ დამდგარა...

— აბა, როდის დადგება?

— მოდით, ახლა ეს საუბარი საერთოდ შევწყვიტოთ... დამივჯერეთ, ორივესთვის ასე აჯობებს... იმიტომ, რომ ჯერ ამაზე სალაპარაკოდ მზად არც ერთი არ ვართ... ხომ მეთანხმებით? — ბავშვივით დაუყვავა გიგოლამ დეას.

გიგოლას თხოვნის მიუხედავად, დეამ კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სწორედ იმწუთას, საძინებლის კარი გაიღო და იქიდან საკმაოდ შეფიქრიანებული პროფესორი ინწკირველი გამოვიდა. დეამ ჯერ პროფესორს შეხედა, შემდეგ გიგოლასკენ სტყორცნა ირიბი მზერა და საძინებელში სიტყვის უთქმელად გავიდა. როგორც კი დეამ კარი მოხურა, გიგოლა მაშინვე ირაკლის მიუბრუნდა:

— როგორაა საქმე?

ირაკლი სკამზე ჩამოჯდა, სათვალე მოიხსნა, გულდაგულ გაწმინდა, ისევ გაიკეთა, შემდეგ ერთი ღრმად ამოიოხრა და მერეღა უპასუხა:

— ძალიან ცუდად... იმაზე ბევრად უფრო ცუდად, ვიდრე აქ მოსვლამდე მეგონა...

— გამოდის, რომ...

— კი, ეგრე გამოდის... — დამნაშავესავით მხრები აიწურა პროფესორმა.

გიგოლა ფეხზე წამოდგა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ შედგა და ისევ ირაკლის მიუბრუნდა:

— არ გეწყინოს, მაგრამ იქნებ, სხვა ექიმისთვისაც გვეჩვენებინა?

— რა უნდა მეწყინოს? ვისაც გინდა, იმას აჩვენე, მაგრამ თბილისში სხვა ვინ უნდა ნახო?.. ტრაბახში ნუ ჩამომართმევ და ამ საქმეში მართლა ჭიპი მაქვს მოჭრილი და ვიცი, რასაც ვამბობ...

— მოსკოვიდან რომ ჩამოგვეყვანა ვინმე?

— რა ვიცი, აბა... — მხრები აიჩეჩა ირაკლიმ. — რომ გითხრა, აზრი არა აქვს-მეთქი, დამივჯერებ?

— დაგივჯერებ, აბა, რას ვიზამ?

— ჰოდა, ჩათვალე, რომ ასეა... თუმცა, შენი ნებაა, თუ გინდა, მაინც ჩამოიყვანე... ამქვეყნად ხომ, ხანდახან, სასწაულებიც ხდება...

— გასაგებია... — ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა გიგოლა. შემდეგ უცბად შედგა, მაგიდას ორივე ხელით დაეყრდნო, ირაკლის თვალი თვალში გაუყარა და ჩურჩულით ჰკითხა:

— ქალისთვის ხომ არაფერი გითქვამს?

— რომელი ქალისთვის? — ჩურჩულზე გადავიდა ირაკლიც.

— რომელ ქალზე ვლაპარაკობთ ამდენ ხანს?

— ა-ა-ა-?.. არა, აბა ამას როგორ ვეტყოდი... სადისტი ხომ არა ვარ?.. საწყალი ისედაც განახევრებულია... შვილს კი, ალბათ, სიმართლე უნდა ვუთხრათ...

— არა. სიმართლეს არც შვილს ეტყვი! — მოუჭრა გიგოლამ.

— კი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ! სასწრაფოდ რამე მოიფიქრე... მაგალითად, უთხარი, რომ დედაშენს ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება-თქო...

— კი, მაგრამ... ამ ისედაც გასაწყლებულ ოჯახს ფული წყალში კიდევ რისთვისღა გადავაყრევინოთ?.. რა აზრი აქვს?..

— შენ ფულზე ნუ დარდობ... მე გადაგიხდი...

— გიგოლა, — ხმაში აშკარა წყენა დაეტყო ირაკლის. — მე შენ აქ ფულისთვის ნამდვილად არ გამოგყოლივარ...

— ვიცი. მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა, ამიტომ, ფულსაც აიღებ და ენას კბილსაც დააჭერ, გასაგებია? — მხარზე ხელი მძიმედ დაადო გიგოლამ ირაკლის.

— რა გაეწყობა?.. — ამოიოხრა ირაკლიმ. — როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი, მაგრამ ამ საწყალ ქალს, მაინც, სულ ტყუილად დავტანჯავთ, იცოდე...

— ვიცი, მაგრამ ასეა საჭირო! — სათქმელს საბოლოოდ ბეჭედი დაუსვა გიგოლამ, შემდეგ კი სკამზე არხეინად ჩამოჯდა და ლარნაკში ჩაწყობილ ხასხასა ვარდებს დაუწყო თვალიერება. — ისე, რას იტყვი? ხომ ლამაზი ვარდები შევარჩიე?

— არა მხოლოდ ვარდები... — სევდიანად ჩაილაპარაკა ირაკლიმ და ფეხზე წამოდგა: — არ წავიდეთ?

— მოიცა, მასპინძელს ხომ უნდა დავემშვიდობოთ...

— სულ გამოვშტერდი... უნდა დავემშვიდობოთ, აბა რა უნდა ვქნათ?.. — ჩაიბურტყუნა ბავშვივით გაბუტულმა პროფესორმა.

ოთახში ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც შემდეგ კარის ჭრიალმა დაარღვია და საკმაოდ დამშვიდებულ-გახალისებული დეა შემოვიდა, რომელმაც ირაკლის ქაღალდში გახვეული რაღაც გადასცა:

— ბატონო ირაკლი, ეს... ეს ფულია... შეიძლება, იმდენი არ იყოს, რამდენიც...

— აბა რას ამბობთ? — შეიცხადა პროფესორმა. — თქვენგან ფულს როგორ ავიღებ?

— ირაკლი მართალია, — მაშინვე წამოეშველა გიგოლაც, — თემოს დედას ფულს არ გამოართმევს...

— კი, მაგრამ, — ისევ ირაკლის მიუბრუნდა დეა, — თუ დედამ სწორად გაგიგოთ, თქვენ მისი მკურნალობაც გადაწყვიტეთ.

— კი. ნამდვილად გადაწყვიტა, — პროფესორს პასუხის გაცემა აღარ აცალა გიგოლამ.

— დიახ... ასეა... — ძლივსღა ამოილუღლუღა ირაკლიმაც.

— მაშინ, ფული აუცილებლად უნდა აიღოთ, თორემ, სხვანაირად, პირდად მე მაინც ვერ დავივჯერებ, რომ დედაჩემს რამე ეშველება... იმიტომ, რომ...

— მაშინ მოდით, ასე შევთანხმდეთ, — გააწყვეტინა ირაკლიმ დეას. — ფული ცოტა მოგვიანებით, როცა დედათქვენს გამოკეთება დაეტყობა, მაშინ გადამიხადეთ, კარგი?..

— კი, ბატონო, როგორც თქვენ იტყვით... — უპასუხა დეამ. — ისე მე ერთად გადახდას, მაინც, ნაწილ-ნაწილ მერჩია, მთლიანი თანხის მოგროვება, ალბათ, უფრო გამიჭირდება...

— მერე მე აქ არა ვარ? — მაშინვე წამოეშველა გიგოლა. — ცოტას მეც დაგიმატებთ და ყველაფერი რიგზე იქნება... ახლა კი ჩვენი წასვლის დროც მოვიდა. კიდევ ერთ ადგილზე ვართ მისასვლელები... წავიდეთ, ირაკლი? — მიუბრუნდა ბოლოს გიგოლა პროფესორს.

— წავიდეთ... — დაბნეულად ჩაილაპარაკა თავდახრილმა ირაკლიმ და ფეხზე წამოდგა, მაგრამ შემდეგ რაღაც გაახსენდა და სასწრაფოდ ისევ მაგიდას მიუჯდა, გულის ჯიბიდან კალამი და მოგრძო ფურცლების დასტა ამოიღო და წერა დაიწყო: — კინაღამ მთავარი დამავიწყდა, რამდენიმე წამლის რეცეპტი. ახლავე უნდა გამოგიწეროთ... ისე, ცოტა დეფიციტური წამლები კია... თუ შოვნა გაგიჭირდათ, ჩემთან...

— არ გაუჭირდება! — გააწყვეტინა ირაკლის გიგოლამ და ფაქიზად შეკეცილი რეცეპტები ცხვირწინ აუცალა. — მე ვუშოვი! წავიდეთ, თორემ, ვაგვიანებთ...

დეამ სტუმრები ჭიშკრამდე მიაცილა და დამშვიდობებისას, ხელი მეგობრულადაც ჩამოართვა. ირაკლი დეას ხელზე ნაზად ეამბორა, გიგოლამ კი ხელზე ხელი ოდნავ მოუჭირა და თვალებში ისე ჩახედა:

— ყველაფერი კარგად იქნება... არ ინერვიულო... ჩემი იმედი გქონდეს...

დეა „შენობით“ მიმართვამ ოდნავ შეაკრთო, მაგრამ გიგოლას თვალი მაინც გაუსწორა.

— ადამიანი იმედით ცხოვრობს, ბატონო გიგოლა...

ის იყო, გიგოლას მანქანა დეას ჭიშკარს გასცილდა, რომ ცენტრალური გზიდან გიზო

ჯღარკავას გაზიმზიმებულმა „შევროლემ“ გადმოუხვია.

— ნეტავ, ეს ჯინსიპარია ვიღასთან მიდის? — დაინტერესდა გიგოლა და საკმაოდ დიდი სისწრაფით ჩავლილ მანქანას თვალი გააყოლა.

უცბად, მანქანამ ისე მკვეთრად დამუხრუჭა, რომ ბორბლებმა ღრჭიალი გაიღო და შემდეგ უკან-უკან წამოვიდა. როცა გიგოლას მანქანას გაუსწორდა, ფანჯრიდან მძღოლის გვერდით მჯდომმა, საკმაოდ შემცბარმა გიზო ჯღარკავამ გამოყო თავი და რომ დარწმუნდა, მეზობელი მანქანის საჭეს ნამდვილად გიგოლა ეჯდა, მაშინვე მკვირცხლი ბიჭივით გადმოხტა და წამში გიგოლასთან გაჩნდა.

— გიგოლა, ძმაო, შე-ე-ენ? უცბად ველარ გიცანი?

— მართლა? — დამცინავად გაეღიმა გიგოლას. — ესე იგი, გამდიდრება არ ამცდება.

— ღარიბი არც აქამდე გეთქმოდა, — ისევ უშნოდ გაიკრიჭა გიზო.

გიგოლას აღარაფერი უპასუხია, მანქანიდან ისე გადავიდა და დამფრთხალ პარლამენტარს მკლავში ხელი უხეშად ჩაავლო:

— წამო ერთი, გვერდზე გავიდეთ, სალაპარაკო მაქვს...

გიზომ გიგოლას, დასაკლავად გამზადებული ცხვარივით დამფრთხალი თვალებით შეხედა და უხმოდ გაჰყვა. მანქანებში დარჩენილმა ირაკლიმ და გიზოს მძღოლმა კი თვალი ორივეს შეშფოთებით გააყოლეს.

გიგოლამ გიზო მოშორებით გააჩერა, ხელი უშვა და ისე საგულდაგულოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა, თითქოს, პირველად ხედავსო:

— ბიჭო, გიზო, შენზე ამბობენ, სკლეროზი დაეწყო და ვის რა და როდის უნდა აუტან-ჩაუტანოს, ველარ იხსენებსო, მართალია?

— ე-ე-ეჰ, ჩემო გიგოლ, ისეთი ამბავი დამემართა, რომ სკლეროზი კი არა, ჭკუაზე საერთოდ როგორა ვარ, ისიც მიკვირს...

— მაინც რა? — აგდებულად ჰკითხა გიგოლამ.

გიზომ ერთი ამოიოხრა და გიგოლას საკუთარი შვილის „საქმენი საგმირონი“ მოკლედ უამბო.

— ჰო-ო-ო, ნაღდად ვერ მოგსვლია კარგი საქმე, — დაეთანხმა გიგოლა, — მაგრამ პირობა პირობაა... ხომ გაგიგონია, პირობა კაცს ცოლს წაართმევსო... შენ კი მგონი, შენი ცოლი ძალიან გიყვარს, ხომ?..

— კი... ძალიან... — ამოიკვნესა გიზომ. — მაგრამ იქნებ, ერთი-ორი კვირა კიდევ მადროვოთ... ჩემი ბიჭის საქმეს როგორმე ჩავფარცხავ და...

— ეგ მარტო ჩემი გადასაწყვეტი არ არის, დანარჩენებსაც უნდა დაელაპარაკო და მერე ვნახოთ...

— გეხვეწები, გიგოლ, ხომ იცი, რომ შენს სიტყვას ვერავინ გადავა... მთავარია, შენ მომცე დრო... თორემ ბიჭები მოიცდიან, აბა რას იზამენ...

— ვნახოთ-მეთქი, ხომ გითხარი! — შეუღრინა გიგოლამ. — აქ რაღას დაეხეტები, ვის ეძებ?

— არავის... აგერ, აქვე მივდივარ... ავალიანებთან...

— რომელ ავალიანებთან? — ყურები ცქვიტა გიგოლამ.

— შენ არ გეცოდინება... ერთი გაუბედურებული დედა-შვილია... დედა ლოგინადაა ჩავარდნილი...

— კი, მაგრამ მაგ ოჯახთან შენ რა ხელი გაქვს? რა გინდა?

— ისეთი არაფერი.

— მაინც?

გიზო ტანში ცოტა კიდევ დაიმტვრა, მაგრამ შემდეგ, დეასთან და ელენესთან თავისი სტუმრობის დეტალები სულ პირწმინდად გადმოულაგა.

— უმწეო ქალების შეშინება გადაწყვიტე, ბიჭო? არა გრცხვენია? — დატუქსა გიზო გიგოლამ.

— აბა რა ვქნა, ჩემო გიგოლა, ეგ გოგო ისეთი ხისთავიანი ვინმეა, რომ თუ არ დაემუქრე, რქებს სხვანაირად ვერაფრით მოამტვრევ... არადა, ბედი არ გინდა? მგონი, ჩემს ბიჭს უყვარს და დავიღუპე. წესიერ ოჯახში მაგის შეშვება იქნება?

— აბა, ახლა კარგად მომისმინე, გიზო მამაძაღლო! — უცბად იფეთქა გიგოლამ. — მაგ დედა-შვილს თავი დაანებე, თორემ ჩემზე დიდი მტერი არ გეყოლება, იცოდე!

— რას მეუბნები? შენი ახლობლები ხომ არ არიან? — უცბად სულ დაპატარავდა ისედაც ტანმორჩილი გიზო.

— არიან და მერე ეგრე?

— დავიღუპე კაცი და ეგ არის... ახლა რაღა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?.. ჩემი ბოლო იმედი ხომ მაგ გოგოს ჩვენება იყო?.. — ტირილს ცოტაღა უკლდა გიზოს.

— რაც გინდა, ის ქენი, მაგ დედა-შვილს კი სათოფეზეც აღარ გაეკარო, გასაგებია შენთვის?

— გასაგებია, — ჩაიბურტყუნა საბოლოოდ ნირწამხდარმა გიზომ.

— თუმცა... თუ მოვინდომეთ, იქნებ, რაღაც სხვაც მოვიფიქროთ, ჰა? — უცბად ვერაგულად გაეღიმა გიგოლას.

— მართლა? — იმედი მოეცა გიზოს. — შენი ხმალი და ჩემი კისერი, ჩემო გიგოლა... ოღონდ, ახლა მიშველე და მერე მე ვიცი და ჩემმა მარიფათმა...

— მოიცა! — ხელი მბრძანებლურად აღმართა გიგოლამ და ქადაგად დავარდნილ გიზოს ხმა გააკმენდინა. — წადი ახლა ავალიანებთან და ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც აქამდე გქონდა ჩაფიქრებული. ოღონდ, ჩემთან შეხვედრა არ ახსენო და არც ის წამოგცდეს, რომ საერთოდ მიცნობ...

— კი, მაგრამ, — გაოგნდა გიზო. — წეღან რომ მითხარი, ჩემი ახლობლები არიანო?

— გითხარი და არიან კიდეც, მაგრამ, ეს შენი საქმე არ არის! შენ რაც გითხარი, ის გააკეთე! ოღონდ, მუქარის იქით არ წახვიდე, მაგ დედა-შვილს თავზე ერთი ბეწვიც არ შეურხიო, თორემ, თემო ავალიანს კი არა, პრობლემები, პირველ რიგში, შენს ლაწირაკ შვილს ექნება!

— მესმის... გავიგე... ყველაფერი გასაგებია... — ისევ ალუღლუღდა გიზო. — ისე, მეც უბრალოდ, შეშინება მინდოდა, თორემ, აბა, მომავალ სარძლოს გულს მართლა ხომ არ გავუხეთქავდი?..

— აი, მაგაზე კი აღარც იოცნებო!

— რაზე?

— რაზე და დეა ავალიანი შენი რძალი რომ გახდება! გასაგებია?

— გ-გ-გ-ასაგებია... — ძლივსღა ამოილუღლუღა საბოლოოდ გაოგნებულმა გიზომ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მადრიდში ბექჰემთა ორეულები გამოჩნდნენ

„მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მადრიდის „რეალში“ დევიდ ბექჰემის შესაძლო გადასვლის თაობაზე ბოლო დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. ინგლისელი ნახევარმცველის სავარაუდო ტრანსფერის შესახებ გავრცელებული, ათასგვარი ჭორ-მართლის უმთავრეს მიზეზად ფეხბურთელის მეუღლეს, ვიქტორია ადამსს ასახელებენ, რომელსაც თურმე მადრიდში ცხოვრების დიდი სურვილი ჰქონია. ამას წინათ, დევიდი და ვიქტორია უკვე გამოჩენილან კიდეც ესპანეთის დედაქალაქში, სადაც უამრავი ავტოგრაფიც დაურიგებიათ. ცოლ-ქმარმა პლასა-მაიორზე მდებარე რესტორანში ისადილა, რის შემდეგაც, „სანტიაგო ბერნაბეუს“ მიმდებარე ტერიტორიაზეც გაისეირნა. ფეხბურთის გულშემატკივართა შეკითხვაზე – აპირებს თუ არა ბექჰემი მადრიდის „რეალში“ გადასვლას? – ინგლისელი ვარსკვლავი თურმე გაურკვევლად პასუხობდა. მოგვიანებით კი გამოირკვა, რომ სინამდვილეში მადრიდში არა ბექჰემთა წყვილი, არამედ დევიდისა და ვიქტორიას ორეული მსახიობები – ენდი ჰარმერი და კამილა შედბოლტი ყოფილან. ენდიც და კამილაც ძალიან ჰგვანან ბექჰემსა და მის მეუღლეს, რის გამოც მათ ინგლისში ყველაზე პოპულარულ წყვილთან კონტრაქტიც გაუფორმებიათ და საჭიროების შემთხვევაში, თავიანთ კლიენტებს ცვლიან ხოლმე. უკვე ოთხ-ნახევარი წელია, რაც ჰარმერი და შედბოლტი ბექჰემებთან მსგავსების წყალობით გვარიან თანხას შოულობენ. მადრიდელთა გაბრიყვების გეგმა კი, ლონდონურმა გაზეთმა, „ივნინგ სტანდარდმა“ შეიმუშავა და ბექჰემთა ორეულის ესპანეთში მოგზაურობის დაფინანსებაც იკისრა. როგორც ესპანური გაზეთი „მარკა“ იუწყება, ინგლისელებს „რეალის“ პრეზიდენტ, ფლორენტინო პერესისა არ სჯერათ, რომელმაც „ბი-ბი-სი“-სათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბექჰემთან კონტრაქტის გაფორმებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. სხვათა შორის, ეს არ სჯერა ესპანელთა საკმაოდ დიდ ნაწილს. მათ შორის – „რეალის“ თავდამსხმელს, ხავიერ პორტილიოსაც, რომელმაც ამას წინათ ჟურნალისტებს განუცხადა: „შარშან, „რეალში“ რონალდოს გადმოსვლასაც უარყოფდნენ, მაგრამ ის მაინც გადმოვიდა. იგივე შეიძლება ითქვას ზიდანსა და ფიგუზეც“. ფეხბურთის ესპანელ სპეციალისტებსა და მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ „რეალის“ ამგვარ ტაქტიკას რაღაც მზაკვრული მიზანი არ უდევს საფუძვლად და ამით „რეალი“ სხვა კლუბებისათვის ზიანის მიყენებას სულაც არ ცდილობს. ხოლო მადრიდში ინგლისელი ფეხბურთელის გადასვლის შესახებ ხმების გავრცელება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიქტორია ადამსისგან მოდის. „დევიდი მომავალი სეზონიდან მადრიდში ითამაშებს. მაისში ჩვენ ესპანეთში გავემგზავრებით, რათა ბინა მოვძებნოთ“, – უთქვამს ვიქტორიას ნაომი კემპბელთან სატელეფონო საუბრისას. ადამსი უკვე დიდი ხანია ახორციელებს ზეწოლას მეუღლეზე. მისი ზეწოლის გაძლება კი, „მანჩესტერელ“ ნახევარმცველს, ნაკლებად ეხერხება, ვიდრე ზუსტი პასებით პარტნიორთა მომარაგება ან გოლების გატანა...

ნედვედი „იუვეში“ დაასრულებს კარიერას



„იუვენტუსის“ ჰავ-ბეკი, პაველ ნედვედი აცხადებს, რომ იგი ტურინულ კლუბში დაასრულებს თავის საფეხბურთო კარიერას. ჩეხი ნახევარმცველი „იუვენტუსმა“ 2001 წლის ზაფხულში, „ლაციოსგან“ 25,3 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა. „ლაციო“ ჩემი სურვილით დავტოვე. ვიცოდი, რომ ამ კლუბის ხელმძღვანელთა გეგმებში არ ვჯდებოდი და ამიტომაც გადავწყვიტე „იუვეში“ გადასვლა. უკეთესი არჩევანი უბრალოდ არ არსებობს. თამაშს 2006 წელს დავანებებ თავს, როდესაც 33 წლისა გავხდები. „იუვენტუსი“ ჩემი ბოლო გუნდი იქნება“, – აცხადებს ჩეხი ფეხბურთელი.

ერაყელებმა ამერიკელებს სამაგიერო გადაუხადეს

ერაყში მყოფი ამერიკელი ჯარისკაცები ადგილობრივ მოსახლეობასთან თბილი ურთიერთობის დამყარებას ცდილობენ, ამ მიზნით კი, ფეხბურთსაც იყენებენ. ქალაქ ენაჯიფში მყოფმა აშშ-ის საზღვაო ფეხოსანთა მეშვიდე დივიზიის პირველი ბატალიონის ნაკრებმა ადგილობრივ საფეხბურთო კლუბთან გაჯიბრება გადაწყვიტა. მატჩი ერაყელთა გამარჯვებით, ანგარიშით 7:0 დასრულდა, რამაც აღაფრთოვანა თამაშის მნახველი 600 ადგილობრივი გულშემატკივარი. შეგახსენებთ, რომ XX საუკუნეში სამხედროებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის საფეხბურთო მატჩები ადრეც გამართულა. ყველაზე ცნობილი შეხვედრა კი, მეორე მსოფლიო ომის დროს კიევში მოწყობილა; ადგილობრივმა „დინამომ“ გერმანელთა გუნდი დაამარცხა, რისთვისაც მკაცრადაც დაისაჯა... შარშან კი, ამერიკელმა ჯარისკაცებმა ანალოგიური შეხვედრა ქაბულში, ავღანელებთან გამართეს. იმ მატჩში ერთ-ერთმა ადგილობრივმა მაყურებელმა ამერიკელ ფეხბურთელს თავში ჩაარტყა, რის საპასუხოდაც, ჯარისკაცებმა ტრიბუნის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს.

სამუელს „რომადან“ წასვლა სურს

„რომას“ მცველმა, ვალტერ სამუელმა განაცხადა, რომ მზად არის, მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე დატოვოს კლუბი. „დარწმუნებული არა ვარ, რომ ზაფხულის შემდეგ, გუნდში დავრჩები, – ამბობს არგენტინელი ფეხბურთელი, – ჩემი კონტრაქტი 2004 წლამდეა ძალაში, მაგრამ ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული. მსურს, რომ უფრო მეტად დამაფასონ. კლუბში რომ ვრჩებოდე, ბედნიერი ვიქნებოდი, თუმცა ხელმძღვანელობა ამით დაინტერესებული არ არის“.

ოჰ, ეს ოხუნჯი გასკოინი!

ცნობილ ინგლისელ ფეხბურთელს, პოლ გასკოინს რომელიც ამჯერად ალკოჰოლიზმისაგან განკურნების საგანგებო კურსს გადის (უკვე მერამდენედ!), თავისი თანაგუნდელების გამასხარავება სჩვევია, რისთვისაც მას ფანტაზიაც ნამდვილად უწყობს ხელს. მაგალითად, ერთხელ როდესაც პოლი „ლაციოში“ თამაშობდა, მან ჰოლანდიელ შავკანიან ფეხბურთელს, არონ ვინტერს დაბადების დღეზე მიართვა... სოლარიუმის აბონემენტი. ■

გიგანტური მურთი

2002 წლის კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, აშშ-ის ეროვნულ ნაკრებს უჩვეულო საჩუქარი – გიგანტური ფეხბურთის ბურთი მიართვეს, რომელსაც ორი თვის განმავლობაში, მთელ ქვეყანაში დაატარებდნენ. ამ ბურთზე თავიანთი ავტოგრაფები დატოვეს და აშშ-ის ნაკრებს მუნდიალზე წარმატება უსურვეს გუნდის გულშემატკივრებმა, რომელთა შორის თვით NBA-ს ვარსკვლავები – დენის როდმანი და შაკილ ო`ნილი, აგრეთვე ბეისბოლისტები – შონ სპენსერი და რობინ ვენტურაც იყვნენ. ■

პრეზიდენტის საჩუქარი კიკას

როდესაც რონალდო მადრიდის „რეალში“ ჩაირიცხა, კლუბის პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა იგი ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში მიიწვია. ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, პერესმა მას ძვირფასი კალამი გადასცა, რომლითაც თავად მადრიდული „სამეფო კლუბის“ ბოსის სიტყვებით, „რონი „რეალთან“ კიდევ არაერთ კონტრაქტს გააფორმებს“. ■

ლუდი იაპონელ თეხმურთელს

გასულ ზამთარში, სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს „ჰამბურგის“ ქომაგებს, ამ გუნდსა და „ბავარიას“ შორის გამართული მატჩის შემდეგ: ერთ-ერთი „ჰამბურგელი“ მოთამაშე კლუბის ფანებს 400 ლიტრი ლუდით გაუმასპინძლდა. საქმე ის არის, რომ ქალაქის ლუდის მწარმოებელმა კომპანიამ, იაპონელი ლეგიონერი – ნაჰირო ტაკაჰარა 500 ლიტრი ლუდით დაასაჩუქრა, „ჰამბურგის“ შემადგენლობაში გატანილი პირველი გოლისათვის. ფეხბურთელმა კი, უჩვეულო ხელგაშლილობა გამოიჩინა და თავისი გუნდის ქომაგებს გაუმასპინძლდა: არც თანაგუნდელები დავიწყნია და მათ 100 ლიტრი ლუდი არგუნა. ■

გოლფის ჰოკიჯოხში

გასული შობის წინ, ინგლისის პრემიერლიგის მოთამაშეთა შორის ჩატარდა სპეციალური გამოკითხვა, რომლის მიზანიც იმის გამოვლენა იყო, თუ ყველაზე მეტად, რა საჩუქრის მიღებას ისურვებდნენ ისინი რელიგიურ დღესასწაულზე. აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელთა დიდ ნაწილს DVD-ს სისტემის ფირსაკრავის მიღება სურდა. მეორე ადგილზე გოლფის ჰოკიჯოხი აღმოჩნდა, ხოლო მესამეზე – მაჯის საათი. ბევრმა მოთამაშემ საჩუქრად თავისი მუსიკალური კოლექციისთვის ემინემის, U2-ისა და რობი უილიამსის უკანასკნელი ალბომებიც ისურვა. ■

თეხმურთში „ვერცხლის გოლის“ წესი ამოქმედდება

ევროპის საფეხბურთო კავშირი წელს „ვერცხლის გოლის“ წესს შემოიღებს. პირველად ახალი წესით 21 მაისს, სევილიის სტადიონ „ესტადიო ოლიმპიკოზე“ უეფას თასის ფინალური მატჩი ჩატარდება, რომელშიც „პორტო“ და „სელტიკი“ შეხვდებიან ერთმანეთს. ეს წესი იმოქმედებს აგრეთვე 28 მაისს, მანჩესტერში ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრაზეც. „ვერცხლის გოლის“ შემოღების თაობაზე უეფამ საფეხბურთო საზოგადოების არაერთ ავტორიტეტულ წარმომადგენელთან გამართა კონსულტაციები. „ოქროს გოლის“ წესის ნეგატიურ გავლენაში რომ დარწმუნდნენ, ევროპული ფეხბურთის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ „ვერცხლის გოლი“ დაენერგათ. ამ გადაწყვეტილებამდე, ახალი წესის შესახებ თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს თანამედროვეობის წამყვანმა საფეხბურთო სპეციალისტებმა, რომელთა უმრავლესობაც მიიჩნევს, რომ „ოქროს გოლის“ წესის გამო დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან ხოლმე არბიტრები; გარდა ამისა, ბურთის გაშვების შემდეგ, გუნდისთვის ანგარიშის გათანაბრებისა და გამარჯვებისათვის ბრძოლის შეწყვეტა უსამართლობაა. აღსანიშნავია ისიც, რომ დამატებით დროში, როდესაც „ოქროს გოლის“ წესი მოქმედებდა, გუნდები ყველაზე ხშირად, დაცვით ტაქტიკას მიმართავდნენ და მხოლოდ მეტოქის მიერ შეცდომის დაშვების ხარჯზე ცდილობდნენ გამარჯვების მიღწევას. „ჩვენ მივიჩნევთ, რომ ახალი წესი დადებით გავლენას მოახდენს გუნდებზეც, მოთამაშეებზეც და ქომაგებზეც, – ამბობს საზოგადოებასთან ურთიერთობის უეფას განყოფილების უფროსი, მაიკლ ლი, – „ოქროს გოლი“ რამდენადმე შევცვალეთ, რადგან ამ წესის გამო, ყოველთვის უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სხვადასხვა ევროპული ტურნირის მონაწილენი. ახალი წესი ფეხბურთს დამატებით დროშიც დაუბრუნებს სანახაობრიობას და ძლიერი გუნდიც უფრო ღირსეულად მიაღწევს გამარჯვებას.

„ვერცხლის გოლის“ წესი შემდეგში მდგომარეობს: ძირითადი დროის ფრედ დასრულების შემთხვევაში, დაინიშნება 15-წუთიანი დამატებითი ტაიმი. თუ ერთ-ერთი გუნდი დაწინაურდა და ტაიმის ბოლომდე მისმა მეტოქემ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო, გოლის გამტანი გუნდი გამარჯვებულად ჩაითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე დამატებითი ტაიმიც გაიმართება. ■

„ველურ ბანდას“ ხელახლა გადაიღებენ

კინოკომპანია „უორნერ ბრაზერსის“ ხელმძღვანელობამ, სემ პეკინპას მიერ 1969 წელს გადაღებული, კლასიკური ვესტერნის „ველური ბანდის“ რიმეიქის სცენარის შესაქმნელად ცნობილი სცენარისტი დევიდ აიერი მიიწვია. კრიტიკოსები ამ სურათს ერთ-ერთ საუკეთესო ვესტერნად მიიჩნევენ.

სემ პეკინპას „ველური ბანდის“ სიუჟეტი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ვითარდება. ფილმში მოთხრობილია ერთი ბანდის ამბავი, რომელიც უკანასკნელი ძარცვისათვის ემზადება, შემდეგ კი, მისი წევრები ამ სახიფათო საქმიანობისთვის თავის დანებებას აპირებენ, მაგრამ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ბანდიტები გეგმავდნენ...

რიმეიქის მოქმედება ამერიკა-მექსიკის საზღვარზე ჩვენს დროში განვითარდება. ბანდიტები კი გაძარცვავენ, როგორც ნარკოდილერებს, ასევე კორუმპირებულ მექსიკელ პოლიციელებს.

კინოკომპანიის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ საინტერესო სიუჟეტური ქარგა მომავალი ფილმის წარმატებას უზრუნველყოფს.

კაპიტანი ნემო, უჩინარი კაცი და ტომ სოიერი ერთად დაამარცხებენ მსოფლიო ბოროტებას

კინოკომპანია „XX საუკუნე ფოქსის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასრულდა კომიქსზე მუშაობა, რომელიც შესაძლოა, 2003 წლის ზაფხულის უმთავრეს ბლოკბასტერად იქცეს. საუბარია ალან მურის რომანის – „ექსტრაორდინარულ ჯენტლმენთა ლიგის“ ეკრანიზაციაზე, რომლის რეჟისორიც სტივენ ნორინგტონი გახლავთ. რეჟისორმა თითქმის შეუძლებელი მოახერხა: მან XIX საუკუნის ბრიტანული, ფრანგული და ამერიკული კლასიკური ლიტერატურის თითქმის ყველა პერსონაჟის თავმოყრა შეძლო და ლიტერატურულ გმირთა გაერთიანებული ლაშქარი მსოფლიო ბოროტებას დაუპირისპირა. კაპიტანი ნემო, უჩინარი კაცი, მისტერ ჯეკილი და დოქტორი ჰაიდი, ტომ სოიერი, დორიან გრეი, გრაფ დრაკულას სატრფო – მინა ჰარკერი, – აი, ასეთი გახლავთ სურათის მოქმედ პირთა არასრული სია. სიუჟეტის მიხედვით, იდუმალი ბოროტება, უცხო ტექნოლოგიებისა და შეუცნობელი ძალების მეშვეობით სამყაროს დაპყრობას ცდილობს. ვიქტორიანული ბრიტანეთის მთავრობა ხვდება, რომ ჩვეულებრივი მეთოდებით ამ სტიქიონს ვერ დაამარცხებს და იძულებულია, თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე უცნაური და საშიში პერსონაჟების მობილიზაცია გამოაცხადოს. ამ იდუმალი ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად იწვევენ აშშ-ის საიდუმლო სამსახურის აგენტს – ტომ სოიერს და „ნაუტილუსის“ მეამბოხე კაპიტან ნემოსაც. ფილმში მონაწილეობენ: შონ კონერი, პეტა უილსონი, სტიუარტ ტაუნსენდი, ჯეისონ ფლემინგი და სხვები. სპეცეფექტების რაოდენობითა და ხარისხით სურათი ტოლს არ უდებს ისეთ ცნობილ კომიქსებს, როგორიცაა „თავზეხელაღებული“ და „იქსის ადამიანები“. პრემიერა 2003 წლის 11 ივლისს შედგება.

მიქელანჯელო-ავანგარდისტი გადაიღებს ფილმს მიქელანჯელო-ჟლასიკოსზე

ცნობილი იტალიელი რეჟისორი მიქელანჯელო ანტონიონი, 90 წლის ასაკში კვლავ სარეჟისორო სავარძელს დაუბრუნდება და გადაიღებს ფილმს – „მიქელანჯელოს თვალით დანახული მიქელანჯელო“. სურათი ეძღვნება რეჟისორის დიდი სეხნიის – მიქელანჯელო ბუონაროტის ცხოვრებასა და მისი საქვეყნოდ ცნობილი ნამუშევრების სარესტავრაციო სამუშაოებს.

იტალიური კინოინსტიტუტის პრეზიდენტის, ანდრეა პერსანტის თქმით, დოკუმენტური სურათის გადაღება უახლოეს მომავალში დაიწყება; მისი დამთავრება კი, საგაისოდაა დაგეგმილი.

ანტონიონის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი 1950 წელს გამოვიდა. რეჟისორს კრიტიკოსები ერთ-ერთ მთავარ ევროპელ ავანგარდისტად მოიხსენიებენ. ანტონიონის სახელი გაუთქვა ისეთმა ფილმებმა, როგორებიცაა: „მგზავრი“, „წითელი უდაბნო“, „დაბნელება“ და სხვა. მისი უკანასკნელი სრულმეტრაჟიანი ფილმი – „ღრუბლებს მიღმა“ – 1995 წელს გამოვიდა ეკრანებზე.

2002 წლის ვენეციის ფესტივალზე რეჟისორის ნამუშევრების რეტროსპექტივას სპეციალური პროგრამა მიეძღვნა.

■

კიდმა საკუთარ ვაჟიშვილს მიაყენა ტრავმა



„ნიუ-ჯერსის“ მოთამაშემ, ჯეისონ კიდმა საკუთარი ვაჟიშვილი დააზიანა, თუმცა ამ შემთხვევაში, იმდენად თავად კალათბურთელი არ ყოფილა დამნაშავე, რამდენადაც მისი პროფესია და კონკრეტული გარემოება. როგორც ცნობილია, ამჟამად NBA-ში პლეი-ოფის მატჩები მიმდინარეობს. ჰოდა, „ნიუ-ჯერსი ნეტსისა“ და „მილუოკი ბაკსის“ შეხვედრისას კიდს მოედნის ფარგლებს გარეთ ბურთის გაშვება არ სურდა და თავი რომ ვეღარ შეიკავა, პირდაპირ მაყურებლებში გადავარდა, თანაც – ტრიბუნის მეოთხე რიგში, სადაც მისი ცოლი და ოთხი წლის ვაჟიშვილი ისხდნენ (ტრადიციისამებრ, მოთამაშეთა ახლობლებს მოედნის ახლოს მდებარე ადგილების ბილეთებს აძლევენ). ამ ინციდენტის შედეგად, კალათბურთელის მეუღლე არ დაშავებულა, თუმცა კიდმა-უმცროსმა ლავიწის ძვლის მოტეხილობა მიიღო, რისთვისაც იმწამსვე საავადმყოფოში გააქანეს. ■

„მილუოკის“ ჩოვრემი კანადელ სამართალდამცველებს შეეჩეხნენ

NBA-ში „ნიუ-ჯერსისა“ და „მილუოკის“ შორის გამართული პლეი-ოფის სერიის პირველი მატჩის დასრულებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, „ბაკსის“ მოთამაშეები – გერი პეიტონი, სემ კასელი და ჯეისონ კიფი ტორონტოს პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდნენ, სადაც მათ სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარის ბრალდება წაუყენეს. ინციდენტი აპრილში, ერთ-ერთი სტრიპტიზ-კლუბის მახლობლად მოხდა. სამივე კალათბურთელმა კანადაში ჩვენება მისცა, რაც მათ თავდებით გათავისუფლების შანსს უტოვებს. სასამართლო 30 მაისს გაიმართება. გერი პეიტონს კი, ყველაზე ნაკლებად გაუმართლა, რადგან მას ბრალდება სამ პუნქტში წაუყენეს, რაც იურიდიულად, დანაშაულს უტოლდება. სემ კესელს ორ პუნქტში, ხოლო ჯეისონ კიფს – ერთ პუნქტში ედებათ ბრალი. ინციდენტი 11 აპრილს დილით მოხდა, როდესაც „მილუოკი“ „რეპტორზთან“ შესახვედრად ტორონტოში ჩაფრინდა. პოლიციელის თქმით, ერთ-ერთი კალათბურთელი სტრიპტიზ-კლუბში მოძუშავე გოგონას შეეკამათა. ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც სტრიპტიზ-მოცეკვავეს სხვა გოგონა გამოესარჩლა და კამათში „მილუოკი ბაკსის“ დანარჩენი ორი მოთამაშეც ჩაერთო, რომლებიც თავიანთ ამხანაგს მანამდე ტაქსიში მსხდომნი უცდიდნენ. შეხლა-შემოხლაში ჩაერია აგრეთვე სტრიპტიზ-კლუბის მცველიც. „მილუოკის“ პრესმდივანმა განაცხადა, რომ ინციდენტს ტორონტოში მართლაც ჰქონდა ადგილი, რისთვისაც სამივე კალათბურთელი ადვოკატების თანხლებით კანადაში გაემგზავრა ჩვენების მისაცემად. ■

ლენოქსს მაიკი ჩირადაც არ ეღირს

21 ივნისს, ლენოქს ლუისი, IBO-ს ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონის ქამრის შესანარჩუნებლად კირკ ჯონსონს შეხვდება. ლუისის თქმით, ამ მატჩს მისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და გამარჯვებისთვის თავს არ დაზოგავს. აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს, მაიკ ტაისონიც გამოვა რინგზე. „ეს მე სულაც არ მაღელვებს. ერთადერთი, რაც მაინტერესებს – თავად მე ვარ. მე სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი და ბოლო დროის უდიდესი სპორტსმენი ვარ“, – ამაყად აცხადებს ბრიტანელი მოკრივე. რაც შეეხება მაიკ ტაისონს – იგი 21 ივნისს ოლეგ მასკაევს შეხვდება. თავად იმ ფაქტს, რომ ლუისი და ტაისონი ერთი და იმავე შენობაში, ერთი პროგრამის ფარგლებში იასპარეზებენ, პროფესიონალურ საკრივო სამყაროში უკვე მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევენ. ■

მრიატორემ კურნიკოვა დაიწონა

ანა კურნიკოვამ უარი განაცხადა გერმანიის ღია საჩოგბურთო ჩემპიონატში მონაწილეობაზე, რის მიზეზადაც ტრავმა დაასახელა, თუმცა ზოგიერთი ბულვარული გამოცემა იუწყება, რომ რუსმა ლამაზმანმა ინტიმური პრობლემის გამო

გამოტოვა ტურნირი: გავრცელებული ხმების თანახმად, ამჟამად საჩოგბურთო სექს-სიმბოლო „ფორმულა-1“-ის გუნდის – „რენოს“ თავკაცით, ფლავიო ბრიატორეთია გატაცებული, რომელიც თავის მხრივ, უპირატესობას გერმანელ სუპერმოდელ ჰაიდი კლამს ანიჭებს. ამას წინათ, ბრიატორემ თავის ახალ საყვარელს „უბრალოდ, ტკბილი გოგონა“ უწოდა. ანასა და ჰაიდის ბიუსჰალტერების სარეკლამო კამპანიაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ყვითელი პრესა იუწყება, რომ ფლავიოს სწორედ იმ პერიოდში გაუცნია კურნიკოვაც და კლამიც და არჩევანი ამ უკანასკნელზე შეუჩერებია, რის გამოც ანამ თავისი კონკურენტის სამშობლოში გამართულ საჩოგბურთო ტურნირში მონაწილეობა აღარ ისურვა. ბრიატორე და კლამი კი, ბედნიერების მწვერვალზე არიან. ცოტა ხნის წინ, ჰაიდი 29 წლის გახდა, რაც თავის საყვარელთან ერთად წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულზე აღნიშნა, სადაც წყვილი ზაფხულამდე დარჩენას აპირებს. ცხადია, ასეთი ფუფუნება ძალიან ძვირი ჯდება, მაგრამ სინიორ ბრიატორეს ეს სულაც არ ანაღვლებს. „ამჟამად არაფრის განწყობა არა მაქვს. ჩემი საქმეები პარტნიორებს გადავაბარე და... მე მგონი, მართლა შეყვარებული ვარ“, – ამბობს 54 წლის ფლავიო, რომელსაც, სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ ანალოგიური სიტყვები „შავ პანტერად“ წოდებული ნაომი კემპბელის მისამართითაც წარმოუთქვამს... ■

Ford Mustang დღეში 5 დოლარად

წლეულს, კორპორაცია Ford-ს დაარსებიდან 100 წლისთავი უსრულდება. ამასთან დაკავშირებული მთავარი ზეიმი 12-დან 16 ივნისამდე, მიჩიგანის შტატის ქალაქ დირბორნშია დაგეგმილი, სადაც 1903 წელს ამუშავდა ჰენრი ფორდის პირველი საავტომობილო სახელოსნო. ამჟამად „ფორდი“ სიდიდით მსოფლიოში მეორე ავტომწარმოებელია. მის საწარმოებში – აშშ-სა და მის ფარგლებს გარეთ – 350 ათასი მუშა-მოსამსახურეა დასაქმებული. „ფორდის“ მარკის გარდა, კორპორაციას ეკუთვნის ისეთი სახელგანთქმული ბრენდები, როგორიცაა: Aston Martin, Jaguar, Land Rover, Lincoln, Mazda, Mercury და Volvo. ევროპაში „ფორდის“ მთავარი ფილიალი გერმანიაში მდებარეობს. იქ, 1925 წლიდან მოყოლებული, საერთო ჯამში 32 მლნ ავტომობილია გამოშვებული. ევროპულ ბესტსელერს მოდელი – Ford Escort-ი წარმოადგენს, რომლის ტირაჟმა უკვე 6,4 მლნ-ს გადაჭარბა.

მაგრამ იუბილესთან დაკავშირებით, „ფორდმა“ სხვა ცნობილი მოდელის – Mustang-ის რიმეიქი – სპორტული GT გამოუშვა. კორპორაციის მესვეურები აპირებენ აგრეთვე ევროპული კუპეს – Ford Capri-ს თანამედროვე ვარიანტის დამზადებასაც. ყველაზე წარმატებულ მარკეტინგულ ხერხებს შორის კი, აღსანიშნავია პროგრამა, რომლის მიხედვითაც, Ford Mustang ლიზინგის წესით – 4 წლის მანძილზე, დღეში 5 დოლარის გადახდით გაიყიდება. ეს თანხაც იუბილეს უკავშირდება: სწორედ 5 დოლარით გაზარდა 1914 წელს, ჰენრი ფორდმა კონვეიერთან მომუშავე მუშის დღიური გასამრჯელო. მაშინ ფორდის მიზანი ის იყო, რომ მომხმარებლისთვის უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო მოდელი T, რომელიც 260, გაძლიერებული კომპლექტაციით კი – 400 დოლარი ღირდა. ■

ლაიფციგის ავტოსალონის იტალიური პრემიერები

ტრადიციული საერთაშორისო ავტოსალონი წლეულს, 130 ათას კვმ ფართობზე იყო განთავსებული. მნახველთა წინაშე, 20 ქვეყნიდან ჩამოსული 400 მონაწილე წარდგა – ზოგი ახალი ავტომობილით, ზოგი კი – სხვადასხვაგვარი აქსესუარით. ეს რიგით მე-13 დათვალიერება იყო. ლაიფციგში ავტოსალონის მოწყობის იდეა, გერმანიის გაერთიანების შემდეგ გაჩნდა; ის, დასავლეთთან შედარებით, ეკონომიკურად ჩამორჩენილი, აღმოსავლეთის მიწებისკენ ინვესტორთა მიზიდვას ისახავდა მიზნად.

წლევანდელ ექსპოზიციაზე იტალიური დანაყოფი „ფორმულა-1“-ის ჩემპიონმა, მიხაელ შუმახერმა წარმოადგინა, რომელიც ლაიფციგში პირდაპირ სან-პაულუდან ჩაფრინდა, სადაც ბრაზილიის გრან-პრის გათამაშებაში მონაწილეობდა. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან იტალიური ავტომრეწველობის პრომოუშენში წვლილის შეტანა სახელგანთქმული ავტომრბოლელის პირდაპირი მოვალეობაა: შუმახერი ხომ Ferrari-ს გუნდის ღირსებას იცავს, რომელიც Fiat-ის ჯგუფში შედის. იტალიელებმა ლაიფციგში წარმოადგინეს: Lancia-ს ახალი მოდელი Ypsilon, Alfa Romeo-ს GT Coupe და Fiat-ის სათავო კონცერნში დამზადებული მინივენი Idea.

მათ გვერდით, ყველაზე შესამჩნევი იყო Maybach-ის წარმომადგენლობითი ლიმუზინი (მწარმოებელი Daimler-Chrysler) და Volkswagen-ის ახალი მიკროავტობუსი.

სულ ლაიფციგში 49 სერიული ავტომობილი იყო წარმოდგენილი, რომელიც ამჟამად იყიდება ევროპის ავტობაზარზე. ■

უნივერსალური Honda

აპრილის დამდეგს, ევროპელმა დილერებმა Honda Accord-ის ბაზაზე შექმნილი მოდელი – Tourer მიიღეს. გარეგნულად, ახალი იაპონური მანქანა საკმაოდ წააგავს იტალიურ უნივერსალს – Alfa Romeo 156 Sport Wagon, მაგრამ სინამდვილეში, საგრძნობლად განსხვავდება ფუნქციურობით. მაგალითად, უკანა კარი ელექტროამძრავითაა აღჭურვილი და გასაღებზე მოთავსებულ ღილაკზე დაჭერით იღება. ამგვარი ფუფუნების საშუალება აქამდე, გაცილებით ძვირად ღირებული მანქანების მფლობელებს ჰქონდათ. ახალი უნივერსალის უკანა სავარძელი იკეცება, რის შედეგადაც 1,80 მ სიგრძისა და 1,30 მ სიგანის დანაყოფი იქმნება.

Accord Tourer იმავე ძრავებით აღიჭურვება, რითიც სედანი. მყიდველს საშუალება ექნება, აირჩიოს აგრეგატი: 2 ან 2,4 ლ მოცულობის და შესაბამისად, 155 ან 190 ცხ.ძ-ის მქონე ბენზინის ძრავა. დიზელი ცოტა მოგვიანებით გამოვა. საბაზო კომპლექტაციაში მანქანა აღჭურვილი იქნება უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშებით, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით, კონდიციონერით, კლიმატ-კონტროლით. 2,4 ლ-იანი ძრავათი აღჭურვილ მანქანას თან დაურთავენ მასტაბილირებელ ელექტრონულ პროგრამას VSA. ევროპაში უნივერსალი (2 ლ-იანი აგრეგატით აღჭურვილი, საბაზო ვერსია) 23.900 ევროდ გაიყიდება. ეს 1.500-ით ძვირია, ვიდრე სედანისძარიანი. ■

Skoda Octavia-ს ოფციებიანი ვერსია

„ფოლკსვაგენის“ ჯგუფში შემავალმა ჩეხურმა კომპანიამ წარმოებისთვის ახალი კომპლექტაციის Octavia - Success მოამზადა. მანქანა შეიცავს ოფციათა პაკეტს, რომელიც დამატებით საფასურს ითვალისწინებს. Success აღჭურვილი იქნება: მსუბუქშენადნობიანი საბორბლე დისკებითა და 205 ზომის, განიერი საბურავებით; მაგნიტოლის სამართავი ღილაკი საჭეზეა მოთავსებული, თვით საჭე კი, ვერტიკალურად რეგულირებადია და ნატურალური ტყავითაა გაწყობილი. ოფციათა პაკეტში შედის აგრეთვე: კომპაქტდისკიანი მაგნიტოლა და 8 დინამიკი, მუხრუჭების ანტიბლოკირების და კურსის მდგრადობის სისტემები. მანქანას 2 ძირითადი ძრავა აქვს: 1,6 ლ მოცულობის, 102 ცხ.ძ-იანი ბენზინის და 1,9 ლ მოცულობის, 131 ცხ.ძ-იანი დიზელის. აქვე დავძენთ, რომ ამავე დიზელიანი ძრავათი აღიჭურვება აგრეთვე: Audi, VW Golf და Passat. 1,6 ლ-იანი Success-ის კომპლექტაციის სედანი 20.890, უნივერსალი – 22.200 ევრო ეღირება. 1,9 ლ-იანი ტურბოდიზელით აღჭურვილი უნივერსალის ფასი კი, 25.430 ევრო იქნება. ■

ავტოსალონის ყველა საფეხური Audi-ს მოდელებმა დაიკავა



მკითხველთა კონკურსში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ, გერმანულმა ჟურნალმა – Auto Bild alles allrad-მა (მისი სპეციალიზაცია სრულამძრავიანი ავტომობილებია) ჩაატარა, ახალმა Audi A8-მ გაიმარჯვა. მკითხველთა უმრავლესობამ ეს მოდელი დაასახელა საუკეთესოდ ნომინაციაში – „2003 წლის სრულამძრავიანი, მსუბუქი ავტომობილი“. Audi-მ სხვა საპრიზო ადგილებიც დაიკავა: მეორე ადგილზე – Audi A6 quattro, მესამეზე – Audi TT გავიდა.

ნომინაციაში – „საუკეთესო სპორტული ყველგანმავალი“ – Volkswagen Touareg-მა გაიმარჯვა, რომელმაც BMW X5 და Porsche Cayenne-ს გაუსწრო. კატეგორიაში – „სრულამძრავიანი პიკაპი“ ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო Nissan Pick-up-მა, რომელსაც Ford Ranger და Mitsubishi L200 მოჰყვება. პრემია საუკეთესო ტექნიკური სიახლისთვის წილად ხვდა Volvo XC90-ს,რომელშიც უსაფრთხოების კომპლექსური სისტემა ROPS-ია გამოყენებული. ■

„DJ ბუკლეს“ (ჟურნალი „რეიტინგი“) ტრადიციული შეხვედრების მორიგი სტუმარი ტინეიჯერებისთვის საყვარელი ჯგუფი — „ძებნილები“ იყო. მათთან შესახვედრად ბევრმა ახალგაზრდა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი. მინიდოსიეს შედგენისას აღმოჩნდა, რომ ჯგუფის ყველა წევრის საყვარელი საქმელი ლობიოა, ხოლო ტყუილს ვერც ერთი მათგანი ვერ იტანს. ამასთანავე, „ძებნილები“ ისეთი მხიარული ხალხი ყოფილა, რომ შეხვედრამ სულ სიცილსა და ხუმრობაში ჩაიარა. ჯგუფის წევრებს შორის ყველაზე მეტად ჯერონიმო აქტიურობდა; ხანდახან მას ფრედო და მეგოთიც ეხმარებოდნენ, ხოლო მასტი და ჯგუფის ჯერ-ჯერობით არაოფიციალური წევრი გრინი, თითქმის ხმას არ იღებდნენ („ძებნილებმა“ ამჯობინეს მხოლოდ მეტსახელებით მოგვეხსენებინა ისინი).

„სმაც ხელჭვეტებით ქმქელე ხეწეალეთ ეს ბეჭნრეიმეს“

ნათია ქივიძე

— როდის და როგორ შეიქმნა თქვენი ჯგუფი და საერთოდ, მოგვიყევით თქვენი მუსიკალური ცხოვრების შესახებ...

ფრედო:

— ჯგუფი 1993 წელს შეიქმნა. ჯგუფის შემქმნელი და ლიდერი იყო შავი პრინცი. მან მე მომძებნა, მე მასტი მოვძებნე, მასტმა — მეგოთი და ჩვენ ყველამ ჯერონიმო მოვძებნეთ. თავდაპირველად, მიწის ქვეშ, ე.წ. „ანდერგრაუნდში“ ვმღეროდით. სცენაზე სულ ახლახან გადავინაცვლეთ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ შავი პრინცი ჩვენი ჯგუფიდან წავიდა და სოლო კარიერის შექმნა გადაწყვიტა.

— რა იყო თქვენი გაყრის მიზეზი?

— არ დავაკონკრეტებთ, მაგრამ ერთს ვიტყვით: ტყუილი ძალიან ცუდია...

— რატომ მღეროდით მიწის ქვეშ და რატომ გადაინაცვლეთ სცენაზე?

ჯერონიმო:

— ფიზიკურად ვუხდებოდით „ანდერგრაუნდს“. საერთოდ, რეპი წარმოიშვა პროტესტის საფუძველზე, რადგან ზანგები დაჩაგრული ხალხი იყო. რეპს თავიდან ქუჩური სახე ჰქონდა. ჩვენც თავიდან, პროტესტის ფორმით დავიწყეთ რეპის წაკითხვა (რეპი არ იმღერება). ახლა კი აღარავის აინტერესებს შენი პროტესტი — მოსწყინდა ხალხს, ამიტომ გადავწყვიტეთ, ცოტა შეგვერბილებინა ჩვენი მუსიკა და სცენაზე გადავსულიყავით. პრობლემა ისევ დარჩა, მაგრამ უკანა პლანზე გადავიდა. პრობლემა აგრესიული აღარ არის — შელამაზებული პრობლემაა.

— რა იყო თქვენი პროტესტის მიზეზი?

— საქართველოში უამრავი მიზეზია პროტესტისთვის. თუმცა, ჩვენ პრეზიდენტის მიმართ პროტესტს არ გამოვხატავთ. ხალხი იოგებს იგლეჯს და ვერაფერს აგებინებს, ჩვენ რას გავხდებით?!

— ტექსტს და მუსიკას რომ თავად წერთ, ყველამ ვიცით, მაგრამ თქვენ კლიპებში ცეკვავთ კიდეც. ქორეოგრაფი გყავთ?

— აბსოლუტურად ყველაფერს ჩვენით ვაკეთებთ. ბიჭებში დევს ცეკვის მუხტი და არ უჭირთ. თავად არიან ქორეოგრაფები.

— ხართ თუ არა სკანდალურები?

— არა ვართ. თუმცა, ცოტა სკანდალურობა ალბათ საჭიროა. მაგალითად, ემინემი უწმაწური სიტყვებით გახდა პოპულარული.

— შავი პრინცის გარდა, ვინ მიგაჩნიათ საქართველოში თქვენს კონკურენტად?

— კონკურენტი უნდა არსებობდეს, რომ მუშაობის სურვილი გვქონდეს — იმის სურვილი, რომ მათზე უკეთესი ვიყოთ. ეს ამბიცია კი არ არის, პროფესიიდან გამომდინარეა. რეპერების მეტი რა არის, მაგრამ ყველაზე დიდი კონკურენტი შავი პრინცია და ის დარჩება სიცოცხლის ბოლომდე...

— ახლო მომავალში რა გეგმები გაქვთ?

— მაისის ბოლოს ჩემი ალბომი გამოვა. „ძებნილების“ არის, მაგრამ უფრო მეტად, ჩემი ნამუშევარია. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ მე ამათზე მეტი ან ნაკლები ვარ. ყველა წევრს აქვს უფლება, თავისი სოლო ალბომი გამოუშვას. ასევე, ახლო მომავალში ახალ სიმღერაზე კლიპს გადავიღებთ. შოუბიზნესი ვითარდება და ჩვენც მივყვებით ამ არცთუ ისე სუფთა გზას...

— რაიმე დანაშაული თუ ჩაგიდენიათ?

— თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მეზობლის ეზოდან კარალიოკი მოგვიპარავს, ან მგზავრობისას, გზაზე პატარა გოჭი დაგვჭერია და მანქანაში ჩაგვიგდია, სხვა არაფერი ჩაგვიდენია.

— იარაღი თუ გაქვთ?

— ერთი-ორი წლის წინ, ჩემთან უცნობი ბიჭი მოვიდა, გარაჟების უკან გამიყვანა და პისტოლეტი მიჩვენა: აი, მე იარაღი მაქვსო. — მერე, რა ვქნა-მეთქი? — ვკითხე. შენ ხომ რეპერი ხარ და რატომ არ ატარებ იარაღს? — კინოში მინახავს, რომ რეპერები იარაღით დადიანო... ჩვენ იმის საჭიროება არა გვაქვს, რომ იარაღით ვიაროთ, თორემ, რა პრობლემაა? — ვივლით ტანკებით და „ბეტეერებითაც“.



რომ იცოდეთ, საქართველოში რეპი ქუთაისიდან წამოვიდა...

— ისე, სად იმერელი კაცი და სად რეპი?

ფრედო:

— რომ იცოდეთ, საქართველოში რეპი ქუთაისიდან წამოვიდა... ოთხმოცდაცამეტ წელს, თბილისში რაღაც კონცერტში ვმონაწილეობდით. სცენაზე სხვადასხვა მომღერალი გამოვიდა და ხალხმა დიდი ოვაციებით ტაში დაუკრა. გამოვედით ჩვენ და ყველა გაოცებული გვიყურებდა. ტაში არავინ დაგვიკრა. თავჩაღუნულები გავიძურწეთ კულისებში.

— ფრედო, ჯგუფის წევრებიდან მხოლოდ შენ ხარ დაოჯახებული. გვიამბე რაიმე შენს ოჯახზე?

— მყავს მეუღლე ქრისტინა, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობ. ოჯახებით ვიყავით ახლოს. თორმეტი წლის იყო, როცა მოლდავეთში წავიდა, საიდანაც ექვსი წლის შემდეგ დაბრუნდა. რომ ვნახე, ძალიან დამევასა (სიმღერაც გვაქვს — „მაგრად დამევასე"). მოვიყვანე ცოლად და გვყავს შვიდი თვის ბიჭი — რომა, რომელმაც პირველად ორი დღის წინ თქვა მამა.

— ჯგუფის დანარჩენი წევრები რას ფიქრობთ დაოჯახებაზე?

მეგოთი:

— როგორც კი მომეწონება ვინმე, მაშინვე მოვიყვან, ოღონდ — პატიოსანი გოგო უნდა იყოს.

ჯერონიმო:

— შეყვარებული არ მყავს და ცოცხს ხომ არ მოვიყვან ცოლად?! მინდა, რომ კარგი ცოლი მყავდეს. სტუდიიდან დაღლილი რომ დავბრუნდები შინ, ჩემი მეუღლე დივანზე წამოსკუპებული დამხვდეს და „იუდას ქალს" უყურებდეს, სადილი გამზადებული არ იყოს, — მომეწონება?!. მისი ხელით მომზადებული კერძი მინდა, თუმცა, სავალდებულო არ არის, ფრჩხილებიც შიგ ჩააყოლოს...

— თქვენი ოჯახი როგორ ეგუება თქვენს რეპერობას?

— ახლა კარგად, მაგრამ ადრე მამაჩემი მეჩხუბებოდა ხოლმე: გაიპარსე ეგ ბლანჟე, ნუ მარცხვენო. მერე, ერთმა მეგობარმა რომ უთხრა, — შენი შვილის კლიპი ვნახე ტელევიზორშიო, დაწყნარდა.

— თქვენმა სიმღერამ — „ჩემი ძმები" ძალიან სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. როგორ ფიქრობთ — რა იყო ამის მიზეზი?

— სამი მიზეზია: ჯერ ის, რომ სიმღერაში კაიფია ნახსენები; მეორე ის, რომ ამ ბოლო დროს, რეპი აღარ ჩანდა. ჩვენი სიმღერის შემდეგ კი მასას თვალში მოხვდა და ესიამოვნა; და მესამე ის, რომ კარგად გათვლილი მუსიკა გვაქვს, რომელზეც ჩვენი სიმღერების არანჟირებების ავტორი პაატა სილაგაძე ზრუნავს.

— რა სპორტი გიტაცებთ?

— ოთხივენი, მოკრივეები ვიყავით. მე ცოტა წარმატებებიც მქონდა — ვერცხლის მედალი ჩამოვიტანე ევროპის ჩემპიონატიდან. ასევე, გვიყვარს კალათბურთი, ფეხბურთი... წყალბურთს ვერ ვთამაშობთ, რადგან ქუთაისში აუზი არ არის.

— ლექსი თუ დაგიწერიათ?

— მერე რამდენი!... ოღონდ — „ფოთოლი ჩამოვარდა" და „ნიავი ქრის" მსგავსი ლექსების წერას ვერ ვახერხებთ, რადგან ჩვენში რომანტიზმი არ დევს. უფრო რეალისტები ვართ და რეალურად „ვრითმავთ" სიმართლეს...

— ჯერონიმო, სკოლაში როგორი მოსწავლე იყავი?

— თერთმეტი კლასი სულ „ხუთებზე" დავამთავრე. დედაჩემი ისეთი ქალი იყო, მაინტერესებდა თუ არა ქიმია ან ზოოლოგია, მაინც უნდა მესწავლა. არ მეცოდინებოდა და ვაი, შენს ჯერონიმოს...

— რომელია თქვენი საყვარელი სადღეგრძელო?

მეგოთი:

— ძმობას გაუმარჯოს!

— საჭიროებამ რომ მოითხოვოს, ომში წახვალ?

ჯერონიმო:

— ვერ წავალ, რადგან ავტომატი ჩემხელაა...

შეხვედრის ბოლოს, ჯგუფის წევრებმა ყველაზე აქტიური ფანი — ქეთი დაასაჩუქრეს, რომელმაც სასწრაფოდ ჩაიცვა „ძებნილების" წარწერიანი მაისური, ხელში „ძებნილების" ავტოგრაფებით გაფორმებული, კალათბურთის ბურთი აიღო და ჯგუფის წევრებთან ერთად სურათი გადაიღო.

P.S. „DJ ბუკლესა" და მოდების სახლის DK-ის მომდევნო სტუმარი მსოფლიო ჩემპიონი გიორგი ასანიძე იქნება.

■

„კვირის პალიტრის" სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის" გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის" ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

„ეთნიკური წვეულება საქართველოში“



როგორც ცნობილია, „ჯაზის სახლში“ აფრიკული „ფეშენ ფართი“ გაიმართა. სამოდელო სააგენტო „ნატალის“ მოდელები ყველა სტუმარს კარში ეგებებოდნენ და სხეულის სხვადასხვა გამოსაჩენ ადგილას, „ფეშენის“ ტატუს აკრავდნენ. შესვლისთანავე ვიზაჟისტი მსურველებს აფრიკულ მაკიაჟს უკეთებდა. სულ მალე, წვეულებაც დაიწყო. მისი ორგანიზატორი ნინო იოსელიანი, რომელიც თავადაც აფრიკულ სტილში იყო ჩაცმული და ვარცხნილობაც აფრიკულად ავანგარდული ჰქონდა, საკმაოდ ეფექტურად ასრულებდა აფრიკულ ცეკვას. მოგვიანებით დიზაინერების: ავთო ცქვიტინიძის, თამუნა ინგოროყვას, გვანცა ჯანაშიას, თეა ნაფეტვარიძის, სალონ „ნიმას“ და თამუნა თხილაიშვილის კოლექციის ჩვენება გაიმართა. რა თქმა უნდა, კოლექცია აფრიკული ტანსაცმლისგან შედგებოდა, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის შეიქმნა. სამკაულებსა და აქსესუარებზე კი გულია ჭანკოტაძემ იზრუნა.

ვიდრე „ნატალის“ გოგონები მაყურებელს კოლექციას უჩვენებდნენ, **ნინო იოსელიანს** რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.

— როგორ გაჩნდა „ფეშენ ფართის“ გამართვის იდეა?

— პირველი ასეთი წვეულება „ბერიკონში“ ჩატარდა, რომელიც უფრო კლასიკური იყო. შემდეგ, ორწუთიანი კლიპი Fashion TV-ზე ტრიალებდა. ახლაც „ფეშენ ფართია“, ოღონდ — აფრიკული სტილის. ესეც ორწუთიან კლიპად დამონტაჟდება და ორი თვის განმავლობაში, კვლავ Fashion TV-ზე იტრიალებს.

— რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც აფრიკული სტილი?

— აქამდე „აფრიკული ფართი“ არასოდეს მოწყობილა, თან საკმაოდ მხიარული და ლამაზია.

— თავად თუ ყოფილხართ აფრიკაში?

— არა, არასოდეს, მაგრამ ძალიან მაინტერესებს.

— საკმაოდ მოხდენილად ასრულებთ აფრიკულ ცეკვას. სპეციალურად ამ დღისთვის შეისწავლეთ?

— რა თქმა უნდა, არა. ბავშვობაში ცეკვაზე დავდიოდი და რაღაც ილეთები იქიდან მახსოვს. მერე, პარიზში რომ ვსწავლობდი, ცეკვის წრეზე დავდიოდი, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ცეკვებს გვასწავლიდნენ.

ამასობაში ჩვენებაც დამთავრდა. მოდელი გოგონებისთვის მოულოდნელად, კონკურსი გამოაცხადეს, რომლის პირობების შესაბამისად, გოგონებს „ფეშენ TV“-ის მაისურები და მაკრატლები დაურიგეს; ვინც ამ მაისურისგან ყველაზე ორიგინალურ ნიმუშს შექმნიდა, წვეულების დედოფლად აღიარებდნენ. იქ მყოფი დიზაინერებისგან შემდგარმა ჟიურიმ ეს ტიტული, მოდელ სალომე ღვინიაშვილს გადასცა, რომელიც „ორიფლეიმის“ კოსმეტიკით დაასაჩუქრეს. ამის შემდეგ, ლატარია გათამაშდა და გამარჯვებულ მაყურებელს თამუნა ინგოროყვას მაისურები უსახსოვრეს. მოგვიანებით კი, აფრიკული დისკოთეკა გაიმართა, რომელიც გათენებამდე გაგრძელდა. ■

ნინო იოსელიანი

ახალი ჯილდო და ნორჩი მომღერლები

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საკრებულოსა და „ფორტუნა 97“-ის თაოსნობით „5 ვეგას“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. მასში მონაწილეობდა 5 პატარა მომღერალი: სალომე გასვიანი, ნინი ქარსელაძე, მარიამ როინიშვილი, თიკა ჯამბურია და ზუკა ხუციშვილი. ნორჩი მომღერლები თავიანთ ბენეფისზე ცოცხალი შესრულებით წარდგნენ მსმენელის წინაშე. სალომე გასვიანმა რამდენიმე ინგლისურენოვანი სიმღერა შეასრულა. შემდეგ სცენაზე თამრიკო ჭოხონელიძე გამოვიდა, პატარა მომღერალს ეს წარმატება მიულოცა და სიმღერაც მიუძღვნა. სალომეს შემდეგ სცენა ნინი ქარსელაძემ დაიკავა, მან ჯერ ზუკა ხუციშვილთან ერთად დუეტში შეასრულა სიმღერა, ხოლო შემდეგ — „ქუჩის ბიჭებთან“.

ოვაცია დაიმსახურა მარიამ როინიშვილმა, რომლის შესრულებულმა სიმხურმა სიმღერამ მთელი დარბაზი აიკიკვა. შემდეგ მარიამმა ვაჟთა გუნდთან ერთად ხალხური სიმღერა შეასრულა, თუმცა მანამდე მარიამისა და მერაბ სეფაშვილის ახალი დუეტის პრემიერა შედგა.

აპლოდისმენტებით შეეგება მაყურებელი თიკა ჯამბურიასაც, რომელსაც ცოცხალი ყვავილებით მორთული მდელოსფერი კაბა ეცვა. თიკამ ძველ და ახალ სიმღერებთან ერთად, „უცნობთან“ ჩაწერილი დუეტიც შეასრულა.

კონცერტის ბოლო მონაწილე და გოგონების გარემოცვაში მყოფი ერთადერთი ბიჭი, ზუკა ხუციშვილი იყო, რომელმაც დუეტში, მამასთან — გიო ხუციშვილთან ერთად იმღერა. ზუკას რამდენიმე სიმღერის შემდეგ, ბენეფისი დასრულდა და დაჯილდოების ცერემონია დაიწყო. საკრებულოს თავმჯდომარემ — მიხეილ სააკაშვილმა ფასიანი საჩუქრები და დიპლომები გადასცა პატარა მომღერლებს. ნორჩმა მომღერლებმა ოქროს გულსაბნევები და ვიოლინოს გასაღებები მიიღეს და თითოეული მათგანი ფილარმონიის სოლისტად გამოცხადდა. ■

სალომე გასვიანის დაბადების დღე

6 მაისს, პატარა მომღერლის, სალომე გასვიანის დაბადების დღე მისმა ოჯახმა, მეგობრებმა და კოლეგებმა კლუბ „დალოოდ-ში“ აღნიშნეს. თავდაპირველად, მაყურებელ-მა ამერიკაში გადაღებული დოკუმენტური ფილმი იხილა, სადაც შონ მაკნამარა და რამდენიმე სხვა ამერიკელი რეჟისორი და პროდიუსერი მომღერლის შესაძლებლობ-ებზე საუბრობენ. ფილმის შემდეგ, სალომემ ახალი სიმღერის პრემიერა შეასრულა, რომლის მუსიკაც რუსა მორჩილაძეს, ხოლო ტექსტი ირინა სანიკიძეს ეკუთვნის. რამ-დენიმე სიმღერის შემდეგ, მოწვეულმა სტუმ-რებმა სალომე გასვიანისა და ჯგუფ „საუნ-დის“ ახალი კლიპის პრეზენტაცია იხ-ილეს, რომელიც გადაღებულია სიმღერაზე – „თეთრი ზღაპარი“. მუსიკა ჯგუფ „საუნდს“, ხოლო ტექსტი კვლავ ირინა სანიკიძეს ეკუთვნის. კლიპი, ქალაქის გარეუბანში მდე-ბარე ერთ-ერთ სახლში, სტუდია „მაესტროს“ შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაიღო. მისი რეჟისორია კახა ოთარაშვილი.

ვიდრე იუბილარი ტორტზე სანთლებს ჩააქრობდა, სცენაზე მომღერლები ერთმანეთს ცვლიდნენ.

სალომემ ტორტზე 13 სანთელი ჩააქრო და მხიარულება დილამდე გაგრძელდა...

მომღერლის უახლოეს გეგმებში, ამერიკაში გამგზავრება და აქტიური მუშაობა შედის. მას ამჟამად სოსო ჯაჭვლიანი იღებს ფილმ-ში – „პირველი სიყვარული“. ჯგუფი „საუნ-დი“ კი, რამდენიმე დღეში კლიპის გადაღე-ბას დაიწყებს სიმღერაზე – „არაფერი მახ-არებს“, რომლის ტექსტიც, მუსიკაც და არან-ჟირებაც ჯგუფის წევრებს ეკუთვნით და რეჟისორებიც თავადვე იქნებიან. კლიპი, ისევე როგორც სიმღერა, ძალიან სევდიანი იქნება და იმ ქვეყნად ყველა უდროოდ წასულ შეყვარებულ გოგონას მიეძღვნება. ■

კლაუდია შიფერი – ყველაზე მდიდარი მოდელი

კლაუდია შიფერი ამ წლის ყველაზე მდიდარი მოდელია: მისი ქონება 60 მილიონ დოლარს შეადგენს. დიდი ბრიტანე-თის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში კლაუდიას 879-ე ადგილი უკავია. შიფერისაგან განსხვავებით, კეიტ მოსს ოქროს ახალგაზრდობის ასეულში 33-ე ადგილი უკავია და მისი ქონება მხოლოდ 18 მილიონადაა შეფასებული. ოქროს ახალ-გაზრდობის ასეულში კეიტ მოსის გარდა შედიან: კრისტი ჰიუმი (17 მლნ), ლიზა რატლიფი (11 მლნ), ერინ ო`კონორი (9 მლნ), ვივიენ სოლარი და ალეკ ვეკი (თითოეული 7,5 მლნ) და ჟაკეტა უილერი (6,5 მლნ). რაც შეეხება დიდ ბრიტანეთის ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგს, კლაუ-დია შიფერთან ერთად იქ მოხვდნენ სერ პოლ სმიტი (200 მლნ), მადონა და გაი რიჩი (350 მლნ), მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა-ჯონსი (225 მლნ). ■

მერაია ქერი მსოფლიოს გარშემო ტურნეს იწყებს

როგორც ჩანს, მერაია ქერი ბოლოს და ბოლოს, გამოვიდა დეპრესიული მდგომარეობიდან. პირად და პროფესიულ ცხოვრებაში ორწლიანმა წარუ-მატებელმა პერიოდმა ვერ გატეხა მომღერალი. ახალი ძალებით აღსავსე მერაია 24 ივნისიდან მსოფლიო ტურნეს დაწყებას აპირებს. იაპონია იქნება პირველი ქვეყანა, სადაც მომღერალი კონ-ცერტებს გამართავს.

ქერი ამ ტურნეს თავისი უკანასკნელი ალბო-მის – Charmbracelet-ის მხარდასაჭერად აწყობს. დისკი მუსიკალურ მაღაზიებში გასული წლის დეკემბერში გამოჩნდა და დღესდღეობით უკვე მილ-იონი ეგზემპლარია გაყიდული. რაღა თქმა უნდა, ეს ციფრი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ წარუ-მატებლობის პერიოდი წარსულს ჩაჰბარდა. ერთი წლის წინ, მერაია საავადმყოფოში მოხვდა, სადაც ექიმებმა მორალური და ფიზიკური გამოფიტვის დიაგნოზი დაუსვეს. ქერიმ ძალიან განიცადა ტომი მოტოლთან (კორპორაცია Sony Music-ის ხელმძღვანელი) განშორება. უიღბლობას პირად ცხოვრებაში, პროფესიულ ასპარეზზე წარუმატებლობაც დაემატა: მერაიას დებიუტი კინოში – ჩავარდა, კორპორაცია EMI/Virgin-მა მომღერალთან ოთხი ალბომის გამოშვებასთან დაკავშირებული კონტრაქტი გააუქმა. მერაია ქერიმ ღირსეუ-ლად დაძლია წინააღმდეგობები და დღეს მთელ მსოფლიოს მსმენელთა გულის დაპყ-რობას აპირებს. სულ ცოტა ხნის წინ, ბუსტა რაიმსთან დუეტში ჩაწერილმა კომპოზი-ციამ კი, ბილბორდის ჩარტებში მეშვიდე ადგილი დაიკავა. უახლოეს მომავალში მერაია ჯასტინ ტიმბერლეიკთან დუეტში ჩაწერს ახალ სიმღერას – Yours. ■

უფლისწულ უილიამს ოჯახის „პიარისტომა“ აღარ სურს

ბრიტანეთის უფლისწულს სამეფო ოჯახის „რეკლამირე-ბა“ მოსწყინდა და გადაწყვიტა, უარი ეთქვა მისი სრულ-წლოვანებისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო პოპ-კონცერ-ტის გამართვაზე. ამის ნაცვლად, უილიამი თავის 21-ე დაბადების დღეს მეგობრების ვიწრო წრეში აღნიშნავს. დაგეგმილი იყო, რომ უფლისწულის 21-ე დაბადების დღეს ისეთივე საქველმოქმედო კონცერტი გამართულიყო, როგორიც შარშან ბებიამისის, დედოფალ ელისაბედ მეორის ტახტზე ასვლის 50-ე წლისთავზე მოეწყო. მოსალოდნელ ზეიმამდე ორი თვით ადრე, უილიამმა განაცხადა, რომ არანაირი კონ-ცერტი არ გაიმართებოდა, რადგან მას არ სურდა, თავისი დაბადების დღე სამეფო ოჯახის კიდევ ერთ პიარ-აქციად ქცეულიყო.

„დეილი ტელეგრაფში“ გამოქვეყნდა სტატია, სადაც აღნიშნული იყო, რომ სამეფო ოჯახი უილიამის გადაწყვეტილებამ ძალზედ დაამწუხრა. პირველწყაროს ცნობით, უფლისწულ ჩარლზისა და დაიანას უფროს ვაჟს, „დედისაგან საშინლად ჯიუტი ხასიათი ერგო მემკვიდრეობად“. ■

მშვიდი და ღრმა ძილისათვის

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

იმისათვის, რომ მშვიდად დაძინება შეძლოთ, გარკვეული წესების დაცვაა საჭირო. გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები და უთუოდ მოგიწესრიგდებათ ძილის პროცესი. ვიდრე დასაწოლად გაემართებოდეთ, უარი თქვით:

მსუყე საკვებზე

საღამოს მირთმეული სოსისი, შემწვარი ღორის ან ძროხის ხორცი ტვირთავს კუჭსა და ნაწლავებს, ორგანიზმს არ აძლევს დასვენების საშუალებას. საჭმლის მონელებას სანელებლები უწყობს ხელს, მაგრამ თუ ისინი ზედმეტად გაგიტაცებთ, შესაძლოა, კუჭის წვა დაგეწყოთ და ძილს ხელი შეუშალოს. ძილის წინ ნუ შეჭამთ შოკოლადს, ნუ დალევთ ჩაის, ყავას, „კოკა-კოლას“: ყველა მათგანი კოფეინს შეიცავს და აღაგზნებს ადამიანს.

ვარჯიშზე ვახშმის შემდეგ

სპორტი და ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა ღლის, მაგრამ არ ეხმარება ადამიანს დაძინებაში, რადგან აღმგზნები ჰორმონის – ადრენალინის გადმოსროლის პროვოცირებას იწვევს. ამიტომ დაძინებამდე სამი საათის განმავლობაში ნუ ივარჯიშებთ. ასევე უარი თქვით ნებისმიერ მძიმე ფიზიკურ დატვირთვაზე. ერთადერთი „სპორტი“, რომელიც ძილს ხელს არ შეუშლის – სექსია. სასიყვარულო ურთიერთობის დროს გამომუშავდება სიამოვნების ჰორმონები – ენდორფინები, რომელიც ადუნებს ორგანიზმს.

საწოლში ნებივრობაზე

დაიმახსოვრეთ: საწოლი უნდა ასოცირდებოდეს მოდუნებასთან. არ შეიძლება საწოლში ჭამა, ტელევიზორის ყურება (ამ დროს შესაძლოა მოუხერხებელ მდგომარეობაშიც ჩაგეძინოთ), გაზეთის კითხვა (მეტად მავნებელია ხერხემლისა და თვალებისათვის). გამონაკლისი შეიძლება იყოს კარგი წიგნის კითხვა, ისიც მხოლოდ 20-30 წუთით. ამის შემდეგ კი ბალიში გადააბრუნეთ (გამთბარ მხარეს უფრო ძნელად ჩაგეძინებათ).

კომპიუტერთან მუშაობაზე

არაფერი ისე არ უწყობს ხელს უძილობას, როგორც მონიტორთან მუშაობა. ძილის წინ ორი საათით ინტერნეტში ყოფნა, ამდენივე საათის უძილობას იწვევს.

ხმამაღლა მოწიკწიკე საათზე

იგი სერიოზულ ხელისშემშლელად შეიძლება იქცეს. ადამიანი ყურადღებას აფიქსირებს იმაზე, თუ რომელი საათია და ძილი უკრთება. შეარჩიეთ უხმაურო მაღვიძარა, რომელსაც მკვეთრი ზარი კი არა, სასიამოვნო მელოდია აქვს – ეს დაზოგავს თქვენს ნერვულ სისტემას.

მძიმე საფენებსა და ხალიჩებზე

ასეთი საგნები აგროვებს მტვერს და აძნელებს სუნთქვას. თუ საშუალება გაქვთ, საძინებლიდან გაიტანეთ წიგნების თაროებიც. ღამით ფანჯარა შეღებული დატოვეთ, რათა ჰაერი გამუდმებით იწმინდებოდეს. ძილისათვის იდეალური ტემპერატურაა 16-18 გრადუსი.

სინთეტიკაზე

სინთეტიკურ თეთრეულზე ძილი ნამდვილი სატანჯველია. შეარჩიეთ ბამბის თეთრეული, რომელიც კანს სუნთქვის საშუალებას მისცემს.

ახლა კი იმ ჩვევებზე ვისაუბროთ, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზმის მოდუნებას და განგაწყობთ ძილისათვის:

სწორი ვახშამი

ვახშმად კარგია ბრინჯი, რომელიც მდიდარია სახამებლით, აუმჯობესებს მონელებას, ხელს უწყობს სეროტონინის გამოყოფას, რასაც შედეგად განწყობის გაუმჯობესება მოჰყვება. ამასთან სეროტონინის უშუალო მონაწილეობით გამოიყოფა ძილის ჰორმონი – მელატონინი. ძილის ჰორმონის გამოყოფას ხელს უწყობს აგრეთვე ჰური, ბანანი და მაკარონი.

სწორი რიტუალი

დასაძინებლად ყოველთვის ერთსა და იმავე დროს დაწექით, ძილის წინ შეგიძლიათ, გაისეირნოთ, მიიღოთ თბილი აბაზანა (ცაცხვის ან ლავანდის ნაყენით), 3 წუთი მაინც დაუთმეთ კბილების გამოხეხვას, მოუსმინეთ სასიამოვნო მუსიკას.

კარგი განწყობილება

ძილის წინ ნუ გაარკვევთ ურთიერთობებს ნაცნობებ-მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან და განსაკუთრებით სექსუალურ პარტნიორთან. კამათი დილისათვის გადადეთ, დილას კი, ნახავთ, რომ კონფლიქტის მიზეზი სადღაც გაქრება.

სასიამოვნო სურნელი საძინებელში

თუ საძინებელში მანდარინის ან ფორთოხლის ქერქს მოსრესთ, მისი სურნელი მოდუნებაში დაგეხმარებათ. შეგიძლიათ ცხვირსახოცზე დაიწვეთოთ 3 წვეთი ფორთოხლის, გვირილის ზეთი და იგი ბალიშის ქვეშ დაიდოთ.

თბილი წინდები

თუ მცივანა ხართ, შესაძლოა მთელი ღამე თვალი ვერ მოხუჭოთ ფეხების „გაყინვის“ გამო. ამიტომ წინასწარვე ამოიცვით ბამბის ან თხელი შალის წინდები და იძინეთ მშვიდად. ■

დიაგნოსტიკა კბილების მიხედვით

დღეს დიაგნოსტირების უამრავი უახლესი მეთოდი და უზუსტესი ხელსაწყო გამოიყენება, მაგრამ ზოგჯერ საკმარისია, მხოლოდ შეხედო ადამიანის კბილებს – მათზე, როგორც ეკრანზე, ისე აისახება ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესი.

თითოეულ კბილს შეესაბამება ორგანოთა გარკვეული ჯგუფი. კბილის ნებისმიერი უმნიშვნელო დაზიანებაც კი, შეიძლება, ორგანიზმის შიგნით მიმდინარე დარღვევის სიგნალად იქნას მიჩნეული.

მაგალითად, ზედა და ქვედა საჭრელი კბილები (I და II) ასახავს თირკმლების, შარდის ბუშტის და ყურების მდგომარეობას. ეშვები (მე-3) – ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მდგომარეობას. ფილტვებსა და მსხვილ ნაწლავზე ინფორმაციას ატარებს მე-4 და მე-5 კბილები. კუჭზე, ელენთასა და კუჭქვეშა ჯირკვალზე – მე-6 და მე-7. „სიბრძნის კბილები“ კი გულისა და წვრილი ნაწლავის მდგომარეობაზე მოგვითხრობენ.

ხშირად ადამიანი დისკომფორტს გრძნობს გარეგნულად ჯანსაღ კბილებში, ზოგჯერ კი ის ადგილები სტკივა, სადაც კბილები დიდი ხნის წინ ამოიღო. ეს ე.წ. ფანტომური ტკივილი არის ორგანიზმის მინიშნება იმის შესახებ, რომ ესა თუ ის პრობლემა აქვს. ეს იმიტომ ხდება, რომ დაზიანებული ორგანოდან სიგნალი რეფლექსურად გადაეცემა მისი შესაბამისი კბილის არეს... თუ გვეცოდინება აღნიშნული დამოკიდებულების შესახებ, შეიძლება ადვილად გამოვთვალოთ მტკივნეული ადგილი.

ზემოთქმული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ შინაგანი ორგანოს დაავადებას ყოველთვის თან ახლავს კბილის დაზიანება. და არც კბილის ყოველი ტკივილია ორგანიზმის შიგნით მიმდინარე დარღვევების შედეგი. მისი მიზეზი შეიძლება ჩვეულებრივი კარიესი იყოს, რომელიც მიკროელემენტების ნაკლებობის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, გადატანილი ინფექციური დაავადების ან სტრესის შედეგად განვითარდა.

კბილები თქვენს ხასიათზეც მეტყველებს

ზოგიერთი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ კბილების ფორმის მიხედვით შეიძლება, ვიმსჯელოთ არა მხოლოდ ჯანმრთელობაზე, არამედ ადამიანის ხასიათზეც.



- ვისაც სწორი კბილები აქვს, ის მჭევრმეტყველია და ადვილად ბრაზდება.
- სხვადასხვა სიმაღლის კბილები უფრო ხშირად ღრმად მოაზროვნე ადამიანებს აქვთ.
- გრძელი კბილები სიძუნწესა და სიავეზე მეტყველებს.
- წინ წამოწეული კბილები ხელმომჭირნეებს აქვთ.
- წვრილი, მახვილი კბილები გაიძვერობისა და ეშმაკობის ნიშანია.
- თუ ადამიანს კბილებს შორის დიდი შუალედები აქვს, ეს ნიშნავს, რომ იგი უნებისყოფოა.
- ზედა საჭრელ კბილებს შორის დიდი შუალედი, ყოველთვის ითვლებოდა მხიარულებისა და თავქარიანობის ნიშნად.
- დიდი და მაგარი კბილების პატრონები, როგორც წესი, კეთილი და მამაცი ადამიანები არიან.

რა თქმა უნდა, ამ ნიშნების ანალიზისას გარკვეული სკეპტიციზმიც გვეუფლება, რადგან დღეს ჩვენ შორის მრავლად არიან ადამიანები, რომელთა თეთრი, ლამაზი კბილები ვერაფერს გვეტყვის მათ ხასიათზე, სამაგიეროდ, პროთეზისტისა და ორთოდონტის პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

ერთი კი უნდა გვახსოვდეს, რომ სტომატოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული მედიცინის სხვა სფეროებთან. კბილის მკურნალობისას კარგმა სტომატოლოგმა აუცილებლად უნდა მიაპყროს ყურადღება ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ზოგად პროცესებს და ასეთი კომპლექსური მიდგომა იქნება სტაბილური შედეგის გარანტი.

ესტროგენები იცავს კბილებს

ასაკის მატებასთან ერთად ხდება კალციუმის გამორეცხვა ძვლებიდან, რაც მოტეხილობებსა და კბილების დაშლას იწვევს. კბილების ჯანსაღად შენარჩუნებაში დაგვეხმარება ვაშინგტონის მეცნიერთა მიერ შემუშავებული ახალი მეთოდიკა. მათ საკითხი ასე დააყენეს: თუკი ესტროგენების ნაკლებობა ორგანიზმის მიერ კალციუმის დაკარგვას იწვევს, ხომ არ დაგვეხმარება ხელოვნური ესტროგენი კბილების პროფილაქტიკაში? მკვლევარებმა დაკვირვება ქალების ორ ჯგუფზე აწარმოეს. ერთ ჯგუფს ეძლეოდა კალციუმი, D ვიტამინი და პლაცებოს („მატყუარა“) აბები, მეორეს კი – ესტროგენების ხელოვნური შემცვლელები. მეორე ჯგუფში შემავალ ქალებს კბილები უფრო მაგარი და ლამაზი გაუხდათ, სტომატოლოგიურმა პრობლემებმა უკან დაიხია. I საკონტროლო ჯგუფში გაუმჯობესება არ აღინიშნა.

კარიესის საწინააღმდეგო ვაქცინა

სარძევე კბილების კარიესის პროფილაქტიკა იცავს მუდმივ კბილებს დაშლისაგან. აღმოჩნდა, რომ 1,5-დან 3 წლამდე ბავშვის პირის ღრუში სახლდება კარიესის გამომწვევი ბაქტერიები. თუ ეს პროცესი თავიდანვე იქნება აყვანილი სტომატოლოგიურ კონტროლზე, ინფექცია სარძევე კბილებიდან მუდმივ კბილებს არ გადაეცემა.

ბოსტონელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კარიესის მიზეზი არა ნებისმიერი ბაქტერია, არამედ განსაკუთრებული გამომწვევი – S mutans-ია. თუკი კონკრეტული „მოწინააღმდეგე“ აღმოჩენილია, რატომ არ შეიძლება მისი საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა? სულ ცოტა ხნის წინ, შეიქმნა კიდეც ასეთი ვაქცინა. მეცნიერების რეკომენდაციით ბავშვები უნდა აიცრან ერთი წლის ასაკში, როცა ბაქტერია ჯერ კიდევ არ მოხვედრილა კბილებში, ხოლო ბავშვის იმუნიტეტი საკმაოდ მომაგრდა საიმისოდ, რომ აცრამ უშედეგოდ არ ჩაიაროს.

■

ნაღვლის კენჭები

ნაღვლის ბუშტის კენჭები უფრო ხშირად ქერებსა და მსუქან ქალებს ირჩევენ ხოლმე. კენჭები ყოველ მეათე ადამიანს აქვს. როგორ წარმოიქმნება კენჭები და რატომაა ის საშიში?

მწვანე საიდუმლო

ნაღვლის მჟავები ცხიმების გახსნასა და მონელებაში მონაწილეობს. რაც მეტია ცხიმი ჩვენს რაციონში, მით მეტი ნაღვლის მჟავაა საჭირო მის მოსანელებლად. დღე-ღამის განმავლობაში ორგანიზმი ერთ ლიტრამდე ნაღველს წარმოქმნის.

იმისათვის, რომ ნაღველი ჩაეტიოს მცირე მოცულობის (50 მლ – მამაკაცებში და 70 მლ – ქალებში) ორგანოში, ნაღველი მრავალჯერადად კონცენტრირდება. ამასთან საჭმლის მონელებისას იხარჯება ნაღვლის ძველი მარაგი, რომელიც ადგილს ახალ ულუფას უთმობს. როცა ნაღვლის ბუშტი ჯანსაღია, ეს კონვეიერი საათივით მუშაობს.

მაგრამ ზოგჯერ ნაღველი გუბდება და იმდენად კონცენტრირდება, რომ მასში შემავალი ნივთიერებები კრისტალიზდება. სწორედ ეს კრისტალები წარმოადგენს საფუძველს ნაღვლის მჟავების ფორმირებისათვის. ჯერ კიდევ დაავადების დაწყებამდე, ექოსკოპიური გამოკვლევისას, სკანერის ეკრანზე გამოჩნდება ხოლმე მისი წინამორბედი – მღვრიე ნალექი. იგი ღრუბელს ჰგავს და ადგილს იცვლის ადამიანის მოძრაობისას.

ზრდის პრობლემები

კენჭების წარმოქმნა ხანგრძლივი პროცესია: საშუალოდ, წელიწადში ის 5 მმ-ით იზრდება, თუმცა ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სანაღვლე სადინარში მკვრივი წარმონაქმნი ერთ კვირაში ყალიბდება.

დაავადების ძირითადი მიზეზი ქოლესტერინული ცვლის დარღვევაა. სწორედ ქოლესტერინის სიჭარბის გამო ფორმირდება კენჭების 80%. მეორე მიზეზია ქოლეცისტიტის გამო ნაღვლის ბუშტში წარმოქმნილი შეხორცებები და ნაწიბურები. ამასთან, ბუშტის შიგნითა გარსი ბევრ ლორწოს გამოყოფს, რომელიც შესაძლოა იქცეს ბირთვად კენჭის წარმოქმნისათვის.

ფხიზლად უნდა იყვნენ მომავალი დედები: ორსულობის მეორე ნახევარში, ნაყოფის ზეწოლის გამო, ნაღვლის ბუშტი ხშირად იჭყლიტება, ცუდად ფუნქციონირებს, შედეგად კი ბილარული ნალექი წარმოიქმნება. მშობიარობის შემდეგ, როგორც წესი, ყველაფერი გაივლის, მაგრამ სიმსუქნისადმი მიდრეკილების მქონე და ქერა ქალბატონები რისკის ჯგუფში ხვდებიან. არსებით როლს თამაშობს გენეტიკური წინასწარგანწყობაც.

გაცილებით ხშირად დაავადების პროვოცირებას ჩვენ თავად ვახდენთ კვების არასწორი რეჟიმით. საკვების მიღებებს შორის დიდი შუალედები, ღამით კვება, შიმშილობა და მკაცრი დიეტები იწვევს ნაღვლის შეგუბებასა და შესქელებას.

მძიმე ტვირთი

ადამიანთა უმრავლესობას კენჭები არავითარ პრობლემას არ უქმნის და სამედიცინო გამოკვლევის დროს, მათი აღმოჩენა სრულიად შემთხვევით ხდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საშიშროება არ არსებობს.

ნაღველ-კენჭოვანი დაავადების ყველაზე ხშირი გართულება მწვავე ქოლეცისტიტია (ნაღვლის ბუშტის ანთება). კენჭები კეტავს სადინარს, შეგუბების პირობებში ბაქტერიები სწრაფად მრავლდება. იწყება ძლიერი ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში, მატულობს ტემპერატურა, ზოგჯერ სიყვითლეც ვითარდება.

მეორე საშიში გართულებაა მწვავე პანკრეატიტი, რომელიც ხასიათდება მტანჯველი ტკივილით (სარტყლისებური ხასიათის), გულისრევით, პირღებინებით. ასეთ დროს გადაუდებელი დახმარებაა საჭირო, ზოგჯერ ოპერაციაც ხდება აუცილებელი. ხოლო თუ დაავადება გახანგრძლივდება, ვითარდება ქრონიკული პანკრეატიტი. ასე რომ, უსარგებლო ტვირთისაგან უმჯობესია დროულად გათავისუფლდეთ.

დათვის წამალი

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მკურნალობის ერთადერთი მეთოდი იყო ოპერაცია. დღეს უკვე არსებობს კონსერვატიული მეთოდებიც. მაგალითად, ჩანაცვლებითი თერაპია ხელოვნური ნაღვლის მჟავებით, კერძოდ, ურსოდეზოქსიქოლის მჟავით, რომელიც რუხი დათვის ნაღვლისაგან გამოყვეს. სწორედ ამ ნივთიერების წყალობით, დათვებში ზამთრის ხანგძლივი ძილის დროს, არ ვითარდება ნაღველ-კენჭოვანი დაავადება. სამწუხაროდ, „დათვის წამალი“ მხოლოდ ქოლესტერინული წარმოშობის კენჭების დროსაა ნაჩვენები, როცა მათი ზომა 1 სმ-ს არ აღემატება.

ბოლო დროს, განვითარდა ლითოტრიპსიის – სპეციალური აპარატით კენჭების დაშლის მეთოდი. ლითოტრიპსიით შესაძლებელია 3 სმ-მდე ზომის კენჭების დაშლა. რის შემდეგაც წარმოქმნილ წვრილ ნარჩენებს სპეციალური პრეპარატებით შლიან.

თუ კონსერვატიული მეთოდები არ გამოდგება, ტარდება ოპერაცია, ხშირ შემთხვევაში – ლაპაროსკოპია, დიდი განაკვეთის გარეშე. ასეთი ოპერაციის შემდეგ პაციენტი მეორე დღესვე დგება ფეხზე.

თავად გააჯეთეთ

ადრე ექიმები ნაღვლის ბუშტის ამოკვეთის ოპერაციის გადატანის შემდეგ, პაციენტს მკაცრ დიეტას უნიშნავდნენ. დღეს მიდგომა სხვაგვარია: საჭიროა სწრაფად, ერთი თვის განმავლობაში კვების ჩვეულებრივ რეჟიმზე გადასვლა, რათა

აღდგეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალური ფუნქციონირება. ერთადერთი წესია ხშირი კვება მცირე ულუფებით, რადგან ოპერაციის შემდეგ, ორგანიზმში აღარ არის ნაღვლის რეზერვუარი, იგი ღვიძლიდან პირდაპირ ნაწლავებში გადადის და აღიზიანებს ლორწოვანს. თუ დღეში 4-ჯერ მაინც იკვებება ნაოპერაციევი ადამიანი, ნაღველი საკვების მონელებაზე იხარჯება.

ნაღვლმდენი მცენარეული პრეპარატების მიღება ოპერაციის შემდეგ საჭირო არ არის. მათთვის კი ვისაც ბილარული ნალექი აღენიშნება ან აქვს მემკვიდრული წინასწარგანწყობა ამ დაავადებისადმი, რეკომენდებულია მსგავსი პრეპარატები. მათ ასევე უნდა გაითვალისწინონ შემდეგი რჩევები:

მთავარია სწორი კვება. შეზღუდეთ მწარე კერძები, შებოლილი, კონსერვირებული პროდუქტები, ცხოველური ცხიმი. სადილები ზეთით მოამზადეთ, პროდუქტები მოხარშეთ ან მოშუშეთ დაბალ ცეცხლზე.

არ დაუშვათ, რომ ხანგრძლივად გქონდეთ კუჭის შეკრულობა.

შეიყვარეთ ცხოვრების აქტიური სტილი. უმოძრაობა ნაღვლის შეგუბებას იწვევს.

ნუ იტყვით უარს ყავაზე. სულ ცოტა ხნის წინ ჰარვარდის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ეს სასმელი ხელს უშლის ნაღვლის ბუშტსა და სადინარებში კენჭების წარმოქმნას. ■

თურმე ნახშირწყლებით ხდებიან

საკვები, რომელიც დიდი რაოდენობით ნახშირწყლებს შეიცავს, ნაკლებად კალორიული და უფრო ნოყიერია, ხოლო ასეთი საკვების მოყვარულ ადამიანებს, როგორც წესი, ჭარბი წონა არ აწუხებთ. ასეთ მოულოდნელ დასკვნამდე მივიდნენ, 10 ათასი ადამიანის გამოკვლევის შემდეგ, აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსპერტები.

გამოკითხულები რაციონში ნახშირწყლოვანი კვოტის მიხედვით 4 ჯგუფად დაყვეს: №1 – 30%-ზე ნაკლები, №2 – 30-45%, №3 – 45-55% და №4 – 55%-ზე მეტი. ეს უკანასკნელნი დღეღამეში 300 კილოკალორიით ნაკლებს მოიხმარენ, თუმცა საკვების მიღებას არ ზღუდავენ და მაინც მათ სხეულის მასის ყველაზე დაბალი ინდექსი აქვთ. საქმე ისაა, რომ ნახშირწყლოვანი საკვები უფრო მოცულობითია – 1000 კილოკალორიაზე მოდის მეტი წყალი, უჯრედისი, ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები. მასში ცოტაა ცხიმი, ქოლესტერინი და ნატრიუმი, რომელიც გულისა და სისხლძარღვების დაავადებების განვითარებას უწყობს ხელს.

ნახშირწყლოვანი იდეალური დიეტა, მეცნიერთა აზრით, ასე გამოიყურება: ცოტა უცხიმო რძე, ხორცი და თევზი, ნაკლები კარაქი და ტკბილეული. ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ხილბოსტნეულზე. მათ შორის კარტოფილზე, სტაფილოსა და ჭარხალზეც, რომელსაც ბევრი დიეტოლოგი უკრძალავს ხოლმე ჭარბი წონის მქონეთ.

მოსწიე, მაგრამ არ გააბოლო!

იაპონიაში გამოუშვეს სიგარეტი, რომელიც პრაქტიკულად არ ბოლავს და ამასთან მასში ჩამონტაჟებული გამაცხელებლის მეშვეობით, საშუალებას აძლევს მწეველს, რომ შეიგრძნოს კვამლის სასურველი სუნი. მავნე კვამლის საერთო რაოდენობა ოთახში ასეთი სიგარეტის მოწევისას, ჩვეულებრივზე 85%-ით ნაკლებია, რაც, რა თქმა უნდა, სასიხარულოა მწეველთა კოლეგებისა და ოჯახის წევრებისათვის. გარდა ამისა, ახლებური სიგარეტი თითქმის საერთოდ არ ტოვებს ფერფლს, ხოლო მისი სუნი არ რჩება თმასა და ტანსაცმელზე.

კოსმეტიკა შავ სიაში მოხვდა

მრავალი კოსმეტიკური კომპანიის პროდუქციაში გამოყენებული ანტიმიკრობული დანამატი – მეთილდიბრომგლუტარონიტრიტი, კანის ალერგიას იწვევს. ასეთ საცხთან ან შამპუნთან კონტაქტის შემდეგ, სახის, კისრის და ხელების კანზე ვითარდება სიწითლე, გაღიზიანება და ქავილი. 1991 წელს ადამიანთა მხოლოდ 0,7% რეაგირებდა ამ ნივთიერებაზე, მაგრამ 2000 წლისათვის მათი რიცხვი 3,5%-მდე გაიზარდა. ასეთი მკვეთრი მატება სპეციალისტთა შეშფოთებას იწვევს. მეცნიერებმა თხოვნით მიმართეს კომპანიებს, რომ გამორიცხონ კოსმეტიკური პროდუქციიდან საშიში ინგრედიენტი, მაგრამ მათ ყურს არავინ უგდებს. ამიტომ ახლა მეცნიერები მოუწოდებენ მომხმარებლებს, რომ იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე. ალერგენული კოსმეტიკის „შავ სიაში“ მოხვდა ზოგიერთი მარკის საცხი ნამზეურისათვის. სახის ნიღბები, ხელის საცხი, შამპუნები, ბალზამი-კონდიციონერები, ანტიბაქტერიული საპნები. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშია საცხი და ბალზამი, რადგან ის შეიწოვება კანში და ზრდის დერმატიტისა და ეგზემის განვითარების რისკს.

ექსპერიმენტი თვალის ბროლზე

საკუთარ თავზე საშიში ექსპერიმენტი ჩაატარა 33 წლის ბრიტანელმა, რომელსაც 13 წლის განმავლობაში არ მიუღია ხორცი, კვერცხი, რძის პროდუქტი, თევზი და სხვა ცხოველური ცილები. ნახევარი

წლის წინ, მან ექიმს მხედველობის გაუარესების გამო მიმართა. სიბრმავის მიზეზი ბროლის შემღვრევა-კატარაქტა გახდა.

ეს დაავადება ჩვეულებრივ, ხანში შესულებს უვითარდებათ, მაგრამ გარკვეულ ნივთიერებათა უკმარისობის დროს, ბროლი შეიძლება ვადაზე ადრე დაბერდეს. სისხლის ანალიზით და ზოგადი გამოკვლევით დადგინდა თუთიის, სელენის, A,B,C,D,E ვიტამინების ღრმა დეფიციტი. ექიმებმა დანაკარგი წვეთოვნითა და კუნთებში ინიექციებით შეავსეს, მაგრამ პაციენტს მხედველობა მაინც არ აღუდგა – პროცესი საკმაოდ შორს იყო წასული.

ახლა ვეგეტარიანელს ხელოვნური ბროლის გადანერგვა ელის. იგი გულწრფელად ვერ ხვდება, რატომ მოხდა ასე – მას ხომ სურდა, ყველაფერი უკეთ ყოფილიყო – არ სვამდა, არ ეწეოდა, არ ჭამდა ხორცს. ბრიტანეთის ვეგეტარიანელთა საზოგადოება ახსნა-განმარტებით გამოვიდა: ვეგეტარიანული რაციონი საფრთხეს არ უქმნის ჯანმრთელობას, თუ სწორადაა შედგენილი, ანუ შეიცავს კვერცხს, ყველს, რძეს (თუ ძროხისას არა, სოიისას მაინც). ■

Greenpeace-მა ბირთვულ სახელმწიფოთა ლიდერების გამოსახულებიანი ჯარიტი გამოუშვა

ეს არის პაროდია პენტაგონის ინიციატივაზე, რომელმაც ამერიკელ ჯარისკაცებს დაურიგა კარტი, ძებნაში მყოფი 55 ერაყელი ლიდერის გამოსახულებით. Greenpeace-ის დასტაში, ერაყის რეჟიმის ლიდერები ბირთვულ სახელმწიფოთა ლიდერებმა შეცვალეს. ყვავის ტუზად, სადამ ჰუსეინის ნაცვლად, ჯორჯ ბუში იქცა. მას „ვერდს უმშვენებენ“: ვლადიმირ პუტინი, ტონი ბლერი და ჟაკ შირაკი. „ეს ამერიკული კარტის ზუსტი ასლია, – ამბობს Greenpeace-ის განიარაღების პროგრამის პრესმდივანი უილიამ პედენი. მისი განცხადებით, კარტმა საზოგადოების ყურადღება უნდა მიაპყროს იმ საშიშროებას, რომელსაც პლანეტაზე დაგროვილი ბირთვული არსენალები შეიცავს.

რაკი ბირთვულ სახელმწიფოთა ლიდერების რაოდენობა საჭიროზე ნაკლები იყო, დაბალ კარტებზე მოათავსეს ცნობები ბირთვული შეიარაღების ისტორიიდან. მაგალითად, აგურის ორიანზე წერია, რომ 1945 წელს, მსოფლიოში სულ 128000 ერთეული ბირთვული იარაღი დამზადდა.

კარტის 600 ეგზემპლარი, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებზე გამართული კონფერენციის დელეგატებს დაურიგეს. ამან დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. ზოგიერთმა დელეგატმა საკუთარ გამოსვლაშიც გამოიყენა კარტზე მოცემული ინფორმაცია. Greenpeace იმედოვნებს, რომ შემდგომში, ეს კარტი შეიძლება, საგანმანათლებლო მიზნებითაც იქნას გამოყენებული. ■

ალპინისტმა დალუპვას ხელის მტევნის ამპუტაცია ამჯობინა

27 წლის არონ რალსტონი კლდეზე მიცოცავდა, როდესაც უზარმაზარი ლოდი მოწყდა, ხელზე დაეცა და ისე მიაჭყლიტა, რომ განძრევის საშუალებას არ აძლევდა. ეს ამბავი შაბათს, 26 აპრილს მოხდა; სამშაბათს, არონ რალსტონს წყლის მარაგი გაუთავდა, ხუთშაბათს, 1 მაისს კი მან გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გათავისუფლებულიყო იძულებითი ტყვეობისაგან. ალპინისტმა ჩვეულებრივი, დასაკეცი დანით მოიკვეთა ხელი და მაგრად გადაიკრა იგი ქსოვილით. შემდეგ იმდენი ძალაც კი მოიკრიბა, რომ ნელ-ნელა ხევისკენ დაშვება დაიწყო. შვეულმფრენიდან მაშველებს შეუნიშნავთ მისი ფიგურა, როცა რალსტონი უახლოესი დაბისკენ მიიწევდა. მაგრამ მისი ძებნა მოგვიანებით – მაშინ დაიწყო, როცა მათ შეიტყვეს, რომ ალპინისტი 4 დღის მანძილზე არ გამოცხადებულა სამსახურში. რალსტონი ალპინიზმის დიდი მოტრფიალე ყოფილა და აქამდე, კოლორადოს 49 მთავარი მწვერვალი დაულაშქრავს. ■

სასტუმრო მხოლოდ ქალებისათვის

ციურიხში გაიხსნა სამვარსკვლავიანი სასტუმრო Lady`s First, რომელსაც ამშვენებს დაფა წარწერით – „მხოლოდ ქალებისათვის“. ის საგანგებოდ იმ ქალებისთვის ააშენეს, რომლებსაც უყვართ განმარტოებით მოგზაურობა და არ იტაცებთ თავგადასავლები... ხშირად, ბარში მარტო მჯდომი ქალის ხილვა მამაკაცს აფიქრებინებს, რომ ის ახალი პარტნიორის მოლოდინშია... ჩვენთან ძლიერი სქესის წარმომადგენლებს მხოლოდ ჰოლში თუ იხილავთ, – ამბობს სასტუმროს მეპატრონე. ბუნებრივია, მომსახურე პერსონალი მხოლოდ ქალებისგან შედგება. სტუმრებს შენობაში მხოლოდ პენუარში გამოწყობილებს შეუძლიათ სიარული. ყველა ნომერში სააბაზანო ჩვეულებრივზე დიდი, ფართო და ნათელია; მასში უამრავი სარკეა და ვერ ნახავთ პირის საპარს მოწყობილობას. ტანსაცმლის კარადები ისეა მოწყობილი, რომ ადვილი იყოს კაბების, ქვედაბოლოებისა და ბლუზების დაკიდება. მინიბარში კი, კალორიული შოკოლადისა და მარილიანი თხილის ნაცვლად, მოხარშული ბრინჯი და დაბალკალორიული ნამცხვარი იყიდება. ■

წეხა-ჯითხვის უცოდინარი მსაჯი



რა უხეშადაც არ უნდა დაერღვიათ ნორვეგიელ ფეხბურთელებს თამაშის წესები იმ მატჩების დროს, რომელსაც არბიტრი პერ ანრე ბრატაასი სჯიდა, ისინი მაინც თითქმის არასდროს იღებდნენ გამაფრთხილებელ ბარათებს. როგორც გაირკვა, საქმე ის გახლდათ, რომ მსაჯი დისლექსიით ყოფილა დაავადებული და ამის გამო არ შეეძლო კითხვა. „ვერიდებოდი ფეხბურთელებისთვის ყვითელი და წითელი ბარათების ჩვენებას, რადგან ამ დროს, ოქმში ჯარიმის მიზეზი უნდა ჩამეწერა“, – გამოტყდა 52 წლის ბრატაასი, როცა მისი უცნაური „ლმობიერება“ მეტისმეტად შესამჩნევი გახდა. ■



კვირის (12 – 18 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვარკი – 21/IV-21/V

თუ ვარსკვლავებს დავუჯერებთ, დიდ თანამდებობაზე დაგნიშნავენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, დროებით მაინც მოგიწევთ რაღაც მნიშვნელოვანი პროექტის ხელმძღვანელობა. ბუნებრივია, ამის გამო იძულებული იქნებით, უარი თქვათ ბევრ სიამოვნებაზე.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

კვირის დასაწყისში, უამრავი სამუშაო გექნებათ. მაგრამ თუ ის სარისკო პროექტთან ან უცნობ ადამიანებთან იქნება დაკავშირებული, უმჯობესია, თავი აარიდოთ. კვირის მეორე ნახევარში, ახლობლებთან უფრო გულითად ურთიერთობას დაამყარებთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

მეტისმეტად დამყოლი იქნებით და ეს შეიძლება, სანანებელიც გაგიხდეთ. ეცადეთ, სწორად შეაფასოთ ხოლმე სიტუაცია. პარასკევიდან, გეწყებათ ახალი ეტაპი, რომელიც ძალზედ კარგ პერსპექტივებს გისახავთ – საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

ლომი – 23/VII-23/VIII

სამსახურში დაწყებული რაღაც სიახლე იმდენად გაგიტაცებთ, რომ შინ გაჩერებაც კი გაგიჭირდებათ. ეცადეთ, არ აწყენინოთ ოჯახის წევრებს. მთავარია, რომ მათ სწორად გაგიგონ – სხვა მხრივ, ამ კვირაში არანაირი პრობლემა არ შეგექმნებათ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

სამსახურში საკმაოდ არეული სიტუაცია გაქვთ. ეცადეთ, კარგად გაერკვეთ ყველაფერში, რაც გევალებათ. საჭიროების შემთხვევაში კი, ნუ მოერიდებით კითხვების დასმას, თორემ შეიძლება, ამით საკუთარ თავს ავნოთ. თუმცა, ამ ეტაპზე თქვენთვის, მაინც პირადი ცხოვრება იქნება უმთავრესი.

სასწორი – 24/IX-23/X

თქვენი მთავარი კოზირი, რთული სიტუაციებიდან გამოსავლის პოვნის უნარია. თუ სამსახურში დაგჭირდათ მისი გამოყენება, შეგაქებენ და შეიძლება, ჯილდოსაც გამოჰკრათ ხელი, თუ არა – თავად გამოიჩინეთ ინიციატივა და ვთქვათ, დეტექტივის შეთხზვა სცადეთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

მთელი კვირის მანძილზე, გუნდური თამაში მოგიწევთ: სამსახურში თანამშრომლებზე იქნებით დამოკიდებული, შინ – ოჯახის წევრებზე. დროდადრო, შეიძლება, საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირების სურვილი მოგეძალოთ, მაგრამ ამაში ცუდი არაფერია, ოღონდ – არ გადაამლაშოთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდებთ ხელს ნებისმიერ საქმეს და უმეტესად, კარგადაც გაართმევთ მას თავს. კონფლიქტის შემთხვევაშიც კი, წინ ვერაფერი დაგიდგებათ. მაგრამ კვირის მეორე ნახევარში, ჯობს, ცოტა დაიცხროთ ემოციები და გადაწყვეტილებების მიღებისას დაკვირვება გამოიჩინოთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

გამოიჩინეთ მოთმინება, გამოიყენეთ თქვენთვის დამახასიათებელი, ორგანიზატორული უნარ-ჩვევები და ნებისმიერ ამოცანას გაართმევთ თავს. საჭიროების შემთხვევაში, რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. უქმეებში, იმ პრობლემის გადაჭრა მოგიწევთ, რომელიც ადრე, არაერთხელ გადაგიდვიათ.

მერწყული – 21/I-19/II

მალე, შვებულებაში გასვლის საშუალება მოგეცემათ, ამიტომ დროა, საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს გადახედოთ და გაარკვიოთ – რისი უფლება შეგიძლიათ მისცეთ თავს. ოჯახი ყველა საკითხში თქვენ გვერდით იქნება. საერთოდ, მთელი ეს კვირა საუცხოოა სასიყვარულო და ოჯახური ურთიერთობების თვალსაზრისით.

თევზები – 20/II-20/III

კვირის პირველ ნახევარში ყველა თქვენი წამოწყება წარმატებით დასრულდება, მნიშვნელოვან პროექტზე მუშაობას დააგვირგვინებთ და საკუთარ თავს საუკეთესოდ წარმოაჩენთ ხელმძღვანელების წინაშე. კვირის დამლევს კი, სულ ნადიმსა და დროს ტარებაში გაატარებთ.

ვერძი – 21/III-20/IV

ამ კვირაში, ოჯახსა და სამსახურს შორის გაჭრა მოგიწევთ: ორივეგან უთქვენოდ ვერას გააწყობენ. ხუთშაბათიდან ჯობს, უარი თქვათ მგზავრობაზე: შეიძლება, უსიამოვნებას გადაეყაროთ. უქმეები, გირჩევთ, მეგობრების წრეში გაატაროთ.

მამაკაცები კურო ნიშნით დაბადებული ქალებისთვის

თუ შენი რჩეული **ვერძია**, ბევრი რამ გაქვთ საერთო და ერთად ყოფნისას არასოდეს მოიწყენთ. თუმცა, ყოფით წვრილმანებზე კამათს უნდა მოერიდოთ.

მამაკაცი **კურო**, ისევე, როგორც შენ, სიძუნწით არ გამოირჩევა, მაგრამ სხვების ხარჯზე ეკონომიის გაწევას ცდილობს ხოლმე, ამიტომ ფულის თემაზე კამათს ვერ ასცდებით.

მარჩხვთან ჰარმონიული ურთიერთობის დასამყარებლად, მოძებნე კომპრომისი სიახლესა და სტაბილურობას შორის.

კავშირი **კირჩხიბთან** ხანგრძლივ და მშვიდ სასიყვარულო ურთიერთობას გპირდება – ერთიმეორისაგან დიდ ვნებათაღელვას არ ელით.

თუ **ლომი** დაიოკებს შენი დამონების სურვილს და შენც ასევე მოიქცევი, ყველაფერი საუცხოოდ წარიმართება და თქვენი სექსუალური ცხოვრებაც რომანტიკით აღსავსე იქნება.

მამაკაც **ქალწულს**, ფიზიკურ სიამოვნებაზე მეტად, გულითადი საუბარი, საერთო მიზნები და გაბედული მისწრაფებები იზიდავს...

საუცხოო კავშირს გპირდება **სასწორი**: ერთიმეორისადმი ძალზედ გულისხმიერები და ყურადღებიანები იქნებით.

ღრიანკალისა და შენი მრავალმხრივი სექსუალობა ერთმანეთის იდეალურ საყვარლებად გაქცევთ. თუმცა, უნდა გაითვალისწინო, რომ გრძნობების სიმხურვალე ფულზე კამათმა შეიძლება გაანელოს...

მშვილდოსანი იმდენად ძლიერ უფრთხის იმედგაცრუებასა და გაყრას, რომ ბოლოს და ბოლოს, სხვა ქალთან გაიქცევა...

თხის რქა შენგან დაელოდება ინიციატივას, შენ კი – მისგან. ასე რომ, ნუ დაელოდები და აქტიურად იმოქმედე!

მერწყულს მოქმედების საკუთარი სქემა აქვს, შენ – საკუთარი და ვერც ერთი ვერ ახერხებთ შემხვედრი ნაბიჯის გადადგმას. თუმცა, თქვენი კავშირი შეიძლება, ბავშვის გაჩენამ გაამყაროს.

თევზებთან ურთიერთობისას, ძლიერ ვნებას ჰარმონიული დღეები მოსდევს. თქვენ შორის სრული თანხმობა იქნება, გამონაკლისი მხოლოდ ერთი საკითხია – ფუფუნების საგნების შეძენა.

როგორია თქვენი პიროვნული ღირსებები?

1) როდის გრძნობთ განსაკუთრებულ კმაყოფილებას?

ა) როცა შესრულებული საქმის გამო გაქებენ – 2;

ბ) როცა თვითონ გრძნობთ, რომ სამუშაო კარგად შეასრულეთ – 0;

გ) როცა ბევრი მეგობარი გახვევიათ გარს – 1.

2) რომელ ასპარეზს აირჩევდით, სპორტსმენი რომ იყოთ?

ა) მწვრთნელისას, რომელიც თამაშის ტაქტიკას განსაზღვრავს – 0;

ბ) ცნობილი სპორტსმენისას – 2;

გ) გუნდის მიერ არჩეული თავკაცისას – 1.

3) როგორები გინდათ, რომ იყვნენ თქვენი მეგობრები?

ა) უსაზღვროდ გულკეთილნი და გულისხმიერნი – 1;

ბ) თქვენი ერთგულნი – 2;

გ) ჭკვიანი და საინტერესოდ მოსაუბრენი – 0.

4) რა გაღიზიანებთ ყველაზე მეტად?

ა) როცა რაიმე საქმე არ გამოგდით – 0;

ბ) როცა მეგობრებთან შეკამათება გიწევთ – 1;

გ) როცა გაკრიტიკებენ – 2.

5) რა მოგწონდათ ყველაზე მეტად ბავშვობაში?

ა) მეგობრებთან ერთად თამაში – 1;

ბ) განმარტოებით ჯდომა და ჩხირკედელაობა – 0;

გ) გიყვარდათ, როცა გაქებდნენ – 2.

6) თქვენი აზრით, როდის აღწევთ წარმატებას?

ა) როცა იმ ადამიანებთან მუშაობთ, რომლებიც გესიმპათიურებიან – 1;

ბ) როცა თქვენთვის საინტერესო საქმეს აკეთებთ – 0;

გ) როცა იცით, რომ თქვენი წარმატება ღირსეულად დაფასდება – 2.

7) ყველაზე მეტად როგორი ადამიანი არ გიყვართ?

ა) ვისაც თავი სხვებზე უარესი ჰგონია – 2;

ბ) ვინც ხშირად ჩხუბობს და ხელოვნურად ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს – 1;

გ) ვინც გააფთრებით ეწინააღმდეგება სიახლეებს – 0.

8) თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი?

ა) კომუნიკაბელური – 1;

ბ) ავტორიტეტული – 2;

გ) მომთხოვნი – 0.

9) რა არის თქვენთვის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი?

ა) საკუთარი ადგილის პოვნა – 2;

ბ) დასახული მიზნის მიღწევა – 0;

გ) ახლობლებისთვის ცხოვრების შემსუბუქება – 1.

10) დასვენების რა ფორმა გირჩევნიათ?

ა) მეგობრების წრეში ყოფნა – 1;

ბ) ტელევიზორის ყურება – 2;

გ) საყვარელი საქმის კეთება – 0.

დაანჯამეთ ქულები

14-20 ქულა: ყველაზე მეტად საკუთარ თავს აფასებთ. მიგაჩნიათ, რომ უნაკლო პიროვნება ხართ და მხოლოდ ღირსებები გაქვთ. როცა რაიმის მიღწევა გსურთ, აგრესიული ხდებით. ძალაუფლება გიყვართ, მეტოქეობა გაღიზიანებთ და ყველა ღონეს ხმარობთ, რომ სწრაფად ჩამოიშოროთ ადამიანი, რომელიც შეიძლება თქვენი კონკურენტი გახდეს.

7-13 ქულა: ადამიანებთან ურთიერთობის უნარი თქვენი მთავარი პიროვნული ღირსებაა. მეგობრები ძალიან გიყვართ, ცდილობთ, ყველა საქმე — წვრილმანი იქნება თუ მეტად საპასუხისმგებლო — მეგობრების დახმარებით მოაგვაროთ. თქვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ახლობელი ადამიანების აზრი თქვენ შესახებ. გიყვართ ხალხმრავალ წვეულებებზე ყოფნა. საკმაოდ ემოციური ადამიანი ხართ და გრძნობებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ.

0-6 ქულა: საკუთარ თავსაც და მეგობრებსაც უკანა პლანზე აყენებთ. თქვენთვის მთავარი — საქმეა. მუდამ ცდილობთ, ყველაფერი „ხუთიანზე“ შეასრულოთ, ეს თქვენი პიროვნული ღირსებაა და ის სისხლში გაქვთ გამჯდარი. მეგობრებთან შეხვედრას და ოჯახში ყოფნას, საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა გირჩევნიათ. საკუთარ აზრს მუდამ თამამად გამოთქვამთ და ბოლომდე იცავთ — განსაკუთრებით მაშინ, როცა იცით, რომ ეს თქვენს საქმეს წაადგება.

როცა ცეცხლი ჯერ ჯერაც, უფალ ჯერობენ ბოლნლინია

სიგარეტის მოწევაზე უარის თქმა ბევრ ადამიანს გადაუწყვეტია. არც საკვების ამა თუ იმ სახეობის საკუთარი რაციონიდან ამოღება გააკვირვებს ვინმეს. მაგრამ საინტერესოა, რისთვის შეიძლება, ადამიანმა ყველაზე დიდ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე აიღოს ხელი?

ამ საკითხის გარკვევა ერთმა საერთაშორისო სოციოლოგიურმა სააგენტომ გადაწყვიტა, რომელმაც მამაკაცებს შორის ჩაატარა გამოკითხვა თემაზე:

რა მიზნის მისაღწევად იტყოდით უარს სექსზე სამუდამოდ? პასუხები ასე განაწილდა:

– უკვდავებისთვის – 23,5%;

– სოლიდური (მინიმუმ – 3.000 დოლარი) შემოსავლისთვის – 13,7%;

– სუპერ-ინტელექტის შესაძენად – 11,3%;

– მარადიული ჯანმრთელობისთვის – 10,1%;

– ბრწყინვალე კარიერისთვის – 8,9%;

– საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის მოსახვეჭად – 7,4%.

გამოკითხულთა მხოლოდ 24,8%-მა განაცხადა, რომ ამქვეყნიურ სიამეზე არც ერთი პირობით არ იტყოდა უარს. ■

ფინეთები უფალზე ნიგნიერი ერი უოფილა

ამ ქვეყანამ, ბიბლიოთეკებში მოსიარულე ადამიანების რაოდენობასთან დაკავშირებული ყველა რეკორდი დაამყარა. მაგალითად, თითოეულ კაცზე, რომელიც სისტემატურად სარგებლობს ბიბლიოთეკით, წელიწადში 19,7 წიგნი მოდის, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ყოველწლიურად, ფინეთი განათლების სისტემაში, საერთო ეროვნული პროდუქტის 7,2%-ს აბანდებს, რაც ასევე უმაღლესი მაჩვენებელია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებს შორის. ■

ბავშვები ნიკრული მხოლოდ ბოგონებგ ჯუჯაკებიუთ

ამერიკული სააგენტოს – Washington Profile-ის გამოკითხვამ უჩვენა, რომ ბიჭების უმეტესობას არ უნდა სწავლა: გამოკითხულთაგან მხოლოდ 5%-მა თქვა, რომ უყვარს სკოლაში სიარული; 10-დან 6 არ აპირებს კოლეჯში სწავლის გაგრძელებას. მათგან განსხვავებით, ამერიკელი გოგონების 79% სიამოვნებით დადის სკოლაში, 72% კი, განათლების გაგრძელებას გეგმავს. საინტერესოა, რომ სხვა საკითხებში, მათ შორის, მეტი თანხვედრაა: გოგონათა 76% და ბიჭების 69% ოცნებობს სიყვარულზე, გოგონათა 39% და ბიჭების 49% – მატერიალურ კეთილდღეობაზე, ორივე სქესის მოზარდთა 27% კი – სახელის მოხვეჭაზე. ■

ინგლისელ ქალებგ ჯანიჯუჩაკ ეპინიუთ მეოგბიკოგბის

ასეთი დასკვნა გამოიტანეს დიდი ბრიტანეთის 3000 ქალის გამოკითხვის ორგანიზატორებმა. ამგვარი გამოკითხვა ევროპის სხვა ქვეყნებშიც – გერმანიაში, საფრანგეთსა და ესპანეთშიც – ჩაატარეს და იქაც ანალოგიური შედეგი მიიღეს: ამ ქვეყნებში მშობიარობის პანიკური შიშით ყოველი მეათე ქალია შეპყრობილი. საინტერესოა, რომ გამოკითხვაში ის ქალები მონაწილეობდნენ, რომლებსაც ერთხელ მაინც უმშობიარიათ. მათი პასუხები დაახლოებით ასე ჟღერდა: „ეს დაახლოებით ასჯერ უარესი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოვიდგენდი“.

ბრიტანელი ქალების ნახევარს მაინც მიაჩნია, რომ ეს უძლიერესი განცდა იყო მათ ცხოვრებაში. საინტერესოა აგრეთვე, რომ გამოკითხულთა 23%-ს საკეისრო კვეთით უმშობიარია, 36%-ს – ე.წ. ეპიდურალური ანესთეზიით (სრული გაუტკივარების ინიექცია წელის არეში), 40%-ს კი – გაუტკივარების სხვა ეფექტური საშუალებებით. ■

ამერიკელ მამაკაცებგ ცოლებიგ ღალატი ეგჯეკიუთ

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა 300 მამაკაცსა და 300 ქალს დაუსვეს შეკითხვა: „გიღალატიათ თუ არა მეუღლისათვის, თუნდაც ცხოვრებაში ერთხელ?“ მამაკაცთა 58%-მა შეკითხვას დადებითად უპასუხა. მაგრამ გამოკითხვის ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ მოღალატე ქმრების რაოდენობა გაცილებით მეტია, რადგან ანონიმური გამოკითხვების დროსაც კი, ადამიანები ამგვარ შეკითხვებზე გულახდილად არ პასუხობენ ხოლმე. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ცოლებს ამერიკელთა 70% მაინც ღალატობს.

გამოკითხულ მამაკაცთა მხოლოდ 2% ფიქრობს, რომ ცოლებმა იციან მათი ღალატის შესახებ, 7% – რომ მხოლოდ ვარაუდობენ ამას, დანარჩენი 91% კი დარწმუნებულია, რომ მეუღლეებს ეჭვიც არ ეპარებათ მათ ერთგულებაში. ქალების გამოკითხვამ სხვა სურათი უჩვენა: 5%-მა ზუსტად იცის ქმრის ღალატის შესახებ, 19% მხოლოდ ვარაუდობს ამას, 76% კი დარწმუნებულია, რომ ერთგული მეუღლე ჰყავს. ■

ფოტოკუთხეები



ილარიონ

ყოველთვიური ჟურნალი